

114
1928



მნამნი

3

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1928

პბთლუჯაბუბთ ვვვლუა ქვეყნისა, შვეთოდით!

ქართული
ბიბლიოთეკა

K


მნათობი

5

ყოველთვიური მხაცვრად ღიჯერაცურადი
მეცნიერად შუბღიჯისცყარი უყარნადი

ქლოიწადი შუბტოუ

მარჯი



სანადმფიფო მამომცემადი

შპიღისი 1928

413

1928



მხატვრული ლიტერატურა

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

სტუდენტების სიმღერა

ჩვენ, ყველა კუთხის ხალხის შვილები,
ვისწრაფით, ცოდნას რომ დავეწაფოთ
და შემდეგ სწავლით აღჭურვილები
ხალხს წინ წარუძღვეთ, გზა გაუკაფოთ.

ვეიცავთ, რომ ნათელ ჩირაღდნით ხელში
ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ამოცანას:
მოვეფინებით ყოველ სოფელში
შრომის წალკოტად ვაქცევთ ქვეყანას.

თუ არ გვაცლიან მტერთა ჯარები
და თუ მშრომელ ხალხს დასჭირდა შეველა,
როგორც ბარიზის კომუნარები
ბარიკადებზე გაეწყდებით ყველა.

დასვეტ-დაპქუხე, ჩვენო სიმღერავ,
დაიგუგუნე ცაო და მთაო;
მეცნიერების მშობელო კერავ,
იყავ სახალხო, საყოველთაო.

მეზობელი

თვეა — ლერმონტოვის ქუჩის კუთხესთან
მიჰირავს ქვემო სართული შენობის.
... ხშირათ დაღლილი ფანჯარას უცქერ და
მგზავრის (სხვა არ სჩანს) ფეხებით ვერთობი.

და — მაგალითად — ვიცი რა საათში
ჩემი მეზობელი გაივლის დილით;
ჩამომივარდება ოთახში მაშინ
მისი მალაღი და უსახო ჩრდილი.

მისაუბრია ხშირათ მეზობელთან:
როგორც ვადმომცა — მკვიდრია თბილისის,
თექვსმეტი წელი თურმე იოცნება
ყულზე ერთ ვარსკვლავის მომატებისთვის.

მაგრამ მეჩვიდმეტე წელის გრიალმა
ყველა ვარსკვლავები დაუნიავა,
ეხლა მთელი დღე დადის და მარტოდენ
შავ კრილოსანს მარცვლავს საღამომდე.

მაკვირვებს: ცოლშვილთან გუშინდელივით
სეედის გასართყელათ რომ არ იჩქარის —
და არ ქეიფობს ჩეკის და ლენინის
გინებით, ბუზართან ზურგით მიმჯდარი.

რამ გამოცვალა ყველაფრის მგმობელი,
და ყველას მქირდავი ჩემი მეზობელი!

მეზობელი ანზობს: — წარსული მაკმარონ
და მე დღეიდან შეეხედავ გულცივათ,
— გნებავთ წითელი დროშა ჩაატარონ,
გინ თავი მოჰკვეთონ რევოლიუციას;



რა წყალიც ვსურდეთ, იმ წყალმა იდინოს,
 ოღონდ აშორდეს ჩემ სახლის კარებს—
 და შინ ლენინიც რო ჩამომიკიდონ,
 არ ვიწყენ სრულიად, არც გამაზარებს.

დღეს ბოლშევიკები გახდენ კეთილი
 და ცოტა უფრო სიცოცხლე მეტკბილა...

მე მომერია ღიმილი ტუჩებზე:

— არ დარღვეულა რკინით გაქედილი
 რევოლუციის არითმეტიკა!..

და ჩემს ჩალეწილ ფანჯარას უჩვენებ:

— ხომ ხედავ რამდენი აკლია მინა,
 ამ ფანჯრის მსგავსი ათასი არის;
 ყველანი დღე და ღამ ვსრომობთ და გვინდა
 რომ არ გვაწუხებდეს აქედან ქარი—

და თუ ეს შრომა და ჩვენი სიცოცხლე
 დახურდავდება სათქვენო წუთებათ,
 მაშინ მეზობელო ფანჯრიდან—იციოდე
 თოფების ლულა გადმოცეუდება.

თბილისი
 მარტი.

ტფილისი

I

იყო ტფილისი.
 ძველ ტფილისელებს
 ჰქონდათ ყაბაჩი—
 წარსულს ჩაჰბარდა;
 ჰქონდათ სალაყბო
 ძველ ტფილისელებს,
 ღამაზ კნეინებს
 ეცვათ ხაბარდა.
 თაყაღიშვილი
 უკრავდა თარზე,
 წყობილ შაირით
 აჭებდენ ქალებს.
 გამარჯვებული
 ლეკზე, თათარზე,
 მხედართსარდალი
 სწერს მადრიგალებს...
 მაგრამ ეს ლბენა
 და აღმაფრენა
 გულს ახარებდა
 მხოლოდ რჩეულთა
 და იყო კიდევ
 მეორე ფენა...

II

სევდას მოსთქვამდა „მოდუდუნე მტკვარი ანკარა“,
 მაგრამ ჰონქაძემ შეარყია ჰგრძნობელთა გული:
 კაკო ყაჩაღმა ცხენი მთებზე გადაატარა,—
 და ცხრაასხუთმაც იგრძნო თესლი ძველი დარგული...
 ეხლა ტფილისში სხვაგვარია ადამი, წესი.
 რევოლუციამ გადარგვა ღრუბელთა ჯარი.
 ეხლა ხაბარდა და სალაყბო აქ აღარ არი,—
 ფრიალებს დროშა წითელ ფერის, ბრწყინავს ზაქესი,
 სადარაჯოზე ახალ ჭვეყნის სდგას პროლეტარი.

ფარიზის ზონი

უკვე აყვავდა ატმები ჩემში,
დრომ მწითე შეინდზეც გადინადირა ..
ახ, რა კარგია ლურჯ ზღვაზე გემში
მწვანე ხმელეთზე ცეცხლი-სატირა!..

წვიმამ ისროლა იაგუნდები,
ნზემ ოქროს მტვერში იგი აბანა...
მე ცისარტყელის პერეტას ვუნდები,
სად ფერთა ზოლებს დაეფსვი დანა.
ამოეკერ მასში წითელი რტყელა,
ნამგლად მოხრილი ნაკვეთი შილის,
და მე მგონია მთლად ცისარტყელა
ამომავალი ცისკარი დილის!..

დაეცურავ ნავით ყომრალ ღრუბლებში,
ძირს ვყრი ნაპერწყლებს ტალკვისის ქნევით,
კვლავ დაეშვები შრომის უბნებში
და ცეცხლის ენებს შეემართავ ზევით...
ქარხნის მიღების შავს კულულებში

აფეთქდებიან ციციანათლები,
გულს ჩავსვამ შუქად შუშის ლულებში
და მეც სიცილით მოვინათლები...

ავაესებ ბელლებს ოფლის ხორბლებით
და დავწვავ ბელლებს, თუ მიშლის ბნელი,
აღეძრავ მთლად მიწას ურიცხვ ბორბლებით,
რომ სხვებზე მისი ძვრა შეიქნას ძნელი;

რომ გამოეფერთხო გული-ლადარი
და მასვე მოვსდო მკერდზე ღვედებათ,
თორემ სდგას მთა, ზე როგორც კადარი,
და იფენს ფიქრებს თოვლის გედებათ.

ჩემში ატმები ჰყვავიან ისევ,
შინდის ხეებზეც გაეფინე შილი
და ზვალის ცისკრის ნაპერწყლებს ვისევ,
მხრებზე ცეცხლისფერ თმებ-გადმოშლილი!..

ამხანაზ ბეზიმენსკის

ჩენი სიცოცხლე, ალტაცება და სიხარული—
ოქტომბერი და ლექსებია ხომ ამხანაგო!

რევოლუციას, მილიონ ხალხს ემსახურება
კომკავშირული ჩენი სიტყვა, ჩენი კალამი.

კომკავშირი ხომ ეს ვულია ჩენი ეპოქის
ახალ ქვეყნისთვის ძეგლად მიგვაქვს ჩენი სიცოცხლე,
მტრის დასაძლევიად ახალგაზრდებს სისხლი გვეყოფა
და ამ ბრძოლაში ლენინურად ისევ ვიცოცხლებთ.

შენ თუ რუსეთის კომკავშირმა ასე გაგზარდა
პოეზიაში ამზობებულ სულის ბელადად,
და თუ მრავალი ახალგაზრდა ამ შენს გზას გაჰყვა
და შენს დროშის ქვეშ პოეტების თაობას რაზმავ,

მეც საქართველოს სახელოვან კომკავშირიდან
ამ საქმეში ვარ პირველი და შეუპოვარი;

ყველაზე უწინ ლექსში მე ესთქვი კომკავშირული
სიტყვა გულწრფელი და ბრძოლების ენის მომგვრელი.

შენ რუსულად სწერ, მე ქართულად; რა უყოთ მერე!?

ეს ხელს არ გვიშლის ვემსახუროთ ინტერნაციონალს;
მილიონ ხალხის ნებისყოფას, ბრძოლის სიმღერებს
ჩვენ ახალგაზრდულ ენერგიით ლექსებში ვკონავთ.

ჩვენთვის უცხოა ამხანაგო ცრემლები, სევდა,
დარკინულ გულზე მებრძოლების ვინ გადაიარს,
ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში მომავალს ვხედავთ
და ლექსებად ვშლით სიცოცხლის და ბრძოლის ბაიარალს.

და სულ არ ვგვიართ იმ პოეტებს, ვისთვისაც ლექსი
ყველაფერია ამ ცვალებად დედამიწაზე;

არ გვაიწყდება ჩვენ ბელადის დიდი ანდერძი,
მტრებთან ბრძოლაში ახალ ქვეყნის შენებას ვსწავლობთ.

ჩენი სიცოცხლე, ალტაცება და სიხარული
ოქტომბერი და ლექსებია ხომ ამხანაგო?

ყოველი ბიძგი ჩენს გულს მეტად ამზიარულებს
და პოეზიაც ჩვენთვის ბრძოლის იარაღია.

თქმულება შამილზე

კლდის ქვეშ ციხე და ჩრდილია
 ბევ-ბევ ნისლია ქარგული;
 შამილი მთების შეილია
 ვეფხვია მისი ფრანგული.
 ხმალში მძლეობას ნატრობდა,
 ხიშტი წინ ედგა მტრისაო;
 მთამ უთბრა: ჩვენდა სამტროდა
 ქარი ჩრდილოდან ჰქრისაო,
 ცა რო ღრუბელმა გათანგოს
 მზე ემსგავსება კუნძულსა;
 თემს რო ვაეკაცმა არ არგოს
 დედა მოიჭრის ძუძუსა.
 საშობლო — ნატურის თვალთა
 ვერ იხსნი ცრემლის დენითა.
 შამილმა ცხრა მთა დალია,
 გზა წინ გაივლო ცხენითა.
 მოაქე რო ნაბა გმობილი
 შეშურდა ტომის გაქრობა;
 მთა ჰპოვა მთისა მთობილი,
 დაიწყო ბარზე ლაშქრობა.
 — რომელ ლაქვარდა ვხედავდე
 თვალი თუ ცაა მტირალი?!.
 ხეეს შესძანოდა ხეკამდე
 შამილი ლეკეთს მყვირალი:
 — გამი ბინდით მოკულა,
 სხივი ჰქრება მზისა,
 მტერი უკვე მოსულა
 მსხვერპლი უნდა მთისა.
 სადღა არი მხნეობა,
 ვინ მოდრიკა მთანი?!.
 ხმამ დაიპყრო ხეობა
 კლდემ გამოსცა ბანი.

ქართული
ბიბლიოთეკა

მეწყერი მოწყდა, მოხვავდა,
ატყდა, აზღვდა ავ-ქარი;
თემში თემობა მოხლავდა,
შემოკრბა ლეკთა ლაშქარი,
გორდაგორ ცხენთა თქრიალით
მოსკდა ვეკაცთა თაობა,
ფრანგულის ბრწყინვა-წკრიალით
წამოდგა მთა და მთაობა.

ვინც თვის ქვეყანას არ არგო
მტერმა გაუბო მკერდები,
შამილმა ხმალით აავგო
მოკვეთილ თავთა ქედები.

თვალმა ლამე დაისრა,
კლდე შეინგრა მყუდრო;
მთა შებრუნდა, დაიძრა
ყაზახების ურდო...

ლეკმა მთების გვარისამ
სისხლი აიღო ბარისა...

ეხლა სხვა დროა... მთობაში
მთა არ მლექლვარებს მძვინვარი,
ლკ-ფშავ-ხეცსურთა ძმობაში
წითლდება მზე და მყინვარი.

ქ უ რ დ ი

ის ამბავი სულ უბრალოდ მოხდა, და თვითონ ამბავიც ისეთივე უბრალო იყო, როგორც მისი ჩამდენის დაობებული ცხვირპირი, ჩაქანგებული კბილები, მიზნედილი თვალები და დაკონკილი შალვარი, რომელიც პატრონს ისე ეკიდა ვიწრო თქოვებზე, თითქო შიგ ორი შრუდე კონკილა ეკიდაო.

გვარიც ზედგამოჭრილი ჰქონდა: — სტეფანე ჩირაძე: მისი სახე გადიდებულ ლეღვის ჩირს ჰგავდა — მორჩილს, გამხმარსა და გამოფიტულს.

სტეფანე ჩირაძე იმ საღამოსაც ისეთივე გამოვიდა სახლიდან — უფრო კი გამოეთრია — როგორც მუდამ გამოდიოდა: დახშული, ამრეზილი და გესლიანი.

ან რაღა ჰქონდა საბალისო! ჩირაძე ნაკაცარია. ერთ დროს ყველაფერი ჰქონდა: ატესტატი, მუნდირი, დიდი უფლება და ჯამაგირი.

სასამართლოს კანდიდატობიდან დაიწყო სამსახური. ერთგული, პირნათელი და მორჩილი მოხელე გამოდგა. ამიტომ და მხოლოდ ამიტომ დაწინაურდა. მართალია, მრისხანე მოსამართლე ჩებოესკი დიდ მფარველობას უწევდა, მაგრამ ეს ხომ საანგარიშო არ არის. ან ვინ წაწევდა სამსახურში, თუ წყალწალბულივით დიდ მორს ან ტიეს არ მოეკიდებოდა და თვითონაც ოდნავ მაინც ხელს არ გაიჭნევდა.

და სტეფანე ჩირაძეც იქნევდა ხელს, ორივე ხელს იქნევდა — გულმოდგინედ, მარჯვედ და პირნათლად. იქნევდა და კუნძულებს ეტანებოდა. ეტანებოდა და მიატანა კიდევაც: ოკლდაათისაც ძლიეს იქნებოდა, რომ დღეშეთში მოსამართლის თანაშემწედ დანიშნეს. მერე უფრო მოზრდილ კუნძულზე გადაცურდა — თელავში გადაიყვანეს ნამდვილ მოსამართლედ. იჯდა და ასამართლებდა.

თელავიდან ქალაქამდე პატარა მანძილია. სტეფანემ ეს მანძლიც ადვილად დასძლია, რადგან პირნათლად იქნევდა ხელებს, და ნელნელა დედაქალაქში ჩამოცურდა.

ერთგული, პირნათელი და გულმოდგინე მოსამართლე იყო ჩირაძე: ზეპირად იცოდა კანონები, სენატის განმარტებანი, სანიმუშო განაჩენები; საგულეს გულის ნაცვლად ქვის ლოდი ედო; იყო მკაცრი, ვითარცა რომაელი. მიუკარებელი ვითარცა ლორდი; მშრალი და პირქუში, როგორც ათი წლის ლეღვის ჩირი და დინჯი, ვითარცა ბებერი კამეჩი.

ხშირად ეტყოდა ხოლმე ვეკილებს:

— თქვენს თვალში ყოველი ბრალდებული ანგელოზია, ღმერთალში კი იგი მგელია. დამიმტკიცოს, თუ შეუძლიან, რომ მგელი კი არ არის, არამედ ანგელოზია, და მეც მშვიდობიანად გავისტუმრებ სახლში.

ბრალდებული ათასობით ჰყავდა ჩირაძეს. ყველანი უმტკიცებდნენ, რომ ანგელოზები იყვნენ. მაგრამ ვანა ჩირაძის ბრალი იყო, რომ ყველა მგელისათვის მას მგლური განაჩენი გამოჰქონდა!

— შესაძლებელია—ამზობდა ჩირაძე—შესაძლებელია, ხუთას ბრალდებულში ერთი გაერიოს უდანაშაულო, მხოლოდ ერთი, მაგრამ ისიც უქველად მგლის ჯიშისა გამოდგება. შესაძლებელია, ღიახ, მხოლოდ შესაძლებელია, ეს ერთი წამივიდეს ხელიდან, მაგრამ...—და მხოლოდ ეხლა აიწვედა და ამრგვინდებოდა მისი ხმა—მაგრამ გაფრთხილდეს, მერიდოს ვაი იმის თავსა და ღედას, თუ მეორეთ ჩამივარდა ხელში! და ამ მუქარას ისეთი მრისხანებით იტყოდა, რომ იმ უტნობი „ერთის“ მაგივრად ჩირაძის მოსაუბრეს უწელიდა ერუანტელი.

— კაცო—უთხრა ერთხელ ერთმა ვეკილმა დანარჩენებს,—კაცო, მე რომ მკითხვით, ყველა პატიმრები კრავები არიან, ეს ობერა კი მგელია იმათთან შედარებით. მგელი!

და იმ დღიდან სტეფანე ჩირაძეს თავის ცხვირით მიეკერა და შერწა მგლის სახელი.

მისი გვარი თითქო დააეიწყდათ.

— სად არის მგელი?—იკითხავდნენ.

— ზემო დარბაზში.—უპასუხებდნენ.

— ვინ ასამართლებს. ამ ტუსაღს?

— მგელი.

— ვის ხელშია საქმე?

— მგლისა.

— ვინ დაუნიშნეს?

— მგელი.

— ვინ გამოუტანა განაჩენი?

— მგელმა.

— ვის ჩააბარეს შენი საქმე?

— მგელს.

და ჩამოყალიბდა ვითარცა კანონი კანონთა სასაზღვში: „მგელი მოდის.. მგელმა სთქვა... მგელს უთხრეს... მგელი შევიდა... მგელი შეხვდა“.

გამჭრიახი და მოხერხებული პატიმარი—მგლის კერძი უქველად აეიდ ვახდებოდა საპატიმროში, რომ მგლის კლანკებში არ ჩაეარდნილიყო. ვეკილები ტყინს იღვსავდნენ და ათასნაირ ხრიკს იგონებდნენ, ოღონდ თავიანთი მუშტარ პატიმარის საქმე გადაედებინებინათ, თუ იგი მგლის კერძი უნდა გამხდარიყო.

მგელმა იცოდა რა შიშის ზარსა სცემდა მისი სახელი ვეკილებსაც და პატიმრებსაც, მაგრამ არა სწყინდა. გულში უხაროდა, ამეყობდა კიდევაც. ეს

შიში სამსახურის ორთაყვირი იყო, რომელიც სანატრელ ნაპირებზე ვსვლის დროს ეხმარებოდა.

ბოლოს, ერთ დღიას—წყეულიმც იყოს ის საზარელი ღრმისკენი ღებლის მოსასვლელი მოვიდა.

მგელი ისე არ ელოდა იმ ამბავს, როგორც მტკვრის აღმა წასვლას. კიდევ კარგი, რომ ჩირაძეს არც ერთი პოლიტიკური საქმე არა ჰქონდა გარბეული და არც ერთი მომავალი ხელისუფალი არა ჰყავდა მომდურებული.

— საწყალი მგელი! — დაირბა აქა-იქ ჩურჩული.

— დაითხოვენ.

— გააგდებენ.

— მშიერი მოკვდება.

მაგრამ ჩირაძე არც დაითხოვენს, არც მშიერი მოკვდა. მიზეზი მხოლოდ შემდეგ გამოჩნდა: თურმე მგელს მხოლოდ ტყავი, ყურები, კბილები და გული ჰქონდა მგლისა. ის კი არაეინ იცოდა, რომ თავში მელიის ტვინი ელო და კუდიც მელიისა ჰქონდა მოძმული.

ამ კუდიტ რვა წელიწადს ათრია ჩირაძემ ცხოვრება და სამსახური. მაგრამ—

— რა ცხოვრება, რა სამსახური! — შესძახებდა ხოლმე მოსამართლე. — მგლების ხროვაში ეცხოვრობ, მგლებისა! მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამ ტიულებს ნარტო ტყავი, ყურები, კბილები, გული და მდა აქვთ მგლისა, დანარჩენი კი, ტვინი და ხასიათი, მელიისა აქვთ მეთქი, მელიისა!

მგელმა ახალმოსულთა მგლობა და მელიობა მაშინლა დაინახა, როცა ერთ დღეს—ეს დღეც დასწყევლოს უფალმა ღმერთმა! — როცა ერთ დღეს უღუქმოდ და უპორტფელოდ დრჩა.

— უცნაური ხალხია—იტყოდა ხოლმე მგელი ან გულში ან ჩერჩულით, სანამ სამსახურში იყო—უცნაური ხალხია, ღმერთმანი. ამათი კანონისა თუ უკანონობისა ვერაფერი გამივია. ამ წიგნში ერთი სწერია, ხელიდან კი შეორე გამოუდით. რევოლუციონური კანონიერებას.. ახალი სამართალი!.. კლასიური მიდგომა!.. ბოლშევიკური გეზი!

მგელი თავისთვის იღრინებოდა, მელია კი ჩინურ სათამაშოსავით იღიმებოდა. ბოლოს წარსული გაიხსენეს (წინათაც იცოდნენ, მაგრამ ეხლად გაიხსენეს), მელიის კუდი დაუნახეს და გზა მშვიდობისა უსურვეს.

* * *

რა უნდა მომხდარიყო ამის შემდეგ გარდა იმისა რაც მოხდა? ბევრი არაფერი: ჩირაძე იმ მგელივით ჩამოხმა და დაიშა, რომელიც იმ ჩამთარს შუა ქალაქში შემოვიარდა. მარტო რომ ყოფილიყო, როგორმე გაუძლებდა სიცივესაც და სიმშვილსაც. ცოლი ქმარზე უარესად ჩამოხმა და ლოგანად ჩაეარდა. ერთადერთი შვილიც ორმოცი დღის ნამარხულეც დაემსგავსა. ეხლა ისიც ავად იყო.

ეგონა, ძველი ავეჯი და ქონი ერთ წელიწადს მაინც გამაძლებინებსო. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა და ჩირაძე საკომისიო მალაზიების მუდმივ მუშტრად გადაიქცა, ერთი წელიწადი ორ თვედ გადაიქცა.

ცერხალი „მნათობი“ № 3.



ეხლავა მიიხედ-მოიხედა მგელმა: აღარც ვასაყიდი ნივთი, არც ნევრბარი, არც ნათესავეი, აღარაყენ და აღარაფერი, გარდა ორი მშვიერად მშენებელ ჩა-
ვარდნილი სულისა.

იმ დღეს უკანასკნელი დახარჯა: ერთი ილღია შეშა მოიტანა და ცოლ-
შვილს კართოფილი მოუხარშა. ესეც რომ გათავდა, ჩირაძის ბინაში—ერთად-
ერთ ოთახში—ერთად შემოცოცდნენ და დასახლდნენ სიმშვილი და ყინვა, კაე-
შანი და უიმედობა, სიკვდილის ლანდი და სასოწარკვეთილება.

იჯდა ჩირაძე კუთხეში მოდრეკილ-მოკლემშული და სიცივისგან კანკალებდა.
ფიქრობდა ხელის განძრევას, გაბრძოლებას, მაგრამ აზრი დაღვრილი წყალივით
ეფანტებოდა.

წამოდგა და კედლებს ეკა. დარბოდა ექვსადღიან ოთახში და ციე შუბლს
ისრესავდა. შვილი და ცოლი ნალვლიანად შესცქეროდნენ. ველარ გაუძლო სტე-
ფანემ. ჩერად ნაქცევი ქუდი დაიგდო თავზე და გამოვიდა, უფრო კი გამოეთრია.

არც კი იცოდა, სად მიდიოდა, ვისთან, რასთვის, ან რა იმედი? გამო-
ვიდა ქუჩაში, რადგან შინ ჯდომა აღარ შეეძლო. რომ დარჩენილიყო, აყვირდებოდა,
ატირდებოდა. რამდენჯერმე გაჰკრა შხამიანმა აზრმა: ორივეს დაეხოცავ
და მეც გავევებიო. და რომ არ დაეხოცა და თვითონ აზრიც კი ამოეგდო თავი-
დან, ისევე ქუჩაში ხეტიალი ამჯობინა.

ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია და მოდის. ოდნე ეინფლავს და ცივი ქარი ჰქრის.
მოზუხული მავალები სწრაფი ნაბიჯით მიდიან. შერი ღრუნის ჩირაძეს. „ყველას
ელის თბილი ოთახი,—ფიქრობს თავისთვის—ოთახი და მზიარული ოჯახი.
ყველა მაძლარია, ან ეხლა გაძლება. მე კი...“


აკვირდება და ხედავს: ბევრნი მიდიან ჩირაძესავით დაკონკილები და მო-
ბუზულენი. მრავალნი დგანან აქა-იქ ატუხულენი. ზოგი პაპიროსს ჰყიდის, ზო-
გი ნამცხვარს, ზოგიც ისეთ წვრილმანს, რომ მისი საქონელი ერთ მანეთადაც
ძლივს დაფასდება.

მაშ სად მიდის ჩირაძე? ვის დაეძებს? რა უნდა აედარში გარეთ? არ იცის,
არც ფიქრობს. მის თავში ერთი აზრიც აღარ ბუღობს, გულში იმედის ნა-
ტამალიც აღარ აქვს. მოდის თავისთვის, მოდის იქით, საითაც მთართოლვა-
რე ფეხებს მოჰყავთ. ის ფეხები—ჩხირებივით დამდნარ დაკრუნხული ფეხები—
აღარაფერს ეკითხებიან პატრონს. ხან მარჯვნივ გაუხვევენ, ხან თავდაღმა
დაქანდებიან, ზოგჯერ კი უკანვე გაბრუნდებიან და შერე ისევე იმავე გზით გა-
მობრუნდებიან.

იმ კოპერატივშიც ამ ფეხებმა შეიყვანეს ჩირაძე. რა უნდოდა ნაკაცარს
იმ დიდ მალახიაში? არ იცის, ჩირაძემ არაფერი არ იცის. იმის ფეხებს ჰკით-
ხეთ, იმის მოშლილმა ფეხებმა თუ იციან. დაინახეს განათებული დარბაზი და
იფიქრეს: „იქ თბილა, ხალხი ირევა, შევალთ და გავთბებიო“.

შევიდნენ, პატრონიც შეიყვანეს და ყველანი გათბნენ—ჩირაძეც და მისი
აჯანყებული ფეხებიც.

რაც შემდეგ მოხდა, ესეც ჩირაძის ბრალი არ არის. აღარ არსებობდა სტე-
ფანე იმ ღამეს როგორც მთლიანი ადამიანი. დაირღვა, დაიფანტა, დაიშალა.



ველამ თავისკენ გაიწია და სრული დამოუკიდებლობა მოითხოვა, მოეხერხებინა და მოიპოვეს კიდევაც: თვალებმა, ყურებმა, ხელებმაც და გულმაც. სალაროსთან რივი იდგა. წინანი თითო-თითოდ მიდიოდნენ და უკანანი ტაატით წინ მიიწეოდნენ. უცებ ჩირაძეც მიეკედლა, უკანასკნელს მიუდგა ზურგში და გაინაბა.

რა უნდოდა მას, ჯერში რომ ჩადგა? არ იცის, ვერ იტყვის. ჯიბეში შაურჩანიც არა ჰქონდა, მაგრამ მაინც რიგში იპოვნა თავისთავი.

ჩირაძემ თუ არ იცის მიზეზი, სხვამ მაინც უნდა იცოდეს. ეგრეთ, უძველესად ეგრეთ. ჰკითხეთ ჯერ იმის თვალებს და მერე ფეხებს, იმათ იციან, ნამდვილად იციან. და რომ ჰკითხოთ, თვალები გიტყვიან:

„აგერ იმ კაცმა, ჩასუქებულმა და სუფთად ჩაეპულმა კაცმა, უბიდან ორი თუმნიანი ამოიღო. ერთი ხელში დაინარჩუნა, მეორე კი პალტოს ჯიბეში ჩაიღო. ჩვენ, ჩირაძის თვალებმა, ამაზე მეტი არაფერი ვიცით. დანარჩენი სხვებს ჰკითხეთ“.

ჰკითხეთ სხვებს, თუნდაც ჩირაძის ფეხებსაც. ისინიც თავისუფლები არიან და თვითონვე მოგცემენ პასუხს, და რომ ჰკითხოთ, ფეხები იტყვიან:

„გარეთა ჯიბეში ჩატურებული თუმნიანი რომ დაინახეს თვალებმა, ჩვენ ავსკარდით და უმალ ამოვუდგქით უკან იმ კაცის ფეხებს. ამაზე მეტი ჩვენ არაფერი გვეკითხება. დანარჩენი სხვას მოსთხოვეთ“.

დანარჩენი ჩირაძის მარჯვენა ხელს მოსთხოვეთ, მარცხენამ კი არაფერიც არ იცის. ის შარვლის ჯიბეში იჯდა და თბებოდა.

მარჯვენა ხელი კი ბურტყუნებს:

„მეც ჯიბეში ვიკეცი. უცებ ამოვტურდი, სხვის ჯიბეს მივეპარე და ჩაესრიილდი, ამ დროს სხვისი ხელი მეცა, ჩამბლუჯა, მეფეა, დამამტვრია და ეხლალა ამომიშვა.“

- ჰაი შე ქოფაკო, შენა!—ჩასძახის ჩირაძეს ვიღაც ჭაბუკი.
- არა, ერთი ამას დახეთ და!—იბღვირება ვიღაც მედუნქე.
- შე ოხერო! შე ტუტუტუკო!—და მიაყარეს:
- დაიჭი, არ წავიდეს!
- მისცხე!
- დაჰკა!

ფულის პატრონს ის თუმნიანი ისევ თვითონ უჭირავს, იქნევს და ღელავს:

— მილიციონერო!.. დაუძახეთ!.. მოიყვანეთ!

— დაუძახეთ!.. დაიჭით, არ გაიქცეს!

ჩირაძე მაგრად უჭირავთ. რა სულელია ეს ხალხი! ისე ჰყავთ ნაკაკარი შეპოკილი, თითქო ვინმე ავარასავით გატყვევას აპირებდესო. ის კი არ იციან, რომ ქურდი წაიქცევა, თუ ხელი გაუშვებს.

როგორ მოხდა, რათ მოხდა, რომ მსაჯულმა სხვის ჯიბეში ჩაპყო ხელი?! ჩირაძემ არ იცის, არაფერიც არ იცის. ჰკითხეთ იმის ჩაობებულ თვალებს, მთრთოლვარე მარჯვენა ხელსა და დაღუულ-დაგარბილ ფეხებს.

იმათ იციან, ბებრი იციან, თვითონ ჩირაძეზე მეტი იციან.

მარკუნული

ეხლა ნამსაჯულევი დიდ დარბაზში სდგას, მოაჯირის უძველესი თვალების ბლექით ათვალეირებს იმ დარბაზს, ისე ათვალეირებს, თითქო პირველად ხედავდესო.

ათვალეირებს და ისე იღიმება, თითქო იმის პირზე გველის წიწილები იკლანქებიანო. მწარედ ეცინება ნამსაჯულევს. ან განა სასაცილო არ არის?! ეს დარბაზი, გრძელი, განიერი, მაღალი და თეთრი დარბაზი, სწორედ ის დარბაზი, სადაც ჩირაძე ორასჯერ მაინც მსაჯულობდა უწინ, დღესაც ისე გამოიყურება, როგორც ოდესღაც.

დარბაზის ორი მესამედი მაშინაც ხალხით იყო ხოლმე გაკედილი. ეხლაც საესეა.

ბრალდებულს რომ შემოიყვანდნენ ხოლმე, ასი წყვილი თვალი ისე აათვალეირებდა მას, თათქო ტანისამოსს ხდიდნო. ეხლაც აშიშვლებენ ტუსადს.

— ღმერთო დიდებულო! — ჰკივის გულში ბრალდებული და პირსახეს ხელის გულებით იმაღავს. — ღმერთო ძლიერო! ვინ არ მოსულა ჩემ შესარცხვენად!

ჩირაძის ნაცნობ-მეგობრებს თითქო პირი შეუყრავთო: უხუვლიათ და აქ მოუყრიათ თავი.

აგერ, პირველ რიგში სხედან პროკურორები სპირიდონ შაველიძე და ვარლამ ჩოღლა. ჩირაძეს შესცქერიან, რალაცას ჩურჩულებენ და გესლიანად იღიმებიან.

ოოჰ, ნეტა შეეძლოს ჩირაძეს ყველაფრის თქმა, რაც ეხლა იცის და პირზედ აკერი!

აი მოსამართლენი და ვეტილებიც, ეხლა რომ დამცველთა კოლეგიის წევსრები დაარქვეს.


— რალა დამცველთა კოლეგიის წევრი? — ეხლალა ეკითხება თავის თავს ბრალდებული. — ერთი სახელი მაინც დაერქვათ: დამცველი.

აგერ ვილაც უკრავს თავს და უღიმას. ჩირაძის თანაშემწე იყო შარშან, ეხლა კი იმის თანამდებობას ასრულებს. კეთილი კაცია, ებრალება პატიმარი.

თავი ჩაუქნია, ჩაუღიმა და თვალევი მარცხენა კუთხეს მოაელო. მოაელო, შეკრთა, გაიღიმა, წამოდგა და ისევ დაჯდა. დაჯდა და იმ კუთხეს თვალი ველარ მოსწყვიტა.

იქ, უცხო ხალხში, პელაგო ზის, მისი კოლი — დამდნარი, მიზნედილი თვედაბრილი; ზის და ტირის, თავისთვის ტირის — ჩუმად და მალულად. ხელი-გული შუბლზე მიუბჯენია. ცრემლს მალავს, დარცხვენილ თვალეებს არიდებს უცხოხსაც და ქმარსაც.

სამაგიეროდ ბრალდებულის შვილი ბაგრატი, დედას რომ მოსჯდომია, გვერდით, თამამად და მხიარულად შესცქერის მამას, თან ხელს უქნევს ოდნავ და უცინის.



ისიც წასენარია, მაინც უოხადად არის. ორივენი მუშაობენ. პეღაგო ჰკერაეს, ბაგრატი კი ნოქრად დამდგარა კოოპერატივში. ლუკმას რეჟიმში მოულობენ და მიმას ელიან. გამოეა და მიეშეელება. ისიც რაღაცას უნახავს და ეტყობა და ორიოდე ლუკმას მიაშეელებს.

აგერ სასამართლოს „ბოქაულიც“—ვანო ჩარექიშვილი (ეხლა რა ჰქვიან ბოქაულს, ჩირაძემ არ იცის). ძველის-ძველი შსახურია. მგონი აქ დაიბადა და ისე შეებერდა ამ დარბაზს, როგორც აგერ ის კარები.

ვანუა ჩირაძესაც ემსახურებოდა. აგონდება ეხლანდელ ბრალდებულს: როცა დარბაზი დალაგდებოდა და მოსამართლენი გამოსასვლელად მოემზადებოდნენ, ვანო ჩარექიშვილი ბოხი ხმით დაიძახებდა ხოლმე:

— Суд идет! Прошу встать!

ყველანი წამოდგებოდნენ. თავმჯდომარე გაიბლინძებოდა, დარბაზში გავიღოდა. ჩირაძეც გაიჭიმებოდა და გაჰყვებოდა. უკნიდან მესამე მისდევდა.

მივიდოდნენ წითელ მაგიდასთან და განიერ სავარძლებში ჩასხდებოდნენ. ჩირაძე ჯერ ხელებს მოიფშვინებდა, ხალხს გადახედავდა; მერე მოაჯირს ნოუბრუნდებოდა, ბრალდებულს აათვალიერებდა და ისე დაუბრიალებდა თვალებს, თითქოს ეუბნებოდაო:

„შენა ხარ ჩემი დღევანდელი ლუკმა? ვაი შენი ბრალი! მე შენ გაჩვენებ სეირსაო!“

დღეს კი ნამსაჯულევი თვითონვე ზის იმ მოაჯირის უკან, სადაც ათასმა და ათი ათასმა დაიწყო გრძელი გოლგოთა. ეხლა ჩირაძის ჯერიც მოვიდა.

„რა უქულმა ტრიალებს ქვეყანა!“—თითქო ნააზრევი გაუგოო დამცველმა და განავრძო:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე სრული გაუგებრობაა. ცხადია, იმ კაცმა ფული კარგად ვერ ჩაიდო ჯიბეში. თუმბიანი გადმოუვარდა, ან უნდა გადმოვარდნოდა. თქვენ ხელი წაატანეთ იმ ფულს. ვინდოდათ იმ ადამიანისათვის მადლი დაგედოთ, ნაგრამ... აი სწორედ ამ დროს მოხდა გაუგებრობა: იმ კაცს თქვენ ქურდი ეგონეთ და ხელი გტაცათ. ასეა თუ არა, მეგობარო?

ჩირაძემ გაიღიმა და სათქმელი გაუგო: ჩვენება ისე გადააკეთე, როგორც ეხლა გითხარია.

— არა, ეგრე არ მომხდარა.

— მაშ როგორ მოხდა?

— სწორედ ისე, როგორც გამოძიებელმა ჩასწერა.

— თქვენ უკეთ გეცოდინებათ.—ცივად მიუგდო დამცველმა და გაბრუნდა. კარგად იცნობს ჩირაძე ამ ხრიკებს. ზოგი ბრალდებული ათჯერ გამოუტყდებოდა გამოძიებელს: „მე მოვკალი... მე ვიქურდე... მე დაეაშავეო“. ათჯერვე მოაწერდა ხელს ჩვენებას. მერე კი, საქმის გარჩევის დროს, ყველაფერს პირუტყლმა დაატრიალებდა: „არ ვიცი... არ მინახავს... პირველად მესმის... იქ არცკი ვყოფილვარ ოდესმეო“.

ასეთ ჯიუტებს ჩირაძე ოდნავადაც არ ინდობდა: თუ გამოტეხილს ეჭვის-ოდე თვეს მიუსჯიდა, ახირებულ ცუდლულს ორ წელიწადსაც მიაკრებდა ხოლმე.

მიზეზიც უბრალო იყო: გამოტეხილის საქმეს მოსამართლე ერთი საათში დაასრულებდა, გაკერებულისას კი ზოგჯერ რამდენიმე დღეს უნდებოდა.

გარდა ამისა, რაღას უშველის ესლა ჩირაძეს საქმის მოპოვნება?
რაც მოხდა, მოხდა!

ქვეყანამ უკვე გაიგო და დარწმუნდა.

ალარაფინ დაუჯერებს. უფრო უარესად გაებმება და ერთ სირცხვილს მეორეც დაემატება. მოსამართლეებს კი უფრო გაალიზიანებს და სასჯელს მოამატებინებს.

„მართლა, ნეტა ვინ გამასამართლებს?—ეკითხება თავის თავს ბრალდებულო.—თუ თოფაძე შემხვდა, არ დამინდობს. კუპრიძე გესლით მოპკრის თავს ხვედელიანი კი რბილი კაცია... ესმის... გამიგებს.“

მოსამართლენი გამოვიდნენ. წინ ვიღაც უცნობი მოდის.

„აღბათ ეს იქნება თავმჯდომარე“.

ჩირაძეს რაღაც წორეულმა გააქრა ელვასავით, მაგრამ უმაღლე ისევ ელვასავით ჩაქრა.

თავმჯდომარეს ორნი მოსდევენ, ხვედელიანი და კიდევ ერთი უცნობი.

მაშ ესე: ჩირაძე ორ წევრს არც კი იცნობს.

„საოცარია—უკერის ფეხზე მდგომ ბრალდებულს—საოცარი ხალხია, მოუსვენარი ხალხია: ერთ ალაგზე ერთ წელიწადზე მეტს იშვიათად გასძლევენ. მოვა უმეცარი, თითქოს სკოლაში მოებარაო. ცოტაოდნის ისწავლის და შემდეგ კოოპერატივში გადადის, იქიდან მასწავლებლობას დაეძგერება, შემდეგ რკინის გზას შეუდგება და დადის ასე ყველგან, სანამ ყველაფერისტი ან არაფერისტი არ გამოვა. საკვირველი ხალხია! აღბათ ეს ორი ახალიც ასეთი ჯიშისა იქნება... საოცარი ხალხია!“

— თქვენი სახელი და გვარი?—ეკითხება თავმჯდომარე.

„საკვირველი ხალხია!“—ისევ თავისას დასდევს ჩირაძე.

— მესამეჯერ გეკითხებით, თქვენი სახელი და გვარი მეთქი!

მესამეჯერ? ესეც საკვირველია. რატომ ვერ გაიგო ჩირაძემ? აღბათ გამოყრუვდა.

აღვა, უპასუხა და ისევ დაჯდა.

— წლოვანება?

ორმოცდაათისა შესრულდა.

უპასუხა და თავმჯდომარეს ეხლავა გაუყარა თვალი თვალში. გაუყარა და ევლარ მოაშორა.

სადაც და ოდესღაც უნახავს. თითქოს ეცნობება. ტვიწში ნემსის ოდენა რაღაც უფართხალებს. მებსიერებას იკრებს, თავს ძალ ას ატანს, იგონებს და ვერ მოფგონია.

— თქვენი წინანდელი სოციალური მდგომარეობა?

„ეს ცხვირი, კაუჭა ცხვირი და ვიწროდ შეკეცილი ტუჩები...“

— ბრალდებულს, მიპასუხეთ!

„გრუხა თავი... მალალი შუბლი... შუბლზე რაღაც კრილობა“...



საქართველოს
განმახიერებელი

— სმენა ხომ არ გაკლიათ?

— მე?—წამოხტა უცებ მოაჯირის კაცი.—მე? არა, არ მწყობრად მსმენია

— მაშ მიპასუხეთ.

ჩირაძე უაზროდ ბლიტავს თვალებს და სდუმს.

— თქვენი წინანდელი ვინაობა მეთქი.

— სასამართლოს მუშაკი.

უპასუხა და აზრი ისევ შორეულში ჩაიკლანა: ჭალარა წვერი... აღბათ შემდეგ გაუჭალარავედა... მაშინ კი...

როდის „მაშინ?“ სად, სად უნახავს ეს კაცი, ეხლა რომ თვალებს უბურღავს და ცალი ტუჩით ილიმება?

„ილიმება თუ იმუქრება?“

— მოსამართლედ ხომ არ ყოფილხართ ოდესმე?

როგორ არა, იყო, მოსამართლედაც იყო. ეს ხომ მთელმა ქვეყანამაც იცის.

— სად?

— აქ, ტფილისში.

— კიდევ სად?

ჯერ სდუმს, მერე უმატებს:

— თელავშიც ვიყავი.

— აქედანაც დადიოდით თელავში?

— დიახ... რამდენჯერმე ვიყავი.

ნეტა ეს წერილმანი რალასთვის სჭირდება მოსამართლეს? თელავშიც იყო, რა თქმა უნდა, იქნებოდა.

— რამდენჯერმე?

— დიახ, რამდენჯერმე.

თავმჯდომარე ბრალდებულს ისევ წელანდელივით შესცქერის. თვალი ისევ იმის თვალეზში აჭებს ჩარკობილი, უმზერს და სდუმს, თანაც ოდნავ იშმუნება. მერე ისევ იმეორებს, თითქო თავის თავს ეუბნებაო:

— მაშ რამდენჯერმე იყავით?

— დიახ, რამდენჯერმე გახლდით.

და უცებ ელვამ გაპკრა. სკამზე დაეარდა, წამოდგა, ისევ დაჯდა და გახევდა.

* * *

მოავონდა ის საქმე—უბრალო და შორეული საქმე. თხუთმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ.

მოსამართლენი თელავში ავიდნენ. ჩირაძეც წაიყვანეს. ხუთიოდე საქმე გაარჩიეს. ყველას თავის ხვედრი მიუსაჯეს: ზოგი გადაასახლეს, ზოგსაც კატორღა მიაკრეს.

ბოლოს ეს კაციც შემოიყვანეს, აგერ ის გრუზა, ჭალარაშერეული მკვრივი ადამიანი, აგერ იქ რომ ზის, თავმჯდომარის სკამზე, და ოდნავ ილიმება.

მაშინაც ილიმებოდა. ალბათ იმიტომ ილიმებოდა, რომ ყოველთვის შალვად მიიხსნა.

იმის საქმეც უბრალოზე უბრალო იყო: ცხოვრობდა თავისთვის კერძოღელაურში, ვახს სხლავდა, ვენახს ბარავდა, შაბიამანს აყრიდა, ღვინოს აყენებდა, ჰყიდა და საჭორწილოდ ემზადებოდა.

ერთ ღამეს ვილაცამ კარი დაუარაბუნა.

— რომელი ხარ? — ხმა მისცა გლეხმა.

— გარეთ გამოდი, შინაური ვარ.

კარი ვააღო და ვავიდა. ან რა ჰქონდა მოსარიდებელი?

— ვინა ხარ, რა გინდა?

იქეთ-იქიდან ორი ლანდი აეტუზა.

— ჩქარა მოიტა ღვინო, პური, ბურვაკი. — წასწორჩულა ერთმა.

— ფულს მოგცემთ, ნუ გეშინიან. — დაუმატა მეორემ.

შევეკამათა, მაგრამ ბევრი აღარ აღაპარაკეს. კიდობანი დაუტალეს, ორი ტიკი გააფეს, ორ ბურვაკს ყელი გამოსჭრეს, ცხენებზე აიკიდეს და გაჰქუსლეს. თედო კი ჰრაქის წინ ორ წითელ თუმნაანს ატრიალებდა და ანგარიშობდა. რამოდენიმე კვირა გავიდა. სადღაც ვილაც ყაჩაღები დახოცეს. ერთი დასჭრეს და თელავში ჩამოიყვანეს. მერე ისიც მოკვდა.

ისე ვილაცამ დაარაბუნა თედოს კარი.

— რომელი ხარ?

— გააღე!.. ჩქარა გააღე, თორემ...

გააღო და ბოქაული იცნო. შეჰკრეს და წინ გაიგდეს. დედა მისი ჰკიოდა, ფეხმოტეხილი ძალლი წკმუტუნებდა.

— ბრალი არა მაქვს, არხეინად იყავი! — გამოსძახა შეიღმა დედას და სიბნელეში დაიშალა.

სამუდამოდ დაიშალა. ერთმანეთი აღარ უნახავთ დედა-შვილს. დედაცაცი ლოგინად ჩაეარდა და მაშინაც ველარ ადგა, როცა თედო ჩირაძის თვალწინ დააყენეს.

მოკლე და უბრალო საქმე იყო.

— შენ იცნობდი იმ ყაჩაღებს.

— არა.

— მუდამ კავშირი გქონდა.

— არა, ლპერთმანი.

— ეხმარებოდი.

— არა შეთქი!

— გირჩევთ გამოტყდეთ.

— არა, არა და არა!

და ფიცულობდა, ყველას და ყოველივეს ფიცულობდა: მურახს, ალავერდის ხატს, დედას, ზევით ლპერთსა და ქვეით სინიღისს.

მაგრამ არ დაუჯერეს, რადგან სადღაც რაღაც ეწერა, და რაც ეწერა, მისი ამოფხეკა და გამატყუნება შეუძლებელ საქმედ იყო მიჩნეული.



არ დაუჯერეს და სამუდამო გადასახლება დაუდგინეს.

აგონდება ჩირაძეს: პირდაღებული იდგა გლეხი, თითქმის მკვრივად გაი-
გოვ. გადაუთარგმნეს. მაინც უხმოდ იდგა და თვალებს ბლიტავდა. გაიღიმა
კიდევაც, თითქოს ამბობდაო:

„ვერა, ვერ მომატყუებთო.“

* * *

და აი, ის თედო, მაშინ რომ უნდობრად იღიმებოდა, ეხლა იქა ზის —
წითელ მიგიდასთან, თავმჯდომარის სავარძელში.

ზის და ეხლაც იღიმება, მაგრამ ისეთნირად, თითქო ეკითხებაო:

„გაგახსენდი? მომიგონე?“.

ჩირაძეს გაახსენდა, მოაგონდა, მაგრამ...

მაგრამ ეს ღიმილი, უცნაური, დაგრეხილი — ნეტა რა არის შიგ ჩაქსოვი-
ლი? რა სწერია იმ ღიმილში — რისხვა თუ ლმობიერება? შექარა თუ წყალობა?
ჩირაძეს არ ესმის. ვერ გაუხსნია, იმ ღიმილის გასაღები ვერ უპოვნია.

და უცებ აზრმა გააქრა:

„რა ტუტუცი ვარ! სხვა რა უნდა ჰქონდეს ჩემთვის ამ ადამიანს შურის
ძიებისა და შხამის მეტი! დაეღუპე და დამღუპავს, დაესაჯე და მომიზღავს.“

ყველაფერი გათავდა. ჩირაძე დაიღუპა. სამართალი რომ იყოს სადმე,
ბრალდებული წამოდგებოდა და იტყუდა:

„გთხოვთ საქმე გადასდოთ და თავმჯდომარე შენიცვალოთ, რადგან“...

რადგან თავმჯდომარეს პირადი საქმე აქვს ჩირაძესთან და ანგარიშს
გაუსწორებს, სამაგიეროს გადაუხდის.

„მაგრამ რადგან ამ დარბაზში — ახალ ქვეყანაში — სამართალი არ არსებობს,
ამიტომ...“

ამიტომ სდუმს ჩირაძე და უგულოდ იძლევა პასუხს:

— დიახ... ეგრე იყო... მოვიპარე... გვწიოდა და მოვიპარე... მდგომარეო-
ბამ მაიძულა...

— ჩირაძემ უწინ არ იცოდა — ეჭურზულება იქვე ერთი ახალი მო-
ხელე მეორეს, — რომ მდგომარეობა ჰქნის შეგნებას. ის ამას არავითარ ანგარიშს
არ უწევდა და საწყალ ხალხს ასობით ჰგზავნიდა ციხეში... მაგრამ ეხლა... როცა
თვითონვე იწვნია... ამიტომ... რადგან...

ამიტომსა და იმიტომს ჩირაძე ყურს აღარ უგდებს. ან რა საჭიროა!
სულ ერთია, დაღუპულია. აღარც ვეჭილისა ესმის რამე. მხოლოდ წვიმის წვე-
თებივით ესმის მისი —

— რადგან... ამიტომ... ვინაიდან... იმიტომ...

რა მოხდა შემდეგ, აღარც ეს ახსოვს. მხოლოდ ერთილა აგონდება: შვილი
და ცოლი მოეხვივნენ, ატირდნენ და აატირეს.

ვექილმა მიულოცა და კინალამ ხელი მოსწყვიტა. სხვებმაც ხელი ჩამოარ-
თვეს, გაუცინეს. გაამხნევეს.

დაიგვიანა ჩირაძემ დარბაზიდან გამოსვლა. და როცა გამოვიდა, მოულოდნელად თავმჯდომარეს შეეჩება.

— მადლობელი, მოქალაქე ჩირაძე, — ეუბნება თავმჯდომარე — დიდი მადლობელი.

გამართლებული პირლია შესტკერის დათას დ ფიქრობს:

„დამცინის თუ... ან სადაური დაცინვა“?

— დიდი მადლობელი ვარ. სამაგიერო გადავიხადე.

— რისა?.. რი... რისთვის? — ბორძიკით ეკითხება ჩირაძე.

— იმისთვის, რომ კაცი გამხადეთ... რომ არ გადაგესახლებინეთ, ისევ ტყაბუკა ტეტია დავრჩებოდი. ეხლა კი...

— მაშ...

— მაშ არაფერი, ზოგი კირი მარგებელიაო. მშვიდობით იყავით!

ლოლო

ბერლინელი სალონვაგონი ქვემო საქონიის ახლად დათოვლილ ველებზე მიჰქროდა...

მიწისპირი ახალ ფიფქს მოესვენებინა.

მოლიბრო ცისკიდურზე ხმალდაშნიანი მდევებივით იდგნენ უშველებელს ქარის წისქვილები.

ზოგს არაქათი გამოლევდა ქარის მოლოდინში, ზოგიც უღიმღამოდ ითრევდა გაშავებულ ფრთებს. ისინი რომელიც ძლიერ შორს იდგნენ დათოვლილ ბეჭობზე, წარღვნის დროინდელ ზღაპრულ ობობებივით დაბობლავდნენ, საქსონურ ფაიფურის ფერ ზეცის ეკრანს ეპოტინებოდნენ ულაზათო, გამურულ ფრთებით.

გერმანიაში, იდამიანური ხელით შერყენილ ლანდშაფტთა შორის ჩემი თვალი ამ ქარის წისქვილებზე თუ დაისვენებს.

ჰმ,

ელექტროს და გაზების საუკუნეში ეს ადამის დროის ქარის წისქვილები! გაესცქერი ამ აწმავს ვაგონის ფანჯრიდან, ძლივს ვიკაებ ღიშს...

საღონ ვაგონში მზის ნავვიანევი შუქი შემოდის—ლაპლაპებს მკრთალი სხივის არილი მეტალიურ ქურქელზე და ვაგონრესტორანის კარ ფანჯრების სპილენძის ხელსაქიდებზე.

ნებიერად ვზივარ ხავერდის სავარძელში, სურნელოვან მოკას ყავას შევეტკევი, და თვალს არ ვაშორებ ახლად გამოჩენილ ქარის წისქვილებს.

ჩემს პირდაპირ გაწყობილ სუფრას ვიღაც სხვილკისერა ქაჩალი უჯდა, ფანჯარას თვალი რომ ავარიდე ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

თვალი შევეაღე, ინსტიქტით მივხვდი: ეს კაცი ამ წუთში ჩემზე ფიქრობდა.

— Pardon...

ღაიწყო მან და გამომესაუბრა.

დასავლეთში, იშვიათად გამოგელაპარაკებათ თანამგზავრი ასე ხელაღებით. ეს კაცი აღმოჩნდა ვინმე ბერძენი, თამბაქოს პლანტატორი, სოხუმში ნამყოფი.

სჩანდა, ვარეგნობაზე შემატყო ქართველობა.

— მომიტყვევთ ცნობისმოყვარეობა, და რატომ გელიმებოდათ წელან?...

... ჩვენი ბედისწერისა და განცდების საქმეში, ბატონო კონსტანტინე, მომმართა ამ ამბავის წომოხრობმა, რაიმე ლოლიკური თანაშემდეგობის ძიება, უნდა მოვახსენოთ, სავსებით უნაყოფოა. ერთი მიზარძანეთ ღვთის გულსათვის, აბა რა კავშირი აქვს ქვემო საქსონიის ქარის წისქვილებს, ბერძენ პლანტატორს ლიკიარდებულოს და ჩემს სამიჯნურო თავგადასავალს 1919 წლის შემოდგომას სოხუმში?...

დავებრუნდეთ ისევ ცნობისმოყვარე პლანტატორს. განაგრძო ჩემმა შეინახებმა.

ამ კაცს ოქროს კბილები ჰქონდა.

არა, უკაცრავად, ოქროს კბილები... მთლად ოქროს კბილები არა ჰქონია ლიკიარდებულოს.

ზემო და ქვემო კბილები ოქროთი ჰქონდა ერთი მეორეზე გადაარაზული.

ასე რომ, როცა იგი თავის უშველებელ ხახას აბჩენდა ლაპარაკის დროს, მზის შექუჩე მოლაპლაპე კბილების კრთომა საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემზე.

ოქრო საოცარი რამეაო, სწერდა მას ემსაშინა კრისტოფორე კოლუმბი პორტუგალიის დედოფალს, თუ არ ეცდები.

დიახ, ოქრო საოცარი რამეა, მეგრამ გააჩნია სად და როდის?

და ასე, ლიკიარდებულოს ოქროთი საოცრად მოკირწყლულ კბილებს რომ არ მიეპყრო ჩემი უზრადლება, მე თქვენ გარწმუნებთ, მე მას არ გამოველაპარაკებოდი — და აღარც აფხაზეთში ჩასვლაზე ვიფიქრებდი ოდესმე.

და ველარც ლილს შევზვდებოდი.

მეგრამ არა ღირს სათხრობის ბოლოდან დაწყება.

ეს იგივეა — ასაგებ სახლს ზეშეუქციო თავკიდური,

— რატომ ვილიმოდი? ეს ქარის წისქვილები... მერმე საამოა მათი მზერა.

— თქვენ საქსონიის ლანდშაუტები გიტაცებთ და მე მგონია თქვენ ამ დროს სოხუმში არ გივლიათ იხვებზე.

„მე გამოვეტყდი ლიკიარდებულოს, რომ გვიან შემოდგომით არც სოხუმში, და არც სხვგან შავი ზღვის სანაპიროსკენ იხეების გადაფრენას არ დავსწრებოვარ. ადრე, სიკბაუკიდან მომიხდა საქართველოდან გადახვეწა და არ დამეცალდა საქართველოს ბუნებით დატკბობა მეოთქი.

„ეს, ეს...“ ამბობდა გულნატკენი პლანტატორი, დელიკატურად საყვედური შემომამარა, რომ ბოლშევიკებმა ძვირფასი თამბაქოს პლანტაციები წაართვეს თურმე.

ცოტახანს კიდევ ვისაუბრეთ საქსონიის ქარის წისქვილებზე, მატარებელი დრეზდენს უახლოვდებოდა. ჩემს კუბეში დაბრუნებულმა გადაწყვეტიტე რათაც არ უნდა დამეფიქროდა, მომავალ შემოდგომას სოხუმში ჩავსულიყავი იხეების გადაფრენაზე.

მთელი წლის განმავლობაში ეს აზრი ისე მონწიფდა ჩემს გულში, დაწერილებით შევიმუშავე მთელი გევმა, რომ სალამოს ელბის ნაპირას მოსვირნეს

თვალმოუხუპველად მეხატებოდა შავი ზღვის რივიერას ნელტფილი საღმრთოები, მურუქიან იალონების ნისლის მერდინების ფრიალი, გულატყვეულებული ლინი, ხშირი ვადამფრენ იხვებისა, ჩემი საყვარელი სეტერის მთხვევები და მევე მესმოდა სიერცეში თუ როგორ ვეძახდი, „ფეთიან“, „ნაბულ“ და სხვა.

ვნებები ამოძრავებენ ჩვენს ცხოვრებას და მე მრავალი ფრიად საშური საქმე ვადამაღებინა ამ საოცარმა ახირებამ.

რამოდენიმე ისეთ საქმეს ავაკლინე მაშინ ხელი, რომელთა შედეგები დღესაც საგრძნობია ჩემთვის.

ვიმარაგებდი სხვადასხვა ყალიბის თოფს, ბინოკლებს, სავაზნეებს, საჭაობო ჩექმებს და სხვა სანადირო ხელსაწყოს, თუმცა ეს მოულოდნელი ხარჯები დიდად ამძიმებდნენ ჩემს მოკრძალებულ ბიუჯეტს.

მეორე წლის სექტემბერს საქართველოში მივბრუნდი.

ჩემს განკარგულებაში იყო სამი თვე, ამ ხნის განმავლობაში ჩემიანები უნდა მენახა, საქმეები მომეგვარებინა და სოხუმსაც ჩავსულიყავი სანადიროდ.

ოქტომბრის მიწურულში მთელი ჩემი სანადირო შეჭურვილებით ბიძა ჩემს ვეწვიე სოხუმში.

ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესით, ურიგობა იქნებოდა სასტუმროში ჩამოხტომა, და მეც შეურიგდი ყოველივე კომფორტს მოკლებულ მგერულ ოდას უღრან ტყეში სოხუმ-ბაბუშარას გზაზე აწენებულს.

ევროპაში ნაცხოვრებ კაცისთვის ხანგრძლივად ასეთ ოდაში ცხოვრება არც ისე იდილიური რამეა—როგორც ეს პირველთქმისას მოგეჭვენებათ.

ბიძა ჩემი მუდამ ბეგარებს მისტიროდა.

ნადირობის გახსენებაც აღარ უნდოდა, მისი საუცხოვო ფრანგული პონტერი დაბრმავებულია, დღენიადავ კარის ალაგზე ეგდო და გამუღვლს ფეხქვეშებლანდებოდა.

ყოველ წელს თითო კაპუეტი მუდამ ჰყავდა ძარში, აღარც მიმინო, აღარც ჩიტბადე, სანადირო თოფი წაერთმიათ, სასირე ბადეები ლაფაროში ლპებოდნენ.

— რა დროს ნადირობაა, ქვეყანა იტყევა, გამძარცვეს, მამულები წამართვეს, ცხენებს რეკვიცია უჭნეს, წისქვილი დამინგრის, ხერხის ქარხანად გადააკეთეს.

ბულუნებდა დამბლადაციმული მოხუცი.

უმცროს ქალიშვილს ბუბისებური ნადირობის ჟინი ჰქონდა.

— შენი დიდედა შარავშიძის ასული ყაბარდულ ლაფაზე რომ შეჯდებოდა, მწვერებს რომ წინ გაიგდებდა, ან მიმინოს ირავს რომ აქნევიებდა....

მომითხრობდა ნატგრიითი კილოთი ბიცოლა.

— ახლა ვის ცხელა შვილო სანადიროდ.

საკოდავ ცირუნისა სადა სცალია სანადიროდ, საბუქდ მანქანაზე მუშაობით სამკეცი ტყავი აქვს თითებზე ვადამპერალი.

რამოდენჯერმე ცხენით ჩავედი სოხუმს, ამაოდ ვეძიე რიგიანი პარტნერი. ერთ ორჯერ მარტოკა გავიარე კაობებისაკენ, რამოდენიმე ბეკასი შემომაკვდა გზადაგზა.

მაგრამ მარტოხელა ნადირობა არც ისე ადვილია უცნობ ნივთებზე, და ის იყო ტფილისის დაბრუნებას ვაპირებდი, პატარა ხიფათმაკეცხე-ქაქუცუყვეყინა. ერთ საღამოს ზღვის კიდეზე მიეყიადობდი. მამალი იხვი ამიფრინდა თვალწინ, ვესროლე გაფრინილს, დაკოდელი ფრინველი აღმაცერად დაქანდა, ზღვის ზედაპირზე დაეცა და საშინელი ყვირილი მორთო.

ტანისამოსის გაუხდელად შეეტოპე წყალში, ისე ამიტაცა დაკოდელის შეპყრობამ, წადენა იყო და ზვირთები არც კი დამაცლიდნენ ტანზე გახდას.

დიდის ვაივაგლახით გამოვიტანე ნადავლი.

შენდრე გავიძქრე ტანზე, სამოსი ქვაზე გავფინე და ქვიშაზე დაეწექი.

სამხრეთის ალერსიან სხივზე მეოცნებეს რული შემპაროდა და შეღამებულზე ცვარის სიგრილემ გამომაღვიძა.

მწუბრი დაშვებულყო ლილისფერ ბურუსში გახვეულ ზღვაზე, გაპყროდა ქვეყანას მზე და შორეული სხივის ქათქათი ღრუბელთა ნაოჭებში კიანთობდა როგორც ღამეულ უდაბნოში დარჩენილი ცეცხლის კერა.

იმ ღამეს გავეციედი და ოდნავ მახველებდა.

შენიშნული მაქვს, საკურორტო ადგილების მცხოვრებთ ქლექის მანია სჭირთ.

ატყდა ბიცოლა ჩენი, ექიმ შარუხიასთან წავსულიყავ დაუყონებლივ.

მეორე დღეს ცხენით ჩავედი სოხუმს.

წინა ოთახში ორიოდ ნაციები ავადმყოფი ყვინთავდა.

ჩემი გვარი რომ უხსენე მსახურს, ექიმის კაბინეტიდან გამომეგება დაბალი, მსუქანი, მოკლე ფეხებიანი კაცი, წითელ ფოსტლებში შუბლზე აკეცილი სათვალებით.

ამ კაცმა ჩენი ყურადღება მიიქცია თავისი, ფრიად ორიგინალურ თავის ქალით და სახის გამომეტყველებით.

მოხრილი, კეზიანი ცხვირი, ვიწრო შუბლი, წითური თმა, წითურივე წარბები. ლოპინარის ფერი, წვერილი თვალები, საკმაოდ ფართე სატირის ყურები.

იცოდეთ ეს პოეტური ჰიპერბოლით არაა ნათქვამი, ნამდვილი, ზედგამოქრილი სატირის ყურები.

ტუჩის კუთხებთან საკმაოდ ღრმა ნაოჭები, ცხვრის ზემო ტუჩივით ამობურცვილი ტუჩკაბილი და მის წვეტიან ნიკაპს აბოლაეებდა გრძელი, წითური, მეფისტოფელისებური წვერი.

ეს კაცი რომ ქუჩაში შემხვედროდა, უთუოდ უცხოელი მეგონებოდა.

ექიმმა კაბინეტში შემიყვანა, გამშინჯა, უმნიშვნელო წამლები გამომიწერა, უბრალო კატარად მონათლა ბიცოლა ჩემის „ქლექის ნიშნები“.

არ დაუშალავს თავისი პროვინციული ცნობისმოყვარეობა, ცოტა რამ გამომიტხა, ჩემს უკანასკნელ ევროპა—მგზავრობის შთაბეჭდილებებიდან. მცირე რამ თავის ვინაობაზედაც მანცნო.

ისიც საკმაოდ უთრევია ბედს.

ამ 15 წლის წინად ციმბირიდან გაქცეულა ტოკიოში, იქიდან ევროპაში გადასულა.



ვენაში საექიმო ფაკულტეტი დაუსრულებია.

5 წელს ექიმად უმსახურია ერთ ავსტრიულ სავაჭრო გემში, შემოუვლია თითქმის მთელი წყნარი ოკეანე და ახალ-სტრასბურგში ერთ ფრანგ ექიმისთვის ცოლი წაურთმევია, და ორიოდვე წლის წინად სოხუმში გამოურთყავს ბედისწერას ეს საოცარი რობინზონი.

მეუცხოვა ერთი რამ: ყოველივე ამას ისე ცინიკურად, ოხუნჯურ ტონით ნიამბობდა ექიმი შარუხია, თითქოს ყველაფერი ეს მას არ შეეხებოდა. გამოთხოვებისას მთხოვა, მომავალ კვირას სადილად ვწვეოდი.

მიუხედავად ბიცოლა ჩემის ენერგიული პროტესტისა, კვირას ისევე სოხუმში დავაპირე წასვლა.

— ნუ ჩამოგიდევ ვერა ამ ყმაწვილს, ალბად ექიმ შარუხიას ცოლისთვის მოურთავს თვალი, შენ რას გედარდება მან თვალს წყალი დაალევინოს.

ლრინაედა ბიძაჩემი.

— რომელი ცოლი?

ნე არც კი ვიცოდი მას ცოლი თუ ჰყავდა...

ვიმართლე მე თავი.

— ო, მაგის ცოლი სოხუმის პრიმიდონია.

შენიშნა ცირუმ.

— ოო, რამდენ ყმაწვილს თავბრუ დაასხა იმ ქალმა! შარშან, საცოდავმა ძიკი ემუხვარშა ზღვაში შეაგვლევა თავისი ცხენი და თავი დაიხრჩო, ამბობენ სულ იმ ქაჯი დედაკაცის გულისათვის.

დასძინა ბიძამ.

მე გადაპარებულად მომეჩვენა ეს პროვინციალური მითქმა-მოთქმა, მაგრამ იმ კვირას, ექიმ შარუხიას მოკრძალებულ სუფრას რომ ვუსხედით, მე დავრწმუნდა, ეს ქალი მართლაც ჯადოსნური სილამაზის პატრონი ყოფილა.

მეინახებებში რამოდენიმე ჩოხიანი ყოფილი თავადაზნაური ისბდა და ერთად ერთი სტუმარი ქალი — ადგილობრივი პროვინზორის ცოლი. თითქოს კონტრასტისათვის განზრახ აერჩია ექიმის ცოლს ასეთი ჯოჯოხეთის მაშალა თავის მეინახედ.

მე საოცრად გამახელა ამ დედაკაცის კანდიერმა მოპყრობამ, რაც ჩემს დონეუანურ პრაქტკაჟაში, პროვინციაში ერთხელაც არ მაგეგნია. ექმის ცოლი ჩინებულად იფერებდა თავის მეფურ სილამაზის უპირატესობას, მაგრამ ზედმიწევნითი სინაზით უღიმოდა მის გვერდით მჯდარ ყოფილ თავადს ემუხვარს, რომელიც თვისი აბზაზურ-მეგრული დეენტლშენური კეკეითა და სიტყვა პასუხით ალბად რომელიმე ლედი ბიკონსფილდსაც კი მოჰხიზლავდა.

არც სადილობამდის, არც სადილობის დროს, გარდა ორიოდვე სავალდებულო თავაზიან მოკითხვის სიტყვისა, მას ხმაც არ გაუცრა ჩემთვის.

დანარჩენი სტუმრები კი ათასგვარი გამოკითხვით თავს მამბებრებდენ.

მისმა გულგრილმა დამოკიდებულებამ თავიდანვე გულციფობის ჯაყშნით ილმჭურვა, მაგრამ ამისდა მიუხედავად იძულებული გავხდი ჩემს გულში მგლევიარებინა ამ ქალის უხადო სილამაზე.

ნასადილევს სტუმრები აივნის შუშაბანდში გამოგვიწვიეს.

ეს სახლი განმარტოებით სდგას ზღვის პირად გაშენებულ მანქანულ-წარმოებასთან და მისი მშენებლობის ხარისხი იშლება აივნიდან.

მე და ექიმი შარუხია კუთხეში მდგარ პიანინოს გადაღმა ვისხედით, თელიანს შევექცოდით და ესაუბრობდით.

ექიმმა, როცა ჩემი სოხუმს ჩამოსვლის მიზანი გაიგო, სკეპტიკურად გაიღიმა.

ვერ გამოვარკვეე ჩემი ნადირობის უნარზე დაეკვიანებას მოასწავებდა ეს ღიმილი თუ სხვა რაიმეს.

და როცა მე ეს გაკვრით ვაგრძობინე მას, ექიმმა საერთოდ ნადირობის წინააღმდეგ გაილაშქრა.

— მე გეთანხმებით, ნადირობა ჩინებული სპორტია, მაგრამ მოუცილებლად არისტოკრატიულ არეში.

ძველად ერთი მუჟა არისტოკრატია ეწეოდა მას.

ჩვენ სულ სხვა საუკუნეში ვცხოვრობთ — და ოდეს ვარდი გაიადფდეს... დღეს ყოველი კაცი მონადირეა. და ამგვარი, ახალი ყალიბის მონადირეები გულკითხავად ანადგურებენ გზად შეხვედრილ ფრინველს და ნადირას.

დასაუღეთში ტყეებს კარგად იცავენ და ნადირობაც რაციონალურ კალამოტშია ჩაყენებული.

მოდით ახლა და საქართველოში გაუწიეთ კონტროლი მონადირეს, რომელ ღრეში როდის რას მოჰქლავს?

ამგვარად სახელმწიფოს არაერთი საშუალებით არ ძალუძს მართვების სეზონში ფრინველი დაიცვას — და ამის შედეგს ჩვენ სულ ათიოდე წლის შემდეგ დაეინახავთ, როცა ჩვენი მდიდარი ფლორა და ფაუნა საგსებით განადგურდება.

მე წამსვე შევტყვევე ექიმ შარუხიას — რომ მას დაუძინებელი კრიტიკული ქია ჰყავდა თავში.

ასეთი აღამიანები ყოველ მოვლენაში ვაცილებით მეტ მავნე მხარეებს ხედავენ, ვიდრე სასარგებლოს.

— თუმცა მე ასე ვფიქრობ და არც დიდი მონადირე ვარ, მაგრამ თქვენი ხათრით, რამოდენიმე კვირას ამფსონობას გაგიწევთ, მით უმეტეს მე კარგად ვიცნობ აბხაზეთის რივიერას ვიდრე სოჩამდის.

მე მადლობა მოვასხენე ასეთ თავაზიანობისათვის.

სტუმრები ნარდითა და კარტით გაერთვენ.

მადამ შარუხია და ქარმაგი თავადი აივნის მეორე ბოლოში სამფეხა მაგიდას უსდნენ და ყავას შეექცეოდნენ.

მოხუცის ფრიად გაცხოველებული კესტიკულაცია მოწმობდა, რომ ფლირტი ფრიად გართულებულ სტადიაში იყო გადასული.

მსახური შემოვიდა და ექიმი საჩქაროდ გაიწვიეს ქალაქს გარედ ავადმყოფთან. იგი ჯერაც აივნიდან არ გასულიყო, როცა მადამ შარუხია წამოდგა და ემუხეარს ღიმილით უთხრა:

— თქვენ ნარდით გავრთვეთ და მე ჩვენ უცხო სტუმარს უნდა მიეხედო.

დიასახლისი ფრიად თავაზიანი ღიმილით მომეალერსა, შემეკითხა ყავა თუ შაქლი, ან ძველებურ ლიჭიორს თუ ვინებებ.

მე არ დამიმაღლავს ლიჭიორის ნდომა და მან თვითონ გამოიტანა ლიჭიორი და თავისი შეუდარებელი ხელებით დამისხა იგი.

(მე არ მგონია კნიდოსელი აფროდიტეს მოტეხილი მარჯვენა ამ ხელზე უფრო ღამაზი თუ იქნებოდა).

აქ ჩემმა თანამესაუბრემ თხოობის კილო ოდნავ შესცვალა: იცით რა, მე არც პოეტი გახლავართ, არც თუ რიტორი—მაგრამ უნდა მოვახსენოთ, თქვენ პოეტები და სილამაზის მონადირენი ერთ რამეში სცდებით:

რამდენი ხოტბა თქმულა ხორციელ მშვენიერებაზე, მაგრამ არც კალმით, არც წამლით, არც ყალბით, ხორციელი სილამაზის გადმოცემა სავსებით ჯერ არაფის შესძლება.

როგორ შეედრება ტალოზე და ქალაღზე გადატანილი, ან მარმალილოში და ბრინჯაოში განსახიერებული სილამაზე იმ სილამაზეს, რომელსაც სული უდგია, რომელსაც პულსი უცემს, სისხლი და ხორცი აქვს შესხმული, რომელსაც შეგიძლიათ შეეხოთ, სითბო იგრძნობთ, იენოსოთ და ნელსურნელებით დატკბეთ.

ახ, სილამაზე რამდენი წამალი, რამდენი მელანი, რამდენი სიტყვა დახარჯულა მის გამოსახატავად, მაგრამ მისი საუნჯე შეუცნობლობის შეიღებულად წიგნია ჯერეც.

ლილ, რქმევია ამ მშვენიერ მატრონას.

— ლილ, ეს ჩემი სახელი როდია, არამედ ქალწულობის გვარი.

როცა აქესენტი გავიცანი, მე ვატარებდი ჩემი პირველი ქმრის გვარს—ნოვას—როცა აქესენტმა გვარი მკითხა უნგრულად—მე ვუთხარი ჩემი ქალწულობის გვარი ლილ—მას იმ წუთში იგი სახელი ეგონა და მას შემდეგ სახელად შემარქვა ლილ. არ ვიცი შესაძლოა ჩემი ნათელის სახელი ქრისტინე არ მოეწონა და მიტომაძ...

ქრისტინე?

გავიფიქრე გულში.

თუ ქვეყანაზე სადმე სამართალი არსებობს, ამ ქალს ქრისტინე როგორ უნდა ერქვას?

ლილ,

რაღაც იდუმალი ნელსურნელებაა ამ სახელში.

ლილ საუცხოოდ ღაპარაკობდა მეგრულად.

მისმა უცხოურმა აქცენტმა ალტაცებაში მომიყვანა.

ლილმა მოიწონა ჩემი სანადირო გვეგები.

— ძლიერ დაგიმადლებთ თუ აქესენტის გამოაცოცხლებთ.

იგი მთლად ჩაეტყლო ერთფეროვან პროვინციულურ ცხოვრებაში.

უზომოდ ლოთობს, ან უზომოდ მუშაობს.

მე იჩქითად დამათრო ცალკე ამ მომზადებული ქალის სანახარში ცალკე ძველმა ფრანგულმა ლიქიორმა.

ვის მარჯვენა ხელზე ძველებური ვენგრული ლირებიანი ბეჭედი შევნიშნე და თაყში გამიფლვა ქებათა ქების დაუფიწყარმა სიტყვებმა:

„დამდევს მე ვითარცა ბეჭედი გულსა ზედა შენსა, ვითარცა ბეჭედი მკლავსა ზედა შენსა, რამეთუ ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი—სიყვარული“.

ლილ უნგრეთს გადასწვდა საუბარში.

— მე ძლიერ ბუნდოვანად ვიგონებ უნგრეთს, ვეუბნები ლილს.

ამ ხუთი წლის წინად დუნაის ამოყვევი ბრაილიდან.

მერმე რომელიღაც ვიწრო ლიანდაგიდან რკინის გზით ვიარე;

ეს იყო შემოდგომა.

რომელიღაც სადგურზე მთვრალი გლეხებით აივსო ვაკონი.

მათმა ფიცხელმა ქესტიკულაციამ და ხმა-მალა ლაპარაკმა საქართველო მომაგონა.

უხვად მისვეს ღვინო.

მთვრალმა ვაკონის ფანჯრიდან გამოვიხედე და ველი ენახე წიწკით და-თესილი.

ათიოდე წუთი სულ პიმპლით გადაწითლებულ ველს ვხედავდი.

დღესაც მთელი უნგრეთის ბუნება წარმოდგენილი მაქვს—მოლაქლაქე პიმპლის ველი.

* * *

მე და ექიმი შარუხია ძლიერ დაგვაახლოვა ნადირობამ.

მე მაშინ გაუტეხელი იდეალისტი ვიყავი.

ექიმი შარუხია გულგამოჭმული სკეპტიკოსი, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიაჩნდა და ადამიანები სძაგდა, ან ებრალებოდა.

ერთხელ მთელი საღამო უშედეგოთ ვიყიალეთ ზღვის ნაპირზე, ერთი იხვიც არ აგვეფრენია.

მე სიტყვა ჩამოუგდე ქაობების ამოშრობაზე.

ქიმზე ჩამოჯდა, თოფს დაეყრდნო და მეუბნება.


— ამ ათიოდე წლის წინად, ჩემო ჯაშუთ, მეც თქვენსავით იდეალისტი ვიყავი.

ჩემი ცხოვრების მიზნად მქონდა დასახული—სამეგრელოს და აფხაზეთის ქაობებს შევბრძოლებოდი.

საგანგებოდ შევიძინე ინგლისური სამგზავრო აფთიაქი. გადაწყვეტილი მქონდა, მთელი ჩემი სიცოცხლე შეარნა და ხალხი გამეკურნა ამ საშინელ სენისაგან, რომელიც ასე უწყალოდ მუსრაეს ჩვენს მხარეში მცირეწლოვანებს და მოზრდილებს საშუღამოდ ასახიარებს.

მალარია ჩვენი უდიდესი ეროვნული უბედურებაა.

მას ათასჯერ მეტი ჭარბელები მოუსრაეს ვიდრე მურმან ყრუს, თებურ



ლენგს, ჩინგის ყაენს, შახ აბახს ან ალიშა შაჰ-მედ ხანს, მაგრამ დღემდის ომი არავის გამოუცხადებია ამ დაუძინებელი მტრისათვის საქართველოში. მთელი შაჰი ზღვის ნაპირას მოზინადრე მოსახლეობა დასახლებულია ამ საშინელი სენისაგან.

ეს ჩვენი უდიდესი უბედურებაა, რომ ჩვენ თითქმის ყველანი ხოლერიკები, ნეკრასტენიკები ვართ.

მაგრამ მე დაერწმუნდა რომ მარტოხელა ადამიანი რას გააწყობს ბუნების სტიქიონის წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა იგი საკუთარ გულის ქირსაც ველარ მორეცია.

ამ ჯამად მე ყველაფერს მირჩევნია ერთის დაკვრით რომ შემეძლოს ხელი ავიღო ოჯახსა და სამშობლოზე და პირველ შეგვედრილ გემს გავყევი თუნდაც უბრალო ფერწლად ისევე ახალ ზელანდიისაკენ, ოღონდ ჩემს საცხოვრებელს მიწაზე არ ედგას ფუძე.

მე გამოიცა ამ სიტყვებმა.

რა დიდი მწუხარება უნდა ჰქონდეს გულში მათ წარმომთქმელს, ეფიქრობდი.

მერმე როგორ უნდა თქვას ეს ეგზომ ლამაზი ცოლის პატრონმა.

კარგა ხანს ვაკვირდებოდი ორივე ცოლ-ქმარს—ურთიერთ დამოკიდებულებაში მათ ოდნავათაც არ ემჩნეოდათ, რომ რაიმე იძულება ყოფილიყო მათ შორის ჩამოგარდნილი.

დრო გადიოდა.

მე ყოველდღე ცხენით ჩამოვედიოდი სოხუმს.

ხშირად ნაშუალამეც ძალზე მთვრალი ებრუნდებოდი შინ.

ლილის ტრფიალმა იხეებზე ნადირობაც გადაამაგიწყა.

ოქტომბერი მიიწურა.

ამ სეზონში, როგორც სჩანდა, იხეების გადაფრენა ნოემბრის ბოლომდის არ დაიწყებოდა.

ექიმს მეტ წილად მოცლა არა ჰქონდა.

ნასადილევს მე და ლილ დიდხანს მარტო ვრჩებით აივანზე.

ჩვენმა ფლირტმა იმ საამო ასაკს მიაღწია, როცა ორივე მხარე გრძნობს, რომ გულუბრყვილო ლაღობა და ლაციცობა საცაა უეცარი ენებათა აღრევით დასრულდება. ორივე ოდნავ ვუფროხით თითქოს ამგვარ აფეთქებას, მაგრამ ქვეშეცენებაში ორივენი აქეთენ მოვისწრაფეთ.

ნასამზრალზე პროვიზორის ცოლი გვეწვევა თავისი ყვითელი ჩემოდნით ხელში.

ლილ ზღვაში საბანაოდ მიჰყავს.

მე ჩემს ცხენს მივხედავ, მერმე, ქალაქში გავდივარ ან და ზღვის ნაპირს მივყავები.

ჩემი ერთად ერთი სურვილია, პლიაგზე წავაწყდე სადმე მობანავე ლილს.

ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ვიხეტიალე ზღვის კიდეზე, ვერ ვეღირსე, თუნდაც ჩვეულებრივ საბანაო ტრუსიკებში მენახა მისი მშვენიერი ტანი.

ერყენული

ბიძა ჩემის უდიერი, ცინიკური შენიშვნებიდან ვატყობ, რომ მისი უკვე საოცარი ლეგენდები დადის ჩვენი ფლირტის გარშემო.

ამიტომაც მძაგს პროვინციაში სერიოზული ფლირტის დაწყება.

მე გაოცებული ვარ, რომ ექიმი შარუხია სრულიად არ ეკვიანობს.

ჭართველი კაცი რომ ასე ითნუნდეს ოჯახის მეგობრის სიახლოეს, ეს პირველი მაგალითია ჩემს დონქუანურ პრაქტიკაში.

ნასადილევს, ნავახშმევს იგი საქმეს მოიმიზეზებს—და მარტო გეტოებს მე და ლილს.

ჩვენ შევეჩვიეთ შუშაბანდში ჰიანინოს გადაღმა ჯდომას, შეღამებულზე ბაღში გავდივართ—და მარტო ყოფნათ ეტკებებით. ერთხელ ნაშუალამემდის ვისხედით დაფნარის ტალავერს ქვეშ.

უცებ შუშაბანდის ფანჯარა გაიღო.

ექიმმა თავი გამოჰყო და ცოლს გადმოსძახა: ლილ, ცოტა ხანს ამოდიხვით. მე შევკრთი.

ახლა კი ყველაფერი გათავდა.

მე უთუოდ უსიამოვნო სცენის მოწმე გახდები.

შესაძლოა უარესიც მოხდეს. ვფიქრობ.

ძლიერ გავვოცდი როცა ლილის მაგივრად მსახური ქალი ჩამოვიდა დაფნარში და მეუბნება:

ქალბატონი გთხოვთ ვახშამზე ამობრძანდეთ.

ახალმა მიპარმა ლილს თავი აატყია.

მე და ექიმი ოდნავ შეზარბოშებულნი მარტო დაერჩით.

თურქულ ყავას შევექცევით.

მე ძლიერ მიყვარს საერთოდ ბუნების მეტყველებაში განსწავლულ ადამიანთან საუბარი, რადგან ყველაზე მეტ უეცრობას მე ამ დარგში ვგრძნობ. იმ ღამეს მომეტებულად დაინტერესებული ვიყავი, ჩვენი საუბარი ამსტრაქტულ თემებისაკენ მიმემართა.

სიტყვა ჩამოვარდა ადამიანის აგებულებაზე.

ექიმმა სიტყვა ჩამომართვა:

— იცით, ჯამლეთ, მე ჰელმპოლცის დიდი თაყვანისმცემელი ვარ.

სწორედ ჰელმპოლცი ეუბნებოდა თავის მოწაფეებს ამ ასიოდე წლის წინად, და მას შემდეგ ეს კემშირტება ძალაშია. მე რომ ის კაცი, ბუნება, თუ ღმერთი შეგირდად მომზაბრონ, რომელმაც ეგზომ ზადიანი ორგანო მიანიჭა ადამიანს, როგორიცაა თვალი, უთუოდ ორს დავსწერდი მას, რადგან არაფერი ისე უმგვანოდ მოწყობილი არ არის ჩვენს აგებულებაში, როგორც თვალი.

არაფერი ისე არ გვატყუებს როგორც თვალი.

უფრო მეტს გეტყვით, საერთოდ მთელი ჩვენი აგებულება უმგვანოდ შეთითნული რამეა. და რაც მთავარია, იგი ცუდი მისილისაგანაა აგებული.

საგნის შეცნობა, სხვა არაფერია, თუ არ მისივე შეძახება და მე ადამიანი შემადგულა ანატომიის და ფიზიოლოგიის შესწავლამ.



ეს რომ მცოდნოდა მე მედიცინას არ შევისწავლიდი.
 — მე არ ნეგონა თქვენ თუ კაცთმოძულე იყავით.
 — ან რა შესაყვარებელია იდამიანი, რომელსაც მირიად ნახელეტები-
 დან ზინთი და თელგამი გამოსდის.

და სულ მკირეოდენი დაშავება და წაბორძიკება კმარა, ეს სისხლით სავესე ტყავის ტოპარა, ჩვენს უბადრუკ სხეულს რომ გარს აკერია ერთბაშად დაირღვას და მთლიად სისხლად და მთლიად თელგამად გადაიქცეს ის რასაც ჩვენ ამაყსა და შეუდარებელ ბუნების მეფეს ვეძახით.

ისეთი მკაცრი გამომეტყველებით ითქვა ეს ყოველივე, რომ მე უნებურად ძირს ჩამოვდგა ტუჩთან მიტანილ ლიქიორით სავესე ჭიქა და არც თურქული ყვისათვის მიხლია ხელი.

იმ ლამესვე გადაწყვიტე ჩემს დღეში არ დაეუმეგობრდე ექიმს.

ან რა საჭიროა უფსკრულებში ხელის ფათფრი და ბნელი მეტაფიზიკით მოიწამლო ის ორიოდე მზიანი დღე, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია ამ გაუხარებელ მიწაზე.

დასასრულ: თქმისაგან იშხამება ნათელი შეგნება.

ხანაც თქმა, მწუხარებას აორკეცებს.

* * *

ამ დღიდან განვიზრახე, რაც შეიძლება ნაღვ გავეცალო ამ გულ გამოქმულ კაცს. ვცდილობ—

იშვიათად ვიარო ექიმის სახლში;

ლილს კანდელის ახლოს ვხვდები, ან ქალაქში სადმე, დადუმებულნი მივეყვებით ჰონტოს მთელეშარე ნაპირებს—ქალაქი რომ დაიღვია და ხელის გულის ოდენა სივრცეზე აკაშკაშდებიან ურიცხვი მოყვითალო ლიფლიფები, როგორც გაღვივებულ სალამანდრების საოცარი საბუდარი, ჩვენ სადმე მიყრუებულ ადგილას ეჯდებით, ლილის კალთაში ედებ თავს და სანეტარო თავდავიწყებას ვეძღვევი მისი ნაზი ამბორით გაბრუებული.

* * *

ლილმა დამარწმუნა, რომ ჩემი არ მისვლა ექიმის სახლში, მის ქმარს უსიამო ეტეებს აღუძრავდა.

ისევ დავიწყე ექიმისას სიარული.

ექიმი შრომას წერს სუბტროპიულ ნალარის შესახებ.

ლამეობით თავაღლებლად მუშაობს, დღისით თავის საკმაოდ დიდს პრაქტიკასაც უძღვება.

ერთ საღამოს თოფი ავიღე და ზღვის ნაპირებს მივეყევი.

გადაფრენა დაწყებული.

რამოდენიმე იხვი მოვკალი.

ზღვიდან გამოტანისას ისევ დავსველდი და გავცივიდი.

მესამე დღეს, ახლა უკვე საგრძნობლად შეშინებულმა, ისევ ექიმ შარუზიას მივმართე.

მან ყურადღებით გამსინჯა.— ხმის ამოუღებლად ხელები დაიმალა, იმ პირსაზოციტ ხელს იმშრალეგს, თანაც მიუბნება:

— იციტ ზემო კარგო, კატარალური ანთება ჯერ არ დაწყებულა. სამაგიეროდ თქვენ სხვა ავადმყოფობა შეგვეყარათ აქ.

მოგესხენებათ, ჩვენ სხეულში ხშირად უჩინარი სენი დაიბუდებს, და ჩვენ მას ყურადღებასაც არ ვაქცევთ ხშირად.

მოუხშირეთ ჩემთან სიარულს და მე თქვენ სულ მალე განგკურნავთ ამ სენისაგან.

იმ დღეს მცირე რამ წამალიც გამომიწერა.

მე ვთხოვე, მაგრამ ექიმმა არ გამიმხილა თუ რა ერგვა ამ უცნაურს ავადმყოფობას.

რამოდენიმე დღეს შინ ვიყავი.

გარედ არ გამოვდიოდი.

ბოლოს ძლიერ მომენატრა ლილის სიახლოვე.

ექიმი შუშაბანდში დამიხვდა.

თავის შრომას სწერდა.

სათვალეები შუბლზე აიკეცა.

თითქოს გულის წადილს მიმიხვდაო, მსახურს ეკითხება:

— ცირა, ლილ სად წავიდა თუ იცი?

— ჭალბატონი და პროვიზორის ცოლი მზის ვანების მისაღებად უნდა წასულიყვნ და არ შემეშინევიო როდის წავიდენ ბატონო. უპასუხა ცირამ.

— წელან თქვენ ამბობდით იხვევის გადაფრენა იწყებაო. მაშ იმედია კიდევ რამოდენიმე კვირას დარჩებით.

— ექიმო; თქვენ სასტიკი დიეტის დაცვა მიზრძანეთ, წამლები გამომიწერეთ და რალა დროს ნადირობაა?

— ახ, ეს არაფერია, თქვენ ორ სამ დღეში მოგარჩენთ სახსებით და მერმე ინადირეთ რამდენიც გუნებოთ.

— მაშინ დაერჩები, რა გაეწყობა, რაკი ამდენი ვიცადე უაზრობაც იქნებოდა, გადაფრენის სეზონის ბოლომდის არ შევიცადო.

ასე ვსაუბრობდით ჩვენ ზღვის კიდეზე მიმავალნი.

ექიმი შარუხია და მე.

გზაში მე გულმოდგინეთ ვათვალეირებდი მზით გამარწყინებულ პლიაზეზე გამოფენილ ჭალ ვაგებს.

შიშველი ადამიანი ძნელი გასარჩევია, მაგრამ მე შორს კარგად ვპვრეტ და ლილს უშქარ ბრბოშიაც ინსტიქტითაც ადვილად გავარჩევდი.

ორიოდე ვერსტი გავიარეთ, ვერსად ვნახე ლილ.

გახშირდა ჩირგვები და კატაბარდები.

ორიოდე წყებამ იხვებისამ ხშულით გადაგვიარეს.

— აა, გადაფრენა მართლაც იწყება.

მეუბნება ექიმი.

ექიმი შარუხია გატაცებული მიამბობდა თავის შრომის დასკვნებზე, ერთ-

ბაშად საუბარი შესწყვიტა, ხშირ ბუჩქნარს ამოეფარა, მკლავში, ხელში წამავლო და ხმადაბლა მეუბნება, აქ მოდიო, ნახეთ, ნახეთ, ახლავე, ახლავე მსგავსებით მე თქვენ.

თანაც ზღვის პირად, სილაზე შიშველ ქალებზე მითითებს.
ვიცანი.

პროფიზორის ცოლი იწვა, ცას შესცქეროდა.

ლილ მთლიად შიშველი იდგა და ზღვას გაჟურებდა, მღელვარე ზღვის. ელვის სისწრაფით შემოევლო მის სხეულს ჩემი ხარბი თვალი.

და ვნახე—ორივე ფერდებიდან, მოხრილი საშუალო თითის სისხოდ ამობურცული ძვლები უჩანდა.

— ხე, ხე, ხე, ახლა ხომ მორჩით, ხომ მორჩით?

ამ წუთში იგი პირწავარდნილი მეფისტოფელი გეგონებოდათ.

რამდენი ირონია, რამდენი ცინიზმი განსახიერდა მის ბანალურ, წითელ ტურჩის კუთხეებში, მის დაკიებულ წვეტიან კბილებსა და ცანცარა, წვეტიან წითურ წვერებს შორის.

ქალაქში მობრუნებამდის ხმა არ ვამიციო ჩემს გვერდით ლანდევით მომავალ ეჭიმისათვის. მისი სახლის ქიშკარს რომ მივუახლოვდით ეჭიმი მომიბრუნდა:

— ახლა ხომ ხედაეთ რა ძნელია რაბიტიკი ცოლის ქმრობა და როგორ გვატყუებს ჩვენ თვალი?

ესა სთქვა და ჩემს უგუნებოდ გაწვდილ ხელს ხელი მოუჭირა და დასძინა:

— „ახლა მშვიდობით ბრძანდებოდეთ.“

P. S.

მე აღარ ვუცადე იხეების გადაფრენის სეზონს. მეორე დღესვე სტამბოლს მიმავალ გემს გავყვევი. ლილს არ გამოეთხოვებივარ, ასე რომ, ეჭიმი შარუხიას მეტს არაეის ვაუგია სოხუმიდან ჩემი უეცარი წასვლის მიზეზი.

რეჟიმის შვილები

(გავრძელება)

* * *

სანამ სენატორი სიტყვინი თბილისში იმყოფებოდა, მის აგარაკზე ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. ზოია ილინიშნა მთელი თავისი არსებით სიამოვნების მორევში ჩასრიალდა. ხორცში დაგროვილი შვება ახალ განცდის წინაშე საზღაპროდ გაიზარდა, გაიშალა. რომ წარმოიდგენდა, თვითონაც უკვირდა, თუ რამდენი ძალა ყოფილა მასში შეგუბული, რომელიც გასაშლელად სათანადო პირობებს უცდიდა თურმე.

— მართალია, ორმოცი წელი ქალისათვის კრიტიკული ხანაა. მაშინ იწყება მისი ერთგვარი დაქანება. ამას როდესაც ამჩნევენ, შიშითა და სევდით შეპყრობილნი, ცდილობენ ცხოვრების კამარაში ერთხელ კიდევ უდარდელად გაინაეარდონ, გაითამაშონ.

ეს მათი ბავშური, უდარდელი ალტყინება მძლავრია, მაგრამ დროულია როგორც ჩამავალი მზის სხივების უკანასკნელი ელვარება. ენია ამ უცნაურ ცხოვრებას დღითი დღე ეჩვეოდა, მაგრამ მას მაინც ნებისყოფა საშვალებას ამლეგდა ამ ალტაცების ბოლო წარმოედგინა. მას გაეგებოდა, რომ ის ამ ქალის მიერ დაჭირავებული იყო მისთვის განცდების მისაცემად, მაგრამ ამას ხომ ბოლო მოეღებოდა!

გამჭრიახმა კაცმა დაიწყო ფიქრი თავის მომავალზე ისეთ დროს, როდესაც ქალი მთლად არ იყო დაკმაყოფილებული. ქალს ახლა ემჩნეოდა გრძნობის უღრმესი გაღესება. ეხლა იყო საჭირო მისი დამორჩილება, დამონება და სწორედ მაშინ შეუდგა ვანია საქმის მოწყობას. მან იცოდა, რომ ის, როგორც უსწავლელი, სამსახურისათვის გამოსადეგი კაცი ვერ იქნებოდა. ეს აზრი გაკვრით ზოიას ამცნო.

ქალს ამაზე ფიქრიც არ სურდა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ვანიას აწუხებდა და ამიტომ მამაკაცის მწუხარება იმ წამსვე გაიზიარა.

— ნუ გეშინია, ჩემო ვანია, მე შენ მოგაწყობ, კარგათ მოგაწყობ, ადგილს ვიშოვი. მართალია, სენატში არ მოხვდები, მაგრამ...— და ქალმა გულიანად გადინარხარა.



ვანია მაშინ ქალს არ აპყვა. ქალი მიხვდა და კილო შესცვალა.

— იფიქრე გენაცვალე, რაც შენ გსურდეს ის მოთხარი და მე გსურს ველობას არ დაგაკლებ. თუ ადგილზე ვერ მოგაწყვე, ყოველ თვეს რაოდენაა მანეთს დაგინიშნავ, სანამ ჩვენ პეტერბურგში ვიქნებით, ბინა აქ გქენება. თვე-ლორე კიდევ შემოსავლიდან ჯიბის ფულს მოგცემს.

ვანიას ეს წინადადება არ მოეწონა.

— მე რომ ვაქრობის დაწყება მინდა?

— შენ და ვაქრობა?!—წამოიძახა ქალმა.

— რატომ არა!

— შეგიძლია?

— კი.

— მაშ ეგ საქმე მოვაწყობ.

— მაგრამ ეს ადვილი როდია.

— ფული უნდა არა?

— დიახ.

— რამდენი?

— ასი თუმანი მაინც.

— ამდენ ფულს ერთბაშად რომ ვერ ვიშოვი?—ჩაფიქრდა ქალი.

— ფული თქვენთვის ადვილი საშოვარია, თქვენ უველა გიცნობსთ... გასესხებენ.

— ენახოთ... ენახოთ... მაგრამ შენისთანა ლამაზი, კეკლუცი ვაჭარი... ქალმა რომ წამართვან შენი თავი?

— ამის ნუ გეშინიათ.

— ვეცდები... ეგებ სადმე სესხი ავიღო...

ამის შემდეგ, ზოიას ცოტა მოუსვენრობა დაეტყო, არ იცოდა ფული სად ეშოვა და ამის გამო მოწყენილი, დაღვრეპილი იყო, მაგრამ ვანიასთან ამას არ იმჩნევდა. სწორედ ამ დროს თფილისიდან ქმარი ჩამოუვიდა, რომელმაც აუარებელი საჩუქრები ჩამოუტანა. ყოველ ქალს საჩუქარი ხიბლავს. ზოია ქმარს კისერზე შემოეკრა და დიდხანს კოცნიდა.

ამიერიდან ქალი ცოტა დამშვიდდა, მაგრამ ვანიას მოთხოვნილება ხშირად გაახსენდებოდა და გულზე დარდი მოაწვებოდა. ქალმა ვანია დროებით დაიასხოვა, უნდოდა ცოტა ხნის შემდეგ მისთვის სასყიდელი მიეცა და გაესტუმრებია, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა.

ვანია მარტო მამაკაცი არ აღმოჩნდა. ამ გლეხის შვილმა ქალს ათასჯერ დაუმტკიცა, რომ ის უსწაეღელი, მაგრამ თავაზიანი, ზრდილი ადამიანიც იყო. ეს გრძნობა ქალს გულში ლურსმანივით მოხვდა და ღრმად შეესო. ამიტომ მოისურვა ეს კაცია გზაზე დაეყენებია, დახმარებოდა.

ბევრი იფიქრა, ჩამოთვალა ბევრი ნაცნობების სახელი და გვარი, მაგრამ ასეთი არავინ სჩანდა, რომელსაც ასი თუმნის გასესხება შესძლებოდა. პეტერბურგში ეს ადვილი იქნებოდა, მაგრამ აქ, აგარაკზე, უცნობ ქალაქში თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ, ზოიამ გადაწყვიტა ერთი

მდიდარი ბერძნის ნაცნობობით ესარგებლა. ზღაპრული და შესრულებასაც შეუდგა, ერთ დღეს მას შინ ესტუმრა.

— რისთვის გასჯილხართ, ქალბატონო? — საქმიანი კილოთი ჰკითხა ვაქარმა.

— მცირე საქმისათვის — უბასუხა ქალმა და სირცხვილის გამო, ლოყებზე ცეცხლი მოედო.

— შინც?

— ფული მჭირდება, პეტერბურგში ადვილით მოვახერხებდი. იქ ბევრი ნაცნობები მყავს... აქ კი ისეთი არაფერი მეგულება.

— დიდი თანხა გნებათ?

— ასი თუმანი — მიუგო ქალმა.

— ოჰო, ოჰო! — წამოიძახა ვაქარმა.

— გეძნებათ?

— რასაკვირველია. ბატონო, თქვენი ქმარი ავად ხომ არ ბრძანდება?

— არა.

— მაშ აძენი ფული...

— მე თქვენ მხოლოდ ფული ვთხოვეთ, თუ შეგიძლიათ, ორ-სამ თვეში სარგებლით და მადლობით დაგიბრუნებთ. — ვაქარი ცოტა შეეყოყმანდა:

— მაშ როგორც ვხედავ ვე ფული ოჯახის საჭიროებისთვის არ არის..

— დიახ, ეს ფული პირადად მე შესაჭიროება. ნათესავს უნდა გადაუღზავნო და არ შინდა ამ საიდუმლოებაში ჯერ-ჯერობით ჩემი ქმარი გაურჩო... ეხლა თქვენ ალბათ კმაყოფილი ხართ? ცოტა ირონიულად ჰკითხა ქალმა.

— სრულიად — მიუგო ვაქარმა უგულო ღიმილით.

„ეს ქალი დიდკაცის ცოლია, დამჭირდება და გამომადგება“ — გაიფიქრა და ქალს უთხრა: დიდის სიამოვნებით, ქალბატონო, მაგრამ თამასუქზე ხელი უნდა მომიწეროთ.

ამის გავონებაზე ქალი შეკრთა. მას თამასუქის შიში ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიაც იმყოფებოდა, თავის დაღწევა შეუძლებელი ხდებოდა.

— რა გაეწყობა! — სთქვა ქალმა.

— თქვენ რამ შეგაშინათ?

— არაფერი... ვეჭვილზე ხელის მოწერის ჩვეული არა ვარ...

— რა ვქნათ, ქალბატონო, უთამასუქათ ფულის გაცემა ჩვენ არ შეგვიძლია, ვაჭრებს ასეთი წესი გვაქვს.

— რა გაეწყობა.. აგრე იყოს.

ვაქარმა უბის წიგნი ამოიღო, რამდენიმე ახალი თამასუქიდან ერთი გადაარჩია და ქალს წინ გადაუშალა. ზოიამ ხელი მოაწერა. ბერძენმა საღიარო გაალო და ქალს ასი თუმანი დაუთვალა.

იმედია, ამის შესახებ ქმარს არაფერს ეტყვი. ეს ფული მე მჭირდება პირადი საქმისათვის.



— აბა როგორ გეკადრებათ! ეგ რა ჩემი საქმეა... მაგრამ ერთის შთხოვ-
ნელი კი ვარ, ფული, რაც შეიძლება მალე დამიბრუნეთ... ^{ქარი წინ უწევს}

— მთელი არსებით შევეცდები დაპირების შესრულებას... ^{მეცადინეობს} ჩემ ქაიოს დიდი
ჯამაგირი აქვს... მალე მოვახერხებ, სულ მალე...

— წინდაწინვე მადლობას გიცხადებთ.— უთხრა ვაქარმა.

ქილი წამოდგა. ვაქარმა მას ხელზე აკოცა და კარამღე მიაცილა.

— კახეები არიან და მეტი არაფერი! დაძრწიან და ხალხს აწუხებენ...—
უსიამოვნოთ ჩაილაპარაკა ვაქარმა, როცა გამობრუნდა.

ციხიდან განთავისუფლებულივით გამოვიდა ზოია ოთახიდან. ხელოვნური
ღმილი, რომელიც ვაქართან ჰქონდა, უცბათ შეაშრა.

„ვაქარი კი არა, ჩაოჩია... სანამ ფულს მივსცემდე, სულს [ამოვადრობ
ამ ქოფაკს!“ უსიამოვნებით გაიფიქრა ზოიამ. ეტლი უყდიდა. ჰაერი უხვად
ჩაისუნთქა, ერთხელ ცას შეხედა და მეეტლეს უბრძანა სახლში წაიყვანა.

სალამოს ზოიამ ვანია ნახა. დიდხანს ესაუბრა, მაგრამ ფულის შესახებ
არაფერი უთქვამს. ქალს უნდოდა თვით ვანიასაგან გაეგონა აზრი, მაგრამ ის
არაფერს ეუბნებოდა. მაშინ ფული ამოიღო, ვანიას აჩვენა და ამ ფულის
შეძენის ამბავი მოუყვა.

რამდენიმე კვირის შემდეგ პეტრე სიტკინი პეტერბურგში გაიწვიეს. ის
მაინც ემზადებოდა წასასვლელად, ამ ცნობამ კი დააჩქარა. ზოია ამის გაგო-
ნებაზე შეწუხდა... გაფითრდა. ვანიას მოშორება ქალს გულს უკლავდა. აუცი-
ლებლობა ბატონობდა.

— გაის ხომ ჩამოხვალ?— შეეკითხა ვანია, როდესაც წასვლის ამბავი გაიგო.

— გაისს უტკეულად... მაგრამ მანამდის უშენოდ რა ვქნა? ვეცდები ვა-
ხაუხულზედაც ჩამოვიდე...

ორივენი ერთმანეთს ანუგეშებდნენ, მაგრამ გულში ორთავეს მძლავრი
მწუხარება მოსწოლოდათ და ძლივს უმკლავდებოდნენ.

ტრფობა-განოთხოვებაში, ერთი კვირა გაატარეს, ბოლოს განორების
დროც დადგა. მწარე წუთებმა თავისი გაიტანეს, ქალს მთელი ტანი უცახცახებ-
და, გული ეკუმშებოდა, მძიმეთ სუნთქავდა. დიდხანს, სულ დიდხანს იყვნ
ორივენი ხელგადახვეულნი, უხმოდ, უმოდრაოდ...

ბოლოს მაინც ვანიამ დასძლია მწარე განცდები...

— მშვიდობით, ჩემო ზოია— მიმართა მან ქალს, ხელზე დაუწყო კოცნა.
ქალი სტიროდა. მაგრამ მძიმე წუთები უნდა დაეძლიათ. ზოია დაღონებული გა-
მობრუნდა. გულმოკლული, წელმოწყვეტილი, ვანია დიდ ხანს იდგა ქანდაკივით
ფანჯარასთან, შემდეგ აუცილებლობას შეურიგდა და მომავალზე დაიწყო ფიქრი.

რამდენიმე თვის შემდეგ ვანია საქონლით სავსე დუქანში ვაჭრობდა...
დამხმარეთ ანგარიშის მცოდნე პირი დაიჭირავა.

ვანია გარეგნულადაც გამოიკვალა: ჩოხა გაიხადა და ევროპული ტანსაც-
მელის ტარება დაიწყო. ახლა მას ქალაქში იცნობდნენ, როგორც ჰკვიან და
საქმის მოყვარულ ვაჭარს. თვედორე ხშირად ნახულობდა ვანიას. ზოია ილი-
ნიშნას შესახებ ცნობებს აწვდიდა. შემდეგ პეტერბურგიდან ცნობები შეწყდა.
ეს გარემოება ორივეს აწუხებდა.

ერთ დღეს, როდესაც ის დუქნიდან გამოვიდა და ჩვეულებრივად ბჭე წინ ჩამოვდა, შორიდან მომავალი თვედორე დაინახა.

„ეგებ რამე ცნობა მოაქვს“ გაიფიქრა ვანიამ და რალატიონის სიამაყენება იგრძნო.

— ახალი ხომ არ მოგვლია რამე?— იკითხა შეწუხებული კილოთი, როდესაც თვედორე მოუახლოვდა.

— არაფერი... მიუგო თვედორემ, მაგრამ მეზალეს დაღვრემილი სახე ჰქონდა.

— მაინც?— შეეკითხა გაფითრებული ვანია.

— არაფერი... წერილი მივიღე დღეს.

— საიდან?

— პეტერბურგიდან.

— რას იწერება?

— კარგს არაფერს!

— მაინც?

— ცოლქმარი მწერენ მეტად შეზარებული კილოთი, რომ ისინი იძულებული არიან სოხუმში თავიანთი ავარაკი გაყიდონ...

— თვედორე!— შესძახა გაფითრებულმა ვანიამ.— ეგ რა გავიგონე? რისთვის? ისეთი რა გაუჭირდათ, რომ ძვირფას ქონებას ეგრე ადვილათ ელევინა?..

— მოდი და გაუგე... რამდენიმე ბატონი გამოვიცვალე ამ მამულში და ხეირიანი არც ერთი გამოჩნდა... ცხოვრობენ, ფულს ფლანგავენ და შემდეგ გაჭრებიან... ასეთი ქკუს ხალხისათვის ღმერთს სამსახური რომ არ ვაჩინა, ყველა სიმშლით ამოწყდებოდა... როგორ დავიჯერებდი, რომ მოხუცი სიტკინი ამ გვარ საქმეს ჩაიდენდა!

— გამაგებიე, რა მოსვლია?

— დაწერილებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ როგორც ზომა ილინიშნა აწერება, თითქოს ურალის მადნის დასამუშავებლად ერთი დიდი კომპანია შემდგარა. ამაში პეტრე სიტკინსაც ჰქონია წილი.

თავდაპირველად საქმე თურმე კარგათ მიდიოდა, ბოლოს კი ერთ წევრს საგრძნობი თანხა გაუტანია იაპონიაში, ამან კომპანიის საქმე იმდენად შეანძრია, რომ წევრები დაფრთხენ, დაიბნენ. დაიწყო საქმის ლიკვიდაცია. ჩვენს სენატორს მოგების ნაცვლად აუბარებელი ვალი დარჩა. ამას პირადი ვალებიც დაერთო თურმე. მაღალ მონღლეს ალბათ განმარების შეეშინდა და ვალის დასაფარავად ეს ავარაკი გაუყიდა. გუშინ ორი უცნობი კაცი ჩამოვიდა რუსეთიდან სათანადო საბუთებით აღჭურვილი. ერთი ქონებას იბარებს და მეორე აბარებს. ზოგი იგეგმულობა ქალბატონს პეტერბურგში დაუბარებია...

— უუდი საქმე მოსვლიათ... სიტკინი ჰკოიანი კაცი მეგონა.— სიტყვა ვანიამ.

— ასეთ საქმეში არ უნდა გაება, თორემ შემდეგ სინანული გვიანდაა. მე მიკვირს, რომ სიტკინს დიდი ჯამაგირა ჰქონდა, შეილები არა ჰყავდათ და სიმდიდრე რათ უნდოდათ?



— მიკერს—სთქვა ვანიამ და თვედორე ახლო საყავეში მიიწვია. დიდხანს ისაუბრეს. ორივე დაღონებული იყო. ზოთა ილტვიწვევასკეთ ნეცარ მოშორებას ვერ ურიგდებოდნენ. საუბარი მისი პიროვნებების ტრიალებდა. თითქოს ამით უნდოდით ნუგეშის მიღება.

ასეთია ადამიანის ხასიათი, როცა მას საყვარელი ირსება უკარგება. თვედორემ წასვლა რომ დააპირა, ვანიამ თხოვა, რომ მამულის გადაბარების დროს ერთხელ მაინც დასწრებოდა.

— დიდის სიამოვნებით—უპასუხა თვედორემ.—აი თუ გნებავთ ხვალ ამოდით. ქონების აღრიცხვა ცხრა საათზე დაიწყება.

— უხერხული ხომ არ იქნება ჩემი დასწრება?—იკითხა ვანიამ.

— სრულებით არა; ვინ იცის შენ ვინა ხარ.

— მაშ კარგი, ხვალ ცხრა საათზე შენთან მოვალ.

— გიცდი.

ვანია ამის გაგონებაზე მეტად ცუდ გუნებაზე დადგა. მას ფიქრით და ნაღვლით მთელი ღამე არ უძინია. მართალია, ეხლა დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ ზოთას მოშორება მისთვის ძნელი იყო. მან წარმოიდგინა ის სიკეთე, რომელიც მას ზოთას ცდითა და სურვლით ჰქონდა, და დალონდა.

„კიდევ ბევრ დახმარებას, აღმომიჩინდა... რჩევა-დარიგებას მომცემდა“ ფიქრობდა ვანია. მეორე დღეს დილა ადრიან თვედორესთან წავიდა. სწორედ ამ დროს თვედორე სიტკინის ბინაზე მიდიოდა. ორივე უცნობი მას აივანზე უცდიდა... მუშაობა დაიწყეს. ცოტა ხანს დარჩა ვანია. ნაცნობ ადგილების, სურათების, ავეჯების ყურებას ვერ გაუძლო, ძვირფას და საყვარელ ადგილს მალე მოშორდა.



ვანია მეტად დაკვირვებული და წინდახედული ვაჭარი აღმოჩნდა. მისი საქმე თანდათან იზრდებოდა. დუქანში ეხლა სანდო კაცი ჩააყენა. თვითონ იჯარის საქმეს მოჰკიდა ხელი და დიდ ფულსაც იგებდა.

ერთხელ სოფლიდან ბიძა ჩამოუვიდა, მისი მდგომარეობა რომ ნახა, ნასიამოვნები დარჩა.

— ყველაფერად მოწყობილხარ ჩემო შვილო, მაგრამ ცოლი რომ არ გყავს, ეს არ ვარგა—უთხრა ბიძიამ.

— ცოლს ყოველთვის მივისწრება კაცი—ხუმრობით შენიშნა ვანიამ.

— არა ხარ მართალი. ვისაც შეძლება აქვს, ოჯახს ადრე უნდა მოჰკიდოს ხელი, დაიგვიანებ ბოლოს ინანებ.

— მართალი ხარ, ჩემო ბიძა, მაგრამ მომიხანებ ისეთი ქალი, რომელიც ამხანაგობას გამიწვევდეს, და დიდის სიამოვნებით...

— შეიძლება, რატომ არა...

ბიძას ეგ საუბარი გულში ღრმად ჩარჩა. სოფელში ჩავიდა თუ არა, რამდენიმე ოჯახი ჩათვალაიერა, და ბოლოს ერთი ოჯახი ამოარჩია. ეს იყო გამრჯე და ჯანმრთელი ოჯახი.

როდესაც ეს საიდუმლოება ქალის მშობლებს გადასცა, ეს მათ სასიხარულოთ დაურჩათ, მას შემდეგ, რაც მოლაბარაკება საბოლოოდ დასრულდა, ეს ამბავი ბიძამ ვანიას დაწვრილებით აცნობა.

მართლაც, ერთი თვის შემდეგ ვანია ჩამოვიდა და ახალგაზრდა ნატალია ინახულა. ვაიმართა სტუმრობა. ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცენეს, დაუბლოდნენ. ნატალიამ ვახშიმი გამართა. იმ ღამეს ვანიამ ასული დანიშნა.

ვანიას ოქროულობა ბლომიდ წამოყვანა: ოქროს ძეწვეკიანი საათი, ბეჭდები, სამაჯური, საყურეები.

ნატალიას ბედს ეხლა ბევრი შენატროდა. სოფელში ვანია ერთი კერა დარჩა; ქორწილის დღე დანიშნეს და სოხუმს გამობრუნდა.

იქ მას ბევრი საქმე უცდიდა. ფული დაგროვდა, საქონელი შემოღებოდა. ოდესაში გადასწვებდა წასვლა. იქ ერთი თვე დარჩა და ბევრი საქონელი შეიძინა. რამოდენიმე დიდ მალაზიის წარმომადგენელს გაეცნო, რომელნიც საქონელს ნისიათ დაპირდნენ.

როდესაც შორეულ ქალაქიდან მოტანილი ნივთები მალაზიაში დააწყო აუარებელი მყიდველი დაეტანა.

ახლა მას ქალაქში ყველა იცნობდა: ოჯახი მშვენიერათ მორთო. შობის დღესასწაულზე სოფელში ჩავიდა. საცოლუე გამოაწყო. მზითვეზე უარი განაცხადა. თუმცა ზამთრის დრო იყო, მაგრამ ქორწინების დღე კარგი შეხვდათ. ნატალია სახლიდან სიმღერით გამოიყვანეს.

იმ საღამოს მშვენიერი სანახავე იყო.

შავგვრემანი, თვალ-წარბ ღამაზი გოგო, დაბალი, თითქოს ორივე ხელით აყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ცქრილა, კობტა.

თეთრმა ტანისამოსმა შავგვრემანი ასული შექმფრქვეველი გახადა, სოფელში რომ იტყვიან, გულში ჩასახუტებელი გოგოაო, სწორედ ასეთი იყო.

— ქალი კი არა, ვერცხლის წყალია! — ამბობდნენ მეგობრები.

ეკლესია ხალხით იყო გაჭედილი. ჯვრის წერის გათავების შემდეგ მაყრებმა ბევრი ვაზნა დასწვეს. სახლი რომ არ ჰყოფნოდათ, აივანთან გრძელი ფანჯარული მიეკეთებიათ. გათენებამდე ღვინო უანწებით გადადიოდა. სტუმრობამ ორი დღე გასტანა. შესამეზე გვარდაწვრილები სოხუმს გაემგზავრნენ.

იქ ვანიას ბევრი ნაცნობები ჰყავდა, ერთი კვირა იქაც მოღებნა იყო. ამას შემდეგ ოჯახი ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა. ნატალია მშვენიერი დიასახლისი გამოდგა. დილიდან საღამომდე კერავდა, რეცხავდა, აუთოვებდა.

ერთი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ვანიას ჩარგვალეზულ-ჩაფუნთოშეზებული ვაგი შეეძინა. მშობლების სიხარული უსაზღვრო იყო. იმ დღიდან ვანია ერთიანად შეიცვალა. შინ ადრე მოდიოდა, ბავშს უვლიდა, ეთამაშებოდა. პატარა პირშვოს მეტ სახელად ბათუ დაარქვეს.

ოთხ წლამდე ბათუ კარგად იზრდებოდა, მაგრამ შემდეგ ფიზიკური და სულიერი სისუსტე დაეტყო.

ვანია შეწუხდა. დრო გადიოდა. მეტი შვილი არ უჩნდებოდა. რაც ჰყავდა, ისიც დიდ იმედებს არ იძლეოდა.

* * *

ერთ დღეს ვანიას, სადილათ ნაცნობი ვაჭარი ეწვია. ნატალიამ მას ჩანჩქული სადილი გაუმართა. საუბრის დროს ვაჭარმა ვანიას თითქოს ზეპირადაც სთქარა.

— ვანია, შენ ეხლა ფულიანი კაცი ხარ, მაგრამ ხომ იცი სახელმწიფოში ვარდა ფულისა ფულეება საჭირო; უამისოდ შენისთანა კაცი შებოკილია. მართალია, შენ როგორც ვაჭარს გიცნობენ და პატივსაც გცემენ, მაგრამ თუ მოსურვებ აზნაურობასაც იშოვი,

— როგორ, კაცი?— იკითხა ვანიამ.

— სულ ადვილათ და იაფად— მიუგო ნაცნობმა.

— მაინც?

— ქუთაისში ახლა ერთი მგვრელი აშორდია ცხოვრობს. ეს კაცი მეტად საინტერესო პიროვნებაა. მან დავით დადიანის ხელისმოწერა შეითვისა და ისე დახელოვნებულად აწერს ხელს, რომ ექსპერტებიც ვერ გაარჩევენ დადიანისა და აშორდიას ხელის მოწერას. შენ ალბად გეცოდინება, რომ ჭეროლდიამ იმერეთის თავად-აზნაურების საბუთები მოითხოვა. იგი სრულიად ბუნებრივად, ბევრს არ აღმოაჩნდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა აშორდია. ბევრს აზნაურს საბუთი აღუდგინა, და ბოლოს თვითონაც მიჰყო ხელი აზნაურობის ვაცემას. ეხლა იქ საატუმროში შეფურად ცხოვრობს, და ას თუმნად აზნაურობას ხელში ჩაგაბარებს.

— კი, მაგრამ ეს ამბავი მთავრობამ რომ გაიგოს?

— არა, მას ყველა მფარველობს; ეჭიმი, ვეჭილი, პოლკოვნიკი— ყველა მის კარებთან დგას და ეხვეწება.

— სწორედ რომ კარგი ამბავი გაეიგე მე და ჩემმა ღმერთმა— სიამოვნებით წაშოიძახა ვანიამ.

— აზნაურობა რათ გვინდა— ჩაერია ნატალია.

— ეგრე ხუ იტყვი, გეთაყვა... თქვენ ქალი ბრძანდებით... ოჯახში გინდებათ ტრიალი, ამისთვის აზნაურობის საჭიროებას ვერ ამჩნევთ. აბა, ჰკითხეთ ვანიას თუ მე ვცდები...

— აბა როგორ გეკადრებათ... სრულ სიმართლეს ბრძანებთ— დაუმოწმა ვანიამ.

— ეხლა, ამ რეჟიმში აზნაურობა ჩინია! აზნაურებს თავიანთი წინამძღოლი ჰყავთ, რომელიც მეფეს უშუალოდ წერილებს სწერს. აზნაურებს ყველგან უპირატესობა აქვთ...

— რასაკვირველია— დაუმატა ვანიამ.

— აზნაურობა აუცილებლათ უნდა შეიძინო, ჩემო კარგო. საქმეს ახლავე უნდა დაწყება, თუ დაგაგვიანდა არ ვარგა... შემდეგ საქმე გააძეულდება და ძვირითაღ დაჯდება.

— აუცილებლად ჩავალ ქუთაისში...

— ფულიც წაიღე— ურჩია სტუმარმა.

— წავიღებ— სთქვა ვანიამ. ამ საუბარმა ვანიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას შემდეგ ვანია დღე და ღამე სულ აზნაურობაზე ოცნებობდა,

საზოგადოთ, როცა ვანია რაიმეს ვაკეთებდა, განიზრახავდა, სანამ საქმეს არ დაიბოლოვებდა, არ დაცხრებოდა.

— ქუთაისში უნდა წავიდე—სთქვა ერთხელ ვანიამ.

— გენაცვალე, ამ საქმეს დაეხსენი, საქმელი გვაქვს და სასმელი—შეეხევა ნატალია.

— არა გეთაყვა, აზნაურობა საქიროა, ეს ჩვენს საქმეს წინ წასწევს, ხალხში ვაგვიყვანს.

ნატალია ვანიას ხასიათს იცნობდა და ამისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

რამდენიმე დღის შემდეგ, ვანია ქუთაისში გაჩნდა. სანამ აშორდიას ნახავდა, ქალაქში გაისეირნა. ნაცნობები ბევრი ჰყავდა. ვანია რომ დაინახეს, ზოგი მაყდურად იღიმებოდა და ვანიას ეკითხებოდა:

— რა ამბავია კაცო, აზნაურობის საძებრათ ხომ არ ჩამოსულხარ?

ვანია თავს ხუმრობით იცავდა.

ერთ დღეში მან საქმის ვითარება დაწვრილებით გაიგო. შენდევ თვით წირქიას სასტუმროში გაემართა. იმ ხანაში, ამ სასტუმროს, მთელ დასავლეთ საქართველოში სახელი ჰქონდა გავარდნილი. აქ თავს იყრიდნენ ყველა ყოფილი და მაძიებელი აზნაურები. აქ ცხოვრობდა ახალი მთავარი ოდიშისა, დიდი ხნით გარდაცვალებულ დავით დადიანის განსახება—აშორდია. ვანიამ სასტუმროში მორიდებით შეალო კარები და წირქია იკითხა. მალე დაბალი და სქელი კაცი გამოეგება.

— თქვენ წირქია ბრძანდებით?

— დიახ!

— მაშ შეიძლება თუ არა თქვენთან მოლაპარაკება?

— ახლავე—მიუგო წირქიამ, რომელიც იმ წამსვე მიხედა, რისთვის იყო მოსული სტუმარი და ერთ პატარა, ნახევრად ბნელ ოთახში შეიყვანა.

— თქვენ ალბათ აზნაურობის მაძიებელი ბრძანდებით?—იკითხა წირქიამ.

— დიახ, ბატონო!

— ადვილი საქმეა, მაგრამ ცოტა ხანს დაცდა დაგჭირდებით. ბევრი ხალხი გვასწვია, მოსვენება არა გვაქვს.

ვანიას არ ესიაშოვნა.

— არაფერია, დაჩქარებასაც შეეძლებით... ეს ყველაფერი აი ამბზეა დამოკიდებული,—სთქვა წირქიამ და დიდი თფთი საჩვენებელსა და შუა თითზე დაუსვა.

— ეს ცხადია, თქვენ საქმე გამიკეთეთ და ფულის გადამხდელი ვარ... მაინც რა დაჯდება?

— თქვენთვის სამოცდაათი თუმანი.

— ძვირი ყოფილა, მაგრამ რა გაეწყობა, ფულს როცა მეტყვით მოგართმევთ, ოღონდ ცდა არ დააკლოთ.

— თქვენ რა გვიარი ბრძანდებით?

— ჩიქიაა.



— ეს კიდევ რა გვარია, კაცო? ასეთი კაცის გაახანაურება, ვეფხვეფხვის—სიცილით შენიშნა წირქიამ.—ამ ზღმრობის გამო ცოტა მოფხვეფხვი უფრო კაშორდიასთან წაიღო. ცოტა ხნის შემდეგ ვანიას აცნობა, რომ აშორდიას მასთან მოლაპარაკება სურდა.

დიდი ოთახის კარები გაიღო და ვანია შევიდა. აშორდიას ფართო სინათლიანი ოთახი ეკირა. ერთ კუთხეში წითელ სუფრიანი მრგვალი მაგიდა იდგა. გარშემო იმავე ფერის სავარძლები ეწყო.

სუფთად მოწყობილ ლოგინის ზევით „ნივას“ დამატებიდან სურათი ეკრდა, მგონია კლევერისა—„ზამთრის საღამო პეტერბურგში“.

როცა ვანია შევედა, აშორდია ფანჯარასთან იდგა ჩაფიქრებული. ვანია დაინახა თუ არა, მარდათ მობრუნდა და სტუმარს ღიმილით შეეგება. აშორდიას საშუალო ტანი ჰქონდა, პირისახე ხმელი; ცეცხლის მფრვეელი თვალები გველის ენასავით სისინებდნენ. ახალუხზე ჩოხა ჰქონდა წამოხურული. სავარძელზე მძიმედ ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და ვანიას შეაჩერდა.

— რა გვარი ბრძანდებით?—იკითხა აშორდიამ.

— ჩიქაია გახლავართ.

— სადაური? რომელი მაზრის?

ვანიამ დაასაბელა.

— შენ რაიონში რა გვარი აზნაურები სახლობენ?

ვანიამ ჩამოთვალა.

აშორდია ჩაფიქრდა და მთელი საპი წამი იყო გაჩუმებული.

— რა იტენება, რომ თქვენი გვარი ჩიქოვანიდ გადავაკეთოთ?

— კი, მაგრამ, ჩიქაიები უკანასკნელი გლეხები არ იყვნენ.

— ამას თავი დაანებე, ჩემო კეთილო. გლეხი გლეხია, მოჭრილად რომ ვთქვათ.

— ესეც მართალია, მაგრამ მე მინდა, რომ აზნაურობა ჩემ გვარზე შეადგინოთ...

— კარგი. თქვენს მოგვარებებში აზნაურობის მსურველი კიდევ ხომ არ მოიძებნება?

— რა ვითხრათ, მე თვითონ სოხუმში ვვაქრობ... ესლა ვერაფერს მოგახსენებთ...

— ეს მიტომ ვითხარით, რომ მთელი გვარისათვის საბუთის შედგენა ადვილია. თქვენს გვარში მღვდელი ხომ არაყინ ყოფილა ოდესმე?

— არა ბატონო!

— თქვენთან ახლო რომელიმე მონასტერი ან ძველი ეკლესია ხომ არ იმყოფება?

— კი, არის ბატონო,—მიუყო ვანიამ.

ამის ვაგონებაზე აშორდიას სახე გაუბრწყინდა.

— მაშ შენს საბუთს ამ რიგათ შევადგენ: თითქოს შენს ბაუბას დავა ჰქონოდეს ეკლესიასთან, ან მონასტერთან მაშულის შესახებ; რომ ეს ამბავი შთავარს გაეგოს და ის თავის მოურავს სწერდეს „ჩემი ერთგული აზნაურის ჩიქაიასა და მონასტრის დავა გამოიკვლიე, გაიციანი და სიმართლე მომიხსენიე“.



ერეკლე

— ხომ მოგწონს ასეთი შინაარსის საბუთი?
 — კარგი იქნება, ბატონო! — მოუწონა ვანია.
 — მაშ კარგი — შენ ეხლა წირქიას მოელაპარაკე და შეიხაუნეს სწორად მო-
 კლე დროში გამოვიწყობ — უთხრა აშორდიამ.
 — მაღლობელი ვიქნები — მიუგო ვანიამ, გამოემწვიდობა და წირქიას
 სანახავად წავიდა.

წირქია ამ დროს ახალ სტუმარს ევაქრებოდა. დაუცადა. ოთახში მარ-
 ტოდ დარჩენილმა აშორდიამ ერთი მოწყენილად დაამთქნარა, შემდეგ კალამი
 აიღო და დააწერა: „დავით დადიანი. სამეგრელოს მთავარი.“ გაიცინა და კა-
 ლამი ხელიდან გაავლო.

აშორდია ბავშობიდან იჩენდა ნიქს.

მას ისეთი ხელი ჰქონდა, რომ ყველა განცვიფრებაში მოყავდა. ერთხელ
 ხაზინიდან მოხერხებული ხელს მოწერით, ხუთი ათასი მანეთი გამოიტანა.

პროკურორის ხელის მოწერაც ზედმიწევნით გადაიღო. ციხას უფრო-
 სმა ქალაქის სიყალბე ვერ შეამჩნია და პატიმარი გაანათავისუფლა. როდესაც
 ეს ამბავი პროკურორმა გაიგო, ბრძანების ქალაქი მოითხოვა და, რა დაინახა
 თავისი ხელის მოწერა, თვალს არ დაუჯერა, რომ ის ყალბი იყო.

ერთ ქალზე შური ამნაირად იძია:

ქალმა აშორდია დაიხალოვა, შემდეგ გადაიფიქრა და მას ჩამოშორდა.
 აშორდიამ გაიგო, ვინ იყო ამ საქმეში მისი მეტოქე, ხელში მისი წერილი
 ჩაიგდო და თვალის ერთი გადაკვრით უცნობის ხელი შეითვისა. იმ წამსვე ქალს
 წერილი მისწერა და საბავშვო ადგილი დაუნიშნა. ქალი წერილს ენდო და,
 როდესაც დანიშნულ ადგილას მივიდა, აშორდია დახვდა.

ბევრი სხვა უცნაური თქმულება იყო აშორდიას შესახებ გავრცელებული.
 ხშირად ჩავარდნილა აშორდია მთავრობის ბასრ კლანკებში, მაგრამ ხუნდიდან
 ყოველთვის უჩნებლად გამოსულა. მას საზოგადოების ყველა წრეში ჰყავდა დამ-
 ხმარე, გაკვირების დროს ხელის გამწოდებელი.

როგორც იქნა წირქიამ სტუმართან საუბარი გაათავა. ახლა ვანია უნდა
 მიეღო, და რადგანაც მას ფული უნდა მიეცა, წირქიამ იქვე ბნელ ოთახში წაი-
 ყვანა. იქ მას ვანიამ ორმოცდაათი თუმანი დაუთავა.

— საქმე ერთ კვირაში მოთავდება, თქვენ აქ ნუ დაიკდით. ჩანოღით და
 საბუთს დაგახვედრებთ — უთხრა წირქიამ, როდესაც ფული ჯიბეში ჩაიღო.

მართალია... სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც მიჩნით. ერთი კვირა
 აქ უსაქმოდ რა გამაჩერებს?

— იი, სწორედ იმიტომ მოგახსენეთ — შენიშნა წირქიამ.

* * *

იმავე საღამოს ვანია სობუმს გაემგზავრა. ოჯახი მზიარულად დაუბედა.
 ნატალიას თავგადასავალი უამბო. ქალს არ მოსწონდა ვანიას მიერ დაწყებული
 საქმე, მაგრამ გადადგმული ნაბიჯები მაინც მოუწონა.

ერთი კვირის შემდეგ ქუთაისს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ვინაიდან

აქეთ საბუთების ასლი ჰქონდა წამოსაღები, განიზრახა სენაკში ჩასვლა და ხონის გზით გამგზავრება.

მაშინ ხშირად დადიოდნენ სენაკიდან ქუთაისამდე ცხენით. ვანია სენაკში ერთ ნაცნობს ეწვია. კარგი თოხარიტი დაიქირავა და გზას გაუდგა. ღამე ხონში გაატარა და მეორე დღეს ქუთაისში გაიწადა.

წირქიამ ვანია დაინახა თუ არა, მხიარულად მიიძახა:

— ახნაურობა მომილოცავს, ჩემო ძნაო!

— მადლობელი ვარ.— მიუგო ვანიამ.

— კარგი საბუთი გამოვიდა, იშვიათი ქალაღი! მაგრამ დაეკვლით, ჯერ ჩაის წყალში ეხარშეთ და შემდეგ მიწაზე ვაჩოჩეთ, ასე იტყვი, დავით დადიანის დროის ქალაღიაო.

— ხელი მოაწერა?— იკითხა ვანიამ.

— ანტიკა! განსვენებული დავით დადიანი რომ წამოდგეს, ხელს უკეთესად ვერ მოაწერს. ჯერ ხელი მოაწერა და შემდეგ თვით აშორდიასაც გაუკვირდა, როცა დახედა, — ამ ჩიქაიას ზედი ჰქონიაო, — სთქვა მან.

ანის ვაგონება ვანიას ესიამოვნა. აქედან ის დავით დადიანის მოადგილესთან შევიდა.

— გაუმარჯოს ახნაურ ივანე ზაალისძე ჩიქაიას, მისი უდიდებულესობის ტახტის ერთგულ მსახურს „სტოლბოგოი“ ახნაურს! — მიეგება აშორდია.

— /გმადლობთ... გმადლობთ — სთქვა ვანიამ.

აშორდიამ განჯინა გამოსწია, ქალაღი ამოიღო და კითხვა დაუწყო.

საბუთი მოურავის სახელზე იყო მიმართული: დადიანის ყურამდე მისულიყო ცნობა, ვითომ ვანია ჩიქაიას ბაბუა მონასტერს მამულს ედავებოდა.

დადიანს სურდა ამ საჭმის შესახებ სინამდვილის გაგება. ამიტომ თავის მოურავს სწერდა: „გიბრძანებთ, რათა ჩვენი ერთგული ახნაურის მურზაყან ჩიქაიასა და მონასტრის შორის ამტყდარი დავის მიზეზი საფუძვლიანად გამოარკვიოთ და შედეგი მომახსენოთ“. ოდიშის მთავარი ვარკვევით იხსენიებდა „ახნაურ ჩიქაიას“, და დასძენდა კიდევ, რომ მთავრისათვის ის ერთგული იყო, რაც მთავრის ამ ოჯახისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამხელდა.

ვანიამ დაბირებული თანხა წირქიას დაუთვალა. საბუთები ჩააბარა და დეპუტატთა საკრებულოს მიადგა. მარშალი ინახულა, ქალაღები გადასცა.

ის ვანიას პირქუშად შეხედა, რადგანაც იცოდა, თუ ოდიშიდან მოსული საბუთები, საიდან მოდიოდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა.

როდესაც ქალაქში ყველა საქმეები მოილია, ვანია ცხენს მოაჯდა, პირჯვარი ვადანსახა და გზას გაუდგა.

(პირველი ნაწილის დასასრული)

სპირიტუალის გასაჭირი

(დასასრული)

დამშვიდებით მიდიოდა საბლისაკენ სპირიტუალი. არ ეგონა, თუ ასე ადვილად დაიყოლიებდა დიტოს.

„აღრევე ასე მექნა სჯობდა, — ფიქრობდა ის, — რაღას ვუყურებდი, სანამ აქამდე არ მივიდა საქმე? ბოლოს ისიც ხომ აღმანიანია, ამხანაგი ქვია; არ მოეზრდება ქვეყანას, პარტიას, ამხანაგებს? აღრე რომ ეთქვა, განა აქამდე კი არ გადაშავდებოდა? ასმათსაც ეხლა თითქმის სულ დავიწყებული ეყოლებოდა და ძველებურად დაუბრუნდებოდა ოჯახს, შემიცოდებდა უფრო და ვინ იცის, იქნებ ძველი სიყვარულიც თანდათან გაღვიძებოდა გულში“.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებია მას ეს სიმშვიდე, როგორც კი ასმათი სახლში შემოვიდა და ხმა აღარ გასცა, შეატყო, რომ არც ისე მწყობრად ჩატარდებოდა მისი გეგმა. სულ უფრო მტკიცე და მკვებე ხდებოდა ამ ქალის გამოთქმა, უცებ აყრევინებდა სპირიტუალს იარაღს.

— მე ხეალ ქალაქში მივდივარ. — განაცხადა ქალმა.

— ქალაქში რა გინდა? — წყნარად და მორიდებით კითხა სპირიტუალმა.

— სპირიტუალ, შენ ბავშვი არა ხარ. ყველაფერი კარგად გეხმის თვითონ.

— შერცხვენილი ვიყო ასმათ, თუ რამე შესმოდეს.

— თანდათან გცნობილობ სპირიტუალ და ვხედავ რა საშინელი შეცდომა იყო ჩვენი ცოლ-ქმრობა.

— მითომ რატომ? ეხლა მიხვდი ამას? რაშია საქმე?


— სწორედ ეხლა მიხვდი. ეხლა დაგინახე, გავიცანი შენი სული, გრძნობა.

— რა ნახე მერე ჩემში ამისთანა ცუდი?

— ვინ იცის... შეიძლება სხვისთვის ეს არც ისე ცუდი იყოს, მაგრამ... ერთი სიტყვით, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი, ჩვენ მაინც ვერ მივხვდებით ერთმანეთისას. — და ქალმა აღარ დაითავა, ისე დააპირა მეორე ოთახისკენ გასვლა.

სპირიტუალი ფირცხლავ წამოიჭრა და კარებში გადაეღობა.

— არა, ასმათ... ჯერ უნდა ყველაფერი მითხრა. — და მკლავში მოჰკიდა ხელი.



— რაღა უნდა ვითხრა სპირიდონ? განა შენ კი შეუბნები რამეს? განა შენ კი ჩემს ზურგს უკან არ ჩორჩულეხ ჩემს ნამუსზე და პატოხსენებენ, რა უნდოდა შენთან ბარბაღეს? რად უჩრჩიე დიტოს წასვლა?

— მიტო უჩრჩიე, რომ სჯობია ასე შენთვის.

— ჩემთვის რაც სჯობია, ის მე ვიცი და მევე უნდა მეკითხებოდეს.— და ქალმა შეეცადა ქმრის ხელი მოეცილებინა. სპირიდონი უფრო აენტო და მაგრა მოუჭირა ხელი, კბილები საშინელის ძალით ერთმანეთს დააჭირა.

— გაგიყდი ასმათ? სულ დაკარგე ნამუსი? ქვეყნის აღარ გრცხვენია?

— ხელს ნუ მიჭერ — შეჭყვირა ქალმა, — თვითონ გაგიყდი როგორც ვხედავ.

— ხელს მოგიჭერ კი არა და დაგახრჩობ, მოგკლავ, სულს ამოგაძრობ მე შენ...—ლორიალებდა ეხლა სრულიად გონება დაკარგული სპირიდონი.—შინ გკონივარ მე შენ, რომ ასე სათამაშოდ და სამასხარაოდ გამხადე, გეგონა მუდამ მოგიტოვებდი, ასე ვუყურებდი შენს გარყვნილებას? გეყოფა!..

— შენ თვითონ გეყოფა, იქეთ გამეცალე...—დაჰვიღა ქალმა და მთელის ძალით ჰკრა გულზე ხელი. თავი გაინთავისუფლა და ჩქარა გავიდა მეორე ოთახში, მაგრა ჩაიკეტა კარი. მთელის ძალით დაეძგერა სპირიდონი კარებს, მაგრამ ვერას გახდა. უცებ მოესმა ასმათის ხმა—მაღლა ქვითინი. შერჩრდა, დიდხანს იდგა მდუმარედ და მძიმედ ქშენდა.

ირაკლი ფრთხილად შემოვიდა ოთახში, ეგონა რაღაც საშინელება მოხდა. ბატონთან ახლოს მისვლა ვერ გაბედა.

— რა გინდა აქ?—გაბრაზებით ჰკითხა სპირიდონმა.

— ისე, მომესმა ბ-ნო, მეგონა შეძახოდი.—დარცხვენით მიუგო მან.

— აქედან დამეკარგე ესლავ!—დაიღრიალა სპირიდონმა. ბიჭი ჩქარა გავიდა. სპირიდონი წინა კარებს მივარდა და ჩაჰკეტა.

ეხლა იქ იდგა უძრავად და თითქოს ვიღაცას სდარაჯობდა. გულს უღადრაედა ასმათის მწარე ქვითინი, ველარ აიტანა! ოთახში დამშვიდებულ ვეფხივით გაიარ-გამოიარა, ფანჯარა გააღო. საშინლად ბნელოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გააღო კარი და გარედ გავიდა. აიგანზე ჩამოჯდა, თავზე ხელი ჩამოიღო და მძიმე კენესა აღმოხდა.

— გათავდა, ყველაფერი გათავდა!—ლულულელებდა სპირიდონი,—განა მე მეცი არა ვარ? რა ჩავიდინე ეს, რა ვქენ? ვიზე ავიღე ხელი, ვიზე?—და მაგრად იკბინა მარჯვენა ხელის ცერზე. ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები... მოწიწებით შევიდა ისევ, კარებთან ყური მიაყრდნო და უსმენდა.

ეხლა ქალი ძველებურად აღარ სტიროდა. მხოლოდ ხანდისხან შეინძრვოდა და მძიმედ ამოიკენესებდა.

— ასმათ, ჩუმიად დაილაპარაკა მან,—თუ შეგიძლია მაპატიე ჩემი უგუნურობა, ჩემი მხეცობა... შენმა სიყვარულმა დამაკარგვინა გონება. ვხედავ, რომ ცუდათ მოვიტყე, ძალიან ცუდათ... მაპატიე, გვედღერები ასმათ, ქალი ხმას არა სცემდა.

სპირიდონმა ნაზად და გრძნობით შეუსვა კარებს ხელო, კედევ და კიდევ.

— მე გავასწორებ ჩემს შეცდომას. არასოდეს ვეტყვი რამეს არც შენ, არც მას. გაძღვე სიტყვას. მე თვითონ ვთხოვ მასაც მამატიოს, შევევედრები დარჩეს ისევ. შენაც სთხოვე, ასმათ...

გაჩუმდა, ეხლა მაინც მოელოდა პასუხს, ერთ სიტყვას მაინც; მაგრამ მარტო ყრუ კენესა ისმოდა ოთახიდან. კიდევ გაუმეორა თვისი ვედრება: დაპირდა, რომ მუხლებში ჩაუყარდებოდა დიტოს და სთხოვდა არ დაეტოვებინა ამ მიყრუებულ ადგილას ასმათი მარტოდ-მარტო, არ მოეკლო მისთვის სიყვარული და სიხარული.

გულტკეა გამოდგა ასმათი, არც ერთი ნიშანი არ მისცა მას ოდნავი ლმოზიერებისა. კარებს გაშორდა.

ეხლა ის ოთახი შეალო, საცა დიტო სცხოვრობდა, სანთელი მის მიგიდაზე დადგა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

უკვე ორი წერილი დასწერა მან დიტოსათვის, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა საკმაოდ ძლიერი. ორივე დახია, სულ პაწია ნაფლეთებად აქცია. ხელახლა შეუდგა... როცა დაამთავრა, ირაკლი მოიხზო.

— რას მიბრძანებთ?

— აი, ეს წერილი გადაეცი დიტოს. იცოდე პირადად მას. ბათლომესთან არის, უკან კარებიდან მოღარე, გამოიხმე და მიეცი... აბა, გასწი!

— მიედივარ ბატონო.

სპირიდონი დიდხანს იჯდა უძრავად, მერე ფრთხილად გამოვიდა, ქული ხელში აიღო და კიბეზე ჩაეშვა.

სამზარეულოში სინათლე დაინახა, ახლოს მივიდა...—ეფროსიმე,—უთხრა მსახურს,—ქალბატონს კარგა მიხედე, შეუძლოთ არის, შეეკითხე და ვახშამი მიუტანე. მე ნუ მიცდის, ბაზარში საქმე მაქვს და გათენებისას იქედან პირდაპირ წავალ კამანდიროვკაში... თუ დიტო მოვიდეს აქ, შენ იცი—პატივი ეცი... შენ საქმეს მე გავაკეთებ, დარდი ნუ გაქვს. ირაკლის უთხარი, ვალმა ყანა მოატეხინოს. ათი თუმნის სიმინდი გაპყიდოს, სტეფანეს მიუტანოს ურმით და იქ დაუტოვოს, ფულს მე გამოვართმევ. აბა ნახევამდის..

— შვიდობით მობრძანებულყოთ ბ.ნო.—სპირიდონმა ჩქარა გასწია.

აიარა დღუნების წინ, ყველგან გაჩაღებული იყო... ეტლები ერთად შეეგვრათ და შეეტლეთ სამიკიტნოში შესულიყენენ.

ერთის წუთით შეიხედა იქ, საშინელი სუნი მოხედა, შუა სუფრას მისხდომოდენ და ლაღობდენ შეხარბოვებული მეეტლეები. „გოგო მიდის მოხოულში!“ გაპყვიროდა სახეწამოწითლებული გრძელ-წვერა მეეტლე. უკებ იცნო ბათლომე და იქაობას მოსცილდა. „ჩემს ამბავს უყვება ალბად, რამდენს დამკინიან?“ შწარედ გაიფიქრა და ჩაყვა წერილ მოსახვევს.

აქაც შეიხედა: ფოსტის მოხელე ლაზარე და „ზინგერი“-ს მალაზიაში მო-

მუშავე აგენტი კოწია დახლს მიდგომოდნენ და ორი ჭიქა ლეინის წინ ტკბილად მუსაიფობდნენ.

ქუდი ვაისწორა, უღელმეტზე ხელი გადისვა და შევიდა. მელქენემ დაბლა დაუკრა თავი და სუფრა გაუსუფთავა, სკამზე ქუჭუქისაგან გამწვანებული ხელსახოცი გადუსვა.

დახლთან მდგომებმა ჭიქები მიღწა ასწიეს და სპირიდონს გამარჯვება უსურვეს.

როცა მესამე ჭიქა ლეინო დალია სპირიდონმა და ორიოდ ნაჭერი მწვადი დააყოლა, დახლთან მდგომთ მგობრულად გაუღიმა და სთხოვა: თუ ცოტა დრო შჭონდათ, სუფრაზე დაწვეოდნენ.

მგობრული მასლაათი გაიბა...

მიპატიებულთ აკვირებდა, რომ სპირიდონმა დუქანში ვახშობა და სმა იკადრა, მაგრამ მიზეზიც საპატიოდ მოტყვენათ; დეპეშით დაებარებინათ სალამოს მათარებელზე, უნდა მთავარ რევიზორს გამოეცვლო, მაგრამ ის ჯერ კიდევ არა ჩნდა. მუდამ ხომ სადგურზე ვეღარ დაიციდდა?—და გადასწყვიტა ერთი კარგი მწეადი ექამა; თუ რევიზორი გამოივლიდა, მას დაუყონებლივ აცნობებდნენ.

ძალიან უხაროდათ მიპატიებულთ, რომ საათები გარბოდნენ და წიკრიკი არსა ჩნდა.

ეხლა ნელ სიმღერასაც შეჰყვენ. სპირიდონს არ მოსწონდა, კოწიას უცნაური ფანდები სიმღერაში, მისი მიხვევ-მოხვევა და ცეტი გადასვლა... უსწორებდა და ბუჯითად ამეორებინებდა.

— შენ ყმაწვილო ახალ მოდას ნამეტანი მიჩვევიხარ. — ეუბნებოდა ის. — ერთი ჩემსა მობრძანდი და ნახავ რაეა უნდა სიმღერა. მე და ასმათი რო მაგას ვიმღერებთ... ერთი სიტყვით—უკეთესი ნუ გინდა. მოდით უბეველად, თქვენც ბ-ნო ლაზარე. არ გცხვენიათ, ერთხელაც არ მნახეთ! ასმათს ნამეტანი გაახარებთ.

ფიცო დასდეს, რომ უბეველად ეწვეოდნენ სულ მალე.

— ლმერთმა გიცოცხლოსთ—ლოცავდა კოწია, — ბ-ნო სპირიდონ, თქვენც ძვირფასი და ყველასთვის პატივსაცემი მუღლე ქ-ნი ასმათი. ტკბილი ცოლქმრობა და ძვირფასი ოჯახი ღრმა სიბერემდე მიგატანით ორივეს. გაუმარჯოს თქვენს ოჯახობას. აბა, ლაზარე „მრავალ-ფაშვირ“ კობტად...

სპირიდონს ცრემლები მოადგა, ამათზე ძვირფასი და ერთგული ეხლა მისთვის არაეინ იყო... ორივეს მოეხვია და მაგრად ჩაკოცნა; კიდევ და კიდევ...

— გენაცვალეთ ძმებო, მგობრებო... საუ იყავით აქამდე, არ გრცხვენიათ?...

სულ აუჩვილდა სპირიდონს გული. უსაზღვროდ იყო ბედნიერი, რომ ასეთ ძვირფას მგობრებს მოულოდნელად შეხვდა.

შუბ ღამემ კარგა ხანია გადაიარა, მაგრამ ლხინი არ დამცხრალა. როცა მელქენემ ბოლოს სამი ბოთლი ლეინო და ახლად შემწვარი ძებვები მიუტანა,



ლაზარემ მას შუბლში აკოცა. კოწიამ მშვენიერის სიტყვით შევიწყო მხელსი-დაუ-
ლაღავი სტუმართმოყვარეობა.

მისი სიტყვების

სპირიდონს ეხლა ისიც ძალიან მოსწონდა და სთხოვა მის გვერდით დამ-
ჯდარიყო.

ეხლა ოთხივენი მღეროდნენ ჩახლეჩილის ხმით და განუწყვეტლევ ჰკოცნი-
დნენ ერთმანეთს.

უკვე თენდებოდა, როცა ლაზარემ და კოწიამ სპირიდონი სადგურზე მი-
იყვანეს.

საცაი მატარებელიც უნდა მოსულიყო.

სპირიდონი უღონოდ დაეშვა სკამზე და ერთი ჰიქა ჩაი მოისურვა. ლა-
ზარე და კოწია ზრუნვით დასტრიალებდნენ თავს.

ჩაი მოართვეს. პატარა ბენიამ მამა მისს რაღაც ჩასჩურჩულა, ვარდენი
გაუფიქრდა და სპირიდონისაკენ გაეცანა.

— რა მოგსვლია ეს სპირიდონ? — ჰკითხა ვაოცებით; სპირიდონმა ძლივს
ასწია თავი; იცნო, გაუღიმა და ხელი უღონოდ ჩაუქნია.

— რა უკირს, — ბოდიში მოხადა კოწიამ — პოუხდში კარგა დაეძინება. —

— რავე გეკადრებათ ყმაწვილო! — წყენით შენიშნა ვარდენმა, — კაცი სამ-
სახურში მიდის; საცაი საქმეს უნდა შეუდგეს და რა დროს ამის სმა იყო.

— ჩვენ რა შუაში ვართ შე კაცო! — მიმართა ეხლა ლაზარემ, — თვითონ
ისურვა და ცოტა მეტი მოუვიდა. არც კი მინდოდა ღმერთს წინაშე, მარა...

— ვერა, ვერ მოგსვლიათ ეს კარგათ. — იმეორებდა თავისას ვარდენი და
ცდილობდა სწორად დაეჯინა სკამზე სპირიდონი. — სპირიდონ, გამოუხიზლდი
კაცო... რა გვირს?.

ბენიას დაუძახა, აქეთ-იქეთ მოჰკიდეს ხელი და უკან გაიყვანეს. სახეზე
ცივი წყალი შეისხეს, თმა დაუსველეს.

გამოუხიზლდა ცოტათი, მაგრამ ხელახლა ჩაკიდა თავი.

— აი, შევარცხვინე მავათი კაცობა; ასე ვასვრიან პატროსან ადამიანს;
ესაა მავათი ხელობა, მაგ მიწანწალებს!! — არ ისვენებდა ვარდენი.

შორიდან მატარებლის ხმა მოისმა; აქეთ იქეთ მოჰკიდეს ხელი, ქუდი თავ-
ზე გაუსწორეს და ბაქანზე გაიყვანეს.

— აქ იყავ, არ მოსცილდე! — უთხრა მამამ ბენიას და გაიქცა.

მალე გრძელწვერა ობერი მოიყვანა.

— შენ იცი აბა სიპიტო, თუ ძმობა გწამს არაფერი ხიფათი შეიხვედრო,
მოუარე კარგა — სთხოვა მან და სპირიდონი ღერთად შესვეს მატარებელში.



სპირიდონს ერთის კვირით კიდევ გაუგრძელეს მივლინება. არც კი სწყე-
ნია მას ეს და ერთი თვითაც რომ დაეტოვებინათ ამ ხრიოკ და ცხელ ადგი-
ლას, არას იტყოდა. ეხლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. რა სიხარული
უნდა მოეტანა სახლში დაბრუნებას, რას უქადდა მას კარგს იქაურობა?

მან იცოდა, რომ უმისოდ ბევრად უფრო კარგად გრძნობდნენ თავს ასმათი
და დიტო და აბა რისთვის უნდა შეეშალა ხელი ამ ნეტარებისათვის?



— ძალიანაც რო მოინდომო, მაინც ვერას დაუშლი, უფრო აჩქარებ იმას, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს... — ეუბნებოდა თავის თავს. მატყუნებს და წყურბულად, რომ ირაკლისთან და ფეროსიმესთან სიტყვა გაუტყდა და დროზე ვერ მიეშველა. „რალას ვაქიანურებდი მეც“, ფიქრობდა ის. „სიკეთეს თუ შერებდი, ბარემ მარილოც უნდა წააყარო. ამომეღო და მიმეცა, განა არა მქონდა? ყველაფერში ასეთი ვარ“...

ამ კვირამაც განვლო, მაგრამ სპირიდონს უკან დაბრუნება აღარ ახარებდა.

ნაშუალამევეს, როცა მატარებლიდან ჩამოხტა და სახლისაკენ გასწია, უკვრიდა, სად გაჰქრა ასე უკვალოდ ძველი სიბაღისე, რად არ უტოკებს ხელ-ახლა გულს ასმათის შეხვედრა?

„გლახა ვარ, გლახა! — იმეორებდა ის, — სხვა ჩემს ადგილას როგორ ვერ მოიშორებდა თავიდან ამ არამზადას? ტყვიას ჰკრავდა გულში... რალაზე ვთხოვე ხელახლა დარჩენა? ერთი ორი დღე იტირებდა ასმათი და დაწყნარდებოდა. მიმ რას იხამდა... დიტომაც იცის, რომ ლაჩარი ვარ და ვერ შევებრძოლებდი; ამიტომაც გამითამამდა ასე“...

უნდოდა გულ-გრილად და ამაყად შეხვედროდა ყველაფერს; ხმაც კი არ გაეცა ასმათისათვის; მაგრამ როცა ფანჯარაში სინათლე დაინახა, ერთბაშად ნააწვა სისხლი.

„რას აკეთებენ ამ ნაშუალამევეს? ალბად სხედან და ტკბილად მუსაიფობენ, ნეტარებამ დღე და ღამე გადავიწყათ“.

უცებ ბარბაღს სიტყვები მოაგონდა: „ამ დილით კოცნაზე შეეასწარიო“ და ჯოხი მოიმარჯვა, გაუჩქარა ნაბიჯს.

„უნდა გათავდეს ამელამ ყველაფერი, ვაჩვენებ მაგ უნამუსოს, რაც ლაჩარი ვარ...“

მძლავრად შეაღო კარები, ცეცხლს ჰყრიდა თვალებიდან.

ასმათი უცებ კარებში შეეგება; ეტყობოდა — ამ ქალს დიდი ხანია აღარ უნახავს მოსვენება, უძილობით თვალები სულ დაწითლებული ჰქონდა.

— სსს... ნელა! თუ ღმერთი გწამს, — მიმართა სპირიდონს და ხელი გაუწოდა.

— სად იყავი აქამდე სპირიდონ, რად დაიგვიანე?

— რაე! ხომ მშვიდობაა? — შეეკითხა სპირიდონი და გაფითრებით მიეჯრდნო კარებს.

— დიტო მძიმე ავადაა, — ამოიოხრა ქალმა და ესლა შეამჩნია სპირიდონმა რომ ამ თვალბეზე არა მარტო უძილობა, არამედ ცრემლებისაგან დაწურვაც ეწერა.

— რა დემართა? — იკითხა სპირიდონმა.

— გაციედა... კაი ხანია არ იყო კარგად, მაგრამ მაინც არ მოისვენა; თავი არ დაუღო. მთელი ღამეები დარბოდა — და ასმათი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— ექიმი არ მოუყვანეთ?

— კი. გუშინაც იყო. ფილტვების ანთება უნდა ჰქონდესო. გული ჰქონია

მეტად სუსტი. გუშინ გადმოვყვანიხე უთენია. ანთიმოზთან ერთად ვიყავი და დღე და— აბა იქ ვინ მოუვლიდა?..

— კარგი გიქნია, — მოუჭრა სპირიდონმა და გასწია ავადმყოფის ოთახისაკენ.

ქალი უკან გაჰყვა; მოწყვეტით ადგამდა ფეხებს.

— სძინავს? — ჰკითხა სპირიდონმა, როცა ოთახის კართან მივიდა.

— რა დააძინებს, შოთათეს... წელან აბოდებდა. ამ საღამოსი უნდა მოსულიყო ექიმი, მაგრამ აღარ გამოჩნდა — და ქალმა ისე მწარედ ამოიგვენწა, რომ სპირიდონს ეგონა, გული ამოუფარდაო.

— მერე და შე ქალო, სხვას მოვიყვანდი ვისმეს. ყველა გაწყდა?

— ორივესთან ვავგზავნი ირაკლი, არც ერთი არ დაუხვდა.

სპირიდონმა ფრთხილად შეალო კარები, ლამფისათვის გაზეთი გადაეფარებინათ, ოთახში ნახევრად ბნელოდა. საწოლს მიუახლოვდა.

— ასმათ!.. ექიმი მოვიდა? — ამოიღულულულა ავადმყოფმა და მოღლილი თვალები გაახილა, წითლად უღვიოდა სახე.

— მე ვარ დიტო, სპირიდონი... ნუ გეშინია — უთხრა მან და შუბლზე ხელი დაადო. თითქოს ცხელი ქვა მისცეს ხელში.

— სპირიდონი?... წყენით სთქვა დიტომ და საბნიდან ხელი გამოიღო.

— ცუდთა ვარ სპირიდონ... — მძიმედ გააგრძელა მან.

— რა გიქირს, ეხლავე მოვიყვან ექიმს. გული გაიმეგრე. — ანუგეშა სპირიდონმა.

ავადმყოფმა ოდნავ წამოსწია თავი და ასმათს შეხედა.

— ასმათ, წყალი... პირი მიშრება.

— ნუ გეშინია დიტო, ხეალ უკეთ იქნები — დაამშვიდა ასმათმა და თავი აუწია; წყალი დააღვივინა. სასთუმალთან უჯდა და ნახად უსობდა ხელს თავზე, თმაზე. სპირიდონი ხედავდა, რომ ასმათს ცრემლები ღეარად ჩამოსდიოდა.

— ნუ გეწყინება სპირიდონ, — მიმართა დიტომ, — ასმათმა შენს მოსვლას არ დაუცადა... ისე გადმომიყვანა აქ... თუ ცოტათი მოვიკეთე წივალ ქალაქში.

— რას ამზობ დიტო! არ გრცხვინია? რასაკვირველია, ასე უნდა გექნა! რა დროს მაგის ლაპარაკია? — და გარეთ გამოსვლა დააპირა სპირიდონმა. ასმათი წამოდგა და ხელი მოჰკიდა.

— იქნება წახვიდე სპირიდონ ექიმის მოსაყვანად. ნეტის ატანა აღარ შემიძლიან. ამელამ მაინც სულ აუწია სიციხემ... რომ რამე მოუვიდეს? — და ქალმა ველარ დაათავა, მაგრა მოუჭირა ხელზე.

— რა უნდა მოუვიდეს? ნუ გეშინია ასმათ... ხვითთ კარგად ვადიტანს, — ანუგეშებდა სპირიდონი და მის ტანჯვას თვალებს ვერ უმაგრებდა.

— აბა, მე ეხლავე წივალ, ერთ საათში ექიმით აქ ვიქნები.

ქალმა კარებამდე მიაცილა და ხელახლა განუმეორა თხოვნა.

— ჩქარა, ჩქარა სპირიდონ, მიწველე...

მხოლოდ ეხლა შეაშინია სპირიდონმა, რომ კუთხეში ეილაღ შავად გამოწყობილი მოხუცი ქალი იჯდა და მორიდებულნი ნისჩურებოდა მას.

— ვინ არის ეს ქალი? — ჰკითხა ასმათს, როცა მოხუცი ზეით წამოდგა და სულ დაბლა დაუხარა თავი.

— ეფროსიმეს დედაა. დაგტანჯე მაგ უბედურიც ეს ორი ლამია. — მიუგო ასმათმა. სპირიტონს ეხლა მოაგონდა ირაკლის თხოვნა და მიხვდა, თუ ვის უცდიდა ეს ქალი?

უცებ მივიდა, ხელი ჩამოართვა და დააჯინა. ბოდიში მოიხადა, რომ ეხლა მასთან ლაპარაკი არ შეეძლო და ბაზრისაკენ გასწია. ბრაზი მოერიო სპირიტონს, როცა ვერც ერთი ეჭიმი ვერ იპოვა შინ.

— როდის მოვა არ იცი მაინც? — ჰკითხა კარის კაცს, პერანგის ანარამ რომ გაუღო კარი.

— გათენებამდი ველარ მოვა — მთქნარებით მიუგო მან.

— სად ჯანაბას წაიყვანეს? — აღარ ეშვებოდა სპირიტონი.

— ს — ში ბ-ნო, მ — ძისას. მძიმე ავით ყოფილა მშობიარე ქალი.

— ალბად რკინის გზის ეჭიმიც მათ წაიყვანეს, ისიც არაა შინ.

— ერთად გაიხლენ; სწორედ იმან გამოუარა ფაიტონით ბატონს.

რა ექნა სპირიტონს? მეტი გზა აღარ იყო, უნდა დილაზდის ელოდა.

რა პირით დაბრუნებულყო შინ? რითი შეეძლო მას ამ ავადმყოფის ტანჯვა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა?

რას ეტყოდა ასმათი? იქნებ არც კი დაეჯერებინა სპირიტონისათვის.

მოაგონდა ცოლის ვაფითრებული სახე, შიშით სავსე თვალები და — „მე-შველე“. თითქოს ამ ქალს სტკიოდა დიტოს ტკივილი, თითქოს მას სწევდა სიცხის აღმური.

— არა, ხელ-ცარიელი ვერ გაგბრუნდები. უნდა მიწა გავხეთქო — და ისევ გასწია რკინისგზის საავადმყოფოსაკენ. იქნებ ის უფრო ნალე დაბრუნებულყო ს — დან.

მაგრა ჩამოჭრა ზარებს. ნაცნობი დარაჯი უკმაყოფილოდ შეეგება.

— არ მოსულა?

— არა ჯერ.

— რო მოკვდება კაცი, მერე რა თბრად მინდა. — და უღონოდ დაეშვა სკამზე... დიდხანს ელოდა კიდევ — ათვლიერებდა კედლის საათს, იატაკს, სურათებს. სწორედ აქ იხსდნენ და ელოდენ მაშინაც ამ ეჭიმს ის და ასმათი. არც მაშინ ეშველა რამე...

და მას მოაგონდა რუსი ვერშალი.

— არა, — ებრძოდა თავის თავს სპირიტონი, — იმას ვერ წავეყვან, ვერ ვენდობი... ათასი ხმები დადის მაზე და ამ ვაფიცვის შემდეგ კიდევ უფრო მეტს ლაპარაკობენ. არ ღირს! მაგრამ, რომ უცებ რამე მოუვიდეს დიტოს? რომ შემდეგ უკვე გვიან იქნეს? რას ეტყვის ასმათს?

ან ვინ იცის — იქნებ არაფერიც არ იყოს, იქნებ სულაც არაა ეს რუსი უპატიოსნო კაცი. იქნებ უმეტრო ვინმემ და ხმა დაუყარა; — საწყალი კაცი სჩანს არაფერში ერევა და ამიტომ არ მოსწონთ.

ან რომც იყოს კიდევ — როგორ იზამს და ავადმყოფ, მომაკვდავ კაცს ვას-

ცემს?.. ხომ მოვკლავ, ჩემის ხელით დავადრწობ. არა, ამას არ იზამს—ან ღმერთის შეეშინდება, ან ხალხის მოერიდება... ცოტა ნამუსი რაღა ანაწევნაწევნი!

ვიკითხავ მაინც, თუ აქ არის?—გაიფიქრა მან ღილი სინის ბოძოლის შემდეგ.

— კი ბ-ნო! აქვე ცხოვრობს, ზევით. თუ გნებავთ—გაეღვიძებ...—მიუგო დარაჯმა სპირიდონს, უფრო იმისთვის, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს კაცი და ტკბილად დაედინა.

— სთხოვე აბა ერთი თუ კაცი ხარ, იქნება მაგას მაინც ეშველოს და წამყვეს.—დაეთანხმა ბოლოს სპირიდონი.

როცა სპირიდონმა კარები შეაღო და ფერშალს ოთახში შესვლა სთხოვა, ასმათმა ერთი უღონოდ მოწყვეტით შეტკივლა. მის თვალებში სპირიდონმა ზიზ-ლი და საყვედური ამოიკეთხა.

— ნუ გეშინია ასმათ! ჩვენ არ გვიზამს ცუდს, პატიოსანი კაცი ჩანს, — დაამშვიდა მან ქალი, — რა მექნა, ისინი დიღამდი აღარ მოვლიანო...

ასმათი დაიბნა. ინსტინქტიურად დიტოს კარებს ამოეფარა და თვალები დააშტერა, თითქოს ამ ფერშალს წინ გადაეღობა.

სპირიდონმა უხერხულობა იგრძნო.

— მობრძანდით—მიმართა ფერშალს და მკლავში ხელი გაუყარა. ასმათი უცებ ოთახში შევიდა და კარი გამოიხურა. სპირიდონი და ფერშალი გარედ დარჩნენ. არ მოეწონა სპირიდონს ქალის ასეთი უნდობლობა, წარბები შეიკუმბნა და მაგრა გამოსწია კარებს. ვეღარ გაუძლეს ასმათის ხელებმა და დანებდა... დიდხანს სინჯავდა ფერშალი ავადმყოფს. ბოლოს თავი მოიფხანა და

— Ну что... все пропало!.. — რ—უთხრა დიტოს და ბალიშზე პიასვენა. როცა სასტუმრო ოთახში გამოვიდა, ასმათი თან გამოჰყვა; გაფითრებული მისჩერებოდა რუსის ყოველ მოძრაობას.

— როგორ ატყოფთ?—შეეკითხა სპირიდონი.

ფერშალმა ორივენი დააიმედიანა:—ებლა უკვე კრიზისი გაეღილია და ავადმყოფს მყუდროება და მოსვენება უნდა; წამალი ჯერ საჭირო არ არის.

ასმათს შევების კენესა აღმოხდა.

— რად მოიყვანე მაინც და მაინც ეს ჯაშუსი? არ გცხვენია სპირიდონ? უთბრა ქალმა, როცა სპირიდონმა ფერშალი გააცილა და შემობრუნდა.

— შე ქალო!.. რა იცი რომ მაინც და მაინც ჯაშუსია?

— შენ თითონ არ მითხარი? თუ აღარ გახსოვს?—წყენით მიუგო ასმათმა.

— იტვით ლაპარაკობენ, ნამდვილად არავეინ იცის... ქვეც რო იყოს, დიტოს მაინც რას იცნობს, —დაამშვიდა სპირიდონმა.

— არ იცნობს? მართლა გგონია—არ იცნობს? დემონსტრაციაზე ნავ არ იყო, რომ თვალებით სჭამდა დიტოს? მაშინვე ვიგრძენ, რომ რაღაცას უნზადებდა.

— ფიქრი ნუ გაქვს; მე ვერას გამიბედავს, მოვკლავ...

მაგრამ ქალს აღარ ესმოდა სპირიდონის; ზიზლით სავსე თვალები შეაეღო მის და ჩქარა გასწია ავადმყოფისაკენ.

— არა, დიტოს აქ განერება არ შეიძლება,—სტევა კარებში ასმათმა.

— რას ამბობ ქალო? გინდა ძალად მოკლა? როგორ შეიძლება შეგის დანძრევა. ხო გვიგონე—მყუდროება და დასვენება სჭირიაო.

მაგრამ ასმათს სპირიდონის აღარ სჯეროდა.

— თუ ასე გეშინია შე ქალო, მე დავიცდი გარეთ მწვერავად... ვუღარაჯებ გათენებამდე და ხეალ გადავიყვანოთ. ეხლა ვის უნდა მიადგე?

ასმათს თითქოს რაღაც მოაგონდა, სწრაფად გავიდა გარეთ.

გაშეშებული იდგა სპირიდონი. როცა ქალი შემობრუნდა მან ხელ-ახლა იღო ქუდი და წასვლა დააპირა.

— საჭირო არ არის.—მკვახედ მიუგო ქალმა.—ორაკლი და ეფროსიმე დავაყენე უკვე. თუ რამე შეამჩნიეს დროზე გვაცნობებენ და უკვე უნდა გადავიყვანოთ ვენახში.

— ფიქრი ნუ გაქვს ასმათ; მერწმუნე ის კაცი არ გვიხამს ამას...—ჩაილაპარაკა სპირიდონმა, მაგრამ აშკარა იყო მისთვის, რომ ეს მას აღარ ენდობოდა, რომ დარაჯათაც კი სხვები გაუშვა მან.

— რა ვარგე ამით ავადმყოფს?—ფიქრობდა ნაღვლიანად სპირიდონი, რა გაუკეთა იმ ფერშალმა? ტყვილა აწვალა ავადმყოფი და ხიფათში კი ჩაეფდე. რომ მართლა ჯანუნი გამოდგეს? რომ მართლა გასცეს ეს კაცი და თავს დაესხენ ამ ლამით?

— რად ჩავიდინე ეს? რად აღუქარი იქვი ისედაც დაექვიანებულ ასმათის სულში, რად დაუქარგე მოსვენება?

ყოველ გახმაურებაზე ზევით წამოდგებოდა და ფრთხილად მიაყურებდა კარებს... ასმათიც ხშირად გამოდიოდა ოთახიდან, აივანზე გავიდიოდა და ორი-ოდე წუთის შემდეგ ოღნავ დამშვიდებული ისევ შედიოდა ოთახში.

— დამიჯერე ასმათ, არაფერი იქნება... ქალო, ფერი აღარ გადევს; წადი დაისვენე, ცოტა მაინც წაიძინე. მე და ნატალია დავრჩებით აქ, კი მოუვლით დიტოს.

— არა, არ შეძინება.—მიუგებდა ასმათი და ისევ ფეხის წვერებზე შედიოდა დიტოსთან.

დიღმანს, უსიტყვოდ იჯდა სპირიდონი, უნდოდა მოხუც ნატალიას გამოლაპარაკებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისი ლაპარაკი იქ, ავადმყოფს სიმშვიდეს დაუზღვედა.

მამ რა ქნას? დიწვეს, მოისვენოს? ასმათი რამდენიმე დღე და ლამე განუწყეტლივ სდარაჯობს დიტოს, მან არ იცის მოსვენება და რას ემსგავსება რომ სპირიდონი თავის საწოლში გაიწხლართოს და უზრუნველად ზერინვა ამოუშვას? მერე და მართლა, რომ თავს დაესხენ ის მხეცები? ვანა ავადმყოფობას დაგიდევნენ? ვანა მომაცვდაესაც არ წაიყვანენ და არ ჩააგდებენ ციხეში?...

არა, ვიდრე კარგა არ მოათენდება დაწოლა არ შეიძლება... ჩასთვლიმა სპირიდონს; ცდილობს ფხიზლობას, მაგრამ თავს კისერზე მაინც ვერ იჩერებს სწორად.

— ბ-ნო! იქნება მოისვენოთ. მე აქ ვარ, თუ რამე დასჭირდებათ...—ესმის მას.

სპირიდონი გაჭირვებით ახელს თვალებს და ხედავს მოხუც ქალს, რომელიც მას ქუდს ხელიდან ართმევს.

— არა, ჩემო ნატალია... შენ თვითონ გპირია დაძინება; მოხუცი ადამიანნი ხარ. შე უფრო ნაჩვევი ვარ ლამის ტეხას.

წამოდგა რა ფრთხილად მივიდა ავადმყოფის ოთახთან, ჩემად შეალო კარები... ასმათი, რომელიც ავადმყოფს სასთუმალში უჯდა და შუბლზე ხელს უსობდა, ერთბაშად შეერთა.

— რა ამბავია? — იკითხა სუსტი ხმით ავადმყოფმა.

— მშვიდობა!.. — დაწნაშავესავით წარმოსთქვა სპირიდონმა და კარებში გაბრუნდა.

— არაფერი, გენაცვალე... სპირიდონი შემოვიდა. — უთხრა ქალმა ნახად და მის შუბლთან ახლოს მიიტანა ტუჩები. — იუჯე გენაცვალე, იქნებ დაიძინო...

— აკოცა, — გაიფიქრა სპირიდონმა, — ჩემთან აკოცა, ალარც კი შერიდება. ავადმყოფობამ ყველაფერს ახადა ფარდა, ეხლაც ალარ მუჯრია?

და ნაკბენივით ჩქარა გამოვიდა ოთახიდან.

ნატალია ისევ იმ ადგილას იჯდა და სთვლემდა.

— კაი ხან გაცდევინე ჩემო ნატალია, არა? ველარ ავიშვი თავი სამსახურიდან.

— რას ბრძანებთ ბ-ნო, ნეტაი კი მშვიდობა იქნებოდეს, თვარა ჩემ თავს რას დაეძებ.

— მშვიდობა იქნება ღვთით, — დაანუგეშა სპირიდონმა, — რა უკირს. ახალგაზრდა ყმაწვილია, ანთება — სურდოა. კი ვადიტანს...

— ქალბატონი კი მოკვდა საცოდავი და... ჯერი აღარ აღევს, ცოდვამ დასწვა.

— შეშინდა არა?

— ნამეტანი შეშინდა სწორეთ... მაგის ტირილმა გული ამიდულა. — მიუგო ქალმა.

— მარტო იყო და შიტო შეშინდა. გამოუცდელია; ჯერეთ მაგ ბავშვია.

სინამე ჩამოვარდა; სპირიდონმა შეატყო რომ ქალს მოთმინება აღარ ყოფნის, გადაწვეტილს მოელის მისგან და თვითონვე დაიწყო:

— ეფროსიმე ქე გეტყოდა, — ორას მანეთს დავპირდი, იმ კაცის ვალი რომ გქონიათ...

— შენს სახელს დაენაცვლე, რაფა შეგაწუხოთ... რაფერ გადაგიხადოთ მერე?..

— რაც დავპირდი იმას შეეასრულებ კიდევ. ხვალ თუ არა, ზეგ მაინც მოგკემ ფულს და მიაშავე იმ ოხერს. როდისმე კი გადამიხდის ირაკლი, მარჯვე ბიჭია... თუ არ გადამიხდის და არც მაგით დაშედება.

— რატო იკადრებ ბ-ნო? მთელი სიცოცხლე რთ გადააყოლონ, მაინც უნდა გადაგიხადონ; მარა ამისთანა დროს დახმარების გადახდა კი შეიძლება? დიდი წყალობაა ჩემო ბ-ნო და ღმერთი არ დაივიწყებს შენს კეთილ საქმეს. დიდი სასახელო საქმე იქნება შენი ქირიმე... — და ქალმა მადლობის ნიშნად ხელზე აკოცა. სპირიდონმა უცებ გამოსტაცა ხელი.

— კაი, კაი., ეფროსიმეზა შე არაფერს დავიშურებ, — უთხრა შენს, — კაი სიძე იშოვე ნატალია მე და ჩემმა ღმერთმა. ძალიან მარდი და განუყვანი მტკია. უცებ კარი გაიღო და ასმათმა საყვედლოთ მიმართა სპირიდონს.

— იქნებ დაეძინოს იმ ადამიანს, ცოტა წყნარად იყავით. დაწეი სპირიდონ, მგონი აწი არაფერი მოხდეს.

— რა იქნება შე ქალო? საქმე არ გაქ? დაშვიდებით იყავი. — მაგრამ ასმათი მის ყურს აღარ უგდებდა, ხელახლა მიიხურა კარი.

გათიხდა და ყველანი დაშოშმინდენ; გადაიარა შიშმა.

შუადღეზე ექიმი მოვიდა და დიტოს მორჩენა მიულოცა, კრიზისი გავლილი იყო.

მთელი დღე მზიარული იყო ასმათი, ერთბაშად გამოცოცხლდა; მაგრამ ავადმყოფის სავარძელს მაინც არ შორდებოდა.

სალამოზე ქანც-გამოლეული გამოვიდა ოთახიდან და სპირიდონს მიმართა:

— ესეცაა ჩაეძინა, მგონი გადარჩა... ეხლა მეც უნდა დავიძინო; ვახშმად ნუ გამალეიძებთ, მე არაფერი მინდა. თუ დიტოს გაეღვიძოს — მაშინვე ამაყუნეთ. ძლიეს ემორჩილებოდენ ფეხები ასმათს.

როცა ცოტა ხნის შემდეგ სპირიდონი მასთან შევიდა და დახედა, ქალს უკვე მკვდარივით ეძინა.

არც მაშინ გაუგავა რამე ასმათს, როცა ნაშუალამეეს ეფროსიმე ოთახში შემოვიდა და სპირიდონი გააღვიძა. ზანტად წამოღდა და ჩაიკცა.

— დიტო როგორ არის? — ჰკითხა ნატალიას, რომელიც ისევ ავადმყოფის კარებთან ნახა.

— სალამოზე რძე რო მიირთვა და დაიძინა, მერე აღარ გამოღვიძებია. — იყო პასუხი.

— მადლობა ღმერთს! აწი არაფერი უჭირს... ოღონდ კარგათ მოუარეთ. ეფროსიმე, შენ იცი აბა, ახლა უნდა მაგას კაი პატივი. ქალბატონი შეასვენე, აქამე რამე იმასაც. მე ეხლა სამი დღე დავრჩები და ქე მოვალ.

შემდეგ უბიდან საფულე ამოიღო და ნტალიას გადაუთვალა.

— აქ თორმეტი თუმანია ნატალია, რვა თუმანს ირაკლი სტეფანეს გამოართმევს ზვალ და მოგცემს. ნათქვამი მაქ. ხელწერილი გამოართვით იმ კაცს, კიდე არაფერში მოგატყვილოსთ.

ეფროსიმეს სიხარულის ცრემლები მოადგა; ნატალია მუხლებზე მოეხვია სპირიდონს.

— ემთხვეი გოგო ფეხზე, ემთხვეი... მაგის მონა-მორჩილი უნდა იყოთ მუდამ შენ და ის კაცი. — ეუბნებოდა ნატალია ეფროსიმეს.

— გეყოფათ, გეყოფათ!.. კარგად იყავით და არაფერი; დამილოცინხართ... ღმერთმა ბედნიერი ქნას თქვენი ცოლ-ქმრობა.

და სპირიდონმა დიდის გაქვირებით გაინთავისუფლა თავი. ეშინოდა — ან ავადმყოფს, ან ასმათს არ გაეგონათ მათი ლაპარაკი და ძილი არ შეკრთონოდათ.

ქისკრამდი მიხდია ნატალიამ გაუთავებულის ლოცვა-ქრთხევით.



ისიც იყო საღამომ წოატანა, რომ სპირიდონი დანიშნულ უკუვალს მიუხალოვდა. ორი საათის ვზაც კიდევ, და მისული იქნებოდა. *მისწიქიქიქიქი*

როცა შატარებელი უნდა მოსცილებოდა ამ დიდ სადგურს, საცა სპირიდონმა ჩვეულებისამებრ ერთი ჭიქა კონიაკი გადაჰკრა და შემწვარი ვოჭის ხორცი დააყოლა, მის კუბეში ქანდარში შევიდა.

— სპირიდონ იესევიჩი, — მიმართა გრძელ-წვერა ქანდარმა, რომელსაც დიდ ხანია იცნობდა სპირიდონი, — თქვენ უნდა ჩამობრძანდეთ.

— რატომ? მე სამსახურში მივდივარ, ამელამ მორიგეობას უნდა შევუდგე.

— რა გაეწყობა; უნდა ჩამობრძანდეთ! როტმისტრს მოახსენეთ ეგ.

ეხლა მიხედა სპირიდონი, რომ ეს „როტმისტრთან დაბარება“ კუდი ნიშანი უნდა ყოფილიყო; მაგრამ შიში არ უგვრძნია, გული მაგრა ჰქონდა.

ღიმილით შევიდა როტმისტრის კაბინეტში; არაფერი შეიმჩნია.

ქანდარმა უფროსს მოახსენა, რომ სპირიდონი მოიყვანეს.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ. საღამოს შატარებლით ქალაქში უნდა დაბრუნდეთ. — უთხრა სათვალეზიანმა, ყვავილისაგან სახე დაქულობა როტმისტრმა და ქაღალდებს ფურცვლა დაუწყო.

— რისთვის? რაშია საქმე ბ-ნო როტმისტრო? — ძლივს შეეკითხა სპირიდონი.

— ბრძანებაა დეპეშით. იქ გეტყვიან ყველაფერს.

ვერაფერი უთხრეს ამის მეტი სპირიდონს და მეორე ოთახში გაიყვანეს. ათასი ფიქრი მოაწვა. მას აღარ აწუხებდა საკუთარი თავი, ის ეხლა მართო დიტოზე და ასმათზე ფიქრობდა.

ეს იჭვი უფრო გაუძლიერა როტმისტრის ჯიუტობამ, როცა მას სთხოვა — სახლში დეპეშა მაინც გამაგზავნინეთო და ცივი უარი მიიღო.

აშკარა იყო — მის დაპატიმრებას დიტოსთან ჰქონდა კავშირი; მოაგონდა რუსი ფერშალი, მისი ქორფლებიანი სახე, უცნაური თვალები და ტანში გააქროლა.

კერძოთაც სთხოვა ქანდარმა: არ ეგონა — თუ ასეთ ცოტაოდენ ხატრს არ დასდებდა და მის მაგიერ დეპეშას არ გაუგზავნიდა ასმათს; მაგრამ როტმისტრზე უფრო მედიდურად და უკმეხად ეხლა ის ექცეოდა; ეტყობოდა, ერთბაშად გადაივიწყა ძველი ნაცნობობა.

როცა ქალაქში შატარებლიდან ჩამოსხეს, ნაცნობი მოხელე დაინახა, ვედრებით შეხედა და რაღაც ანიშნა.

გაოცრებით მისჩერებოდა მოხელე და ვერ გაეგო — რა სურდა სპირიდონს?

— გთხოვთ — ჩემს ცოლს შეატყობინო, დეპეშა...

— Молчать! — დაუყვირა ქანდარმა და აღარ დაათავებინა, სასწრაფოდ მოაცილა იქაობას. იწყინა სპირიდონმა, რომ ისე უდიდურად შეახეს ხელი, მაგრამ არა სთქვა რა...

გადიოდენ კვირები, მაგრამ სპირიდონის ვინაობას არავინ კითხულობდა. სულ ეუბნებოდნენ: აი, დღეს — აი, ზვალ დაგკითხავენო, მაგრამ დამკითხავეი არსად სჩანდა.

ყველაზე უფრო ის სტანჯავდა სპირიტონს, რომ ვერ მიუხვდა კარის კაცს: გაზავენა თუ არა მან ის წერილი ასმითთან? მეორევერაც მხსწყვან და მხსელი წამლებს სამი მანეთი აჩუქა. მაინც არავინ აკითხავდა მას.

„აღბად მომატყვილა ციხის მოხელემ“, ფიქრობდა სპირიტონი და ნაღვლიან თვალებს გააყოლებდა ტუსალებს „სანახავად“ რო გამოიხმობდენ.

ერთ დღეს მასაც მოაკითხეს.

„ძლივს ველირსე“, იფიქრა მან და სიხარულით დაეშვა კბენზე; მაგრამ ტყვილა ეძებდენ მისი თვალები ასმითს; დარაჯი მას პაწია, ქალაღდებით საეცე ოთანში შეუძღვა.

— დაბრძანდით, — უთხრა მას ქერა ყმაწვილი, რომელსაც ოდნავ აჩნდა უღვაშები, დიდხანს ეკითხებოდა ეს კაცი სპირიტონს მის ვინაობაზე, წარსულზე, დიტოსთან კავშირზე; ისეთი წვრილმანი რამეებიც კი ჰკითხეს, რომ სპირიტონმა ვერც კი მოისაზრა — რა კავშირი უნდა ჰქონოდა ამას მის საქმესთან?

როცა თავის კამერაში შეიყვანეს და კარები ხელახლა ჩაუკეტეს, მარტო მაშინ იგრძნო, რომ აქ „დღეს-ხვალ“ ვერ ვათავადებოდა საქმე; ისე მაგრა ჩასკიდეს ხელი, რომ შეიძლებოდა სულაც ველარ დაეხსნა თავი.

აშკარა იყო მისთვის, რომ დიტოც ხელში ჩაუვარდა ამ ვერაგებს.

„ასმითი? შეიძლება ასმითსაც რაღე შეემთხვა, თორემ ერთხელ მაინც როგორ არ მომაკითხავდა. აღბად, ისიც დაიპატიმრეს. ვახ! რა ოჯახი დამყენგრა?“ ფიქრობდა სპირიტონი და მწარე ამოოხვრა გაისმოდა მთელი ღამე მის კამერაში.

ერთ დღეს მას ვეჭილმაც მოაკითხა. სპირიტონმა იცნო ძველი ამხანაგი და იმედის ნაპერწკალმა იფეთქა მისში. ეს კაცი მას წინად ყოვლის შემძღედ მიაჩნდა და მის დახსნას როგორ ვერ შესძლებდა?

— მალე გამიშვებენ? — ჰკითხა ბოლოს სპირიტონმა.

ვეჭილმა ოდნავ გაიღიმა, ქალაღდები ისევე პორთფელში ჩაკეცა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ვეცდებით ამხანაგო, ვეცდებით! მხნედ იყავ...

ამ სიტყვებმა ცივი ოფლი გადაასხეს სპირიტონს; სჩანდა, რომ არც ეს კაცი იყო იმდენად ძლიერი, რომ ციხის კარები ვაელო მისთვის.

„რატომ უფრო არ შევებვეწე?“ ფიქრობდა გულ-ნატკენი სპირიტონი, „მთელი დღე ხომ ჩემთან ვერ დარჩებოდა. უნდა კარგად ამეხსნა მისთვის ყველაფერი; რაღა ჩემი გამოქომაგება სჭიროდა დიტოს; მის ათასი მცველი და მთარველი გამოუჩნდება და ბოლოს მაინც დაახწევს თავს. ეს ვეჭილიც ხომ ამბობს, ვერაფერს დაუმტკიცებენო“.

ორიოდე კვირის შემდეგ სპირიტონს ასმითიც ეწვია.

დიდხანს მიაჩერდა სპირიტონი მის დაღლილ და სეფდიან თვალებს; ხარბად უტკერდა მისი სახის ყოველ ნაკვთს და სულ ეშინოდა — მალე არ მოშორებოდა ეს ქალი.

როგორც სრულიად გარეშე, შორეული ნაცნობი ისე ელაპარაკებოდა ეს ქალი მას; არც ერთი სიტყვა: ოჯახზე, კარ-მიდამოზე...

ეტყობოდა—მას სხვა, უფრო დიდი მწუხარება აწვა გულს და ვერც სპირიდონმა გაბედა რამეს კითხვა.

ღამნაშავესავეთ, თავდახრილი იდგა მის წინ, როცა ქალმა საკლავის ეზვნებოდა:

— შენ იცოდი, სპირიდონ, რომ ის ფერშალი ჯაშუში იყო და მაინც მოიყვანე. აკი, თვითონ მითხარ წინაზე. რად დალუპე დიტო? რად ჩაიღინე ეს?

— აღარ გჯერა ჩემი ასმით და რალა უნდა ვითხრა? გეფიცები სინიდისს, აღამიანობას, რომ მე არ ვეფიჭრობდი თუ ამას გვიხამდა. არ შეგონა...

ქალმა ამ ფიცზე არაფერი მიუგო; ეტყობოდა, აღარ ჰქონდა სპირიდონის ფიცს ძველი ფასი.

დიდხანს იდგნენ უზმოდ, ბოლოს ასმათს თითქოს დაენანაო, ჰკითხა:

— როგორ ხარ, სპირიდონ? ხომ არ ავადმყოფობ?

უნდოდა ამ ქალისათვის ხელი გამოეტაცნა და ზედ დაჰკონებოდა. მადლობა ეთქვა, რომ ის კიდევ მის ამბავს ჰკითხულობს, მაზე ზრუნავს; მაგრამ ვერ მოახერხა; უხერხულად შეინძრა, ფეხები ერთმანეთთან სულ ახლო მიიტანა და მიუგო:

— არა მიშავს. დიტო როგორღაა, ხომ გამომთელდა?

— კინალამ მოკვდა სპირიდონ. შენ რომ წამოდი იმ ღამით დაიჭირეს. ავადმყოფი წამოიყვანეს ქალაქში. მარტო ხომ ვერ გამოუშვებდი მომაკვდავ კაცს, ეთხოვე და მეც თან გამომაყოლეს. რა არ გადავიტანე გზაში სპირიდონ!.. ბოლოს ციხის საავადმყოფოში მოათავეს. ეხლა უკეთაა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან სუსტად გრძნობს თავს. ცარიელი ძვლებია, საცოდავი...

— მაგ უღმერთოებმა, ერთი ორი დღე ვეღარ დააცადეს?—ბრაზმორევით გააწყვეტინა სპირიდონმა.

ათასი რამ ჰქონდა სათქმელი ამ ქალისათვის, რომელსაც უკვე ორი თვეა ელოდებოდა, მაგრამ დარაჯმა აღარ დააცალა.

— კარვად იყავი სპირიდონ, ნახვამდის!—უთხრა ქალმა და გაშორდა.

როგორ მოხდა ეს, რომ არაფერი ჰკითხა ამ ქალს სახლის შესახებ? არც ის, თუ როდის მოვიდოდა ხელახლა მის სანახავად? რა საჭირო იყო ზეღაბლა დიტოზე ლაპარაკი, ტკივილების გაღვიძება?..

როცა სპირიდონი თავის კამერაში იჯდა, ვერ იქნა, დიდხანს ვერ მოისახრა; რა აწვა მას გულზე ასე მიძიმედ?.. რად იყო ის ასე უბედური ასმათის ნახვის შემდეგ? რა უთხრა ქალმა ასეთი გულ-საკლავი? ძლივს მოიგონა...

„ჯაშუშობაც შემწამა, ამისაც მოვესწარი“.. ნაღვლიანად იმეორებდა ის, როცა ყველას ეძინა. „ასეა, როცა აღამიანი აღარ გიყვარს, გეზიზღება, მაშინ ყოველ სისაძაგლეს მოაწერ მას. განა წინად მოუყიდოდა აზრად ამგვარი რამ ჩემ შესახებ? რით დავარწმუნო, რომ ამ საქმეში წმინდა ვარ? როგორ დავაჯირო?“..

და მან ერთხელ კიდევ გადააელო გრძნება მთელ თავის წარსულს. უნდოდა რაიმე მაინც გამოენახა, რისთვისაც შეიძლებოდა მისი გაძლევა, გულიდან მოგლეჯა.

რა ქნას, რომ ვერაფერი ჰპოვა ასეთი? ან, შეიძლება მას ბევრი არ ესმის; შეიძლება—სხვები სხვაფერად მსჯელობენ მის „გულ-კეთილმეტყველებას“.

განა მას არ ეგონა, რომ ეს გოგონა გააბედნიერა? ყველაფერი მისი ცნობებით და განცხრობით ააყვას? ნამდვილად კი რა იყო? მონად აქცია, გული და გონება დაუშვა, ახალგაზრდობა დაუქცნო; ერთხელაც არ ჩაიხედა მის სულში და უმსგავსოდ სრესდა ამ ნორჩ და სპეტაკ სტულს.

რამოდენიმე დღის შემდეგ ბელახა გამოიხმეს სპირიდონი. დიდხანს უცქერდა ამ სუფიად გამოწყობილს და თბახუქუბა ლამაზ კმაწვილს ასე ნდომით რომ უღიმოდა სპირიდონს და ათასნაირ იმედებს აძლევდა; უნდოდა მოეგონებინა სად ენახა ის წინაღ? მაგრამ ვერას ვახდა.

— უკაცრავად ბ-ნო, ვერ გიცანით.—ბოდიშით უთხრა სპირიდონმა.

— ნოე ვარ. არ ვახსოვთ—ჩემთან ორჯერ-სამჯერ იყავით; სვიმონმა მოგიყვანათ. მოგონა ძლივს სპირიდონმაც—ეს ხომ კბილის ექიმი იყო, რომელთანაც კრებებზე წაიყვანეს ზამთარში.

რა კარგი იყო ის დრო, რა იმედებით და სიხარულით სავსე... მაშინ ასმათი მისად ეგულებოდა და შხად იყო მთასაც დატაკებოდა.

ბევრ უცნაურ რამეებს ლაპარაკობს ეს კაცი: ფრთხილად, მოვლით ცდილობს—ერბაშად არ ატყინოს გული ამ მივიწყებულ ტუსაღს, რომელმაც უკანასკნელი განძიც კი უნდა გაუშვას ხელიდან; მაგრამ სპირიდონი ისევე იმ საარაკო წარსულზე, იმ ზღაპარზე ფიქრობს და ეშინია გამოფხიზლებს.

— ძნელია ამხანაგო... მესმის ყველაფერი,—ამბობს ეს კაცი, „მაგრამ შენ როგორც პარტიის კაცი ფხიზელი უნდა იყო; ყველაფერი უნდა აიტანო, ხომ იცი, ძალით აქ ვერას გავხდებით. ბევრი ველაპარაკეთ ასმათს, ეთხოვეთ, მაგრამ არ შვრება, ვერ დაეიყოლიეთ. ეტყობა ძალიან უყვარს ის კაცი—ჩვენ მართო სიკვდილი თუ დავგავშორებსო. მოწინავე ამხანაგი ხარ და მიხედვები ყველაფერს, ქალს თავისუფლება უნდა მისცე, იქნება მართლაც ეს იყოს მისი ბედი.

— რა უნდა მერე ჩემგან? თავისუფალი არაა? აქამდის კი მკითხა რამე?—ძლივს ამოილაპარაკა სპირიდონმა.

— უნდა მისცე ფორმალური განქორწინებაც. ვიმეორებ ამბ. სპირიდონ, ძნელია ჩემთვისაც ამის თქმა, ასეთი მძიმე დავალების შესრულება, მარა რა ვქნა...

— ცოტას ველარ დიციდიდა? ხომ არ კვდები აქ? იქნება როდისმე მეც გამოვიდე.

— კი, მარა დიტოს ჩვენ ნებაზე არ აცდევინებენ. ამ ორ-სამ კვირაში ასახლებენ.

— როგორ თუ ასახლებენ? მერე ასმათი?—იკითხა გაკვირვებით სპირიდონმა.

— საქმეც მაგაშია, რომ ასმათი უნდა თან წაყვეს.. არ იშლის.

— უნდა მთლად დაღუპოს ეს ქალი? სად შეუძლია მას ციმბირში ყოფნა?

— რას იზამ ძმო? ხომ იცი, ეს პირველი მაგალითი არაა; მერე რამე მოხერხდება, იქნება სულ მალე დაბრუნდენ.

ეხლა მოვიდა სპირიდონი გონზე, მიხვდა რომ სამუდამოდ ეკარგებოდა ასმათი და იქნებ თვალითაც ვერასოდეს ენახა.

ეხლა უნდოდა ყველაფრის თქმა ამ კაცისათვის, უნდოდა მოციქულად გაეგზავნა სვიმონთან, სხვა უფროს ამხანაგებთან—რომ არ დაედღუპათ ტყუილ-უბრალოდ ეს ქალი, მაგრამ არც ეხლა დააცადა დარაჯმა, მაგრა მოჰქიდა ხელი და მოაშორა ნოეს.

— მაშ ასე სპირიდონ! ხო ხედავ—სხვა გზა არა გვაქვს. ახლა გვმართებს კაცობა...

— უკაცრავად ვარ, მარა მაგ დარიცხვას ვერ მივიღებ,—ცივად მიუგო სპირიდონმა და ხელიც აღარ ჩამოართვა ისე გაშორდა.

ისევ მარტო დარჩა მწიარე ფიქრებთან.

— მოციქულებსაც მიგზავნის,—ამბობდა ის, „ის კაცი საყვარლად დაიჯინა და ეხლა მთხვეს ვაჟურობო კიდევ... ამხანაგებიც ასეთი უნდა, კარგ რჩევას არ მაძლევენ? ამის იმედი მქონდა მაგათგან?! ეხ, უბედურო ჩემო თავო! ყველგან ერთია, ყველგან უსამართლობა და სუსტის ჩაგვრა: დიტო რო ჩემზე ძლიერია, ამიტომ უნდა დამიჯაბნონ? ჩემი ცოლიც მის უნდა უფეშქაშონ? ვერ მივართვი“...

და მას მართლაც ეგონა, რომ მისი „ნებართვა“ აქ გადამჭრელი იყო.

გიჟი ხომ არ იყო?! ეტყობოდა, რომ კანონსა და სამართალს მისთვის რაღაც უფლება კიდევ დაეტოვებინა ამ ქალზე და განა ეს უკანასკნელი სადავეც ძალად უნდა გაეშვა ხელიდან. მთლად ქვეყნის სამასხაროდ გაეჩადა თავი? მთელი ღამე მოუსვენრად ბორგავდა; კიდევ აიძუდინებდა თავის თავს.

მაგრამ, როცა მეორე დღეს თვითონ მისივე ადვოკატიც ისევ იმავე სიტყვებს უმეორებდა და არწმუნებდა, რომ ორივე მხარესათვის ასე სჯობდა, საბოლოოდ შეერყა ეს იმედი. მიხვდა, რომ ძლიერ მოპირდაპირესთან ჰქონდა საქმე; რომ მისი დამცველიც კი დიტოს მხარეზე იყო.

— კარგი, მოვიფიქრებ!.. ცოტა დრო მაინც მომეცით. ხომ უბრალო საქმე არაა... სთხოვა ბოლოს სპირიდონმა. ვეკილმა ჩვეულებრივად, ორახროვნად გაიღიმა; ეტყობოდა—მისთვის აშკარა იყო, რომ ეს კაცი გატყდა და მას სხვა გზა არა ჰქონდა.

— ასე სჯობია, მერწმუნე ამხანაგო,—უთხრა გამოთხოვებისას ვეკილმა, სულ ერთია—ქალი შენთან მაინც აღარ მოიციდის აწი. თვითონაც დაიტანჯება და იმ ყმაწვილსაც დასტინჯავ. არ ღირს!.. აბა ასე! მე ყველაფერს გამოვაწყობ... და გამარჯვებული ვეკილი გაშორდა სპირიდონს.

— ჩემს ტანჯვაზე კი აღარ ფიქრობ შე უღმერთო? მე რაღას მერჩით რო ყველა ასე გადამიდექით?—ნალღლიანად იმეორებდა სპირიდონი და ზიზღით უცქერდა ტუსალებს—მის კერძს რომ ასე ხარბად ინაწილებდენ. ტყვილად ფიქრობდა სპირიდონი, რომ მას რამდენიმე დღით მაინც მოასვენებდენ და მოფიქრების დროს მისცემდენ.

მეორე დღესაც გამოიხმეს. „ძალიან არ მომიხშირეს! როგორ მიჩქარიან ეს „მეგობრები და ამხანაგები“... ვაიფიქრა მან და წარბშექმუბენილი დაეშვა

კიბეზე; ცდილობდა ეხლა მაინც მტკიცედ შეხვედროდა ამ არამკითხველ-
ველებს, ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებია ეს არამზადები, მაგრამ უნდა
მოთელი სხეული მოედუნა და გონება აერია, როცა მის წინ მტირალი ასმათი
დანიანა.

— ასმათი ხარ?—სთქვა მან, როცა შეამჩნია, რომ ქალს ლაპარაკი აღარ
შეეძლო.—რა ვატირებს შე ქალო, რა მოხდა?

— მაპატიე სპირიდონ—ლულულელებდა ქალი და ღვარად ჩამოსდიოდა
ცრმელები.—არ მეგონა თვითონაც არ ვიცოდი თუ ასე მოხდებოდა. მეც ბევრი
ვიტანჯე; ბევრი ვადავიტანე, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ველარ შეგველ სპი-
რიდონ...

— კაი ქალო, ნულარ სტირი, დამშვიდდი...

— მადლობელი ვარ სპირიდონ ყველაფრისათვის, დიდი მადლობელი! მე
ვიცოდი, რომ შენ ყველაფერს მიმიხედებოდი და მაპატიებდი. ვიცი, რომ შენ
ისე ვიყვარე; ძნელი იყო შენთვის, მაგრამ მეც ხომ... რა უნდა მექნა მეტი?
და ქალმა მაგრად დაუჭირა ხელი.

უსიტყვოდ, გაფითრებული იდგა სპირიდონი: თითქოს ვერ მიმიხედარიყო—
რის მადლობას უხდიდა ეს ქალი...

— კარგი ასმათი!.. მადლობელი მე ვარ, რომ ისევე მნახე.

— წუხელისევი მინდოდა შენი ნახვა, როცა შენმა ვეჭილმა პასუხი მოგვი-
ტანა, მაგრამ ვიცოდი, არ შემომიშვებდენ შენთან. იცოდე სპირიდონ, მე არა-
სოდეს, არასოდეს არ დაგივიწყებ შენ, არ დაგივიწყებ შენს კეთილშობილებას,
მეგობრობას... და სპირიდონმა იგრძნო, რომ მისი ხელი დააღბო ქალის ცრემ-
ლებმა. გაათბეს ეს ხელი ქალის რბილმა ტუჩებმა...

— ასმათ! გჯერა ეხლა მაინც, რომ დიტოსთან მე დანაშაული არ ვიყავე?
რომ ის კაცი გზარახ არ მომიყვანია?...—ნელა ჰკითხა მან, უცნაურის ტკბილის
სმით...

— მჯერა, მჯერა სპირიდონ! შენ კეთილშობილი და პატიოსანი იყავ მუ-
დამ. მაპატიე, რაც გაწყენინე, დაივიწყე!

— შენც დაივიწყე ასმათ! გახსოვდეს, რომ მე შენ მუდამ მეყვარები, რომ
მე... მე... და მან მხარზე დაუსვა ათრთოლებული თითები.

— როდის მიღიბართ ასმათ?—ჰკითხა თავშეკავებით სპირიდონმა.

— არ ვიცი, როდის გაგზავნიან დიტოს; ამზობენ, ორ კვირაშიო.

— როგორ აიტან შენ ეტაპით მგზავრობას? იცი, ეს რა ძნელია, ასმათ?

— მგონი მოხერხდეს და ჩვენი ხარჯით გაგვიშვან რკინის გზით.

— ფული გაქვთ საყოფი?

— აშანაგებმა მისცეს დიტოს.

— სახლში რაც რამ იყოს, წაიღე. მთლად გააყიდვინე სიმინდი.

— არა სპირიდონ, სიმინდი ოჯახს დასჭირდება. შენ მალე გაგიშვებენ;
შენმა ვეჭილმა სთქვა—დიდი, ორი თვე გააჩერონო.—ისევე ტირილით მიუგო
ქალმა.

— არა შე ქალო, მე რა მიჭირს?! იმდენს ყოველთვის ვიშოვი... გააყიდ-

ვინე ეხლავ. იქნებ ორიოდე ქცევა ყანაც ვაპყიდო; მაინც ბევრო მატკეს, ირაკლი ხომ სახლშია?

— კი, სახლში არიან ის და ეფროსიმე, ეფროსიმეს დედასი მატალიაც ჩვენსაა ჯერ, დარჩება სანამ შენ დაბრუნდებოდე.

— ასე ქენი ასმათ. თუ ჩემი ხათრი გქონდეს; ვინ იცის, როგორ დაგქირდება...

— აბა ნახვამდის ასმათ, — უთხრა ათროლემულის ხმით სპირიდონმა, როცა გამოთხოვების დრომ მოაწია. — თავს გაუფრთხილდი. თუ როდისმე რაზე დაგქირდეს, ხომ იცი — მე შენთვის არაფერს დავიშურავ.

— გმადლობ სპირიდონ. შენს სიკეთეს მე და დიტო ვერ დავეიფყვებთ.

— ხომ მნახავ კიდევ?

— გნახავ, უმკველად გნახავ სპირიდონ! — და ქალმა მაგრა დაუქირა ხელი.

* * *

დიდხანს ელოდა სპირიდონი ასმათს; დღეები გადიოდნენ: აი, ორი კვირაც მიიწურა, მაგრამ ქალი არსა სჩანდა.

„ეხ, როგორ მალე დაივიწყა დაპირება“, ფიქრობდა ის, „ეხლა, როცა ყველაფერი გათავდა, როცა ის სულ „თავისუფალია“ ჩემგან, რაში ვქირდები? მაგრამ ცდებოდა სპირიდონი, ასმათი უფრო სათნოიანი და კეთილი გამოჩნდა.“

მართალია, სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ესტუმრა სპირიდონს გამოთხოვებისას.

სპირიდონი დიდხანს ათვალეირებდა ასმათის თბილ მოსახურავს და ხელითაც კი სინჯა.

— თბილი საბნებიც უნდა წაიღოთ, ხო იცი, იქ ეხლა ზამთარია.

— მიგვაქვს, ყველაფერი ვიყიდე.

— ფეხზეც ძალიან თბილად უნდა გეცვეს... — არ იცოდა რალა უნდა ეთქვა კიდევ. გრძნობდა, რომ ეხლა — ამ უკანასკნელ წუთს საჭირო იყო რალაც უცნაური ნაზი და თბილი სიტყვები, მაგრამ რომ ვერ მოსძებნა?!

— ჯეგბე როგორაა? დედამ იცის?

— იციან. ჯეგბე ეხლა აქაა, მომეხმარა რაც კი შეეძლო. სიმინდიც იმან გამაყიდინა.

„მაშ ისიც გადამიღგა? ჯეგბეც ეხლა დიტოს მოეხმარა“. — გულდაწვევით გაიფიქრა სპირიდონმა.

— როდის მიდიხართ, ასმათ?

— ზეგ, სალამოს ხუთ საათზე გადის ჩვენი მატარებელი.

— ხო... ზეგის წინ სალამოს ცხრის ნახევარზე ბალაჯარაში იქნებით. იქიდან პირდაპირ რასტოვის მატარებელში ვადაჯდებით და... — სპირიდონმა დაწვრილებით აღწერა მარშრუტი, სანამ იცოდა. — იქეთ. ციმბირის გზის შესახებ კი ვერაფერი უთხრა, უცხო იყო მისთვის ასეთი შორი მოგზაურობა.

ისევ გამოჩნდა ეს საშინელი აჩრდილი გულ-ცივი დარაჯისა. სპირიტუალური წყლიანის თვალებით, ვედრებით შეხედა მას; თითქოს სთხოვდა—ერთი წუთი კიდევ ეჩუქებინათ მისთვის; აკი, მისი ცხოვრება სამუდამოდ თავდება; გაუგებრობა ეს აღსასრული ოდნავ მაინც.

დარაჯმა იგრძნო და თავი დახარა.

— მშვიდობით სპირიტონ, ნუ დამივიწყებ!—და ისევ ახლოს მიიტანა ქალმა მისი ხელი, ისევ იგრძნო თითებზე ცხელი ტურების მიკარება.

— მშვიდობით ასმათ!—და ნელა მიიტანა ქალის თავი ტურებთან; შუბლზე დააკრა ხანგრძლივი, ჩუმი კოცნა.

— დამილოცინიარ, ასმათ! იყავით ბედნიერი!.. ორივენი ბედნიერი...

ქალმა უკებ მოხვია ხელები და ტურებში მაგრა აკოცა. ცხელმა ელექტრომ დაუარა სპირიტონს. არ მოელოდა ეხლაც კი ასეთ ბედნიერებას.

— კეთილი მგზავრობა!—უთხრა მან, როცა ქალმა ტურები ახსნა.—მოიწერე ასმათ. მაგნობე ყველაფერი... ზომ იცი, მე აწი ველარ მოვისვენებ...

— მოგწერ სპირიტონ. შენც მომწერე შენი ამბავი. მხნედ იყავი...

— ასმათ, იქნებ მოხერხდეს თქვენი მალე დაბრუნება.

— ვინ იცის?—ღიტოს კი აქვს იმედი.

— როცა მოხვალ, მნახავ. წინდაწინ მაგნობებ.

— რასაკვირველია გნახავ, სპირიტონ.

კიდევ აკოცეს ერთმანეთს; ეხლა უფრო გაბედვით ორჯერ, სამჯერ.

— არ გაცივდე ასმათ, ფრთხილად! შენ რომ რამე მოგივიდეს, მე აღარ ვიცოცხლებ.—აქ კი ველარ შეიკავა ღიღის ხნით შეგუბებული ცრემლები.

— დამშვიდდი... კარგი. ჩემო სპირიტონ. ნუ, ნუ! თუ ვიყვარდე...—და დიდხანს უსობდა ქალარა თავზე ხელს ეს ქალი, რომელიც მასში ეხლა ახლო მეგობარს ხედავდა და იტანჯებოდა, რომ მარტო სტოვებდა.

იყოდა სპირიტონმა, რომ ვერას დაინახავდა, მაგრამ მაინც დიდხანს იღვა მაგიდაზე და დარკინულ ფანჯარაში იკვირებოდა. ან იქნებ იმიტომ, რომ ეს დაუსრულებელი ცრემლები დაემალა უგულო ტუსადთათვის.

მხოლოდ ორი თვის შემდეგ წაიყვანეს სპირიტონი სასამართლოში, უცნაური ჩნდა ქალაქის ქუჩები, ხალხი. აღარაფერს აღარ ჰქონდა მისთვის ინტერესი. თითქოს ყველაფერს სული ამოაცალეს და მის წინ ლეში ეგდო.

ასევე უსულოდ მოგზავნენ მას მოსამართლენი; მისი ვეჭაიცი, რომელიც წარა-მარა იქნედა ხელებს და წამოწითლებულ სახეზე ოვლს იბოცდა.

ეს მკვდრები შეყრილიყვინენ, ბჭობდნენ და მსჯავრს სდებდენ...

როცა განაჩენის დროს ყველანი ფეხზე წამოდგნენ, სპირიტონიც ადგა, უსმენდა, მაგრამ არაფერი ესმოდა ამ გრძელ და უშინაარსო სიტყვების, არც ეს „ერთი წლის ციხე“ გაკვირვებია მას. „რალა საჭიროა კიდევ გაგრძელება“—ფიქრობდა სპირიტონი, „დაესხდეთ ბარემ!“ მაგრამ თავმჯდომარე ისევ კითხულობდა ამ დაუსრულებელ განაჩენს, იხსენიებდა მუხლებს, რიცხვებს...

მხოლოდ ერთ სიტყვას მიუხვდა ის „მინისტრია“ ეს ზომ ნაჯრობი იყო. — როცა ვეჭილმა ხელი ჩამოართვა და მიულოცა, მარტო მაშინ მიხვდა, რომ

სრულიად გაანთავისუფლეს, არც ამან უთხრა რაიმე მის დაქალიერებულ გულს. მკედრებისაგან გაგონილი სიტყვები ვერ ახდენდენ მასზე შტაბკუდრულად.

„სად წაფიდე ეხლა?“ შეეკითხა თავის თავს, როცა ტანსაცმელს მკაფიოდ შეესწავა და კარები უკან მაგრა ჩაკეტეს. თითქოს მას აღარ ჰქონდა არც სახლი, არც კერა — აღირავეინ ჰყავდა ცოცხალთა შორის.

ნელა გაუყვა თოვლით დაფენილ გზას — თვითონაც არ იცოდა, რა მიმართულებით მიჰყავდა ამ მოღლილ მუხლებს..

* *

უფერულად და უსიცოცხლოდ მიდიოდნენ სპირიდონის დღეები. აღარ აინტერესებდა მას აღარც ოჯახი, აღარც სოფლის ჩვეულებრივი ფუსფუსი. აღარც თვისი ვენახი ახარებდა მას, გაზაფხულზე რომ ისევ შეიჭირა და მისმა ყვავილებმა იქაობას საამო სუნი აპკურეს. აღარც ყვავილებით და ვარდებით მოჭარბულ ბაღში უყვარდა სეირნობა.

ყველაფერი ძველებურად ლაღობდა აქ და შრუნველი ხელი არაფერს მოკლებია მის ოჯახში. ეფროსიმე და ირაკლი დაულაღავად ეზიდებოდნენ ნაკელს, სხლადდენ ნამყენს, ხვეტდენ ეზოს, მაგრამ სპირიდონისათვის ყველა ამან აზრი დაჰკარგა.

„რისთვის, ვისთვის?“ ეკითხებოდა თავის თავს სპირიდონი, „ცოლი მე აღარ მყავს და შვილი მე არ მიტირის — რად მინდა რამე? არც მე ვუნდივარ აწი ვისმეს, ჩემი სამსახურისათვისაც კი ზედმეტი შევიქნენ. ახალგაზრდობა და ჯანი ჩაეკალ ამ სამსახურს და ასე ერთბაშად და მოურიდებლად გამომიკეტეს კარები.“

არა; მაინც და მაინც არ სწუხდა ამ უმადურ სამსახურის დაკარგვას, მისი ოჯახიც გაიტანდა მას; მაგრამ ასეთმა მოპყრობამ კიდევ უფრო მეტად დაუზიანა გული.

არ ვგონა, თუ ასეთი უმადური და უგულო იქნებოდნენ მისდამი.

ველარც მისი ყოფილი ამხანაგი, ეხლა რომ განყოფილების მმართველია, მოეხმარა მას.

— რა გიყო ძმომ? მართალია სასამართლომ ამნისტიის ძალით გაგანთავისუფლა, მაგრამ დამნაშავედ გიცუნეს მაინც და ასეთ კაცს სამსახურში ვერ დასტოვებენ — ეუბნებოდა ის ტყდილობდა ჩქარა მოეშორებინა თავიდან ეს ძველი მეგობარი, რომელმაც თავის უკულობით სამსახურიც დაჰკარგა და ცოლიც.

შეურიგდა სპირიდონი ამ ყოფასაც და ისევ თავის კერას დაუბრუნდა.

— ან სად შემეძლო აწი სამსახური? ვანა მაგის გული მაქვს? — ეტყოდა სპირიდონი ირაკლის, — მოხუცდი ჩემო ირაკლი, აწი დასვენება მინდა. ველარ ხედავ, რომ სულ გავეთვრდი?.. აწი თქვენი ჯერია. კეუთი იყავი და არა გიშავს... ეფროსიმეს გაუფრთხილდი, მოუარე.

— რას ხუმრობთ ბ-ნო? რა დროს თქვენი მოხუცებაა; ახლა ზრძანდებით მოწიფულობაში. — ცდილობდა ირაკლი მის დანუგეშებას და ისევ ოჯახის საჭიროებაზე და აე-კარგზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს.

— ჩვენ მეზობელს—იოსებს ისეთი ძვირფასი ჯიშის ატმები აქვს, რომ თვალს ვერ მოაცილებ. სულ რუსეთიდან მოუტანა ნამუხრამისა კიდევ. არ დაეამყნათ ბ-ნო რამოდენიმე? გამოვართვა?

რა ოხრად მინდა ან ის, რაც არის?! ეინ მოესწრება აწი მის ნაყოფს?

— რატო ბრძანებთ ბ-ნო, იოსებთან მეორე წელზე მოისხა. მერე და ქალბატონს რანაირად უყვარდა ატმები... ერთხელ ხო მოვა და გიხიბარებს, — და ირაკლი ისევე აგონებდა სპირიდონს მისთვის დაუჯერებელ ამბავს, რომ ქალბატონმა გამოთხოვების დროს ბევრი იტირა და დაჰპირდა, რომ როგორც კი რუსეთიდან დაბრუნდებოდა, ისევე ნახაუდა ამ ოჯახს, ისევე მოაკითხავდა აჭაურობას.

დიდი ხანია ესმის ყველა ეს სპირიდონს; უნდა ყოველი სიტყვა კარგად დახსნას, გულში ჩაიხეიოს, უფრო და უფრო დაწვრილებით გამოჰკითხოს ირაკლის, მაგრამ რა აზრი აქვს ამას? მას ხომ არ სჯერა ეს ზღაპრები!

როგორ შეიძლება, რომ ასმათი ისევე მის ოჯახს და მას დაუბრუნდეს?..

ვის უნახავს, რომ ჩიტი, რომელმაც გალიის კარი შემთხვევით ღია ნახა და ჰაერში შეფერთხილდა, თავის ნებით ისევე გალიას დაბრუნებოდა?!. განა მას არ ჰქონია ამ გალიის გასაღები? რად იყო ასეთი უგუნური, რომ კარები ღია დაუტოვია...

ეხ, გვიან ისწავლა სპირიდონმა ჭკუა!

ასე მსჯელობს სპირიდონი და მთელი დღეები ოთახიდანაც არ გამოდის;

დადის სახლში და კიდევ და კიდევ ათვალეირებს ყველაფერს, რასაც ასმათის ხელი შეხებია, რასაც მისი კვალი აშჩნევია. საათობით სდგას ასმათის საწოლთან; ნელა უსობს ხელს მის ბალიშს, აბრეწუმის საბანს და სთხვეს — ნუ დაივიწყებს მოხუც სპირიდონს, ერთხელ მაინც ანახოს თავისი თავი, მოსწეროს მაინც რამე: როგორ იმეზავრა, როგორ მოეწყო?.. ან სპირიდონის მიერ გაგზავნილი ფული თუ მიიღო? თუ მართლა გადაუგზავნა იმ მოხელემ — სპირიდონი რომ დაანუგემა ამას წინადა ქალაქში. ნუ ეწყინება ეს დახმარება; აკი, ისინი მეგობრებად უნდა დარჩენ, აკი დაჰპირდა ასმათი ამ მეგობრობას...

ერთხელად გააღებს შკაფს, გამოსწევს ყუთებს. აქ კიდევ მრავალია ასმათის ნივთები... თითქოს ის მართლაც ფიჭობდეს დაბრუნებას; ან იქნებ როდისმე მოაკითხოს კიდევ ამ ნივთებს, იქნებ დასჭირდეს ყველა ეს — სულ ხომ იმ დასაქცევ ქვეყანაში არ იქნება? და ათასნაირი ფიჭობები კვლავ იწლებიან სპირიდონის გონებაში.

იმედი, ეს წვეული იმედი მაინც არ სტოვებს მას სამუდამოდ და ამ დროს ის ხელახლა გამართავს მოლლილ ბეჭებს, ოდნავ გაუბრწყინდება საბე და ეხოშიც გაივლ-გამოივლის.

ირაკლი და ეფროსიმე უცებ ამჩნევენ მის ასეთ ვახალისებას, და ცდილობენ როგორმე გააგრძელონ ეს წუთები.

ორივენი უკან დადევნენ; ხან ხარბთან მიიყვანენ, ხან ვენახთან, ხან ბალთან... აწვდიან ხელში სასხლავს, ცულს, ჩაქუნს. ძალიც უცნაურად ხტის და სიხარულით განუწყვეტლივ ყფის, წინ გადუბტება და ფეხ-ქვეშ ეგება სპირიდონს.

— კიდევ უნდა გავყვიდით ირაკლი სიმინდი, ას ფუთამდი მაინც... ამბობს სპირიდონი და სასიმინდეს შესცქერის.

— მეტი მოგვცია ბ-ნო, — ძლივს ბედავს ენის შებრუნებას ირაკლი, — აგერ ახლა გავყვიდით ასზე მეტი. ოჯახს რომ შეაკლდეს?

— მაშ ერთი-ორი ქცევა აღგილო უნდა გავყვიდო გალმა.

— ცოდვია ბ-ნო იმის ჩამოჭრა.

— რას სულელლობ ბიჭო?! ადამიანი უფრო ცოდვა არაა? ვინ იცის როგორ უქირს, ვინ დაეხმარება იქ?.. მისი არაა ყველაფერი? ეს უნდა დაეამაღლოდ შას?.. სირცხვილი არაა მაგაზე ლაპარაკი?..

— როგორც გენებოს ბ-ნო. მკონია, სამოც ფუთამდე კილო შეგვიძლია გავყვიდით. კი იქმარებს ახალ მოსავალამდე. — მაგრამ ატყობდა, რომ ბატონის რისხვა თანდათან უფრო ძლიერი ხდებოდა.

— ასე იცით თქვენ... შეგირცხვათ თავი! — უყვიროდა სპირიდონი და თანდათან უწევდა ხმას — აქაც რო იყო, არც მაშინ ასვენებდით; ყველაფერს ამადლიდით... უბრალო დედაკაცივით ამუშავებდით... — დამნაშავესავეთ თავჩაქინდრულნი იდგენ ირაკლი და ეფროსიმე.

— შენც ვერ გქცვოდი ღირსეულად ეფროსიმე; კი გატყობდა, მარა არას ამბობდა; არ უყვარდა ვისმეს წყენინება; გულში იხვევდა. არ იყო თქვენში გასარევი და ამიტომაც მოგცილდათ დროზე... — და სპირიდონი ზურგს შეაქცევდა მათ, ცუღს შორს გადაისერიდა და ბუზღუნით სახლისაკენ გაუჭარბებდა.

დიდ ხანს დადიოდა ოთახში ბრაზ-მორეული, ვილაცაზე უზომოდ გაჯავრებული, იგინებოდა თავისთვის...

შემდეგ ფანჯარასთან მიდგებოდა და გამვლელთ ათვალიერებდა.

„აი ამოგივარდათ რაგული, აღარ დაანებეთ ამ წანწალს თავი? — ჩაილაპარაკებდა გულმოსული, როცა კისკარში ჩამომსვლელს ვისმეს დაინახავდა.

— ბიჭო, — დაუძახებდა ისევ ირაკლის, — ბარბაღე არ ვნახო ჩემს ეზოში ფეხშემოდგმული, თვარა ცოცხალს არ მოგარჩენთ ორივეს. არც ბათლომე... სულ დაეაღობ თივას და მაგ წუწუკებს არ მივყიდი, გესმის?

— რა უნდა ბ-ნო? რაეა შამოფშობ!!! — და ირაკლი ფიქრობდა, რომ ბატონს უკვე მეხსიერებაც თანდათან ეკარგებოდა: რამდენჯერ მისცა მან ეს განკარგულება, რაღა საჭირო იყო ისევ იმავეს მესვეჯერ გამეორება?

— წადი! ეფროსიმეს უთხარი — ქალბატონის ტანისამოსი მზეზე გაფინოს... ამისთანა დღეა. ან იქნება მართლაც ფიქრობს, რომ ეხლა მისია ეს ყველაფერი? რომ ეს მავას დარჩა? ვერ მივართვი — სანამ მე ცოცხალი ვარ, აქ ვერაფერს ახლებს ხელს მისას... მოვა და თვითონ იცის — ვის რას აჩუქებს. კი მოვა ერთხელ, კი მოაკითხავს მის ტანისამოსს...

რატო იკადრეთ ბ-ნო! რაეა გაბედავს და ხელს ახლებს რამეს — მოვკლავ... მუდამ ასე თავედებოდა სპირიდონის გამოხალისება, და ირაკლი და ეფროსიმეც დარწმუნდნენ ბოლოს რომ სჯობდა ბატონი ისევ თავისთვის ყოფილიყო სახლში გამომწყვდეული, უსიტყვოდ ელამებინა და ეთენებინა. — სადმე მაინც გადა-

გაიტაცა; მარა რომ იცოდეთ—როგორ ტირილით დანშორდა; თავდას მივუბნებოდა: მითხარი და დაფრებო, ისევ შენთან ვიქნებო... რა ქვეყნის მშენებელი რომ ის კაცი უყვარდა, უმისოდ ვიღარ ძლებდა. ძალად დამეჭირა?

— ძალათ რაფა იქნება? რა გემო აქ; მასე ჯობდა—მიყოლა ჯობდა, —ეუბნებოდა კოწია და უვსებდა ქიქას.

— ჰო და, მეც მივყვი. ვიფიქრე, ბავშვია, მალე ჩახვთება ისევ თქვა..

— იცოცხლე შენც და მეც—სპირიდონ—ის მალე ჩახვდეს...—დაანუგეშა ლაზარემ.

— ჩახვთება და თავათ ინანებს. მალე ვნახავ, რო გეხვეწებოდეს შერიგებას. და უნდა შეირიგო კიდევ, რას იზამ...—უჩიოდა კოწიამ, რომელიც კარგა კითხულობდა მის გულში ყოველ საიდუმლოებას.

— აბა ქვას მივადგებ შე კაცო? რაფა გეკადრება; მე მაგნაირი კაცი არ ვარ—კარგად იცის თავათ ჩემი გულის ამბავი. შენ ჯერ ვერ მიცნობ...

შენ ვერ გიცნობ სპირიდონ?—იწყინა კოწიამ, არ ვცხვენია—მაგას მეუბნები? შე ვერ გიცნობ, შენ? შენი გულის ამბავი მე არ ვიცი?...

— კი, ქე მიცნობ, მარა იმასავით მაინც ვერა; სამი წელიწადი ერთად ვიყავით... კოწიამ, რომ უფრო დაემტკიცებინა თავისი ერთგულება, მაგრა ჩაიქრა გულში სპირიდონი და გადაკოცნა, ეხლა ლაზარემ გამოართვა მისი თავი და მანაც ზედი-ზედ გადაკოცნა.

დიდ ხანს გაგრძელდა ეს აღერსი და ლხინი, არაფერი ჩარჩენია სპირიდონს გულში, ყველაფერი უმზილა მეგობრებს.

კოწიამ სახლშიც კი მიაცილა.

მძინარე ეფროსიზე წამოაყენეს და ორი ბოთლი ღვინო მოიტანეს.

ყველაფერი აჩვენა სპირიდონმა კოწიას—ასმათის ნივთები, მისი სურათი.

— შე კაცო, ყველაფერი აქ დოუტეებია და მოვა, აბა რას იზამს!

— ქე არ გითხარი... არაფრისთვის უხლია ხელი... მეც ყველაფერს შევწინახე და მერე თავათ იცის.—დიდ ხანს მუსაიფობდენ ტკბილად.

— რას ამბობ, სად გაგიშვებ ამ ლამეში?.. უნდა დარჩე.—ეუბნებოდა სპირიდონი, მაგრამ სტუმარს ბევრი თხოვნაც არ დასჭირდა...

ეფროსიმემ წინა ოთახში გაუშალა ლოგინი და სთხოვა.

გმადლობ!—უთხრა კოწიამ და ეშმაკურად გაუღიმა გოგოს, რომელმაც

მისი თვალები ვერ აიტანა და წასვლა დააპირა.

— სა შირბიხარ? კი არ გკამ, შე ქალო... რის გეშინია? ერთ ქიქა წყალს ვერ დამალეუინებ?

ქალმა წყალი მიაართვა, კოწიამ ქიქა ჩამოართვა და მკლავზე ნახად აუსვა ხელი.

— მითომ რითი გჯობდა შენი ქალბატონი, ვაშლივით გოგო ყოფილხარ..

— არ გეკადრებათ მაგი... ცივად მოუგო გოგომ და ჩქარა გავიდა.

მოუხშირა კოწიამ სპირიდონთან სიარულს, ძალიან მოეწონა მისი ბარაქიანი ოჯახი. ამჟამაც კი დაიწყო: თამამად ითხოვდა ყველაფერს და სპირიდონს ასმათზე დაუსრულებელ ლაპარაკს თმენით და ღიმილით უსმენდა.

კოწიას ანგარიშით ასმათი ხუთ-ექვს თვეში უნდა დაბრუნებულიყო. — მეტს ვერ ვაძლავდა იქ, სპირიტონსაც თითქოს სჯეროდა მისი გამოსაღწევის. კალის გულის ამბავი მასავით აბა ვინ იცოდა? როცა სახლში ერთ-ორ ბოთლს დალევდენ აღარ ასვენებდა კოწია და ისევ ბაზარში მიჰყავდა სპირიტონი.

— ოჯახში ღვინო ბევრია და ბური; სხვაგან რას მიბრძანდებით? — საყვედურით მიმართავდა ირაკლი.

— შენ არავინ გეკითხება კეთის სწივლებას — შეუბღვერდა კოწია და კარებზე მიუთითებდა ირაკლის.

ერთ ღამეს ძალიან ნაწყენი დაბრუნდა სპირიტონი და არც კოწია მოუყვანია თან. შეატყო, რომ მის მეგობრობაშიაც მოსტყუვდა. ერთხელ, როცა კარგად შეზარხოშებული ღუქანში ისხდნენ, ფერშალი უსაჩოვი შემოვიდა, დახლთან მივიდა, პალტოს საყელო აიკეცა და დიდი ჭიჭით არაყი ითხოვა.

სპირიტონმა იცნო — ერთბაშად აცახცახდა.

— ეხლავე გაეთიროს აქედან მაგ წუპაკი, თორემ მოვკლავ! — ღრიალებდა ის.

— რა მოგივიდა კაცო? დაწყნარდი! — აჩერებდნენ კოწია და ლაზარე.

— მაგან დაამხო ჩემი ოჯახი, ამომავლო... გაეთიროს მაგ ჯაშუში, მაგ იჟდა. არ ნახოს ჩემმა თვალებმა...

რუსმა შეატყო, რომ საქმე ცუდათ იყო და დააპირა შერიგებით მოებრუნებინა სპირიტონის გული, შორიდან გაუღიმა სპირიტონს და ერთი-ორი ნაბიჯი მისკენ გადადგა. აენტო სპირიტონი. უკებ ბოთლს ხელი დააეღო და მთელის ძალღონით ესროლა. ფანჯარა ჩხრილით ჩაიღეწა.

— ჯაშუშო, გამყიდველო, გაიძვერა!.. სანამ გინდა იმალო? — ღრიალებდა გონებადაკარგული სპირიტონი, რომელიც ლაზარეს და მეღუქნეს მაგრა ეჭირათ ხელში და ცდილობდნენ ძალად დაეჯინათ სკამზე.

კოწია კი რუსს ყელზე ეხვეოდა, ჰკოცნიდა და ბოდინს იხდიდა.

— გიჟია, მთვრალია!.. აპატიეთ ნიკოლაი გრიგორიჩი... რაც ცოლი გაეჭკა, მას მერე სულ დაკარგა გონება. არ გეკადრებათ მაგისთანაზე ხელი გაისევართ, — ეუბნებოდა კოწია რუსს და დახლისაკენ ეწეოდა.

— კოწია! შევარცხენინ შენი ვაჟაკობა, ესაა შენი მეგობრობა? თფუ! — მიაფურთხა სპირიტონმა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

მეღუქნეს გაუსწორდა და სთხოვა, იქედან გაეყვანა, ფრთხილმა მეღუქნემ ხელი მოჰკიდა და უკან კარებით შინისკენ გაუშვა.

იმის შემდეგ სპირიტონმა ღუქანში სიარულსაც თავი გაანება.

იჯდა მთელი კვირეები მარტოკა და რალაცას ელოდა; რას, ვისგან — ეს თვითონაც კი არ იცოდა.

ეხლა სულ ძვირად გაივლიდა ეზოშიაც, ორ დღეში ერთხელ თუ აივლიდა მდინარის პირას და უბზროდ იცქირებოდა მის სიღრმეში.

ორჯერ დაინახა მტრიალი ეფროსიმე სამზარეულოს წინ მჯდომარე, უნდოდა ეკითხა რამე, მაგრამ არაფერი უთხრა, — აღბად, მასაც აწუხებს ასმათის გადაკარგვა, — გაიფიქრა მან და ხელახლა სახლში შევიდა.

სიბრაალულით აეცსო გული ამ გოგოსადმი. რად აწყენინა მას? რამდენჯერ

უსაფუძვლოდ უსაყვედურო, თითქოს ასმითს ცუდი თ მოპყრობოდეს, თითქოს არც მყვარებოდეს თავისი ქალბატონი. ეხლა ეფროსიმე მისთვის ცუდელა შეეუფრო ახლობელი გახდა; რატომ ერთხელაც არ იფიქრა მის ბედზე? — ჩაატარა მკითხა — როგორია ქორწილის საქმე?

— ეფროსიმე, — დაუძახა მან.

ქალი შემოვიდა და ნამტირალევი თვალები ამოიწმინდა.

— რა იყო? რა გატირებეს? ხომ არაინ გაწყენინა?

— არაფერი, არაფერი ბ-ნო — და ქალს ისევ წასკდა ტირილი.

— არა, მაინც?.. სთქვი შე ქალო, რაღაცას მიმალავ.

— არაფერი!.. არ შემიძლიან, არა.. მომკალით — დაიღრიალა ქალმა და გიჟივით გავარდა.

დიდხანს იდგა სპირიდონი ვაფთვრებული; რა უნდა ყოფილიყო ასეთი?

რა მოუვიდა ამ გოგოს? რაშია საქმე? იმეორებდა სპირიდონი და ცნობისმოყვარეობამ სულ აიტანა; კარი გამოალო და მიიხედ-მოიხედა, შემდეგ ჩქარის ნაბიჯით გასწია ყანისაკენ. ირაკლი სიმინდს სტებდა.

— ირაკლი! რა სჭირს იმ გოგოს? რა ატირებს ეს ერთი ხანია?

ირაკლი გაშრა, ტარო ხელიდან გაუვარდა, დაღუშდა...

— შენც მიმალავ არ გცხენია? — უსაყვედურა სპირიდონმა.

— რაღა გეკადრებათ ბ-ნო... თავით გეტყვისთ ალბად მის კაი ქალობას.

— არ მითხრა; ტირის და ხმა ვერ ამოვალეზინე.

— ეხ, ბ-ნო... ეხლა რაღა ღროის ტირილია. დაიღუპა თავი ძალად მავ უბედურის შეიღმა. შეირცხენია თავი, შეც შემარცხენია, თქვენი ოჯახიც.

— რას ამბობ ირაკლი?.. რა მითხარი ეს? — გაოცებით შეეკითხა. სპირიდონი.

— რაღა უნდა დაგიმალო ბ-ნო; შენ იყავი ჩვენი ერთგული და მწყალობელი ასე გადაგხადათ, ასე გასახელათ... და ჩემი კაცობა ხომ გაათავა... ვერჩივ, ვეწინინე... — დარდი ნუ გაქ, ბოვში არ ვარ, კი ვიცო კაი და ავიო და აი, ეხლა ქე იკლავს თავს, მარა რაღა ღროისა... —

— ვინ არის მერე ის წუწკი, არ იცი?

— რა გამივა ბ-ნო რო ვიცო. კანონი მაგათია და სამართალი. თქვენ ვეღარ გაგიბედეთ და მე მინდოდა გავსწორებოდი, მინდოდა ჯობით გამეპო მისი თავი, მარა დამასწრო, დააქერინა ჩემი თავი, ცუდა იმას მიუღდა: ორი დღე ციხეში მასურუტეს... იმ კვირაში მითომ დედობილთან რო გახდით, დაქერილი ვიყავი ბ-ნო. რა გაუვა ჩვენ კაცს?

— მაინც ვინ არის, ალარ მერე? — არ მოეშვა სპირიდონი.

— კოწივა, ბატონო. ვერ გაგიბედეთ, თვარა თავიდანვე შევატყვე რისთვისაც დაეთრეოდა აქანე ის წუწკი...

— კოწივე?.. — გაიმეორა სპირიდონმა და ხმას დაუწია; შემდეგ შებრუნდა და სახლისკენ გასწია.

როცა ეფროსიმემ მომავალ ბატონს თვალი მოჰკრა სამხარეულოში შევიდა და კარი ჩააკეტა. სპირიდონს გულს უღადრავდა მისი მწარე კენესა და გულამოხდარა ტირილი.



ლამით ირაკლი ოთახში შეიხმო და უთხრა:

— ირაკლი! რაღა ფიქრობ— ეფროსიმეს ბრალია მითუმეტეს ჩემი მისი ბრალია, მაინც რას დოუჯერა! რას მოატყუებია თავი იმ მსუნავს!..

— შეგიძლია აპატიო, დაივიწყო ყველაფერი? არ გეცოდება?— ჰკითხა სპირიტუალმა.

— მაგის სიცოდავემ დაიწყა. თავს იხრჩობდა წყალში, ძალად გადავირჩინე, არც დედამისისთვის შევატყობინებდი. რისთვის უნდა გაუმწაროს მოხუცებულობა?

— მართალი ხარ ჩემო ირაკლი. ყაზახი ყოფილხარ, რომ უნდა ისეთი. ვაქცავს ყველაფერს ვაქციურად უნდა შეხედო. არ შევიარჩინო იმას ბოლოს.

— საცხა კი გოდუხდი ბატონო, თუ ღმერთმა მანამი არ მომკლა.

— ირაკლი, გიყვარს ხომ ისევ ეფროსიმი?

— მიყვარს და შეცოდება მაგ უბედურო, აბა მეც აქ აღარ გაეჩერდებოდი.

— აბა, ქენი კაცობა: ნუ დატანჯავ შეტს; ეყოფა რაც ტირის; მერწმუნე— მისი ბრალი არაა. შოატყუა იმ უნაბესომ, მხეცმა, მაგიც გამოუცდელია.

— მართალია ბატონო, რა უნახავს ჯერ...

— ჰო და, ნულარ აყოენებ შეირთე ბარემ. შენი ერთგული იქნება მუდამ. ხუთ ქცევა აღვიღს მოგეცე საკუთრად. ამ სახლში ჯერ ყველა დავეტყუებ, მერე საკუთრად აიგებ პატარა ოდას და იცხოვრებთ ტკბილად. ყველაფერში დაგეხმარებით ორივეს— დარდი ნურათრის გეჭნებათ. კარგი?

— რით გადაგიხადოთ ბ-ნო ამდენი წყალობა, რა შემძლიანი?..

— კარგი, მაშ ასე. ოღონდ ქორწილი მალე, რას აგვიანებ?

რთველს მოვათავებთ ბ-ნო და თქვენი ნება იყოს.

— რას უყურებ შენ რთველს? ასე ქენი. ხუთი ქცევა, სადაც შენ და ეფროსიმი გინდოდესთ ამოიჩინეთ და შე თვითონ შემოგიღობავთ.

შეთანხმდენ...

სპირიტუალმა სპირიტუალად გღირსა ტკბილი ძილი.



ქორწილისათვის მზადებამ ოდნავ მწუხარება დაავიწყა. ყველაფერი ახალი უყიდა და შეაკერვინა სპირიტუალმა, დანიშნულთათვის. ბევრი ჰქონდა ასმას ისეთი, რაც მას აღარ ეკირებოდა და ეფროსიმი გამოადგებოდა, მაგრამ სპირიტუალმა ამჯობინა მისთვისაც ყველაფერი ახალი ეყიდნა.

ქორწილი ჩინებული გამოდგა და სოფელი მთელი ორი კვირა ლაპარაკობდა სპირიტუალის გულუბობაზე, დარბაისლურ მასპინძლობაზე...

მარტო ბარბალეს არა სჯეროდა სპირიტუალის ასეთი ხელგამლილობის და ყველას არწმუნებდა: „ვნახოთ ბ-ნო, გვიაროს დრომ, ჟამმა. ამუშავებს ცოლქმარს, ჯანს გამოაცლის და მერე იმ აღგილიდანაც გამოაბრძანებს. ხუთ ქცევას ვის მიაშავებს სპირიტუალი? მამის შვილი არაა?..“

მაგრამ არაეის სჯეროდა ამ ქალის: იცოდენ, რომ მთელ სოფელში მარ-

ტო მისი ოჯახი არ იყო ქორწილში დაპატივებული და ბარბალეტ ეხლა გულს იქარვებდა.

დადგა ზამთარი, ჩვეულებრივზე უფრო სასტიკი და მწვავე. ეხლა სპირიდონი სულ აღარ ფიქრობდა ვარეთ გამოსვლას—იჯდა ბუხართან და ნაცარში რკინის ჯოხით ხაზებს ავლებდა.

თებერვალს მიიწურა და უეცრად სასწაული მოხდა: მოულოდნელად გაიხსნა ზეცა სპირიდონისათვის და იქიდან ერთი ყოველმხრიდან დალუქული და სხვადასხვა ფერ ფანქრით გადაჭრელებული კონვერტი ჩამოვარდა.

მზეზე, სანთელზე, ცეცხლის ალზე ყველგან კითხვობდა სპირიდონი ამ წერილს; არ იცოდა—სად წასულიყო? ვისთვის ეთქვა თავისი ბედნიერება, ვინ გაეხარებინა?..

ასმათი სწერდა, რომ სპირიდონი დიტოს და მას არ დაეიწყებიათ; რომ ისინი ვერას დროს ვერ გადაუხდებიათ ამ უსაზღვრო პატივისცემას, რომ მათ სამჯერ მიიღეს ფული და ეხლა ყველაფერი აქვთ. დიტო შემოდგომაზე ცოტას ავადმყოფობდა, მაგრამ ეხლა ისევ მოაკეთა. და რაც მთავარი იყო—მათ ამ ზამთარში ღმერთმა ბიჭიცი კი აჩუქა; პატარა გივი... ცდილობენ დაბრუნების ნება მიიღონ როგორმე.

—მოვლენ, რასაკვირველია მოვლენ... პატარა ბიჭიკოსაც მოიყვანენ. რატომ არ უნდა მნახონ მეც? განა არ შეიძლება, რომ შეგობრებად დავრჩეთ?"

ძალიან უძნელდებოდა სპირიდონს ირაკლისთან ხელახლა ორიოდვე ქვევის გაყიდვაზე ლაპარაკი ჩამოეფლო, მაგრამ სხვა გზა არ იყო. იქნებ მართლაც მოახერხონ წამოსვლა და ფული არ დაჰკირდებათ?..

შემდეგ—ზაფხულზე კიდევ ორი შესანიშნავი ამბავი მოხდა: სადღაც ერთი ყუმბარა გასკდა და იმის ცეცხლი მთელ ქვეყანას მოედვა; შეინძრა მთელი ვებერთელა სახელმწიფო და უხილავმა ძაფებმა სპირიდონის სოფელსაც მძლავრად მოსწიეს. საუკეთესო მუშა ბიჭები მწითლე ყანიდან ცემით გამოჰყარეს და დარაზმულნი ქალაქისაკენ გაგზავნეს.

—სპირიდონ! ე კაცო, გაინძერი... შეიტანე ქალაღდი. ხო ხედავ—ომია; ეხლა ხალხი ეკირვებათ; ყველაფერს გაპატიებენ და უკეთეს სამსახურსაც მოგცემენ.—ურჩევდა ვარდენი, მაგრამ სპირიდონს ისე მობეზრდა სამსახური, რომ მანვე ფიქრიც კი არ შეეძლო.

რალაც უცნაური ამბები ხდებოდა ირგვლივ; ყველგან ჩურჩული და უკმაყოფილება ისმოდა, კრებებიც ვაბშირდა. ეხლა სპირიდონი აღარ სტოვებდა ამ სხდომებს ძველებურად. ისეთ რამებებში არწმუნებდნენ მოსული ამხანაგები, რომ მიმქრალი იმედები ხელახლა ცოცხლდებოდნენ მასში.

სვიმონმაც ურჩია და სთხოვა: ხელახლა დაბრუნებოდა სამსახურს. ეხლა უფრო ურიგდებოდა ამ აზრს სპირიდონი, აღარ ჯავრობდა ისე.

მეორე—ასმათის წერილი ხელახლა მოვიდა. ბავში კარგად იყო და დღითი დღე მატულობდა. ბევრი მოკითხვა და სიყვარული მას ყველასაგან.

გადასწავლია ბოლოს სპირიდონმა ქალაღდის შეტანა. მაშ რა გუნა?—ასმათი რომ ერთხელ დაბრუნდეს, რას იტყვის? განა ასე დაგლახებული უნდა დახვ-



დღს? განა მას არ შეუძლიან ძველებურად სამსახური? იქნებ მისი შრომა კიდევ შეიქმნეს საჭირო ასმათისათვის, პაწია ბიჭიკოსათვის...

სპირიდონს მალე მოუვიდა დაბარების უწყება.

ებლა უფრო ლმობიერად შეხვდა ძველი ამხანაგი—განყოფილების გამგე, დაეხმარა კიდევ უფროსთან.

ერთი კვირის შემდეგ მას ქალაღდები ჩააბარეს და გაისტუმრეს ჩრდილოეთისაკენ, ტრანსპორტის რევიზორობა მისცეს.

ხელახლა მოერთო და მოიკაზმა სპირიდონი, გრძელი თმა-წყვერი შეიკრიქა, საშხედრო პალტოს ყველა ფოლაქები შეისკვნა და როცა თავის სოფელში ჩავიდა—ეტლს დაუძახა და ეპოლეტებზე მედიდურად დაიხედა. ცხელოდა, მაგრამ პალტოს მაინც არ იხსნიდა.

სამი დღის შემდეგ დიდის ამბით გააცილეს სპირიდონი ამხანაგებმა; ირაკლი და ეფროსიმე კრემლად იღვრებოდნენ, როცა ხურჯინში მოხარშულ დედლებს და ზაქაპურებს უწყობდნენ; მაგრამ ბატონს მწუხარება არ უტყვენეს და მალე მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

— თუ რამე წერილი მოვიდეს, ვარდენს გადაეცი და გამომიგზავნის. ოჯახის ამბებაც მოაწერინეთ მას. შიაკითხეთ თუ რამე დაგპირდესთ.—უზნებოდა სპირიდონი გამოთხოვებისას ირაკლის..

როცა მატარებელი დაიძრა, დიდხანს იდგა ფანჯარასთან და ხალხს ათვალიერებდა. ყველას უღიზოდა...

უცებ კოწიას თვალი მოჰკრა. მთელ ტანში შეაყრწოლა და გადასძახა: — შერცხვეს შენი კაცობა კოწია, შერცხვეს!.. უნამუსო ყოფილხარ, ვაიძვერა. — ხალხი ბაქანზე შეშფოთდა და კოწიას შემოეხვია, მაგრამ სპირიდონი ველარაფერს ხედავდა. თანდათან მიჰქრა სადგური და პატარა წერტილად გადაიქცა. მთელი ორი საათი იდგა სპირიდონი ფანჯარასთან და ნაღვლიან თვალს არ აწორებდა მწვანე ბუნებას. ყველაფერი: ხე, ხიდი, წყალი, ბილიკი ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის—არ იცოდა: ნახავდა კიდევ როდისმე?..

* * *

ორმა წელმა საშინელს ქართველში განვლო.

ყველგან კენესა, სიმშოლი და წყველა ისმოდა.

სიმღერით და მუსიკით ჩაივლიდნენ სპირიდონის წინ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები; დაუსრულებელი იყო მატარებლების წყება. და კენესით, ვაგებით ბრუნდებოდნენ უკან გაძვალტყავებულნი, საშინლად დასახიჩრებულნი იმავე დაუსრულებელ მატარებელთა წყებით.

მრავალი ბრძანება მოდიოდა სპირიდონს; უზილავი ხელი ჯადოსნურის ძალით მართავდა მის ნებას—ხან სად გადაავდებდა და ხან სად, ფიჭრის დროც კი აღარ იყო მისთვის.

ითხოვა ერთხელ შევებულება, მაგრამ გადაუდევს. «სამშობლო განსაცდელშია»—უზნებოდნენ მას, «ყველაფერი უნდა დაევიწყოთ ეხლა, ყველაფერი ფრონტისათვის!» და სპირიდონი უძლური იყო ამ ვებერთელა ძალის წინაშე.

სდუმდა და ბეჯითად მუშაობდა.

განუწყვეტლივ გზავნიდა ტყვიებით, ზარბაზნებით, თურქული სურსათით სავსე მატარებლებს და ისინი ისევ ცარიელნი უკან ბრუნდებოდნენ.

სპირიდონი ფიქრობდა, რომ საღდაც საშინელი დიდი უზსკრული უნდა ყოფილიყო, რომელსაც ამ იარაღით და ცოცხალი ადამიანებით უპირებდნენ ამოცებას. მაგრამ კიდევ და კიდევ არ ჰყოფნიდა საზრდო ამ უფსკრულს და სპირიდონი ვამალებით გზავნიდა ახალ, სავსე მატარებლებს.

ორი წლის შემდეგ ძლივს მისცა „განსაცდელში ჩავარდნილმა სამშობლომ“ ცოტა ოდენი დასვენების ნება სპირიდონს.

საშინლად უცემდა გული სპირიდონს, როცა თავის ქვეყანას, ნაცნობ ხალხს მიუახლოვდა. მარტო აქ იგრძნო მან, ომის მთელი საშინელება, აქ მისთვის უცხო აღარ იყო ეს „სამშობლოს განსაცდელი“. მთელი ნაცნობ-ნათესავეები კვნესოდნენ, ოჯახის მარჩენალი ველად იყო გაქრალი და მისი დაბრუნების იმედიც აღარაეის ჰქონდა.

მის დანახვაზე ირაკლი ცას მისწვდა სიხარულით, ეფროსიმემ ბატონს წითელ-ლოყებიანი გოგონა კალთაში ჩაუგორა და დიდხანს სტკებებოდა სპირიდონის აღერსით პაწიასადმი. ბევრი ახალი ამბავი დაახვედრა ირაკლიმ.

— გიორგი მოჰკლეს, ანაპოტისტე დეიჯარგა, სერაფიონის ამბავიც კი ხანია აღარ იციან. მთელი სოფელი ატირებულია. ვარდენის ბენიაც კი წვიყვიანს; ვის უნდა ეჩუბოს ბალანამ? — როცა ეფროსიმე გარედ გავიდა, ირაკლიმ ხმას დაუწია და ბატონს მოახსენა.

— ისიც მოკლეს ბატონო... ლაზარემ მითხრა, რაცხა გაზით მოუხჩეინო!!

— მაგისტანა კაცს აშნაირი ბოლო მოელოდა, არ იცოდა?!..

და სპირიდონი მიხვდა, რატომ გავიდა გარეთ ეფროსიმე ამ ამბების დროს. მაგრამ სპირიდონის გული ლაღად ამღერდა, როცა გაიგო, რომ შემოდგომაზე ასმათი სწევოდა მის ოჯახს პატარა ბიჭიკოთი, რომ მას მთელი კვირა დაეყო აქ, მოესვენებინა...

— ხომ ეციტ პატივი ქალბატონს?

— რასაკვირველია ბატონო! დაგვიბრდა კიდევ მალე განახეთო.

— არ ისიამოვნა? არაფერი გაატანეთ?

— კი ბატონო, ხილი ბევრი წაიღო. მისი ტანისამოსი და ქვეშავებიც წაიღო. ხშირად გახსენებდათ და სულ თქვენს ამბავში იყო. როდის მოვაო?..

ეს კი მიინც და მიინც არ იამა სპირიდონს.

მაგრამ — ამა რათ უნდოდა? განა მისთვის არ ინახავდა იმ ტანისამოსს? რასაკვირველია, თავის ნებაზე უნდა მოეხმარა ქალს ყველაფერი, რაც კი მისი იყო.

და განა ყველაფერი მისი არ იყო ამ ოჯახში?!

ძლივს მოიცადა სპირიდონმა დილაშდის და ადრევე გაუდგა გზას ქალაქისაკენ. როგორ შეეძლო არ ენახა ასმათი? სწორედ ეხლა სკიროდა ამ ქალს მისი მეგობრობა, მისი დახმარება. ეხლა როცა დიტო ცოცხალი აღარ იყო და პაწია ბავში მარტო მისი საზრუნავი გამხდარიყო.



როცა ქალაქის სადგურს მიუახლოვდა, მარტო მაშინ მიხვდა სპირიდონი, რომ არც ასე ადვილი იყო ამოდენა ქალაქში ასმათის მონახევა. **არცნულნი**
სად უნდა წავეიდეს, ვის ჰკითხოს?

ბევრი იარა კუჭებში, ნაცნობი უბნებიც ნახა—გგონა, სადმე შემთხვევით გადაეყრებოდა, მაგრამ სულ უცხო იყო იმ ქალთა სახეები მას რომ ხედე-ზოდნენ.

ბევრი ხეტიალის შემდეგ ერთი მწევანე სახლის წინ შესდგა. მოაგონდა, რომ აქ სცხოვრობდა ის კბილის ექიმი, რომელთანაც წინად იკრიბებოდნენ ამხანაგები.

მორიდებით დასწია ზარს...

ნოემ დიდხანს ათვალღერა იქვით ეს გათეთრებული მოხუცი, ვერ მიმხედარიყო—რა საქმე უნდა ჰქონოდა მასთან ამ კაცს თუ მას კბილი მართლა არა სტკიოდა?! ძლივს მოიგონა...

ასმათი? ჰო, როგორ არა!.. ხშირად ხედება მას, ამხანაგების წრეს არ ჩამოსცილებია ეს ქალი, თუმცა ბევრი გადიტანა და დიდ გაჭირვებას განიცდის დღესაც.

როდის ჩამოვიდა? სარშან გაზაფხულზე დიტო მომაკვდავი ჩამოიყვანა; სანამ სულ არ გამოხრა ქლექმა, მისი ფილტვები, მანამ არ მისცეს დაბრუნების ნება. ორიოდ თვე იცოცხლა და საშინელ წამებაში დალია სული. დიდი მომავალი კი ჰქონდა, საუკეთესო ამხანაგთაგანი იყო; ბოლოს ბევრს შრომობდა, სიკვდილამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი.

ეხლა ამხანაგები ცდილან მისი ნაწერები ცალკე გამოსცენ, მაგრამ ამას უსაღსრობა აბრკოლებს. ნოეც მუშაობს ამ საქმეზე ასმათთან ერთად, ამხანაგებმა დაავალეს...

უკვე ღამე იყო, როცა სპირიდონი ასმათის ბინას მიადგა.

ქალაქის განაპირა უბანში ჰაწია! ნახევრად ფიცრული სახლი ძლივს იპყიტებოდა ოთხი ფანჯრით ბნელ კუჩაში...

სულ დაებნა სპირიდონს აზრები; დარცხვა საშინლად თვისი თაყნდობის, როცა ასმათი მის წინ მდგომი დაინახა. ოდნავ გაკრეცილი იყო ამ ქალის სახე—ეტყობოდა დიდ მწუხარებას მისთვის უშედგოდ არ ჩაეელო.

მაგრამ ეს ღრმა და ცოცხალი თვალები ისევ ძველებურად აფრქვევდნენ მწველ ელვარებას. დიდხანს ჰყავდა ეს ქალი სპირიდონს მიკრული მკერდზე და ზღუქუნე, გულამომჯდარი ზღუქუნე არ აძლევდა ასმათს ნებას ერთი სიტყვის თქმისას.

ნახად უსობდა ხელს სპირიდონი მის გრძელ თმას, გამხდარ ბეჭებს და გაწუწვეტილი უმეორებდა:

— როგორა ხარ, როგორა ხარ ჩემო ვოგონა?..

ერთხელ კიდევ წამოიჭრა სპირიდონის არსებაში ის წყვეული იმედი ახალის ბედნიერებისა და სულის თქმა შეუხუთა.

მაშ რად სტიროდა ეს ქალი ასე გულამომჯდარი, თუ მასში სიყვარულის ალი სრულიად გამჭრალი იყო? თუ ის თავის შეცდომას არ გრძნობდა ეხლა მაინც...

დასხდენ, ასმათმა სპირიდონი ვახშმით აღარ გაუშვა, პაწია ტისფერ თვალებიანი ბიჭუნა მუხლზე დაჟსეა და წარსულის მოგონებებს უწყობს მას...

რამდენი ტკბილი ახსოვს ასმათს: იგონებს ოჯახს, ეჭვრონიჭეს, ძრძკლის. სად მსახურებს ეხლა სპირიდონი? დარჩება სულ ქალაქში?

სპირიდონი სკამზე გასწორდება, ჩაახველებს და ცოტა ოდენის სიამაყით აცნობს ასმათს, რომ ბოლოს მისი სამსახურიც ღირსეულად დააფასეს და ისიც უცებ წავიდა წინ, რომ დიდ საპასუხისმგებლო დავალებებს აძლევენ მას; და დაბრუნდება თუ არა, ქალაქს შეიტანს კავკასიის ფრონტზე გადმოყვანის შესახებ. უშუველია, დიდ ადგილს მისცემენ...

კარგად, ძალიან კარგად მიდის მისი საქმე და თუ ასე გაგრძელდა ტფილისში დიდი სახლის შექმნასაც ფიქრობს. სულ სოფელში ზომ ვერ დარჩება?! მასაც უნდა ხალხში გაერიოს—მდგომარეობაც ხელს უწყობს. მაგრამ, ეტყობა, ასმათზე ეს გეგმა ვერ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას, არც სამსახურში წინ წაწევა და ჭონების შექმნა არ აკვირვებს მას.

— აღარ უნდათ ვაათაონ ეს ომი?—წყენით ეუბნება ქალი ისე, თითქოს ეს საყვედური სპირიდონსაც შეეხებოდეს. —ველარ გაძლენ ხალხის სისხლით? გაწყდა მთელი ახალგაზრდობა, ხალხი შიმშილით კვდება, ბავშისთვის რძე ვერ მიშოვნია... აღარც პურია, აღარც ხორცი. თვითონ კი ოქროში ცურაობენ. აღარ ეყოფათ?

— ჩვენ ვინ გვკითხავს ასმათ?—თითქოს თავს იმართლებდა სპირიდონი.

— მოვა დრო—გვკითხავენ! ხალხის რისხვას ვერაფერ წაუვა. გაწყდა ტანჯვის და მოთმინების ძაფი...—და მთელი სხეული უთრთოდა ამ ქალს მოწოდებულ ზრახვისაგან.

სპირიდონს აოცებდა ასმათის ასეთი ლაპარაკი.

— უჭირს მეტად; სიმწარე აღაპარაკებს.—ფიქრობდა ის. ფრთხილად დიტოზე ჩამოუვლო ლაპარაკი—რა მოუვიდა ასე უეცრად?

ასმათის თვალები ხელახლა ცრემლებით აივსო.

დიდხანს უყვებოდა მტირალი ქალი დიტოს ამბავს, მის მიერ გადატანილ ვეებას...

— ჩემი სიცოცხლეც მასთან ერთად გაათავდა სპირიდონ. ეხლა მხოლოდ იმისთვის ეცხოვრობ, რომ ამ ჩემ პატარას ზრუნვა არ მოვაყო, რომ ის ღირსეული შვილი შეიქნეს ამ ძვირფასი ადამიანის. ასეთი იყო მისი სურვილიც. ხალხს შესწირა თავი, ახალგაზრდობა და ერთხელ იქნება დააფასებენ მას. შენაც დიდი პატივი ეცი მას სპირიდონ; შენი დახმარება რომ არ გვქონოდა, ადრევე დავეღვდით სამივენი სულს... ჩემი შვილი გადავახდის სპირიდონ, თუ მე ვერ შეეძელი.

— რას ამბობ ასმათ, ჩვენ ხომ მეგობრებად დავრჩით, და მეგობარს არ უნდა დაეხმარებოდი?—ქალმა მაგრა დაუჭირა ხელი და ისევ გადოუხადა მადლობა ყველაფრისათვის. რასაკვირველია, ისინი ბოლომდის დარჩებიან მეგობრებად...

— ძალიან გატკინე გული სპირიდონ, მაგრამ მეც ბევრი ვიტანჯე... ჩემი

სიცოცხლე საჭირო იყო მისთვის; მგონია, დღესაც კია საჭირო და ამიტომ მაპატიე შენც ყველაფერი.

გაქჭრა სპირიტუალის იმედიც; დარცხენით ისევ მალე მიიმაღა, როგორც უფრო მეტი გამოჩნდა.

მისთვის აშკარა იყო, რომ დიტოს გული სიკვდილის შემდეგაც სტემდა ამ ქალისათვის—რომ ეს სიყვარული უფრო ღრმა და დახვეწილი გამოდგა, ვიდრე მას პირველად ეგონა.

— ასმით—უთხრა მან გამოთხოვებისას,—ნოემ მითხრა, რომ დიტოს ნაწერების გამოცემის აპირებთ, მომეცი ნება, რომ ეს ჩემ ხარჯზე მოხდეს; ამდენი პატივი მაინც უნდა ვსცე მის ხსოვნას.

ასმათს ლოყები აუწითლდა, სიხარულით სულ დაიბნა...

რასაკვირველია, ის ამის მოელოდა სპირიტუალისაგან. ეს საუკეთესო ძველი იქნება დიტოსათვის.—მისი სისხლით და ცრემლებითაა ნაწერი ეს სტრიქონები; რამდენი ლამეები გაათენა თეთრად ასმათმა ამის გადაწერაზე.

— მაშ, ხვალ მოგელი სპირიტონ. სჯობს, ადრე წავიდეთ სასაფლაოზე; კვირა და შემდეგ ბევრი ხალხი იქნება, მე მარტო მიყვარს იქ ყოფნა.

როცა მეორე დღით ყვავილების მალაზიიდან სპირიტონმა გვირგვინი გამოიტანა, მაშინ მოაგონდა, რომ გუშინაც აპირებდა ამ მალაზიაში შესვლას და დიდხანს არჩედა ასმათისათვის თეთრ და წითელ ვარდებს ფანჯრიდან; მაგრამ გოლოს მაინც არ იყიდა—თვითონ დარცხვა და გადადგა...—დღეს კი, თაიგულის მაგიერ გვირგვინი მიჭქონდა.

როცა სასაფლაოდან, ხანგრძლივის მდუმარების შემდეგ უკან გამობრუნდენ, სპირიტონმა დედას პატარა გივი გამოართვა და ხელში აიყვანა.

— ასმათ! წადი სოფელში დაისვენე, გული გადაიყოლე.. წიგნს უშენოდაც გამოსცემენ აქ. მე უკვე ველაპარაკე ამ დილით ნოეს. ფულს გადავსცემ რაც საჭიროა. დამიჯერე,—წადი, ბავშვსაც მოუხდება იქაურობა.

— ისედაც ბევრი შეწუხება მოგაყენე სპირიტონ, ეს მეტი-მეტია.

— რას ამბობ ასმათ? განა ჩემი ოჯახის კარები შენთვის და შენი შეილასათვის მუდამ ღია არაა? უკეთესი ვინ უნდა მეწვიოს? თუ მართლა ჩემი მეგობრობა გინდა, დამიჯერე ეს ერთიც.

ქალი სდუმდა.

„იქნებ ერცხენება ჩემთან მოსვლა; ყოველ-დღე ჩემი შეხვედრა... იღბად, ხალხი ათას რამეს იტყვის—და არ დაინდობს ამ ქალის წმინდა სახელს, მისი ქმრის ხსოვნას.“ ფიქრობდა სპირიტონი.

— მე ხვალ დამით უნდა გავბრუნდე ასმათ. იღბად, დიდხანს ვერ ჩამოვალ. ომიც რომ ვათედებს, მაინც არ მომაცილებენ იმ ადგილს.

ოჯახს გაძლოდა უნდა, ეფროსიმე და ირაკლი თავს დადებენ შენთვის... წადი ასმათ, გთხოვ. ამ ბავშვის გულისათვის გთხოვ.

სალამოთი, როცა სპირიტონი ასმათს ხელახლა ეწვია ისევ გაუმეორა ეს თხოვნა. ათასნაირად უსაბუთებდა, რომ ეს აჯობებდა, რომ მათ ორივეს მოვლა და დასვენება უნდოდათ...

ქალმა ბოლოს ხელი მისცა, რომ ეცდებოდა ცოტა ხნით მაინც წასულიყო. სიამით და მადლობით აივსო სპირიდონის გული.

ნელა და დიდხანს ჰკოცნიდა ამ ქალის გამხდარ ხელს. **ნარკვენილი**
გულქოცნიერება
„ესეც გათავდა!“ ჩილაპარაკა სპირიდონმა, როცა მეორე დღით ნოტარისიდან გამოვიდა და ექილს მადლობით გამოეთხოვა.

თითქმის ეხლა მიხვდა—ვისთვის და რად აგროვებდა მისი ცხონებული მამა ევსევი ამ მიწებს? რად უმატებდა თვითონ ის სახლ-კარს და მანუღს...

რასაკვირველია, ასმათი და გივი მოიხმარდნენ ყველა ამას; და მისი ღვაწლი დაკარგულად აღარ მიიჩნდა.

სალამოზე ნოესთან შეიარა, ფული გადასცა და სთხოვა, რაც შეიძლებოდა და დაეჭარბინათ დიტოს ნაშრომის გამოცემა.

ბოლოს მორცხვად საფულედან პატარა წერილი ამოიღო და გადასცა. სთხოვა ხელ დილით ასმათთან შეეველო და გადაეცა; მას სამწუხაროდ იმდენი საქმე აქვს მოსაგეარებელი, რომ ველარ ასწრებს ასმათთან ერთხელ კიდევ შეიაროს. მისი მატარებელი ერთ საათში გადის.

ნოე განცვიფრებული იყო ამ კაცის გულუხვობით და უცნაურის ქცევით.

— გმადლობთ, გმადლობთ ამხანაგო! ეუბნებოდა ის და მავრად ართმევდა ხელს.

სპირიდონი ქუჩაში გამოვიდა და სადგურისაკენ გაუჩქარა.

ეხლა მას აღარაფერი აღარ აკავშირებდა ამ ქვეყანასთან, ერთი კვალი მიწაც, ერთი ძირი ხეც აღარ გაიჩნდა; აღარც ოჯახი ჰქონდა... ყველაფერი პაწია გივის იყო, რომელიც მამის „ღირსეული შვილი“ უნდა გამხდარიყო.

ისეე ჩაება ნაცნობ. მუშაობაში სპირიდონი. ეხლა უფრო ბეჯითად, ვიდრე ოდესმე ეწეოდა ამ მძიმე შრომას, რომელმაც არც ღამე იცოდა და არც დღე.

გამუდმებით ჩასძახოდა ტელეფონის მიღს. ყველა მიმართულებით იძლეოდა განკარგულებებს.

როცა ლიანდაგები სულ გაიჭედებოდა და მოხელენი ტრანსპორტის გასაგზავნ გზას ველარ პოულობდნენ, თვითვე დარბოდა ამ ხაზებზე და ადგილობრივ აწესრიგებდა ყოველივეს; მაინც იპოვიდა გამოსაყვას.

ათასწარის მანევრებით ერთ ხაზს გააცალიერებდა. რომ დაჭრილებით სავსე მატარებელი ჩქარა გაესტუმრებინა ზურგისაკენ და დაჭრილთა ეს გულშეშარავი კენესა აღარ გაეგონა.

ეხლა სულ ახლო იყო მტერი და მისი ზარბაზნების ყეფა სპირიდონსაც ესმოდა...

გადიოდნ თვეები, სპირიდონი განუწყვეტლივ აწვდიდა საზრდოს ამ სვაეს, ელოდა მის გაძღომას, მაგრამ ვერაფერმა შეაყენა ეს საშინელი მადა...

მოიღალა სპირიდონი, სულ აეშალა ნერვები, გატყდა მისი ჯანიც. ბევრჯერ ითხოვა გადაეყვანათ სხვა ადგილას, ან ორიოდე თვის შევებულება მაინც...

მიეცათ, მაგრამ ამ საშინელ ციებ-ცხელებაში მისი თხოვნისათვის არავის ეცალა.

„რა თბილი და ტკბილია ეხლა ჩემი სახლი!“ ფიქრობდა სპირიდონი, როცა გაუბღეღი ნახევარის საათით მიეგდებოდა გაბუნებულ ტყავის დივანზე. „ეხლა ასმითი და პატარა გივი სხედან სასტუმრო ოთახში და ჩაის სვამენ, ეფროსიმე და ირაკლი მათ სასაცილო იმბებს უყვება... გაისმის ძაღლის ყეფა. „გახედე ირაკლი!“ ეუბნება ქალი და უეცრივ იღება კარები. „სპირიდონ შენა?“ შეტკივლებს სიხარულით ასმითი და ძველებურად მოხვევს მკლავებს. ჰკოცნის ტუჩებში, თვალებში, კისერში... ლაპარაკსაც აღარ აცლის მას. ყველანი ებვევიან; გივის ჯერ არ ესმის, თუ რა ქნა მისთვის ამ მოხუცმა, მაგრამ მაინც უყვარს და თეთრ წვერებზე უკაცუნებს პაწია, მსუქან თითებს. ასმითი თვითონ უსხამს ჩაის, მოაქვს მისი საყვარელი შინდის და ნიგვზის მურაბა. თვითონ უსწორებს ლოგინს, ტანზე ხდის და აწვენს მოღლილ მოთენთილ სპირიდონს.

შემდეგ თვითონ მიუჯდება, ნაზად ეფერება, ტკბილ სიტყვებს ჩასწორულებს... არა მას არ დაეიწყებია სპირიდონი, სულ ელოდა აქამდის... რასაკვირველია, ისევ ძველებურად უყვარს, არა როგორც მეგობარი, არამედ ძველებურად როგორც ქმარი... და ცხელი ტუჩები სულ ახლოს მოაქვს ამ ქალს.

სპირიდონი მაგრად მოხვევს ხელს და გულში იკრავს ხელახლა ნაპოვნ საუნჯეს.

ქალი ათრთოლებულის ხელებით ტანზე იხდის და მასთან წეება.

აი, მისი მწიფე შერდი, მისი ჩქარი სუნთქვა, ცხელი ლოყები... ყველაფერი ხელახლა მისია, მარტო მისი...

— დუ—დუდუ—დუ... დუდუ... დუუუ...—გაისმის ტელეფონის ხმა, —სპირიდონი ამ ოცნებიდან ფრკეცა და ისევ გასძახის მეზობელ საღვურს.

აღარ თავდება ეს საშინელი სისხლის ღერა. სპირიდონი ეხლა ყოველ მხრიდან ისმენდა იმ უკმაყოფილებას, ხალხის რისხვას, რაზედაც მას ასმათმა უთხრა ქალაქში.

„სად წაუვლიან ხალხის რისხვას?“ იმეორებდა ისიც და უცდიდა დღე-დღეზე ამ რისხვის აღმოხეთქას... მაგრამ ამაოდ! სჩანდა—ჯერ კიდევ ჰყოფნიდა ამ ხალხს მოთმინება და ჩემად იხვევდა გულში საშინელ მწუხარებას.

— რა ჯანდაბა გემართებათ?—უყვიროდა სპირიდონი ერთ ღამეს მოხელებს;—ხომ იცით, რომ ერთი ხაზი მუდამ თავისუფალი უნდა იყოს. სანამდე უნდა გავაჩეროთ ეს მატარებელი? დაჭრილი მომაკვდავი ხალხი მაინც არ გებრალებათ? როდის ვათავდება ამ დროგების გადმოტვირთვა, მაგისტრის უნდა გავწყვიტოთ ხალხი?—და თვითონვე მიაყენა მუწეები სხვა ადგილას.

— მძიმე დაჭრილები მაინც გადმოსხით. ეხლაც სამხედრო მატარებელი გამოივლის და იმას მიუბამთ ორ ვაგონს, დანარჩენებს დილას გავვზავნით.—გასცა მან ახალი განკარგულება, რაკი დარწმუნდა—სხვა გზა აღარ იყო.

თვითონ დაყვებოდა სანიტრებს დაჭრილთა ვაგონებში; თითქოს ექიმის არ სჯეროდა—პირადად უნდა შეემოწმებინა, ვინ იყო უფრო მძიმედ დაჭრილი.

— ამის დატოვება არ შეიძლება, დაუყონებლივ ოპერაცია სჭირია. ცხა-
რობდა ექიმი, როცა სპირიდონმა დანარჩენების გადაყენაზე უკან წაიჭრა.

— ვაიმე დედა! ვაიმე!!! მოესმა სპირიდონს უკან შერღობის ხმა,
შეკრთა.

— ქართველი ხარ, ბიჭო? — შეეკითხა და მიუახლოვდა.

— ბიძია სპირიდონ, მიშველე — ვკვდები!.. ბენია ვარ, ვერ მიცანი?

— ბენიაა? საღ ხარ ბიძია დაჭრილი?

— ორივე ფეხებში. ცალი სულ წამწყვიტა. ვკვდები ბიძია — დედას
მიწერე.

— ნუ გეშინია ბიძი; არაფერს გაგიკვირებთ, გული გაიმაგრე. — და თვი-
თონვე მოაკვიდა საკაცეს ხელი.

გადმოიყვანეს ისიც. სპირიდონმა ათასნაირად სთხოვა ექიმს შველა.

— მეორე ფეხიც უნდა მოსჭრან, დასახიჩრებელი აქეს. — მიუგო ექიმმა.

— შერე რალას ივარგებს ადამიანად? მომკვდარიყო არ აჯობებდა.

ექიმმა უძღურების ნიშნად მხრები აიჩეხა.

ერთხელ კიდევ დახედა სპირიდონმა თვალზე დაბუქულ ბენიას. იცნო მისი
მკვირცხალი სახე. შუბლზე აკოცა, ლოყაზე ხელი მოუსვა, — არაფერი გეშავს
ბიძია... ცოტა მოითმინე და მალე გეშველება. — ცხარე ცრემლები მოადგა, არ
უნდოდა ბენიასათვის დაენახებინა და ჩქარა მოსცილდა.

— დღუ!.. დუ — დუ... დღუ!.. — ესმის ხელახლა სპირიდონს და უნდა ჩა-
ლეწოს ეს ტელეფონის ძაბრი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაადუმოს.

— საგანგებო მატარებელი, ნომერი A, 27. ყველა სხვა შეაჩერეთ. ყველა-
ფერი უნდა შეწყდეს სამი საათით — ხაზი თავისუფალი უნდა იყოს? ესმის
სპირიდონს. და გთვითთვით გარეთ გარბის, მწარე ოფლი ასკვდება.

— გადააყენეთ სამხედრო მატარებელი. ფრონტისაკენ საგანგებო მატარე-
ბელი მიდის! და თვითონ აწვება მკერდით ბენიას ვაგონს, რომ შორს, შორს
ჩააყენოს, ვიდრე სამი საათის შემდეგ გზა არ გაიხსნება.

სისხლი ყელში აწვება.

„ხომ დაიწურა ეს უბედური სისხლისაგან?“ ფიქრობს ის... სამ საათს
კიდევ რა აატანინებს?!

აი, ჩამოიჭროლა საგანგებო მატარებელმაც — სალონის მდიდრულმა, განა-
ლებულმა ვაგონებმა თვალი მოსჭრეს სპირიდონს. „ესენი არიან, რომ უხილავი
ძაფრები უჭირავთ ხელში და ამდენ სიცოცხლეს ორმოში ჰყრიან, თვითონ კი
განცხრომით არიან და ოქროში სცურავენ“...

„ველარ გაუძლებთ ხალხის რისხვას, თქვე არამზადებო“ იმეორებდა ნა-
ღველით სავსე სპირიდონი, თითქოს პირველად ეხლა ჩასწვდა ასმათის სიტყვე-
ბის მთელ რისხვას.

„დუ...დუ დუ...დუ!..“ ესმის ისევ სპირიდონს და მთელი ტანი უცახცახებს.
ეხლა მას ამ საიდუმლო და ჯადოსნურ ძაფებისათვის არ სცალიან. განუწყვე-
ტილი ჩასწვივის ყურში ბენიას მწარე ყენსა, მისი გაყვითლებული, სისხლისა-
გან დაწრტილი სახე აღარ შორდება.



„ჩემი ბრალია! რამდენჯერ მომწერა საწყალმა ვარდენმა—შენ ახლოსაა, მიხედვ და უპატრონეო. მერე რა გავაკეთე? ამისთვის იწვალა...“
 ჩემს ახლო ყოფილიყო?... საწყალი ბიჭი!..

ასე უპატრონოდ როგორ უნდა მოვაკვლევიანო ამ მხეცებს... ამით გული კარგა ხანია გაქვავებული აქეთ და სიკვდილი არას ეუბნებათ“. ბუტბუტებს სპრიდონი და ტელეფონთან მისვლის მაგიერ, კარს გააღებს და მოშორებით მდგომ თეთრ ვაგონს მიაჩერდება.

თითქოს მას იქედან ძახილი მოესმის, ერთბაშად მოსწყდება და მირბის.

ექიმი ვაგონის წინა სდვას და პაპიროსს აბოლებს; სპრიდონი ეხლა მისგან აღარ ელის შველას. ჩქარა შედის და ნაცნობ საკაცესთან მიდის; გულს უღადრავს ყრუ კენესა.

— რა გტკივა ბიძია ასე მწარეთ? ნუ გეშინია მე შენთან ვარ...
 ოდნავ ირხვევა შალის საბანი და ბენია მძიმედ ახელს ჩავარდნილ თვალებს.

ნელა აცმაცურებს ტუჩებს.

რა? რა უნდა? წყალი?

— ეხლავე, ეხლავე ჩემო ბიძია! და სპრიდონი ისეც თავის ოთახისაკენ გარბის. ათრთოლებული ხელებით მოარბენინებს წყლის დოქს და ეესტის ქიქას. მის აჩერებენ, უყვირიან, აფრთხილებენ, მაგრამ ეხლა ყველაფერმა ერთბაშად დაჰკარგა აზრი და ძალა.

არც ეს სასწრაფო „ღებეშა“, არც „ტელეფონოგრაფია“ აღარ აინტერესებს მას და მოხელენი ამჩნევენ, რომ ეს კაცი გაგიჟდა.

ხარბად სეამს ბენია ცოვ წყალს და ოდნავ მშვიდდება, მაგრამ სპრიდონი ხედავს, რომ მისი თვალებიდან სხვილი ცრემლები ნაკადი მოდის.

— ნუ, ნუ ჩემო ბიძია, — ეუბნება ის და სასთუმალთან ჩაუჭოტებს, — აი, სულ ორ საათში მიგიყვანენ საავადმყოფოში და ყველაფერს ილონებენ. მორჩები.

— მტკივა ბიძია, მტკივა!.. ვკვდები!..

— სასიკვდილოდ ღმერთმა ნუ გაგხადოს... ფეხით ქე რა გიჭირს, — და სპრიდონი ნაზად უსობს ხელს შუბლზე, ლოყაზე, თმაზე.

რა ტკბილია ეს ალერსი ბენიასათვის; მას აგონდება დედა, უკვე მოხუცი ვარდენი — თავის ქვეყნის ყვაილოვნება და ცრემლები უფრო ღვარად ჩამოსდის.

— ბიძია, რაფა ტყულა ვკვდები? რას მერჩოდენ... სახში მაინც ჩავაწედე.

— კი, კი... მაგას შეგებოვენ, გიწამლებენ, დაგიშუშებენ და სახლში გაგზავნიან. მე ყველას ვთხოვ — გაგიშვან; მაგიზა ნუ სწყობარ.

— როდის ბიძია, როდის? ერთი მაინც მაჩვენა დედა ჩემი, ჩვენები.

— ყველას ნახავ ჩემო ბენია, ღმერთი მოწყალეა, — ეუბნება სპრიდონი და სულ ახლოს მიაქვს ტუჩები მის ლოყასთან. — მალე მეესწრები ბიძია, ნახავ დედისაც, მამისაც, შენს სახლ-კარს, ჩვენს სოფელს. ეხლა იქ უკვე გაზაფხულია. ქვიშა, ატმები, ვაშლები ყვაფა, ყანებიც თავწამოყრილია, ერთბაში მწვანე ხავერდივითაა ბალახი გადაშლილი, ზვალ ბზობაა და მთელი ხალხი თევზაობს დღეს... რამდენი თევზებია ჩვენს წყალში; გემრიელი, ლამაზი... აქაურს არაფერი გაეს ჩვენში.

— ხელაა ბიძია ბზობა?

— ხო ბიძია ხელ, დედაშენი ეკლესიაში წავა, შენთვის... ^{ნერვიუვით} სანთელს დაანთებს, ილოცებს. ლეთით ყველას მშვიდობით ნახავ. ეხლა ასმათიე ჩემთანაა სოფელში, იქ ცხოვრობს.

— ასმათი დაბრუნდა ბაძია?

— დიდი ხანია. მეც მალე ჩამოვალ ბიძია და მერე სულ ერთად ვიქნებით, სულ ჩვენთან იქნები. ხო გახსოვს, როგორ უყვარდი შენ ასმათს? როგორ მოსწონდა ჯარიანობაზე შენი ლეკური? გახსოვს—დარაიის ბლუზა რო გაჩუქა?

— აწი რო ველარ ვიცეცვებ.—მწარე ამოოხვრით ამოილაპარაკა ბენიამ.

— რატომ ბიძია? მაგ ფეხს ისე გაგიკეთებენ, რომ არაფერი გააღდეს ზედ. ახლა სასწაულებს ახდენენ, ფიქრი ნუ გექნება, ბიძია.—და უფრო ნაზად და სათუთად უსობს ლოყაზე ხელს.

ეხლა სპირიდონსაც ცრემლებით აქვს საფეხ თვალები.

— ბიძია, წამიყვანეთ ჩქარა... რას მაჩერებთ აქ? ვკვდები, მტკივა...

— ახლავე ბიძია, ახლავე!—და ხელახლა უყვება ტკბილ ამბებს ყვავილოვან ქვეყნის შესახებ, ცხოველი მზის სითბოზე, ნაცნობ-ნათესაეებზე.

— ბიძია, წყალი!.. ვაიშე, ვკვდებით, მიშველე!

სპირიდონი ისევე ათრთოლებული ხელებით მიუტანს ტუჩებთან წყალს და ამწნევს, რომ ბენიას თანდათან ეღვება ძალი.

ასე არ იქნება, უნდა რამე მოავდაროს, უნდა ეხლავ მოეხმაროს რითიმე, და სპირიდონი წამოდგომას აპირებს.

— არ წახვიდე ბიძია, არ მოშცილდე შენი ქირაიშე. მტკივა, მიშველე რამე... წამიყვანე სადმე ჩემო ბიძია, მომეხმარე რამე... მომკლავენ აქ...

— ახლავე ბენია, ახლავე რამეს გამოვაწყობ. კი წაგიყვან, დარდი ნუ გაქ,—და გიყვივით ჩამოდის კიბეზე. ექიმი ბოძზე ჩამომჯდარა და უბის წიგნში რალაცას იწერს.

— იწამეთ ღმერთო, მოეხმარეთ რამე იმ ადამიანს—ტკივილები მაინც შეუშუბუტქეთ. ორ საათზე მეტი აქ უნდა იკადოს, საათნახევარი საივადმყოფოს პუნქტამდე დაგვირდებათ კიდევ... ველარ აიტანს. რამე წამალი მიეცით.

— რა ვქნა?—უპასუხებს ექიმი, რომელსაც ეტყობა არ მოსწონს მოხელის ამგვარი გულ ჩვილობა.—აქ ხო ვერ გაუყეთებ ოპერაციას? რა წამალი უნდა მივცე? მორთი დიდი ხანია გაგვითავდა... ჩემი რა ბრალია?

გული უღელს სპირიდონს, არ შეუძლიან ასე უმოქმედოთ უცქიროს ამ საყვარელ ადამიანის სიკვდილს.

ბაქანზე დარბის და ვილაცას დაეძებს.

მემანქანე გაოცებულია მისი უაზრო განკარგულებით.

— როგორ იქნება?—ეუბნება ის სპირიდონს,—ბრძანებაა—სამი საათით ხაზი შეიკრას და როგორ შემოძლიან წაყვანა—სახრჩობელაზე მაგზავნი?

— მოასწრებ,—ეხვეწება ხელახლა სპირიდონი,—ჩქარა თუ წაიყვან მოასწრებ. არაფერს გეტყვიან მაგისათვის—მომაკვდავ ხალხს გადაარჩენ, გზა ყველგან გახსნილია, არსად გაჩერდები და ერთ საათში უკვე მიხვალ. საგანგებო მა-

ტარებელს კი ორი საათი მაინც დააგვიანდება. იწამე ღმერთი, ნუ დაბოკდა ამ ხალხს. მე ვიქნები პასუხისმგებელი, ჩემს კისერზე იყოს ყველაფერი. ნუ, კაცუნებ!..

მაგრამ არ იქნა, ვერ გასჭრა სპირიდონის ვედრებამ.

მემაჩქანე დარწმუნდა, რომ ეს კაცი უძილობით და დიდის შრომით სულ გამოყრუვდა და საკუთარი მოვალეობაც კი დაავიწყდა. უსიტყვოდ მოშორდა და სადგურის ოთახში შევიდა.

— მხეცი, უკულო!!.—ბრაზმორევით მიამახა სპირიდონმა.

მოკდის დრო აღარ ჰქონდა. ობლად მდგომი თეთრი ვაგონი შეელას სთხოვდა, ევედრებოდა...

— თვითონ წაეიყვან, ვანა დამავიწყდა მანქანის გაძლოლა? — მტკიცედ ჩაილაპარაკა და გასწია ორთქლმავალისაკენ.

— თქვენ ვინა გკითხაეთ, გამეცალეთ! მე ვარ აქ უფროსი, მე ვაგებ პასუხს... ღრიღღებდა მოთმინებიდან გამოსული სპირიდონი, როცა მოხელეები და ექიმი მას აფრთხილებდნენ. და ურჩევდნენ თავი გაენებებინა ამ უაზრო ნაბიჯისათვის. ველარ სცნობდნენ მისსრებები, მუშები ველარ უბედავდნენ ცნის შებრუნებას და მიაგორებდნენ თეთრ ვაგონს მქშინავ ორთქლმავალისაკენ.

ერთხელ კიდევ მოიგონა სპირიდონმა თავისი სიყმაწვილე. მოიგონა: რა სწრაფად და მარჯვედ მიჰყავდა თავის ქვეყანაში ამგვარი ორთქლმავალი და მაგრა ჩამოიკვა ქული.

— გეწველათ, მოაბით? — გადასცვივლა მისსრეს და როცა მან ლურჯი ბაირალი დაუქნია ინსტიტუტურად პირველადი გადიწერა და მოსწია დიდი ისარი.

აქლოშინდა ორთქლმავალი, შეინძრა და რკინის ხაზებზე გასრიალდა...

— ვინ არის ეს გიეი? ვინ გამოუშვა? — ყვიროდა მეზობელი სადგურის უფროსი, როცა მისი ბაქნის წინ ელვასავით ჩაიქროლა ორთქლმავალმა თეთრის ვაგონით. მაგრამ ის ერთ წუთას უკვე მიიმალა, თითქოს ბორბალები არც კი გაქარებოდნენ ამ რკინის ცივ ხაზებს.

— რანაირად მიჰყავს, დაილეწება! — გაიფიქრა მან და სიფრთხილისათვის ტელეფონთან მივიდა, ნერვიულად დაურეკა სპირიდონის სადგურს.

— თქვენ გამოუშვით?.. აქი ბრძანებაა? რამ ვაგაგიეთ! უფროსი სადაა? თმები ყალყზე დაუდგა, როცა პასუხი ვაიგონა.

გაშტერებული თვალები აქეთ-იქეთ მიაცეკა, თითქოს ეშინოდა სხვასაც არ ვაეგონა ეს საშინელება. ერთ წუთს უხმოდ იდგა ტელეფონთან, და უცებ მთელის ძალღონით დააჭირა შავ ფოლაქს თითი და კიდევ.

— №-ი ხარ? — ყვიროდა ის. — ესეცაა ორთქლმავალი გამოვიდა — პუნქტზე მიდის, არსა ჩერდება. დაიჭირეთ მანდ. არ გაუშვათ! თავის ნებითაა წამოსული გესმით, ვაიგეთ? — ეტყობოდა მეზობელს ყველაფერი არ ესმოდა. რადგან მას რამდენიმეჯერ მოუხდა იმავეს განმეორება.

— ხომ მიხვდით? ხო, ასე!.. ძალიან ჩქარა მოდის, გვერდზე გადააყენეთ

მოხვეულში ჩააგდეთ... ფრთხილად ოღონდ!—ძლივს ამოიგვენეშა, როცა ძაბრი ჩამოჰკიდა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

ვერავერი გაეგო—როგორ შეიძლებოდა ფრთხილ და მოხუც მსახურებს ასე დაეკარგა გონება? ასეთი საშინელება ჩაედინა?..

მიჰქრის, მიქშინავს სპირიდონის ორთქლმავალი და იმ მეორე სადგურიც გამოჩნდა; ერთიც კიდევ და მიიყვანს ამ თეთრ ვაგონს დანიშნულ ადგილს—იქ შეიძლება მადლობაც უთხრან, გაუგონ.

შეისრე წითელი ბაიარალით სდგას, ეტყობა რაღაცას უყვირის, მაგრამ სპირიდონს არ ესმის.

იცის, თუ შუბერდა—შემდეგ აღარ გაუშვებენ აქედან, უფრო მოუმატა ძალას...

„შეიძლება გასკდეს ქვაბი, ჰაერში ავარდეს!“—ფიქრობს ის, მაგრამ ეხლა შენელება აღარ შეიძლება.

ჩაიქროლა ბაქნის წინაც... უცებ მატარებელი განზე უხვევს და ისევ მიჰქრის.

შორით მოსჩანს აღმართული „ბუფერი“.

„გადააყენეს ამ წყეულებმა!—გაუღელვა მას თავში და ერთბაშად მოსწევს ტორმოზს, უნდა შეაყენოს, სელა შეანელოს.“

მაგრამ ბუფერი სულ ახლო და ახლოა. ერთს მწარედ დააკივლებს ამ ორთქლმავალს და მთელის ძაღლინით აბრუნებს რგოლს.

—„ბუხ! ტრაახ?—გაისმის უცებ და სპირიდონს რაღაც სიშინელი ეცემა თავზე... ორჯერ გაიღვევს მის წინაშე ცეცხლი, მწვანე ბურთი თვალებთან ათამაშდება და უცებ ყველაფერი ჰქრება.“

მართო იმას გრძნობს, რომ რაღაც ცხელი ესხმება მთელ ტანზე, რომ ალი ედგება; უნდა ოდნავ აიშვას, ჰაერი იშოვოს, მაგრამ ეს ცხელი მთელ ტანზე გარს ერტყმის და სულის თქმას უხუთავს.

უნდა რაღაც დაინახოს, მაგრამ მხოლოდ შავი და წითელი წერტილები თამაშობენ თვალების წინ...

მაღე ისინიც ნელ-ნელა ქრებიან და ყველაფერი წყნარდება. სპირიდონის უკანასკნელი ოხვრა ქარს სადგურისაკენ მიაქვს...

არაბგული ზღაპარი

1

სევასტოპოლის ერთ-ერთ სასტუმროს წინ გაჩერდა მგზავრებით სავეტ უზარ-მაზარი „რენო“.

სასტუმროს შევიცარი მიეშველა მგზავრებს ავტოდან გადმოსასვლელათ; შემდეგ მიბრუნდა სასტუმროს ღია კარებისაკენ და დაიძახა, რათა გამოსულიყვენ ბარგის წასაღებათ.

სხვა მგზავრებთან ერთად ავტომობილიდან ვაბედულად ვადმოხტა ერთი ქალი, ასე ოცდაათი წლის, თეთრგვრემანი, დიდ ჯიბეებიან მსუბუქ სამგზავრო პალტოთი და თვალეზზე ჩამოფხატულ ფართო ქუდიო, რომლის ქვეშ მოსჩანდენ თეთრი ლოყები და მუქისფრად მოეღვარე ცოცხალი თვალეზი.

ხელში ეკავა პატარა საკვოიფი—ყვითელ ტყავისგან.

იკითხა: არის თუ არა თავისუფალი ოთახი.

დიდ უღვაშა მსახურმა, თეთრი წინსაფართო, უპასუხა, არისო. ქალმა თავი გაიქნია, ხელებით დაიკირა პალტოს საკმაოდ ფართო კალთები და გასწია მალ-ლა კიბით.

პალტო გაუხდელად, გამოკდილი თვალეზით ათვალ-ჩაათვალეირა ნომერ-ში ყველაფერი: თითქოს აფასებს ოთახის მოწყობილობასო; შემდეგ, ალბად, მოიწონა, თავისუფლად მოიძრო პალტო და სარკესთან მივიდა. მოიხადა ქუდი და დაიშალა მოკლეთ შეჭრილი თმები, რომლებიც ოქროსფერ ნათელ რგოლეზად ვადმოეშვენ.

მთელი მისი სუფთა, მოქნილი მოყვანილობა, განსაკუთრებით პირისახის და ხელეზის თეთრი კანი, აგრეთვე პალტოს აბრეშუმის მწვანე სარჩულიც, ყოველივე ეს იმას ამბობდა, რომ მოსული ეკუთვნის იმ ჯუჯრის ქალეზს, რომლებიც მიჩვევიან ესთეტიურ ცხოვრებას, იშვიათ სილამაზის ნივთებს და ყველგან, სადაც არ უნდა ვამოჩდენ, თან მოაქვთ რალაც უხილავი ნიშნები ქალური სიწმინდის, წესრიგის და მშვენიერების.

და მართლაც, საკმაო იყო რამოდენიმე წუთი, რომ ოთახს სრულიად გამოეცვალა თავისი ძველი დახავსებული სახე: ისე მოხდენილად და ვაბედულად ვადაილაგ-ვადმოალავა მან ნომერის ავეჯეულობა.

როდესაც იმავე დიდ-ულვაშა მსახურმა მოიატანა გასაწერო ფურცელი, ქალმა საკვოთაიდან ამოიღო ავტომატიური კალამი და ჩამოვსდა სკამში გაწერ მავდიასთან.

მსახურმა ცალი თვალით გადახედა ვახსნილ ჩემოდანს და გაკვირვებულმა დაინახა, რომ ის თითქმის სულ სავსე იყო რალაც წიგნაკებით და ქალღლებით. შემდეგ კისერი ცოტა წინ წაიგრძელა, ქალის მხრებს იქით გადახედა ფურცელს, და, ცოტა არ იყოს, უნდობლობით და იქვით შეაკტერდა ახალგაზრდა სტუმარს: კითხვაზე „თქვენი პროფესია“, ქალს დაეწერა „პროფესორი“.

მსახურმა აიღო ფურცელი, გადუბერა რამოდენიმეჯერ სული, და კარები-საქენ გასწია. კიდევ ამოიკითხა: „თქვენი გვარი და სახელი?“ — „ლიდია ნიკოლაევნა სნეგირევა“.

კარებიდან ერთხელ კიდევ მოიხედა სტუმრისაკენ. უკვირდა: ჯერ იყო და პირველად რომ დაინახა ეს ქალი, გაიფიქრა: ალბად ერთი იმ ფრინველთაგანია, რომელიც ყოველთვის მარტო მოფრინდება ხოლმე, ცხოვრობს ვინ იცის ვისი ჯიბის ხარჯზე, და რომელსაც შემდეგ მალე გაუჩნდება ხოლმე ბლომად ნაცნობებიც და მფარველებიც.

მაგრამ, როდესაც ნომერში შემოვიდა და თვალი მოჰკრა, თუ როგორ მიილაგ-მოაღავა ქალმა ოთახი, მან გადასწყვიტა, რომ ეს, ალბად, უნდა იყოს რომელიმე პასუხისმგებელ მუშაკის ცოლი, ბურჟუაზიულ წრიდან გამოსული.

ეხლა კი სულ დაიბნა მსახური, არაფერი ესმოდა. თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში პროფესორებიც ენახა, და არა ერთი და ორი, მაგრამ ასეთი პროფესორი, ასეთი ოქროსფერ თმებით—ქალი პროფესორი! — არასოდეს.

— ლიდია ნიკოლაევნა სნეგირევა? — რატომღაც იკითხა მსახურმა; ქალღლის ფურცელს რალაც უნდობლობით ათვალიერებდა.

— დიახ, დიახ, — უბასუხა ლიდია ნიკოლაევნამ. შემდეგ მივიდა ფანჯარასთან და დიდხანს გასცქეროდა დილის ზღვას, შორით რომ მოსჩანდა და შხისგან მოეღვარე სახურავებს და ქალაქის თეთრ კედლებს.

მაშ კიდევ აქ არის... ეს იყო მისი მშობლიური ქალაქი, აქ დაიბადა და აქვე სწავლობდა. უნდოდა რაც შეიძლება მალე ენახა ნაცნობი ადგილები; დაჰკეტა ოთახი და წავიდა ქვევით.

გარეთ ისეთი შხე იყო, რომ თვალემა სულ დაუბრმავდა. გარშემო ყველაფერი ნაცნობი იყო: შხის სხივებით მოეღვარე ქვაფენილი, მოსიარულეთა თეთრი ტანთ-სამოსი, სავაჭროების ფანჯრებზე ტილოს ფარდები, წყნარ შესახვევებში კი ქვის გალავნები თუჯის მოაჯირებით და ეზოებში მწვანე ფოთლების ბაღებში ჩამოკიდული ყურანის მტყენები, თითქოს დამცვარული სამხრეთი შხის მცხუნვარე სხივების წინწყლებით, — ყველაფერი ეს ასე ნაცნობი და ახლობელი იყო.

სწორედ ცამეტი წლის წინად წავიდა ის ამ ქალაქიდან, რათა განეხორციელებია თავისი ოცნება — გამხდარიყო პროფესორი.

ცამეტი წლის წინად ის იყო ახალგაზრდა ქალიშვილი მძიმე ოქროსფერ ნაწნავებით, მიხაკისფერ კაბით, შავი წინსაფარით.

ეს მისი ოცნება იცოდნენ მისმა მეგობრებმა და ახალგაზრდათა იმ წრემ, რომელშიაც ის ტრიალებდა. მეტსახელიც დაარქვეს: „ბატონი პროფესორი“.

მაგრამ მაშინაც, რასაკვირველია ხუმრობით, ამბობდნენ: ასეთი გარეგნობით, ასეთი თმის ნაწნავებით ძალიან საეჭვოა მიაღწიოს თავის საწადელსო. როგორღაც არ ეწყობოდა ეს.

ცოცხლად მოიგონა ეს მშვენიერი, საყვარელი წლები დაუფიქვარ ბავშობისა, როცა დიდი წყურვილი იყო მუშაობისა და რაღაც გამოურკვეველ მსხვერპლის ძაღების.

კარგად ახსოვს: როგორღაც ერთხელ ზაფხულის საღამოს, იჯდა ის ზღვის პირას და ოცნებობდა თუ როგორ, გასცქერის იგი განმარტოებული, დამწყვდეული საპრობილის ერთ-ერთ საკანში, რკინის მოაჯირის იქით შორეულ ზღვას.

მოაგონდა გულუბრყვილო ყმაწვილობის რომანები. უყვარდა ფიზიკის მასწავლებელი. თვითონ იგი კი უყვარდა ერთ ახალგაზრდას მათი წრიდან, სემიონ რალფს. ეს რალფი ყველას მიერ სასაცილოდ იყო აღებული იმის გამო, რომ ქალური სახე ჰქონდა—ეძახდნენ მეტსახელად—სიმონკას, რაიც, ცხადია, ნიშნავდა მის თავმოყვარეობის სასიკვდილო შეურაცხებას... სხვათა შორის, ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა ლიდიახე რალფის მეტად მაღალი, ვიწრო და ჩაზნექილი შეხდი.

რალფი ყოველთვის ხდებოდა მსხვერპლი ამბანაგების ყოველნაირ ხუმრობისა და ეშმაკობისა, ვინაიდან იგი, სხვათა შორის, მეტად გულუბრყვილო და ყველაფრის დამჯერი იყო.

და აი ეხლა, მთელი ეს წრე ახალგაზრდობისა დაიფანტა, როგორც ახლად ფრთებ გამაგრებული ჩიტების გუნდი. და ვინ იცის, ვინ—საით. ვისი ყმაწვილური ოცნება განხორციელდა, ვისი კი არა.

მისი ოცნება,—მიუხედავად პროფესორისათვის მეტად შეუფერებელ გარეგნობისა,—განხორციელდა. ის ეხლა პროფესორია ბიოლოგიის, ავტარი ნიქიერ მეცნიერულ შრომების და საკმაოდ ცნობილი მეცნიერთა წრეებში. შეილიც ჰყავს: ცხრა წლის გოგონა ქმარისგან, რომელთანაც ის არ ცხოვრობს,—მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად დადის მასთან და მეტად კარგი მეგობრული დამოკიდებულება აქვს.

მთელი მისი ყვავილებად გაფურჩქნელი ტანი ნათლად ამბობს, თუ რამდენი ქალური სინაზე იმალება მასში; მიუხედავად ამისა, მისი ცხოვრება ნაკლებად წააგავდა ჩვეულებრივ ცხოვრებას ჩვეულებრივ ოცდაათი წლის ლამაზი ქალისას. იგი გართული იყო მუდამ აზრებში და ფიქრებში: მას არ ჰქონდა საკმაო მოკალება, რომ ყოველ დღიურად ყურადღება მიექცია ოჯახისათვის. ხშირად მთელი კვირაობით მას ვერ მოენახა ერთი დღეც თავისუფალი; მთელი ეს დღეები, საათები მისთვის აუცილებლივ საჭირო იყო, რათა დაეძლია ის აზრები, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევდნენ, და ხორცი შეესბა მათთვის.

აღრე მიხვდა, რომ ახლობელ ადამიანთან მუდმივი ყოფნა სულიერად აკოტრებს, ჰქურდავს მას. შედეგი ამისა ის იყო, რომ დღემ დაუთმო შვილი მამას, რომელსაც გაგიცებით უყვარდა ის, და თვითონ ცალკე დასახლდა.

ჰქონდა საკმაოდ დიდი პატივმოყვარეობა და ჯიუტი ხასიათი, დაფარული ახალგაზღვრის ცხოვრების აღფრთოვანებით. ახალგაზღვრდობას შეყუქუპავს, ახარებულს ცხოვრების ყოველგვარი სიამით, უარი არ სთქვას მშხერ, მატკრამ სარხფერი ისე არ გაიტაცებს მას ისე ძლიერ, როგორც დასახული მთავარი მიზანი ცხოვრებისა.

მისი უმთავრესი გართობა იყო— შორეული მოგზაურობა დიდხნის მუშაობის შემდეგ. მოგზაურობდა ყოველთვის მარტო. ცოცხალი ინტერესით ხედებოდა მგზავრთა შორის მამაკაცებს, ქალებს. სიამოვნებდა, როდესაც დაიპერდა მისკენ ვადმოსროლილ ისრებს ვინმეს დაინტერესებულ თვალებისას; ცნობის-მოყვარეობით ჩაებმოდა ხოლმე მოკლე სამგზავრო ბაასში უცნობ ადამიანებთან.

ამის გამო, მიუხედავად არაოჯახურ ცხოვრებისა, მან სრულებით არ იცოდა, თუ რაა მარტოობა: უცნობი ადამიანები, რომლებსაც ხედებით მგზავრობაში ან აგარაკებზე, ყოველთვის უფრო გულახდილნი არიან, ვიდრე ახლობლები.

არა ერთხელ ჰქონია მას შემთხვევა მოესმინა მთელი აღსარებანი მამაკაცების თუ ქალების, რომლებშიაც იგი ჰბადებდა განსაკუთრებულ ნდობას თავისადმი, რადგან ჰქონდა ყოველთვის სახე გაშლილი და აღერხით საესე უბრალო ხასიათი.

ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს პირადი მარტობელობის გამო მასთან განსაკუთრებით ახლოა მთელი ქვეყნიერება.

იყო შემთხვევები, როდესაც ისიც იხდიდა ხარკს ახალგაზღვრდობის წინაშე; ასეთი შემთხვევები ჰქონდა მას უმთავრესად სრულიად უცნობ ადამიანებთან, მაგრამ იგი ყოველთვის გაურბოდა ასეთ რამეების ვახანგრძლივებას. თვითონაც არ იცოდა, თუ რა იყო ამის მიზეზი— ბუნებრივად ცივი გული, თუ აბალი ფსიხიკა ადამიანისა, რომლისათვისაც სიცოცხლის მთავარ წყაროს წარმოადგენს საკუთარი მოქმედება,— მაგრამ ფაქტი კი ის იყო, რომ არც ერთხელ არ უგრძენია მას ყველაფრის დამტვევი სიყვარული რომელიმე ერთ მამაკაცისადმი, რომელთანაც მას ჰქონებოდა სრული თვისი ცხოვრების სამუდამოდ შეერთებისა. მამაკაცი მას სჭიროდა მხოლოდ განსაზღვრულ დროის განმავლობაში, რის შემდეგ უკანასკნელი უკვე ხელს უშლიდა მას; თითქოს კედელი აიშართებოდა მის წინაშე და გზას უსპობდა საკუთარ თავის და მის გარე ფართო ცხოვრებისაკენ.

რევოლიუციის მკაცრმა და მტკიცე ბუნებამ, რომლის ატმოსფერაში მან გაატარა ათი წელი, თითქოს რაღაც ახალი სული ჩაჰპერა მას. სწორედ ამან მისცა მას საშვალეობა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა— ევლო წინასწარ არჩეულ მიმართულებით და ჰქონებოდა გამზვადობა ეცხოვრა ისეთი ცხოვრებით, რომელიც სწორედ მის შეეფერებოდა.

ის ეკუთვნოდა იმ (ჯერ კიდევ იშვიათ) ქალებს, რომლებიც ირჩევენ რა მეცნიერების გზას, სრულებითაც არ იყინებიან ცხოვრების ნებაყოფლობითი უარყოფაში; არ ღებულობენ მართლაც რომ საფრთხობელა გარეგნობას:— უშნოთ შეკრეკილი, ჯოხებივით სწორი თმების ღეროები, გამხმარი, წიფნებისგან მოხრილი ბეჭები, ჩავარდნილი, გულ-მკერდი და ნაოჭებით საესე სახის კანი.

მას სრულებით არ ეშინოდა ტუჩების შეფერვისა, რითაც ის თავბრუსდებულად არღვევდა წმინდათაწმინდა ტრადიციებს რუს ინტელიგენტ ქაღატასა, რამდენიმე სათვის საზოგადოების და მეცნიერების წინაშე სამსახური ყოველთვის ინაწინაა და საკუთარი ხორცის და ადამიანურ მოთხოვნილებათა ხელოვნურად ჩაკვლას, რომელიც ყოველთვის ამაცობდა არა სავსე ცხოვრების სიბარულით, არამედ მოხრილი ბეჭებით და მონაზონის უსიცოცხლო სახით.

II

ნავთსადგურის გახურებულ საფეხურებზე ლილია ნიკოლაენა უცებ შეეფეთა პირის-პირ ვილაც სამხედრო პირს, რომელსაც მკერდზე, მარცხნით, ეკრა წითელი დროშის ორდენი.

უცნაურად ჩააშტერდა ქალს და უცებ წამოიძახა:

— აა, ბატონო პროფესორო?!
ლილია ნიკოლაენამ გაკვირვებით მიაჩერა მას თვალები და უცებ იცნო ამ უცხო ვაეკატორ სახეში ძველი ნაცნობი.

— სიმოჩკა?— გაუბედავად იკითხა მან და თვალებს არ აშორებდა.

— ღიახ, მე გახლავარ.

უცნობი აღმოჩნდა სემიონ რალფი.

— საიდან მოფრენილხარ?

— შენ საიდან?

— მე ესეც არის ჩამოვედი. წარმოიდგინე, სწორედ შენზე ვფიქრობდი ამ რამდენიმე წუთების წინ.

რალფი გაწითლდა.

— შენ მე მიგონებდი?

— ხო, მერე რა? მომაგონდა ჩვენი აქტორი ცხოვრება და ვფიქრობდი, ნეტავი რა დაემართა ჩემს ახალგაზრდობის მეგობრებს-თქო.

— ხოო... მე კი მეგონა, შენ ჩემზე ფიქრობდი მხოლოდ...

— რასაკვირველია, შენც მოგიგონე. ეხლა ეს მითხარი: აქ მუდმივ ცხოვრობ, თუ...
— არა, მხოლოდ დროებითა ვარ, ერთი თვით,— უპასუხა რალფმა. იდგა ქალის წინ მაღალი, ფართე მხრებიანი, კეფაზე მოქცეულ ქუდივით, და შეპყრობდა ქალის მზია გაბრწყინებულ სახეს.

— როგორ გამშვენიერებულხარ, ა!... იგივე ხარ რაც იყავი, თუმცა ამავე დროს რაღაც ახალიც უნდა იყოს შენში,
ამ სიტყვებზე ქალი ცოტა წამოწითლდა.

— შენ კი, მართალი გითხრა, ვერც გიცნობდი,— უპასუხა ლილია ნიკოლაენამ.

— მართლა, ასე გამოცვლილი ვარ?— გახარებით დაიჭირა ქალის სიტყვები სემიონ რალფმა.

— ხო, გამოცვლილხარ...

— დიხ, რევოლიუციის მეთაე წლის თავზე მეც შემიძლია დაეკეხო.

— მეც ასე მგონია, — სიტკვა ლილია ნიკოლაევნამ, — მარტოა მარტონი წარმოუდგენელია, ნუ თუ შენა ხარ ის სიმოჩკა, რომელსაც მე ვიციანბდი, ა? ნეტავი იცოდე, როგორ გამეზარდა შენი ნახვა! — დაუმატა მან და ხელი ხელს მოჰკიდა; ოდნავ აღელვებით და მზიარული ღიმილით შესტკეროდა მის თვალებს.

— ...მეც, მეც... შენ ხომ იცი, რომ ოდესღაც მეც ვიყავი შეყვარებული... მიყვარდი შენ...

— როგორ არ ვიცი?! მაგრამ მას შემდეგ ხომ იმდენი დრო გავიდა, რომ ამაზე ლაპარაკი არც კი ღირს, — სიცილით წარმოსტკვა ლილია ნიკოლაევნამ. რატომღაც მოაგონდა მისი შუბლი და უნებლიეთ გადახედა: შუბლი ისეთივე იყო, როგორც ძველად.

— მე კი არ ვიტყვოდი, რომ არ ღირს ლაპარაკი, — არ დაეთანხმა რალფი... ახლო ჩააკვირდა ახალგაზრდა ქალს თვალბში და ხელი მკლავში გაუყარა.

წაეიდენ სასტუმროს მიმართულებით.

რალფის სიტყვებში და ტკევაში ლილია ნიკოლაევნამ იგრძნო რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ არაფერი შეეძლო ეპასუხა. ამავე დროს არც ის უნდოდა, რალფი მიმზვდარიყო ამას, რათა საწყენად არ დარჩენოდა; ამიტომაც არ მოიცილა მისი ხელი.

შევიდენ ნომერში. ქალი ჩაჯდა სავარძელში ფანჯარასთან, რალფიც იქვე ჩამოჯდა ფანჯარაზე.

— ნუ თუ არაფერს განსაკუთრებულს არ ნახულობ აქ? — ჰკითხა ვაჟმა და თავისი თვალბი სულ ახლო მიიტანა ქალის თვალბთან. — ამდენი წლების შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევხედით და ესლა... აქ... მარტოდ-მარტონი... ეს ხომ შეიძლება გადაიქცეს რაღაც წარმოუდგენელ სიმშვენიერედ? ხომ კი? ა? იცი, ლილია ნიკოლაევნა, როგორ ვიტანჯებოდი ბავშობისას, როცა შენ და შენი მეგობარი გოგოები ისეთი ირონიით მეპყრობოდით მე... მაგრამ ესლა ვგრძნობ, რომ უფლება მაქვს მოვითხოვო სულ სხვა დამოკიდებულება ჩემდამი...

ხელი მოჰკიდა ხელში, მიუაღერსა, შემდეგ მოინდომა, ვითომც შეუმჩნევლად, მიეზიდა თავისკენ, მაგრამ ლილია ნიკოლაევნამ უცებ წარმოსტკვა:

— მართლა, ჩაი გინდა შეიძლება?..

რალფის სახემ სხვა გამომეტყველება მიიღო: ეტყობოდა — ძალიან ნაწყენი დარჩა.

— რის ჩაი? რა ჩაი? არა, არ მინდა...


— მე კი, წარმოიდგინე, დიდი სიამოვნებით დაველევ...

და დარეკა.

შემდეგ დაინახა რა მისი დაღვრემილი სახე, მივიდა მასთან, აკოცა თავზე და უთხრა:

— რა საოცარი შეხვედრაა: შენ მე მომაგონე ბედნიერი წარსული, მშვენიერი.

და როდესაც რალფი, კოცნით აღელვებული და ქალის სიახლოვით, ეცადა მიიზიდა ის თავისკენ, ლილია ნიკოლაევნამ წამოიძახა:



— მოდიან...

— არავინაც არ მოდის... რა ღმერთი გიწყობება, ქმარი გყავს და გრწმუნობა მას არ უღალატო, თუ...

— არა, ჩემო კარგო... მე მისი მეშინია მხოლოდ, რომ ვაი თუ გაეფუკოთ ასეთი მოულოდნელი, მშვენიერი შეხვედრა, რომლისგანაც მოპქრის საუცხოვო და დაუფიწყარ აბალგაზრდობის ქარი. იცი რა, ჩემო სემიონ? მე არავისი და არაფრის არ მეშინია, მაგრამ მე არასოდეს არ ჩავდივარ ისეთ რამეს, რომელიც შემდეგ უნდა მოვიგონო ნალველით და უსიამოვნო გრძნობით, რომ ჩავივინე სრულიად ზედმეტი შეცდომა. ესეც რომ არ იყოს, მე მართალი ვიბხრა,—დაუმატა მან ეშმაკური ღიმილით,—სრულიადაც არ მიყვარს ზედმეტი აჩქარება,—ვინაიდან უმთავრესი სიმშვენიერე ის არის, თუ რასა ვგრძნობთ და განვიცდით ჩვენ—შენ და მე ეხლა, ამ წუთში, ჩვენ, რომლებიც შეხვედრით ერთმანეთს ამღვნი ხნის უნახაობის შემდეგ, და თანდათანობით ვეცნობით ერთმეორეს, ვგებულობთ, თუ რა, ან ვინ ვართ ეხლა ჩვენ... მაშინ, როდესაც ჩვენ ერთმანეთისათვის ჯერ თითქმის სრულებით არაფერი მოგვეთხრობია. შენ ჩემს შესახებ არაფერი იცი და მე შენს შესახებ.

რალფი სავარძელში გადაჯდა, ქალი კი იდგა მის ახლო, ზევიდან ჩასცქეროდა მის მალა აწეულ თავს და ლაპარაკის დროს ჩემად უსვამდა ხელს იმებზე.

— იცი რა ვიბხრა? მოდი და ასეთი პირობა დაედოთ: ჯერ შენ მომიყვები და მიამბე, თუ რა დასკვნები გამოიტანე ამ ათი წლის განმავლობაში ცხოვრების შესახებ, შემდეგ კი ჩემი რიგი იქნეს. ჩემი აზრით ეს ძალიან საინტერესო გამოვა, ცოტათი არაბულ ზღაპარსაც წაგავს, ზომ?! სამხრეთის უღამახეს ბუნების წიაღში შეხვედენ ერთმანეთს ორი აღამიანი—აბალგაზრდა მამაკაცი და... ჯერ კიდევ არც თუ ისე მოხუცი ქალი... ისინი ორივენი თავისუფალი არიან, ქალი მართო ცხოვრობს სასტუმროში, მათ არ უთვალთვალებს არც ერთი ცნობის-მოყვარე თვალი; ლამეებს ათევენ ისე, რომ ერთი-მეორეს უყვებიან რიგრიგობით ყოველივეს, თუ რა უნახავთ ღირსშესანიშნავი, რა დასკვნები გამოუტანიათ ამ ათი წლის განმავლობაში, და, რააქეთ დაბოლოს ისეთი რამ, რომლითაც მათ შეეძლება—როგორც შენ სთქვი წელან—დაიკვებონ. შემდეგ კი ვინ იცის, რით დამსავრდება მათი ეს შეხვედრა: შეიძლება ხანმოკლე რომანით, ასე ვთსთქვათ, ნახევრად ამხანაგური ხასიათისა, ან და მათ შეაერთებს რაიმე ლფრო ძლიერი, რაიც რომელიმე მათგანს განსაკუთრებით აკლდა ცხოვრებაში...

რალფი შესცქეროდა ღილია ნიკოლაევენს და მის ლოყაზე ნერვიულად თამაშობდა კუნთი. უკანასკნელ სიტყვებზე ხელებმა უნებლიეთ მოინდომეს ჩაკრათ გულში აბალგაზრდა ქალი, მაგრამ უკანასკნელი როგორღაც ძალიან იოლათ, თითქოს არც კი შეუშინებია იმისათვის, თუ რას აპირებდენ ვაჟის ხელები, განზე გადაა და ხმა მალა წარმოსთქვა:

— აი, ჩაიც მოაქეთ...

III




— შენ ცოლი გყავს თუ არა?—იკითხა ჩაიზე ლიდიანისკენა.

— არა... ჩვენ ცოლიანობა არ შეგვშენის. თუმცა იქ სხვა მიზეზებიც არის...

— მერე, ეს მიზეზები თვით შენშია თუ...

— არა, მგონი უფრო იმ ქალებში, რომელთაც შემთხვევა მქონდა ახლო გავცნობოდი,—სიტყვა რაღფმა.—მე მგონია, ჩვენში ეხლა არსებობს ორგვარი მკაფიოდ გამოხატული კატეგორიები ქალებისა. პირველი კატეგორია—ეს ის ქალებია, რომლებიც რევოლუციის შემდეგ დარჩენ ისეთივე, როგორც იყვნენ რევოლუციამდე. მათ სავსებით შეინარჩუნეს თავისი წმინდა ქალური ბუნება, რომელიც ყოველთვის ხასიათდება პარაზიტულ უძღურებით და საკუთარი ცხოვრების უქონლობით. მათი ცხოვრება მხოლოდ იმ მამაკაცებშია, რომელთა თანამგზავრნიც ისინი არიან. ეს, ასე ვთქვათ, **ოჯახის ქალებია** და ბუნებრივი მოწოდებით—**ცოლები**. ეს კატეგორია მე განსაკუთრებით მეჯავრება. მათგან ყოველთვის მოდის ისეთი სუნი უმობრაობისა, უსიცოცხლობისა, რომ მე თითქოს გული მერვეა, განსაკუთრებით როდესაც შევსტკერი მათ ყოველთვის კმაყოფილ და მადლიერ სახეს. სქესი მათზე იმ ზომამდე გაბატონებულია, რომ მათ არასოდეს არ შეუძლიათ გამონახონ საკუთარი ცხოვრების საკუთარი ძალი, მათ ყოველთვის უნდათ სხვისი, უცხო ძალა, რომლითაც შეეძლებათ იცხოვრონ, იარსებონ, ძალა საყვარელ მამაკაცისა. ამ მხრივ, ასეთ ქალების სიყვარულში ყოველთვის მარბია უდიდესი ანგარება. პირადათ მე რამდენ ქალს ვიცნობდი, ნიქიერს, სიცოცხლით სავსეს, ჭკუიანს,—ისინი იმედებსაც იძლეოდნენ... მაგრამ როდესაც მათ ცხოვრების გზაზე მამაკაცი შეხვედებოდათ, რომელსაც ისინი აიჩივდნენ თავის სიყვარულის საგნად, მაშინვე თავდებოდა ყველაფერი. გრძობდი, რომ უმთავრესი, პირველხარისხოვანი მათთვის სწორედ ამაშია, ყველაფერი დანარჩენი კი მხოლოდ მეორე და მესამე ხარისხოვანია. ასეთი ქალის არსებობის უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეხედეს სადმე ცხოვრების გზაზე მამაკაცს, რომელსაც იგი მისცემს ყველაფერს რაც გააჩნია: საკუთარ პიროვნებას, სახელს, მხოლოდ იმიტომ, რომ იყოს მასთან, მისი თანაშემწე, უსახო და უსახელო. ეს რაღაც „წყველა და შეჩვენება“, რაც დღემდის თანახლავს ქალის ბედს, ინტელიგენტურ ქალის ბედს. არ ვიცი, როგორ არის ამ მხრივ საქმე მუშათა შორის. იმის გამო, რომ მათში არ ქონდა ფესვები ღრმად გადგმული სიყვარულის კულტს, როგორც ჩვენში, ინტელიგენციაში,—შესადლოა იქ ეს მდგომარეობა ისე მწვეავთ არ იღვეს. პროლეტარი ქალი უფრო ადრე და უფრო იოლათ გახდება დამოუკიდებელი ციფრი და არა მაჩანჩალა ნული. რევოლუციის გასწვრივ მე არა ერთხელ და ორხელ შეხვედრილვარ ისეთ ქალებს, რომლებიც ვითომც თავისუფლდებოდნენ ამ წყველა-შეჩვენებისაგან, მაგრამ შემდეგ, პირველ შემთხვევასთანვე კვლავ უბრუნდებოდნენ იმას, რაც იყვნენ... და აი, ამის შემზღვეარე, მე თითქოს არა ნორმალურ მდგომარეობაში ვლგები: მე ვერ მოპინულებია ასეთი ქალები. მე არ შემძლია ოდნავათაც დაეუახლოვდე მათ, რადგან მაშინ თითქოს ჩემ საკუთარ თავს შევსტკერი და



ვაფასებ, და მაშინვე იღებებს ჩემში ზიზღი და სიძულვილი არა მარტო ჩემს
ქალისადმი, არამედ ჩემი საკუთარ პერსონისადმი, და მე ვაფრთხილდები
— მაგრამ შენ სთქვი, რომ ორი კატეგორია არისო— შენი შნა ლიღია ნიკო-
ლაევნამ— მეორე... რომელია?

— მეორე.— ეს ისინია, რომელთაც მე ვეძახი რევოლუციის „ლურჯ წინ-
დებს“. და განა მარტო რევოლუციის? ისინი ყველგან და ყოველთვის ასეთები
არიან. შესაძლოა ესენი იყვნენ სწორედ ის ქალები, რომლებთაც სურთ გან-
თავისუფლდნენ დედაკაცის ასეთ ბედისგან, მაგრამ ამავე დროს ივიწყებენ საე-
სებით, რომ ისინი ქალები არიან, ცდილობენ მოიშორონ ყოველივე ქალური,
განთავისუფლდნენ საესებით თავის სქესისგან, ერთი სიტყვით, „წყალთან ერთად
ბავშსაც ისვრიან“. ყველაფერში მამაკაცებს ჰმაძიებენ, თავებდობენ, უშნოთ
იყვამენ, ცხოვრობენ ისე, თითქო ფეხზე გკიდოთ ყველაფერი, ანდა, პირიქით,
იქცევიან ისე, როგორც წმინდანი, რაც ისევე ცუდია, როგორც პირველი. ყვე-
ლაფერი ეს ნიშანია უძლეულების და საკუთარი თავის ღირებულების უქონლო
ბის. ისინი აქაც სხვისი აზრების ხარჯზე ცხოვრობენ, ისევე, როგორც ის ქა-
ლები, რომლებიც საესებით მამაკაცის ხარჯზე არიან.

ბოლოს და ბოლოს, მე მაინტერესებს ერთი რამ: შესაძლოა თუ არა
დაიბადოს ქალის ისეთი ტიპი, რომელსაც ექნება ისეთივე თვითღირებულება,
როგორც მამაკაცს, და რომელიც ამავე ჯდროს დარჩება ქალად, ამ სიტყვის
შეშვენიერესი გაგებით... ან და, შეიძლება ეს ბიოლოგიურადაა შეუძლებელი?...
ბომ იყო ვიღაც მეცნიერი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ქალის ტვინის საშუა-
ლო წონა ნაკლებია ვიდრე მამაკაცის!

ლიღია ნიკოლაევნამ, რომელიც დიდხანს და გულდადებით უსმენდა რა-
ღეს უცებ გაიღიმა და სთქვა:

— შე სუსტი ვარ ბიოლოგიაში, მაგრამ როგორც მახსოვს, შენ რომ
ასევე იმ მეცნიერს ასეთი საჯაყი საქმე მოუვიდა: როდესაც სიკვდილის შემ-
დეგ აწონეს მისი ტვინი, გამოირკვა, რომ უკანასკნელი ვაცილებით უფრო ნაკ-
ლები წონისა იყო, ვიდრე საშუალო წონა ქალის ტვინისა.

რალფმა ცოტა შეფიქრიანებით გადახედა ქალს და სთქვა:

— მაშ, თუ ეს ასე იყო,— მთელი ბიოლოგია სისულელე ყოფილა და—
მეტი არაფერი.

— ბოლოს და ბოლოს, შენი სიტყვებიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ
ჩვენ, ქალებს, მაინცა და მაინც, საამაყო არაფერი ვაგვაზნია, ხომ?— სთქვა ლი-
ღია ნიკოლაევნამ და ხელი გადაუსვა ვაჟის ხელს.

მაგრამ რალფმა, რომელიც რაღაც აზრებში იყო გართული არაფერი უპა-
სუბა ამ კითხვაზე.

— როდესაც მე შენ პირველად დაგინახე, რატომღაც ისეთი რამ შევამ-
ჩიე შენს თვალებში, მთელს შენს მოქცევაში, რომ აღმეძრა უზომო სურვილი
ვიყო შენთან.. ახლო,— სთქვა რალფმა.— შეიძლება ეს მხოლოდ მოგონება იყოს
კმაწვილობის, ანარეკლი ბავშური სიყვარულისა, მაგრამ რატომღაც ვგრძნობ,
რომ შენ ჩემი უნდა გახდე. ოდესაც— წარსულში— შენ სასაცილოდ მიღებდი

და მათამაშებდი კიდეც. ეხლა კი მგონია, შენ არ გეკენება არაერთი საფუძველი კვლავ ასე მომეპყრა. მე ხომ ეხლა ძველი სიმოჩაი არა...
 — რასაკვირველია, — სთქვა სიცილით ლილია ნიკოლაევნამ, — მართლაც და სამისხრო რა არის აქ და ან რითი უნდა გავათამაშო შენ? მე მხოლოდ, ჩვენი ასე სასიხარულო შეხვედრის პირველ წუთებში, მეშინოდა, როგორმე არ წაგებდინა იგი... მაგრამ ეხლა...

სთქვა ეს და ფეხზე წამოდგა: მივიდა რაღფთან, რომელიც სავარძელში იჯდა მაგიდის გვერდით, ხელი მხარზე დაადო და თვალებში ჩააჩერდა. ტუჩების კიდურებში ცახცახებდა ოდნავ შესამჩნევი ეშმაკური ღიმილი.

— ეხლა კი არ მეშინია, რომ ჩვენი შეხვედრა გაფუჭდება.

— რატომ?

ქალი კვლავ შეყურებდა მას კიდეც რაოდენიმე ხანს იმავე გამომეტყველებით, შემდეგ მოულოდნელად ხელი გადუსვა ლოყაზე ტუჩებთან ახლო და სთქვა:

— იმიტომ, რომ მე ასე ვგრძნობ...

ასე გაატარეს ერთად მთელი დღე და საღამო.

და როდესაც ლილია ნიკოლაევნამ ჩაილაპარაკა, რომ უკვე გვიანია და მას ძილი უნდა, რაღფმა გააწყვეტინა:

— მაშ ასე, ძალათ მერეკები, ა? ვერ გამოგია, რატომ აჭინურებ და შემდეგისათვის სდებ იმას, რაც შეიძლება იქნეს წარმოუსახვე მშვენიერი!

კი, მაგრამ შენ ხომ დაეთიანხმე ჩემს წინადადებას, რომ ჩვენ პირველ ყოვლისა მოუთხრობთ ერთმანეთს ჩვენს ამბებს, შემდეგ კი ვნახოთ, შესაძლოა მართლაც ისე მოხდეს, როგორც ეს შენ გინდა. შენ ხომ გრძნობ თვით, რომ გაათამაშებას აქ ადგილი არ შეიძლება ექნეს, რადგან, აბა რით უნდა გაათამაშო?

— კარგი, კარგი, იყოს ნება შენი, — სთქვა რაღფმა და წამოდგა. ხელი მოჰკიდა ხელში და რაოდენიმე ხანს უსიტყოდ შეჰყურებდა ახალგაზრდა ქალს, ნახევრად ბნელ ოთახში, განსაკუთრებით მოელვარე თვალებით; შემდეგ მიუახლოვა თავისი სახე მის სახეს და ჩუმათ, მხოლოდ ტუჩებით წაიჩურჩულა:

— ... შეიძლება?

ქალი მიხვდა, თუ რას ითხოვდა ვაჟი და თვით, თითქოს უნდა დაასწროსო, ხელები მოჰკიდა მის თავს და, უცებ მაგრად აკოცა შუბლში, რის შემდეგ უკან დაიხია.

— ასე კი არა! — სთქვა რაღფმა, თითქოს რაღაცას აპირებდო, მაგრამ წამსვე დაუმატა: — კარგი ასე იყოს, — გემორჩილები, თუ კი დიდხანს არ დამკირდა ცდა.

— კი, კი, ჩემო კარგო, სულ ადრე, ძალე, — სთქვა ლილია ნიკოლაევნამ, მხოლოდ ერთი დღეც, ერთი...

და ეს სთქვა იმ კილოთი, რომლითაც აწყენარებენ ბავშს, რომელიც კონფეტს სადილის წინ მოითხოვს, მას კი არ მუხნებენ რომ კონფეტი სადილისი შემდეგ უფრო გემრიელი იქნებაო.

- მე ხვალ შემოვივლი შენთან 11 საათზე.—სათქვა რალფმა.
- არა, არა!—შეწუხებით უბასუბა ლიდიამ,—სალამოს უმოდენ მცხვალ ალბად სახლში მთელი დღე არ ვიქნები.
- მაშ სად იქნები?—იკითხა, ცოტა ყურებ აცქვეტივით, რალფმა.
- ...რალფ საქმეები მაქვს... ნაცნობებმა დამავალეს რალაცხეები და უნდა ხვალ მოვილიო.
- ხომ... არ... მატყუებ?
- ახლა შენც... რათ უნდა დავატყუო?
- მაშ ასე, ღამემშვიდობისა!

IV

დილით ადრე ადგა. ტანი დაიბანა, ცოტა ბალშიაც გაისეირნა, შემდეგ ინახულა ადგილობრივი ბიოლოგიური სადგური.

სადგურის გამგე—ახალგაზრდა პროფესორი—ცოტათი ინგლისელს წაავადა: ცხვირზე პენსნე, სახე გაპარსული, ამავე დროს ძალიან ალერსიანი და მიმღებიანი. აჩვენა სადგური, შემდეგ უთხრა: სადგურის თანამშრომელი მიდიან ზღვაში მოტორიან ნავით ზღვის ფსკერის გამოსარკვევით ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე სევასტოპოლიდან... შეიძლება ისიც წამოვიდეს მათთან?

ლიდია ნიკოლაევნა სიამოვნებით დასთანხმდა.

ექსპედიციაში მონაწილეობდენ თანამშრომლები, (ათამდე) რომელთაც თან წამოვლათ საჭირო საზომი იარაღები და ზღვის ცხოველებისა და თევზების საჭერი ბადე.

მშვენიერი ამინდი იდგა; წმინდა ცა—არც ერთი ღრუბელი, —ზღვა მტრედის ფერად ჭვირვალი, დიდი მოტორიანი ნავი, რომელიც ქანაობდა, ნაპირას დამაგრებული, ზღვაზე ხან ერთი გვერდით აიწვედა მაღლა ხან მგორეთი, თითქოს თამაშობსო მაღიანათ, —ყუველივე ეს განა არ იყო მიმზიდველი?

ლიდია ნიკოლაევნა მოუთმენლად ელოდა ზღვაში შეცურვას. ამ წუთში მას ყველაზე ნაკლებათ უნდოდა რალფთან შეხვედრა, რომელსაც შეეძლო სრულიად შემთხვევით გამოსულიყო ზღვის პირად. ლიდია ნიკოლაევნას ჰქონდა თავისი მოსაზრება, როცა ასე ფიქრობდა.

როგორც იქნა, ყველანი ჩასხდენ, ჩააწყვეს ნავში უკანასკნელი იარაღი, ბადეები და ბაწრის ბოლო, რომელზედაც იყო მიბმული ნავი და გასცურეს.

ლიდია ნიკოლაევნამ უთხრა პროფესორს, —რომელსაც სამგზავროდ ჩაეცვა თეთრი «კურტკა» და დაეხურა აგრეთვე თეთრი ქუდი, რის გამო ის ძალიან წააგავდა გემის კაპიტანს, —რომ მას განსაკუთრებით აინტერესებს ზღვის ღრმა ძირზე მცხოვრები თევზები, რადგან მისი აზრით მათშია რაოდენიმეთ დამარხული საიდუმლოება ძალის მოქმედებისა ცოცხალ მატერიაზე, ორგანიზმზე.

— დაბოლოს, ჩვენ, ადამიანებიც, ხომ იგივე თევზები ვართ, ღრმა ზღვაში მცხოვრები, რადგან ჩვენს ბუკებზე ვიმარგებთ მთელ ატმოსფერას, და ამავე დროს არაერთარ სიმძიმეს არა ვგრძნობთ. მაშ რაზეა დამყარებული. ეს სიმარგე ცოცხალ ორგანიზმისა, რომელიც ნამდვილად ასეთი სუსტი და უღონოა, და

რით აიხსნება მისი ასეთი უნარი წინააღმდეგობისა, რისი წყალობითაც პაერზე ამოყვანილი ღრმა წყალში მცხოვრები თევზი თითქმის წამშივე აქვდება!

ლიდიანს ლაპარაკობდნენ ასე. ლიდიან ნიკოლაევნა განსაკუთრებით ნასიამოვნები იყო იმ შეგნებით, რომ ჩამოვიდა იგი აქ, ამ ქალაქში, დაცილებული ათასხუთასი ვერსით იმ ადგილს, სადაც ის ცხოვრობს, და აქაც აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იცნობენ მას, ხედებიან როგორც თავისიანს, რომლებთანაც მას აქვს რაღაც ხაერთო კავშირი. და თუ კი ის მოიხურვებს და წავა სხვა მხარეს აგრეთვე ათასხუთასი ვერსის დაშორებით თავის საცხოვრებელ ადგილიდან, იქაც ისევ, როგორც აქ, ის იქნება არა უცხო, უცნობი, არამედ თავისიანი, ახლობელი. ამის შეგნება განსაკუთრებით სასიამოვნოთ დაურჩა მას. მხოლოდ ერთი რამ ანალღლებდა; იცოდა, რომ არაფრით არ შეუძლია უპასუხოს რაღვის გრძნობას. სულით და გულით მოხარული იყო მისი ნახვის, მაგრამ სრულებითაც არა იმ მიზნით, რომელიც ჰქონდა რაღვს... და აი, აქ ის საესებით უღონო, უძლური იყო. და ყველაზე უფრო ცუდი და არა სასიამოვნო ის იყო, რომ ეს მათი შეხვედრა შესაძლო იყო დამთავრებულიყო მეტად სამწუხაროდ, ე. ი. კარების ჩვენებით.

როდესაც პადე ამოათრიეს, ყველა ერთად მოგროვდა, სინჯავდნენ, თუ რა დაიჭირეს; ლიდიანს ადგილი დაუთმეს ბადესთან ახლო, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებია ნადავლი.

საერთოდ ის ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ მგზავრობით, და როდესაც ნაპირზე გადმოხტნენ, მან ითხოვა ეჩუქათ მისთვის ერთი საინტერესო ზღვის თევზი, რომელიც ჩასვეს შუშის ქურჭელში.

— მაღლიერი ზღვის ფაუნა გამოჩენილ შეცნიერს, — სთქვა პროფესორმა ლიმილით და გადასცა თევზი.

V

საღამოს მოვიდა რაღფი. ახლად გაპარსულიყო და თმაც კობტად დაევიარებნა. მთელი მისი გარეგნობა რატომღაც ზეიმობდა და მხიარულებდა.

ლიდიან ნიკოლაევნა საწერ მაგიდასთან იჯდა. რაღფის შემოსულისას სწრაფათ ჩამალა საკოიიავში რაღაც რვეული. ეცვა მარმავის თეთრი კაბა, რომელიც წელზე ჰქონდა დაქვრილი წერილი ჰამრით. რაღფის თვალები უნებლიეთ შეჩერდნენ ჰალის ტანის იმ ადგილზე, სადაც ვიწრო ტალია გადადიოდა ხორციით საესე თეძოვებში, რომლებიც თავის სიმსუქნეს აწვლავნებდნენ ყოველ ზიხვრამოხვრის წამს.

ლიდიან, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ხელს კიდევ არ აშორებდა საკოიიას, ლიმილით შამოატრიალა მისკენ თავისი ლამაზად გაწყობილი, თმახუჭუჭა თავი.

— საოცარი კია მაინც, — სთქვა რაღფმა და ხელზე აკოცა. — მე გერ ისიც არ ვიცი, რა გვარი ხარ, ძველ გვარს ატარებ, თუ ჰმარი გყავს და მის გვარს?

— ოხ, ღმერთო, შენ მაინცდამაინც გინდა გააფუქო ჩენი პრავარმა ყველაფერს თავის დროზე გაიგებ.

სთქვა ეს და გადაიხიჩა სავარძლის იქით, რათა საწინააღმდეგო მიწვევად მოეხდინა. თავსახური კი საკმაოდ შორს იდგა.—რალფის თვალები კვლავ შერყვნილი ჰქონდა.

— მაშ ასე, ჩვენი რომანი ჯერ კიდევ შუაგზაზეა,—სთქვა ქალმა,—შენ ჯერ კიდევ არაფერი გაამბია. შენ მხოლოდ რალფს ვადაცრით ამბობდი, რომ ამ ათი წლის განმავლობაში დიდად გამოიცვალე.—თუმცა ამას მეც კარგად ვხედავ. იმასაც ვამჩნევ, რომ საამაყოც ბევრი რამ გექნება, ისე კი არა როგორც ჩვენ, საბრალო დედაკაცებს, რომლებსაც...

— იცი, რა უნდა ვითხრა?—გააწყვეტინა რალფმა.—რევოლუციამ არა მარტო ჩემში, არამედ მრავალ ჩვენთაგანში, ინტელიგენტებში, რომლებმაც კი მივიღეთ იგი, უდიდესი გადატეხა მოახდინა. სწორედ მან გავგუარა ჩვენ მრავალ ავადმყოფობებისაგან და პირველად ყოვლისა ჰაერში მფრინავ „ფილოსოფოსობისაგან“. ჩვენ ვავხდით, ასე ვთქვათ უფრო „კონკრეტულნი“ საქმის ხალხი. ძველად ჩვენ ყველაფერს მიმართ გვექონდა რალფს ბატონური დამოკიდებულება. წარმოიდგინე, პოლიტიკაშიაც მხოლოდ „კეთილი მემამულენი“ ვიყავით, ფილოსოფოსობას კი ხომ სკოლის სკამიდანვე ვიწყებდით. რევოლუციამ კი შორს გადაისროლა ჩვენი რწმენა—„ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებს“, და გვასწავლა, თუ როგორ უნდა მოაღწიოთ თუ გინდა სიმკაცრითაც, დასახულ მიზანს. ძველად ჩვენ ყველა ანარქისტები ვიყავით, ვინაიდან შეგის სახელმწიფოსადმი უზომო სიძულვილი სწორედ აქეთვე მიგვაქანებდა. რევოლუციამ კი გვასწავლა, თუ როგორი სიმტკიცე უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კაცს, ვინაიდან სახელმწიფო რევოლუციამ ხალხს მისცა. კიდევ რა?.. კიდევ ის, რომ ჩვენ ვისწავლეთ მუშაობა. ჯერჯერობით შესაძლოა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში კიდევ ბლომად ჰქონდეს ადგილი უთავბოლოებას და უწესრიგობას, ჩვენ ხშირად ვანგრევთ მარჯვენა ხელით იმას, რასაც მარცხენათი ვაშენებთ როგორც, ამას გაჰყვირიან ჩვენი ცუდის მსურველნი... შეიძლება ყველაფერი ეს ასეც იყოს... მაგრამ უმთავრესი მაინც ვისწავლეთ, უმთავრესი მაინც გვაქვს.

— ამას შენ მარტო მამაკაცებზე ამბობ, თუ ქალების შესახებაც?—იკითხა ლიდია ნიკოლაევნამ.

— ამაზე მაშინ ვიპასუხებ, როდესაც შენ თვითონ მიამბობ იმას, თუ ვინ ხარ და რა ხარ ეხლა,—სიცილით უპასუხა რალფმა.—რას ნიშნავს მუშაობის ცოდნა? აი რას! მავალითად, მე—რომელსაც მხოლოდ გიმნაზიური ცოდნა მაქვს—ემეთაურობ ისეთ დაწესებულებას, სადაც საქირთა სპეციალური განათლება. მე ვიბრძობი სანოქალაქო ომის თითქმის ყველა ფრონტზე, (მაშინ როდესაც შენ... მე არ ვიცი, რითი ერთობობი... ზუმრობით დაუმატა მან). მე აი ამ ხელით დამიხვრეტია არა ერთი და ორი ადამიანი, მე—სიმოქცას!—იმიტონ, რომ ისინი ჩვენი მტრები იყვნენ. მე ვისწავლე ძლიერად სიყვარული, შევიძინე ძლიერი სურვილი, აგრეთვე ისიც ვისწავლე, თუ როგორ უზომოთ უნდა გძულდეს მტრები და აგრეთვე როგორ უზომოთ გიყვარდეს მუშაობა რევოლუციისათვის.

როდესაც პარტიამ გამგზავნა მე სატყეო საქმეების მეთაურად, მე ამ საქმის ინდენივე ვამეგებოდა, რამდენიც ჩინეთის იმპერატორის შესახებ, ზრგთაჩქა შმოზენ... მაგრამ მოკლე ხნის შემდეგ მე უკვე გაფერკევი ახალ საქმეზე და ვიცოდნ მის შესახებ ისევე როგორც ერთ დროს სიმოჩკამ იცოდა ბერძნული არა-კანონიერი ზნებები. შემდეგ გადაისროლეს ტრანსპორტზე სამუშაოთ და როდესაც მკითხეს: ვაგეგება თუ არა ამ საქმის, მე უპასუხე, რომ ვამეგება იმდენივე, რამდენიც თვითვეულ მგზავრს: ვიცი როგორ უნდა აიღო ბილეთი და ისარგებლო სამგზავრო ცნობარით.

მე მაინც ვამგზავნეს და ერთი-ორი თვის შემდეგ მე უკვე, ცოტად თუ ბევრად, ვერკვევოდი ახალ საქმეში. ამას მე იმით მივალწიე, რომ მთელი ღამეები ვოჯექი და ვარჩევდი სხვადასხვა ბალანსებს, ცხრილებს და სხვა. ეხლა მე ვმუშაობ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. საკმაოდ პასუხსაგებ ადგილზე და ვერაფერ იტყვის, რომ ცუდად ვმუშაობ. აი ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდოდა შენთვის. როგორც ხედავ, აქ რომანტიკა ძალიან ცოტაა, მაგრამ მე მხოლოდ ის მსურდა, რომ დამეხატა შენთვის ის გზა, რომელიც მე ვაგვიარე. დაწყებული თავმდაბალ, სანტიმეტალურ, უნებისყოფო ყმაწვილ ინტელიგენტ სიმოჩკადან, რომელსაც თქვენ ქალები ოდესღაც ასე დასცინოდით და სამასხარაოთ იღებდით—დღევანდლამდე.

— ეხ, ეს ქალები, ქალები, როგორი შხამიანი ქმნილებანი არიან,—სიცილით წარმოსთქვა ლიდიამ ნიკოლაევნამ და შეგობრული აღერსით ხელი გადაუსვა რალფის ხელს.—სამაგიეროთ სასჯელიც დიდი აქვთ: ყველაფრით მათ უკან არიან, ვის მიმართ თავის შხამს იჩენენ.

— ვეკაცური აღიარებაა, ღმერთმანი...

— ჰო, მარა ამით ჩვენ არაფერი გვიადვილდება,—სთქვა ლიდიამ ნიკოლაევნამ; გაიღიმა და თვალები ძირს დაბარა.

— მე კი მაინც მოუთმენლად ვუცდი შენს ამბავს—სთქვა რალფმა და ქალთან ახლო გადაჯდა; ხელი ხელს მოჰკიდა.

ახალგაზრდა ქალი, თითქოს დანებდა, არ მოაშორა ვაყის ხელს თავისი მრგვალი და თეთრი ხელი, რომელიც ასე მომზიბვლელად ღია იყო ილიამდე. ტუჩები უცინოდა. თვალები კი ცოტა ეშმაკურად და ამავ დროს ვითომ დარცხვენით შესტყეროდნ რალფს, რომელიც აღერსით ეთამაშებოდა ქალის ხელს.

— მართალი რომ ვითბრა, არც არაფერი დამრჩენია სათქმელი,—სთქვა ქალმა,—შენ უკვე თითქმის ყველაფერი სთქვი ჩემს მაგიერად.

რალფის ხელი უცებ გაშეშდა.

— როგორ თუ ყველაფერი ვსთქვი? რა ვსთქვი?

და რადგან ლიდიამ ნიკოლაევნამ პასუხს აგვიანებდა, დაუმატა:

— შენ ქმარი გყავს?

თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— მაშ შენი ოცნება?! არა ოცნება კი არა, შენი ცხოვრების უმთავრესი მიზანი—მეცნიერება, პროფესორობა?!

— ოცნებით დარჩა, — მოურჩა ლიღია ნიკოლაევნამ და ხელეტიც ამოურკვევლად ჩაიჭნია.

— მაშ „ბატონი პროფესორი“ — სთქვა არონიული ღიმილით რალფმა — მხოლოდ მოჩვენებად დარჩა, ა? მართალი ვითხრა, მეც ასე ვიფიქრე, როდესაც პირველად შეგხედე; ეს კობტად შეკრებილი თმა, შეფერილი ტუჩები და ლამაზი ტანთსაცმელი, ყველაფერი ეს როგორღაც არ შოდის თავს პროფესორობასთან.

— რას იზამ, — ხეწვით წარმოსთქვა ლიღია ნიკოლაევნამ, — ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. შეგხედი ცხოვრების ვხაზე ერთ ადამიანს, რომელიც შეიქნა ჩემთვის ცხოვრების უმთავრესი აზრი. საკითხი ასე დაისვა ჩემს წინაშე — რა სჯობია: განავადო სვლა უცნობი ვხით, შორეული ოცნების დასაქერათ, რომელიც ვინ იცის ბოლოს და ბოლოს რას მომიტანს, — თუ ხელთ ავიღო უკვე მზა ბედნიერება?

— და შენ აირჩიე მზა-მზარეული ბედნიერება, იმის მაგივრად, რომ თვით წასულიყვე უცნობი ვხით შორეული ოცნების დასაქერად, არა? — უყარნახა რალფმა.

— ჰო, კი — უპასუხა კვლავ ხეწვით ლიღია ნიკოლაევნამ.

— და ეხლა მთელ შენს ცხოვრებას, მთელ შენს დროს, მსხვერპლად სწირავ, ანდომებ მას, შენს ქმარს, იმიტომ, რომ ოჯახს ის არჩენს, და ამა შენ მეტი რა დავარჩენია, ან და რა უნდა აკეთო, ხომ ასე, ა?

— ჰო, რასაკვირველია, ჩვენ კმაყოფილი ვართ ამითაც, — სთქვა ლიღია ნიკოლაევნამ და თანვე ისე ამოიხეწეშა, თითქოს ახალგაზრდა ფოფოღია რომელსაც ჰკითხეს მისი ქმრის შესახებ: ოხ, რომ იცოდეთ როგორ ბედნიერია ის თავის ქმართან და ეხლაც ამ მოკლე დაშორების ხანსაც — მხოლოდ ის ავინდობა:

— კმაყოფილი ხართ, ჰო, ეს კარგია — სთქვა რალფმა, ხელი მოაშორა ქალის ხელს და თვალზე მიინახული, ცოტა ხანს განზე იცქირებოდა.

— ნუ თუ ასე ეტყობა ჩემს გარეგნობას, რომ შე უღალატე ჩემს თავს, ა? — იკითხა ლიღია ნიკოლაევნამ.

— რასაკვირველია, ეტყობა, — უპასუხა რალფმა. — შენ ისეთი ხარ, რომელთაც ეძახიან „საინტერესო ქალს“. საუბედუროთ ჩვენში „საინტერესო ქალებმა“ ისინი იწოდებიან, რომლებიც საკუთარს პურსაც ვერ შოულობენ საკუთარი შრომით და საზოგადოებრივი მუშაკებიც არ არიან. მაგრამ თუ კი მოხდა და ხელი მოკიდეს ან პირველს, ან მეორეს, მაშინვე გადიქვევიან ისეთ რამეებთან, რომ მათ შეიძლება პატივი სცე, მაგრამ სიყვარულის და რაიმე სამაგიერო ენერჯის მათგან მიღების მხრივ ღმერთმა დაგიფაროთ... ჰო და ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

გადუნ. კარგი! მაღლობას მე არ გეტყვით. სხვები გადავიხდიან. მე თქვენ გენდობით. მოიტათ ხელი! (სულს გაწუწავს. შფხწყნა აბლუყს თავის სულს).

გადუნ. (შიჩაწყნს) აბა, თქვენ რას ამბობთ, ბატონო აფიცრებო.
1-ლი შიჩაყნ. რასაც ბატონი კაპიტანი!
გადუნ. ყოჩაღ—თქვენო კეთილმოზილებავ. ვინც ჯეელია, გამმედავიც ის არის. მაშ, გავეწოთ ყველამ ერთად.

მისამი მოქმედება

პირველი მოქმედების დეკორაცია, საღამოს მეცხრე საათი, ფარდის ახდის-თანვე დერეფანიდან ხარი ისმის, სცენაზე გაივლის მოაზლე, კარის გასაღებად. ბინის სიღრმიდან გამოდის ბერსენევის ცოლი და ყურს უდგას.

იარცევი. შინ არის ფონ-შტუბე?

მოახლე. შინ ვახლავთ, შინ! როგორ მოეხსენო?

იარცევი. პოლკოვნიკ იარცევი... ლეოპოლდმა იცის. გველის კიდევ.

მოახლე. (შეშინდა და შფხწყნას) ახალგაზრდა ბატონს კითხულობენ... ორი აფიცრი.

ბერსენევისა. მერე და დერეფანში დასტოვეთ გლაშა? სთხოვეთ! ლეოს ეხლავ დაუძახებ!

მოახლე. (გადის დარღყანა და სფეშრებს ჯადაყნა) მობრძანდით, მობრძანდით!

ბერსენევისა. (ლელს თთახას ვარებს შფაღებს) ლეო, შენთან არიან. (თთახლას თანსლუხით ჰასაჯალთონი შეშინდა იაბდევ და ჰალუთა. იარცევი თავს უვარავს. ჰალუთა შადის შფხწყნასთან და სულზე ფთვნის).

პალევი. საღამომშეიღობისა ქალბატონო სოფიო! ხომ კარგად ბრძანდებით? ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ალექსი ალექსის ძე იარცევი.

ბერსენევისა. მოხარული ვარ! გთხოვთ დაბრძანდეთ! ლეოპოლდ ეხლავ გამოვი. მე კი, მონიტევეთ, უნდა დაგტოვოთ. მოციეს შურაბა მაქვს მოსახარში.

პალევი. მოციესა? ღირსშესანიშნავი მოვლენია!


იარცევი. კარგი მურაბა სჯობს ცუდ რევოლიუციას! (იდანის. შფხწყნასა და შთახლე ვადიან).

იარცევი. (ჰამარტას აწვას ჰალუთას) ჰაპიროსს ხომ არ ინებებთ პორუჩიკ?

პალევი. გმადლობ ბ-ნო პოლკოვნიკ!

იარცევი. სად არის თქვენი პატარა, მშვენიერი ფერია, რომელზედაც გზაში ამდენი მელაპარაკეთ? არა მგონია ის პატივეცმული მანდილოსანი, ეხლა რომ გამაცანიოთ თქვენი დულცინიია იყოს...

- პალევოი.** რას ამზობთ, რას? ბატონო პოლკოვნიკ! რატომ გგონიათ, რომ ასეთ ბებრებს ვეარშიყები. ჩემი ტრფობის ობიექტი მქონე უმეფუსუსი ქალი-შვილია—ქსენია. მომზიბლავი, ცქრიალა გოგონაა... უმეფუსუსი დემი-ვიერე (ნასყაად ქალწული).
- იარცევ.** დამილოცინხართ პორუჩიკ. (ჩაბაბა ნაზიჯათ გამიღეს მცფო, თან აძვლეს აბაჯს).
- შტუბე.** გაცდევინეთ, მაპატიეთ! დავიღალე და ჩამძინებოდა.
- იარცევ.** რა უშავს... მაგაზე სწუხართ?
- შტუბე.** გამარჯვებით პალევოი. მოხარული ვარ, რომ გხედავთ... როგორ იმგზავრეთ?
- იარცევ.** ასე. „ამხანაგური“ შინელებიკ კი ჩაეიციეთ. დოკუმენტებიკ მაგარ მაგარი გვექონდა, მაგრამ გზაში ხუთჯერ მაინც აგვეკვიატნენ მატ-როსები. დოკუმენტებს გვისინჯავდენ და გვეკითხებოდენ: სად მი-ღიხართ? რისთვის? რატომ? ნაპირზე კიდევ ვილაკ ორატორობდა. დილიდანვე დავეძებთ ბურკუების მცველ აფიცრებსო. ქუჩებში ყვე-ლა ფარნები ჩაუმტვრევით და ისე ბნელა, რომ უკუნეთი გეგო-ნებოთ.
- შტუბე.** ჩვეულებრივი ამბავია ბ-ნო პოლკოვნიკ! კრონშტადში ცხოვრებას ხანჯლის წვერზე ცეკვა სჯობია!
- იარცევ.** აქ ხომ საშიში არ არის?
- შტუბე.** არა.
- პალევოი.** ნუ გეფიქრებთ ბ-ნო პოლკოვნიკ. ამ სახლს კაპიტან ბერსენევის ჩრდილი კეთილი ანგელოზით თავს დასტრიალებს და აფრთხობს მატროსებს.
- შტუბე.** თუმცა არა სასიამოვნოა ჩემთვის ეგ ამბავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე „ყოვლად შეგნებული“ რეპუტაცია ჩემი სიმამრის, იქვისა და ექსცე-სების გარეშე აყენებს ჩემს ბინას.
- იარცევ.** ძალიან კარგი. შეტი რა გვინდა? საქმეს შევუდგეთ. ყოველი წუთი ძვირფასია. ხომ შეიძლება აქ თავისუფლად ლაპარაკი?
- შტუბე.** როგორ არა, შეიძლება. ამჟამად შინ მხოლოდ მოახლე და ჩემი სი-დედრი არიან... ორნივე...
- პალევოი.** მოცუა ხარშავენ... ხა... ხა... ხა...
- იარცევ.** (ფრზინას ჯიბიდან ძალაღებან ამთაღებან და მაგადაჟ დაძვინს) და-ვიწყით!
- შტუბე.** ესლავ, ბატონო პოლკოვნიკ!
- იარცევ.** რა იყო?
- შტუბე.** ბოცმან შეაჩს ველი. მენი ორგანიზაციის აქტიური წევრია და გემის კომიტეტის მოღვაწეობისა და ბოლშევიკების უჯრედის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის.
- პალევოი.** მოგვისწორებს, სჯობს კიდევ ამ წამს აქ რომ არ არის. ჯერჯე-რობით მისი აქ ყოფნა საჭიროც არ არის. არის მთელი რიგი პო-ლიტიკური გართულებებისა რაც მან არ უნდა იცოდეს.
- შტუბე.** ამა!
- იარცევ.** დიახ. ფიიგეთ, „ავრორას“ კამანდის უკანასკნელი საქციელი?
- შტუბე.** ზღვაში გასვლისა და სამხედრო ბრძანების ასრულებაზე რომ უარი განაცხადეს? ვიცი.
- იარცევ.** კიდევ უარესი! კონტრ-შვერავებმა დანამღვილებით გაიგეს, რომ გარიგაზე კრისერი პეტერბურგს მიდის—ბოლშევიკებს გადაუწყვე-ტიათ—გამოიყენონ იგი აჯანყებისათვის, როგორც მებრძოლი ერ-თეული.



- შტუბე. საკვირველიც არ არის ჩენი არამზადებისაგან უარესიცა მოსა-
ლოდნელი.
- იარცევ. დახედეთ დისპოზიციას—რეიდისაა, აქედან კრეისერს შეუძლიან თავ-
ვის ზარბაზნების მუქარის ქვეშ იყოლიოს ჩენი თავდაცვის ცენტრი
და ტენინი—საოლქო შტაბი და მთავრობის ციხე-სიმაგრე—„ზამთრის
სასახლე“. კრეისერის ექვს დიუმიან ზარბაზნების საწინააღმდეგო
იარაღი, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება.
- შტუბე. ხმელეთის არტილერია?
- იარცევ. საქმეც ეგ არის! გარდა იუნკრების ბატარეისა და ერთი შწყობრისა,
გარანიზონის მთელი არტილერია ისე ჰყავთ შემზადებული მაგ არამ-
ზადებს, რომ კიდევ კარგი, თუ ნეიტრალიტეტი დაიცევის...
- პალევოი. იუნკრების ბატარეია კიდევ არაფრად ვარგა.
- შტუბე. მდგომარეობა ვერ არის სანუგეშო!
- იარცევ. მდგომარეობა ამხანაგების უნით რომ ესთქვათ—საჯაყია. თუმცა
მისი გამოსწორება ჩვენგან არის დამოკიდებული.
- შტუბე. როგორ?
- იარცევ. აი როგორ, სამშობლოს და რევოლუციის დამცველთა საზოგადოე-
ბის საბჭომ, სავანგებოთ განიხილა ყველა ღონისძიებანი და იმ
დასკვნამდე მივიდა, რომ... (ზაბა ღებუანანი) გაიგეთ? დარტყეს! შატ-
როსები ხომ არ არიან?
- შტუბე. არ ვიცი. არა მგონია. ილბად ჩენია ვინმე.
- პალევოი. იცით რა გითხრათ? ლეოპოლდ, სჯობს შენ ოთახში გავიდეთ.
- შტუბე. რასაკვირველია. პალევოი, გაუძეხით ბატონ პოლკოვნიკს ჩემს ოთახ-
ში. მეც ენლაფე მოვალ. გავიგებ, რაშია საქმე. (ზაბა ბელუთიზღ.
სღუნაჲ ვაჟლას მთასლუ და ღებუანანი გადის. სღუნუ კაბუთანი ვაჟს
ღებუნს).
- გადუნ. მოიტათ თქვენი მოსასხამი, დაგვიდებ.
- შტუბე. არამზადა.
- ტატიანა. ნუ სწუხდები. გლაშა, ჩემო კარგო, ერთი ეროპეერები დაგვიმ-
ზადე. ძალზე მშია. (სღუნუ კაბუნს ნობღეზა უნზად, ვებუნუ ვაბზუნს
სღუნას და თავას თთასში შიანაღუნა. შებდღიან ვაჯიანა და გადუნ).
- ტატიანა. (თაგანაჯახს ასღახ და სეამზად სღუნს) საშინელი თავის ტკივილი
მაქვს.
- გადუნ. დაიტანჯეთ?
- ტატიანა. ძალზე! საშინელი მორიგეობა იყო წუხელ. სამი გარდაიცვალა.
იცით არტიომ? მესამე წელია ვმუშაობ ლახარეთში. ბევრი მოკვდა
ჩემს თვალწინ. დღემდე, უნდა შეეჩვეოდი, მაგრამ არ იქნა... გულ-
გრილად ვერ ამიტანია; ვერ ვუძლებ ამდენ ტანჯვას, ვის რათ უნდა
ეგ? როდის მოელება ამას ბოლო?
- გადუნ. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ: უშინაარსო კითხვაა, ცა-
ლიერი!
- ტატიანა. ვიცი, მაგრამ ცოდნაც ვერა მშველის. ის კი არაეინ იცის—როდის
მოელება ბოლო ადამიანთა ასეთ უმოწყალო ხოცვა-ელეტას.
- გადუნ. ჩვენ ვიცით!
- ტატიანა. თქვენა?
- გადუნ. დიახ! ჩენი! ბოლშევიკებმა! უბრალო ანგარიშის საქმეა. უბრალო ან-
გარიში კი ჩვენ კარგად გვესმის. თქვენ თითონ განსაჯეთ, კარგო
ქალო, ჩენი არითმეტიკა—სწორი შეცნიერებაა. იმათ, ვინც ჩვენ
გვათრევენ, სურთ მილიონები ამოელიტონ, რომ ათასებმა ლაღად



- იცხოვრონ და ითარეშონ. ჩვენ კი, პირიქით, ათასებს დაეხორციელოთ, რომ მილიონებმა თავისუფლად იშრომონ. რომელი ანგარიშსწორი?
- ტატიანა. არ შეიძლება, არც ათასები დაიხორცილონ და არც მილიონებმა სრულიად რომ მოისპოს სიკვდილი?
- გადუნ. გერგეროვით შეუძლებელია. შესმის თქვენი გულის ტკივილი. ქალის გული შემბრალება. ქალს შეუძლია უმნიშვნელო ნაყოფიც კი შევიდეს მიიღოს და იტიროს მის ილაღზე. ჩვენც ასეთი გულჩვილი ვიყავით აქამდის. გვეგონა, შესაძლოა მგლებს ცხვრებთან ერთად მოთვინიერება და საბალახოდ გაშვება, მაგრამ დაერწმუნდით, რომ მგლის ჯიშს უხორციოდ ვერა სძლებს. აქედან, დასკვნა ერთია: ცხვრებს მგლებზე — მაგარი კბილები უნდა დაეუზარდოთ. (ზოხალეს მკითხველს ფაფით ჯიშ-ჯიშებს და საყავს. ჯაღს).
- ტატიანა. მოიტათ თქვენი თეფში, არტიომ!
- გადუნ. გამდლობთ. არა მშობი, თუ ნებას მომცემთ, ასე დავრჩები.
- ტატიანა. რასაკვირველია! თქვენთან ყოფნა სასიამოვნოა. ამჟამად გარშემო ყველაფერი ელვის სისწრაფით ინგრევა და ირღვევა. თქვენში კი არის სიმკრივე და სიმტკიცე!
- გადუნ. იმიტომ, რომ გარკვეული ანოცანა მაქვს და ტყუილად ვიფიქრებ დასახულ მიზნისაკენ. დღეს მხოლოდ იმას შეუძლიან თავი გაიტანოს, ვისაც მიზანი აქვს (დავანა ჩქაშს, გადუნ მაგადაბე დაუბნობა ზის და დადაინას მუხეჯახს).
- ტატიანა. სწორეა, კარგადა სთქვით, სწორეა სთქვით. იმიტომ ვგრძნობ თავს ასე ცუდად, რომ მიზანი არა მაქვს. ნიადავი შემერეა, გზა დამბნა და სწორედ იმიტომ ვტირი ბალიშზე ღამლამობით.
- გადუნ. ტირილით ვერას გახდებით. ცრემლი უქმია. უნდა გასალკდევდე, სუნთქვა შეიკრა, თავი აიღო, გადაიარო კლდენი და ღრენი, გადალახო ყოველგვარი დაბრკოლებანი და შეუპოვრად გასწიო წინ... მხოლოდ ამგვარად გაიკვლევ გზას (იგინის) პა-პა-პა!
- ტატიანა. რას იცინით?
- გადუნ. ჩემს თავზე წეცინება. თქვენს მასწავლებლობას რომ ვუწვი! აქამდის თქვენ ინგლისურს მასწავლიდით, ეხლა კი, მეც აღმომაჩნდა რალაც შეცნებება თქვენთვის.
- ტატიანა. რა ვუყოთ! ყველამ იცის სხვისთვის გამოსადეგი რამ. პატროსნად მასწავლეთ და მადლობას გეტყვით.
- გადუნ. დიდი სიამოვნებით! მხოლოდ ძალიან ცოტა დრო დარჩა!
- ტატიანა. როგორ?
- გადუნ. არ დაგიძალავთ! ამიღამ პიტერს მივდივართ!
- ტატიანა. კრეისერი?
- გადუნ. პირდაპირ, დანიშნულ ადგილს. (პაუზა) რატომ არა შეითხავთ, თუ რისთვის?
- ტატიანა. (ნელა ხმით) მიხვდარი ვარ..
- გადუნ. სწორია! დაულოცავთ გზას თუ არა არტიომკა ვადუნს დედამიწაზედ ბოლშევიტური არითმეტიკის დასამყარებლად?
- ტატიანა. არ ვიცი... მაგაზე ფიქრისაც კი შეშინიან.
- გადუნ. (აგაგა) შესრულება ხომ უფრო საშინია. პირველია ქვეყანა, ისი წლის შემდეგ, შეიძლება... ადამიანებმა ჩვენს ძელებზე ილოცონ, შეიძლება, წავვა-არულით მოგვიხსენიონ და შეგვაჩვენონ. არფინ იცის... საქმე კი უნდა გაკეთდეს. გითხარით... ეხლა კი დროა.. აუარებელი საქმეები მაქვს... უნდა წაიდე..



ქართული

საბჭოთაო

ტატია. მიდინართ კიდევ?

გადუნ. დიახ, შვეილობით!

ტატია. არ მიყვარს ეგ სიტყვა. ნახვამდის!

გადუნ. მეც არ მიყვარს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის. პრეტორში აღიარებ
ტყეის კამფეტებით დაგვიხვდებიან; ვის ერგება და ვის არა... არა-
ვინ იცის.

ტატია. (აღუღვრულია) რა საჭიროა მაგაზე ლაპარაკი? ყოველ შემთხვევაში
გამარჯვებას გისურვებთ!

გადუნ. წმინდა გულით?

ტატია. წმინდა გულით.

გადუნ. ვმადლობთ, კეთილი სიტყვისთვის! (ხელს ათიშვს, მიდის, შეგება,
ჯღაჯღ უმბრუნდება (ავთანას) ეკ... გინდ ყოფილა და გინდ არა! მეტი
სიცოცხლე იქნებ არც კი მიწერია. რისთვის დავფარო?

ტატია. რა უნდა დაჰფაროთ?

გადუნ. ნუ გამიწყრებით!.. შეიძლება სისულელე და კადნიერება იყოს ჩემის
მხრით, მაგრამ შინც უნდა ვითხოვთ, თაებრუ დამახსოვით. (ღვინა.
ავთანას თავს დასხამს) ნუ გაწუმებულხართ, მიყვირეთ, გამაგდეთ, ბრი-
ყვი და ხეპრე...

ტატია. (აღუღვრულია) გადუნ, კარგო... არა, ნუ... კარგი ხართ, კარგი! მეც
ძალზე შეგერიეთ. ზომ ხედავთ თამამად ვამბობ... მხოლოდ მეძნე-
ლება... ეხლა ვერაფერს გეტყვით... წადით, წადით, წადით.

გადუნ. შვეილობით!

ტატია. წადით. არ გიწყრებით... მე თითონ არ ვიცი.

(გადუნი ხელს სტაცებს და მოუჭერს ტატია ხელს იწითისფერებს და
უფრად შილზე ჰყოენის. გადუნ ამოიხარებს, უკან დაიწევს, საბუნე ხელს მიაფა-
რებს და გარედ გადარდება. კარის ხმაური. ტატია ბარბაცით სცამხედ დაეხვე-
ბა და თავს ხელებზე დაიყრდნობს).

მტუბე. (შეშდის) ტანია, მარტო ხარ?

ტატია. (ფრფ) ა! რა იყო?

მტუბე. წავეიდა ის მხეცი?

ტატია. ვინა?

მტუბე. გადუნს.. ტანია რა მოგდის? ავად ზომ არა ხარ?.. ფერი არ გადევს.

ტატია. დავიტანჯე უძილო ღამეებისაგან, თავი მტკივია... გადუნზე მკით-
ხე? ჰო, წავეიდა!

მტუბე. მადლობა ღმერთს! მართლაც რომ დაუპატიებელი სტუმარი პირზე
უარესია! ჩემთან ნაცნობები არიან და არ მინდოდა მას შეხვედრო-
დენ (ავთანას ფრთხილად, მაგრამ ახალყრა უმის).

მტუბე. (შეუახლოვდება) დაწებოდი! საძაგელ ფერზე ხარ.

ტატია. (გამოჩნდება) თავი დამანებე, წადი შენ სტუმრებთან!

მტუბე. თუ სიკეთე არა გსურს?.. (მხრების აწვით გადის. ავთანას ზარბა რევს,
შეშდის ზოხსლე).

ტატია. გლამა! ალაგე! მერე აფთიაქიდან ორი ფხენილი ჰირამიდონი
მომიტანე (გლამა ხელფას ალაგვს. შეშდის ქსენია აზრად უნდას ხალათში)

ქსენია. ა, ჩემო მწუხარე ნიობეია! საღამომშვეილობისა! მორიგეობიდან?

ტატია. დიახ!

ქსენია. მე კი აბაზანიდან! ვგრილდებოდი! მესამე დღეა შამპანურსა ვქაჩავთ,
ვით მეეტლენი დენატურატს...

ტატია. გონიერი დროს ტარებია!

- ქსენია. ღმერთმანი არა უშავს! მსოფლიო საკითხებზე თავის მტერვეს გაცილებით სჯობდა (ვლანა ზღვინაძე გააქვს).
- ტატიანა. ვლანა, წამლის მოტანა არ დაგვიწყდეთ!
- ქსენია. რას მებუტები?
- ტატიანა. საიდან გაქვს, ქსენია, ეგ აღვირახსნილი ტონი კოკოტკის. ოცი წლისაც არა ხარ და ისე გამოიყურები, თითქოს ქვეყნის პირვარანი მხოლოდ შენ ვადავებთანოს.
- ქსენია. რატომაც არა? გაინტერესებს? გეტყვი! ორ წუთს სერიოზულად გამოგესაუბრები! საიდან? ოძისა, არევ-დარევისა, ნგრევისა და რღვევისაგან. ჩვენ, მაშინ შემოვედით ცხოვრებაში, როდესაც იგი დაირღვა. რღვევისა და ტანჯვის მეტი არა გვინახავს რა. გაუხარელნი უნდა გაეხუნდეთ! ხომ გაიგე? ჩვენს შემდეგ ქვა ქაბუღდაც ნუ დარჩენილა... ანუ, როგორც ამბობს ერთი მიჩნაბი: „წინ წყალი, უკან მენწყერი“ ტრე-ლა-ლა-ლა-ლა... მართლა, რად გინდა წამალი? ან რა წამალია? სულ გამწვანებულხარ! გული ხომ არ გერევა? რა გაუფრთხილებელი ხარ? უმცროსი ვერ და შენზე მეტი ვიცი. ხელს არ ვახლებ, მხოლოდ უშედეგოდ.
- ტატიანა. რას რომაე?
- ქსენია. ორსულად ხარ?
- ტატიანა. ხომ არ ვაგიყდი?
- ქსენია. არა. ჰა, ჰა, ჰა! მაშ, ვაღუნთან აქამდე ცალიერ სუბარს ამბობ? (ცაფანას ვაგაბაღაღა, ავგუზა და მამზუნჯა) ჰმ... ვინ იცის... ვლანაში სთქვა, ვალოდია ჩამოვიდაო.
- ტატიანა. ვინ ვალოდია?
- ქსენია. ჩემი თაყვანისმცემელი! ვალოდია პალევი, კალოვცევის ადიუტანტი. ვლანა ამბობს—ლოსთან არისო.
- ტატიანა. მე არ მაინტერესებენ შენი თაყვანისმცემლები.
- ქსენია. (მტუზს თათასა და პარულანა შადის) შემცდარხარ! მე კი ძალიან მაინტერესებს შენი თაყვანისმცემელი. პარტოსანი სიტყვა—ვაღუნს წავართმე! (გადასა დაფანასთან შადის და პარულანა დაფანა. ღრუბანში შადისა. დაფანას შადის პარულანას გასაღებად. შადისის ჩქარების შრასა-შრუბა და თათას კანდახას სმარტა).
- ტატიანა. (სმა შადის) ვინა ხართ, რა გინდათ?
- შატროსის ხმა. სად არიან აფიცრები? (პარულანა პარულანა ისე დაფანა. მტუზისაგან ვანტოვით 4 შადისა).
- ტატიანა. მე თქვენ გეკითხებით; აქ რა გინდათ მეთქი?
- შატროსის ხმა. მოესულეართ, ალბად საქმე გვაქვს! შოგვეცი აფიცრები. (პარულანა მტუზს თავი გაშინდება და ამ წამსვე შადისა).
- ტატიანა. ვინ აფიცრები?
- შატროსი. სიტყვას პანზე ნუ ავღებ! ჩვენც გვესმის რამე. ნავთსადგურიდან, სიბნელეში გამოგვეპარა ორი ჭეშმარიტი. სულერთია, ვერსად წავივლენ! ყველა ამბობს—ამ სახლში შევიდნენო.
- ტატიანა. (ბაღდადაშა) და თქვენც, ყაბაღბით შემოვართით, არა? აქ არავითარი აფიცრები არ არიან, გარდა კაპიტან ბერსენევისა. ეს იმისი ბნიაა.
- შატროსი. ევგენი ბერსენევისა?
- ტატიანა. დიან.
- შატროსი. ბიჭებო, შეგვიტოპავს. გზა ავგრევი. იარ, უკან. ბოდიშს ვიხდით (გადასა დაფანას პარულანა ავგუზს, ავგუზს ბოდიშს სვანს. შადისა დაფანა).



- შტუბე. (გაბრუნდა თავს მუხობიდან) გმადლობ ტანია! ყოჩაღ! ზორბად / დი-
ფრინე!
- ტატიანა. (გაპატივსაცემად) მადლობას ნუ მეუბნები. მე შენი ჯედრად ვარ შექმნილი.
შენი გადარჩენა კი არ მსურდა, შემეშინდა, ჩვენს სახლში სისხლი
არ დაღვრილიყო. ვიცრულე, მაგრამ, უკანასკნელად. დაიხსომე (გადაბ).
- შტუბე. მაგისტოვისაყ გმადლობ!
- იარცევ. (კაბუღში) წავიდნენ?
- შტუბე. წავიდნენ. ცოლმა მოგვაშორა.
- იარცევ. ია-ვარდი პუენია! (ყული იქნებოდა, რომ გადავყროდიო. (მაბა)
- შტუბე. ისე?
- იარცევ. დასწყვიტოს ღმერთმა! (შაინალუმა. მუღუ ფრთხილად გაცის ეფრეფანში
და შვანი მუხობიდან).
- შტუბე. სად ეშმაკებში იყავ აქამდის? რომელი საათია?
- შვაჩ. ბოდიშს ვიხდი თქვენო მაღალეცილშობილებად! ქუჩაში ფრთხილად
უნდა მიველო. თქვენი სახლის ახლოს მატროსები დაძროდნენ ვინ-
ტრავებით. შემეშინდა და უტბად ვერ შემოველი, მახეში არ გავება
მეთერ, ვიფიქრე!
- შტუბე. აბა, წამოდი! ბატონი აფიცრები იცდიან (თავს თთახასაყნ შადის.
კაბრში პალუჯახას და ქაქაას მუსეფა) ელოდია, საით?
- პალევოი. ჩვენ გულის დარდი გვაწუხებს.
- შტუბე. მოესწრები. საქმე...
- პალევოი. მეელი ხომ არ არის, ტყეში გავარდეს. რა უნდა გავაკეთო თქვენ-
თან? ტენიკური მხარე დარჩა, რომელშიაც არაფერი არ გამეგება.
- შტუბე. ჯანდაბან შენი თავი. (მუღუ და შვან გადაბ. პალუჯა ქაქაას ხელს
აიღებს).
- პალევოი. ხალტის ზღვის ფერიავ! რა მომჯადოებელი ხართ ამ ხალათში!
წარმოდგენილი მაქვს—რა თავბრუ დამხვევი იქნებით უამისოდ. რო-
გორ მოვიტყეთ?
- ქსენია. მოვიტყეთ კი არა, რომ წავეტყეთ კიდევ. თუ არ მიამბეთ დაწვრი-
ლებით ყოველივე, რასაც ეხლა მანდ საიდუმლოდ ჩურჩულდებით,
უხალათოდ კი არა, ხალათშიაც ვერ მიხილავთ!
- პალევოი. კი მაგრამ, ნების ხედებავ! ეგ სახელმწიფო და სამხედრო საიდუ-
მლოება!
- ქსენია. სახელმწიფო? სახელმწიფო მე ვარ! (თბინაყ ზღვიანთან ზავლან და ზადუხან.
პალევოი. მესმის, მაგრამ...
- ქსენია. მაგრამ, მე არ ვიცი... (თავს პალუჯას მსახტუ დასდებს) ჭემრიელი ტუ-
ჩები მაქვს! პო? გინდა მაკოცო? ვერ მოგართვეს! ვერ საიდუმლო...
პალევოი. არ შემიძლიან. (დღალთა ქაქაას მთავაის).
- ქსენია. მომწყდი თავიდან. ჩემი პირობა ხომ ვითხარით?
- პალევოი. კი, მაგრამ...
- ქსენია. (აღთხას ამაბრუნ) მაშ ასე? სახიზლარი ხარ, ელოდია! მძავხარ! მიე-
დივარ! ამიერიდან არ დამენახო!
- პალევოი. (შეაბრუნ) კარგი, გეტყვით! მხოლოდ, ფიცი უნდა მომცეთ, რომ
არსად წამოგდებათ.
- ქსენია. ვფიცავ... გინდა, ჯვარზე დავიფიცავ! (განზახს ფართუ გადახლას სა-
ლათს და მტანგადან გულას ჯვარს ანთიღებს). აი ვფიცავ! აბა.
- პალევოი. (მამითხავდა) დღეს „აფრორა“ ბოლშევიკების ორგანიზაციის გაწ-
ვევით პიტერს აპირებს წასვლას, მაგრამ ვერ წავა.
- ქსენია. რათა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- პალევოი. ვერ გეტყვი, არ შემოძლია!
- ქსენია. ვალოდია!
- პალევოი. კარგი! გეტყვი! ააფეთქებენ!
- ქსენია. როგორ თუ ააფეთქებენ?
- პალევოი. ეგ მე არ ვიცი. ჩასდებენ იქ, სადაც ასაფეთქებელ ნივთიერებას, მგონი მანქანაში და „ბუქ“ ჰაერში.
- ქსენია. როდის იქნება ეს ბუქ?
- პალევოი. გარიგრაეზე.
- ქსენია. მაშ ასე? (პაუზა) სახურავიდან გამოჩნდება?
- პალევოი. რა?
- ქსენია. რა და აფეთქება.
- პალევოი. არ ვიცი. ილბად... რად გინდათ?
- ქსენია. სახურავზე აფეთქები! აუცილებლად! ძალიან საინტერესოა! თან სა-
შიშიც! უნდა ვუცქირო, როგორც ნერონი უცქერდა რომის ხან-
ძარს.
- პალევოი. უნდა უცქიროთ?
- ქსენია. მაშ არასოდეს არ მინახავს გემის ნამდვილი აფეთქება, მხოლოდ,
კინოში! (პაუზა) შეგიძლიათ წილით საჩუქარი, პალევოი! (პალევოი
ღსუნავს ჩაფუჭვას. კარგად უკან ლაპარაკა ზისსებას. პალევოი წაშობცვას).
- შტუბე. (შეზღვის აბრეჯავა და წყაითან ერთად) დიახ, ბატონო პოლკოვნიკ!
- იარცევ. იცოდეთ, მეტის მეტი სიფრთხილე გმართებთ ლეობოლდ! მარცხი
არ უნდა მოგივიდეთ! გადადება ყოვლად შეუძლებელია!
- შტუბე. მესმის!
- იარცევ. აღმერთსა ვთხოვ მოგცეთ ბედი და გამარჯვება!
- შტუბე. გმადლობთ! (წყაიხ) დიახსონე, თორმეტის ნახევარსა და თორმეტს
შუა დანიშნულ ადგილს... ეხლა გააცილე ბატონი აფიცერი ეხოს
კარით. წინასწარ, ქუჩაში გაიხედე. პატროლს არ გადაეყარათ.
- შვაჩ. არის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!
- ქსენია. ვალოდია, მე ხელო ჩამოვალ პიტერში და ჩემთან ერთად .პავლოვს-
კში უნდა წამოხვიდე მუსიკის მოსასმენად.
- პალევოი. დიდი სიამოვნებით! ნახვამდის შეუდარებელიო ქალწულთა შორის.
- შტუბე. (აბრეჯავს) მეც გიხალხებით ბატონო პოლკოვნიკ. შინ დარჩენას არა
აქვს ადგილი. შეიძლება კიდევ დაგვეცხენ. მაშინ ხომ ყველაფერი
დაილუბა! ქსენია, თუ ვინმემ ნიკითხოს, უთხარი საკრებულოში წა-
ვიდათქო. ნახვამდის ბატონებო.
- იარცევ. გზა მშვიდობისა! (გაღიან: მღერე დეზავანში. აბრეჯ. წყაი და პოლევო
უკან კარგავს, ღსუნავს ცხიფშისთან შადის).
- ქსენია. ცინგლიანი! კოცნაც არ იცის ზეირიანი. დამლორბლა მხოლოდ (გაფა-
ნა შეზღვის წელა).
- ტატიანა. ვინ ლაპარაკობდა აქ? მეძინებოდა და ვამბლვიძეს!
- ქსენია. ლეოს სტუმრები წავიდნენ...
- ტატიანა. თვითონ შინ არის?
- ქსენია. არა. ისიც წავიდა საკრებულოში.
- ტატიანა. მწყინს. (კამბრუნევა და რნდა წყავიღს).
- ქსენია. დაცია! შენ მგონი მამას პრიზმატიული ბინოკლი გაქვს.
- ტატიანა. მაქვს. ჩემს ოთახშია.
- ქსენია. მომცემ ერთი დღით?
- ტატიანა. წაიღე! თეატრში ხომ არ მიდიხარ? გვიან არის. მეათე საათია.
- ქსენია. არა, თეატრში კი არა—სახურავზე უნდა ავიდე.



- ტატიანა. სადა?
ქსენია. სახურაზე.
ტატიანა. რისთვის?
ქსენია. ეგ სახელმწიფო საიდუმლოებაა!
ტატიანა. (სწრაფად მარჯაღმდეგა) სახელმწიფო საიდუმლოება?
ქსენია. ჰო. ვალოდიამ გამანდო. ჯვარზე შეეფიცე, არავის ვუთხრა!
ტატიანა. რა შეფიცე? სთქვი!
ქსენია. არ შემიძლია.
ტატიანა. სთქვი, თორემ თანჯარას გავაღებ და ყვირილს მოვრთავ. მატროსებს დავუძახებ.
ქსენია. რა მოგნდის? რათა გაქვს თვალები ასე ამღვრეული? ავრე რად მიცქერი?
ტატიანა. (გაფაჩოვლი) სთქვი! ერთხელ მაინც იყავ პატიოსანი, დოა. ვიცი, ვგრძნობ, რაღაც საშინელება უნდა მოხდეს, რასაც ჩვენი სახლის დანგრევა ჩვენი დაღუპვა და სიკვდილი მოჰყვება. გესმის? გაიფე?
ქსენია. ჩვენ რა შუაში ვართ? მაგათ „აერორა“-ს აფეთქება უნდათ. მე მხოლოდ სახურავიდან მინდოდა მიცქერო.
ტატიანა. (აქაზიას მალათ ზიანთაგან) შენ?... სახურავიდან?... აფეთქებისათვის... ასობით აღამიანთა გულტრისათვის... მშობელი მამის სიკვდილისათვის... ბინოკლით.
ქსენია. (უნდათ მისაგება) ღმერთო! სულ არ გამხსენებია, რომ პაპა ჯრეისერზეა. კი მაგრამ, მამა ხომ კაპიტანია... კატარა ჰყავს. მოასწრებს წამოსვლას.
ტატიანა. ხმა, კრინტი! მძულბარ, მეზიზღებით ყველანი... უსულგულონი... საცაგლნი, შეუბრალებელნი... უარს ვამბობ თქვენზე... ოდეს დადგება ეამი თქვენის განკითხვისა, მეც გულგრილად დავუწყებ ცქერას ბინოკლით, სახურავიდან თქვენს მოსპობასა და განადგურებას. მამა... (გულწაბული საგაბიღონი ჩაფეჭა).
ქსენია. ტანია, მე არა ვარ დამნაშავე. მე არ მსურს მამის აფეთქება. მეშინია ტატა. სულელი ვარ... სულელი. არაფერი მესმის ამ დაწყველილი პოლიტიკისა.

მეოთხე მოქმედება

მეორე აქტის დეკორაცია. რეიდზე მდგომი გემების მბეჭედი სინათლე. ზოგჯერ პორიზონტზე პროექტორის წითელი სხივი გაილეკება. მაქანზე ბნელა, მხოლოდ კაიუტ-კამაჩის ოფორალთან მერთადად ანათება ღამნარი. ქარის სტვენა და ტალღათა ხმაური. ზღვასთან — გუზავი და მოხუცი მატროსი.

- გუშაგო. მიტრონი! მაშ ამაღამ მიედივართ რალა პეტერს!
მოხუცი. მატროსი. მიედივართ მაშ!
გუშაგო. მიმძიმს! იქნებ ჩვენიანების წინააღმდეგ სროლაც მოგვიხდეს!
გუშაგო. უფროსი. (საპარევიდან) მოწინავენო, გარშემო იყურეთ!
გუშაგო. არის! ვიყურებით! (პაუზა) ა, მიტრონი!
მოხუცი. მატროსი. ჩვენიანების წინააღმდეგ? სადა ნახე შენ ჩვენიანები? ბურულებში? ჰე, შე ძაღმწიფოვარა ხბოვ!
გუშაგო. ბურულები კია, მაგრამ ჩვენი ხალხია ხომ?
მოხუცი. მატროსი. ჩვენი ხალხია—შენ თავში ხაზვია. საქმეს რომ იკისრებ, მერე წუწუნი გვიან არის. ოდესღაც მეც ვიყავ შენსავით ნიფხავ-

ჩავარდნილი, მცირე-წლოვანი—ტუქმწოვარა, შეე ზღვაზე, თავად პატიომკინზე“. მაშინაც, აღესაწი, აფიცრების ამოცრუტის შემდეგ, დიდი საქმის ვაკეთება შეგვეძლო, სულელური ხარბადობით არ მოგვკრეოდა. ქალაქში გენერალი კონენოვი დისტა-დისტა ხვრეტდა მუშებს; ჩვენ კი ხარბაზნების გასროლის შეგვეშინდა. შენსავით ვფიქრობდით, ბურჟუები კია, მაგრამ ჩვენებია თქო. ამიტომაც ვადიგვლუპეს შემდეგ რუმინეთში. აი სწორედ იმ ჩვენებია, თვადოსიაში კურდღლებივით ამოგვიხოცეს საუკეთესო ამხანაგები. დიხსოვ მეილო: თოფი თუ აგილია—ტყუილ უბრალოდ ნუ ათამაშებ—გაართვი მიზანში. ნამდვილ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ ელირსები, როდესაც სიბრაულს მოიშორებ და სამართლიანი სიავით აღიქურები.

გუშაგი. დაიცა მიტრიჩ, ნიჩბებს უსვამენ სადღაც ახლოს. მგონია ვილაც მოდის...

მოხუცი მატროსი. არა... მოგვეჩენა... ეხ ჯეილო, ის მაწუხებს, რომ დალუპული ამხანაგები ვერ მოესწრენ ქეშპროშთა გაგლეტას. ჯალათებმა, ზოგნი ჩამოახრჩეს, ზოგიერთებს ციხებისა და კატორღაში ამოართვეს სული. წყველ იყავით სისხლის მსმელნი! (კმეპაი უკანა მსბიდან გაშვდა მგარ და მუშინიულად გაჩაჩა მათაუბაქვს).

შეაჩ. ეინა ხართ?

მოხუცი მატროსი. უფშ! ეშმაკმა წაგიღოს! რას დამერები კატასავით?

შეაჩ. შენა ხარ მიტრიჩ? ჩადი ძირს, ამხანაგო! არ იცი კომიტეტის ბრძანება—ბაქანზე არავინ იყოსო! ნუ თუ ამდენი შეგებება არა ვაქვს? ძველი სახალხო მებრძოლი და პატიომკინელი მაინც არ იყო.

მოხუცი მატროსი. მე შენ კუქას ნუ მისწავლი. ჩიბუბის მოსაწევად გამოვედი და აგერ ამ ყმაწვილს ვარიგებდი. უნდა წავსულიყავ და მიედივარ კიდევ. (გაფის. მგარა წანისყენ გაიღას, ძიშის მთაჯაბა გადააქვდა ად საბილემი აღძობა).

გუშაგი. არა სჩანს!

შეაჩ. (უღბად მთბრუნდება) რა?

გუშაგი. ნაღის სრიალი მომესმა. სადღაც ახლოს ნიჩბების მოსმას მოგვარ ყური.

შეაჩ. უურები კარგად გამოიფიკე! (ძიშა მთბრუნება და ვუშავს უახლთვება).

გუშაგი. მალე გამომცვილიან?

შეაჩ. თავის დროზე გეჩქარება?

გუშაგი. მეშინია! რატომღაც სული მიწუხს!

შეაჩ. (ჯაბუშმა ბაღადავ ჟაქს) ეშმაკს წაუღიხარ!

გუშაგი. ეის ეუბნები?

შეაჩ. ასანთი დამქარავიო! ხომ არა ვაქვს?

გუშაგი. მაქვს. (თოდვა ძიშთან მთაყუდენს. ასანთს ამოიღებს, გაჭაჩავს და ხელს მთაყუდენს. მგარა მთბრუნება და მუშთლუქბის ცამბს დაჭაჩავს თავში. გუშავს თაყუდენსა გადაჯადება ძიშს. მგარა უყვებს აუწყვს და გადაატყენს. წყლის ხმაება).

შეაჩ. ყლაბე, ვალოგდის ძაღლი! (ძიშს გადაატყავს და მდუშებს უბასის) თქვენო მალაღკეთილშობილებავ... თქვენო...

შტუბეს ხმა. (ყრუდ) ბავირი..

შეაჩ. არის. (მთაჯაბა მთლთს მთაყუდის. იმ წანსყე ძიშზე მთბრუნება გადატყენს. მუშუე მთბრუნება).

შტუბე. რას აყრებნბდი ძაღლის შეილო? დეღვაა, ვერა ხედავ?



- შვაჩ. უკაცრავად ბატონო ლეიტენანტ... დრო ვერ მოვიხელოთ... ხელს მიშლიდნენ...
- შტუბე. ვერ მოვიხელოთ... ეშმაკის კერძი... ხომ არავის უნახავინა?
- შვაჩ. არა!
- შტუბე. ყველაფერს მორჩი?
- შვაჩ. ღიახ... სარდაფი ღიია. ჯებირებიც...
- შტუბე. ყოჩაღ!.. ჯილდოზე წარგადგენ.
- შვაჩ. მარად მზად ვარ სამსახურისთვის.
- შტუბე. ტსს... რამ გამოგასულელა შე ჩერჩეტო! რა გაღორცილებს? ბაზარზე ხომ არა გგონია შენი თავი? საქმეს მოაკიდე ხელი! იარ! თუ რამ მოხდეს დაუსტეინე (მაგან: წინ წაი, უკან წაუბი).
- გუშაგთ უფროსი. (აუღასუშაი) ვარშემო იცქირეთ!
- ხმა. (აუღასუშაი) არის! ვიცქირებით!
- გადუნის ხმა. (მაუშა—ძაბას ზღვანამი გუშთან მთხელა ადგარის მანქანის ზმა-ურა და მასალა) ერ, ვინა ხარ მანდ? (მაუშა. გუშთიან გაღენ და შტან-წყი) ა, ძაღლის ლეკვები. არავინ არის. სძინავთ ყურუშსაღებს. ვი-ყვარდეს მე იმათ სიტხე დავაყენო. (ხასყუნს ამთაღებს და უსყუნს).
- გუშაგთ უფროსი. რას უსტევენ?
- გადუნ. გუშაგთ უფროსს აქ დამიძახეთ! სწრაფად!
- გუშაგთ უფროსი. (ჩამოდის ზმარევიდან და მთხე მაუშაბლადეშა შტანწყის ანთმს, ზანადრთ საღამს აძღეფ და მთასსუწეშს) ბატონო კაპიტან მეორე ცვალებადობის დროს კრეისერზე არავითარ შემთხვევას აღ-გილი არ ჰქონია.
- ბერსენევი. არა? სად არის გუშაგი. რატომ არ ეხმაურებიან ნავეებს?
- გუშაგთ უფროსი. გუშაგი? ეხლა აქ იყო. ეს ეს არის შევამოწმე საღარაჯოები და ვამომეხმაურა.
- ბერსენევი. საოცარია! რა იქნა?
- გუდუნ. (მახასანდ) რა იქნა? გამდნარა, მოუტაცნიით. რასგაშტერებულხარ? შენი ღღინი... იპოვე გუშაგი.
- ბერსენევი. (ძამთან თთას შტანწყის) ეს რა არის?
- გუშაგთ უფროსი. ვინტოვკა.
- გადუნ. არა, ჩაის კოვზია დედიშენისან. მთერალი ხარ თუ რა ამბავია?
- გუშაგთ უფროსი. ნება მიბოძეთ ამხანაგო გადუნ...
- გადუნ. არადრის ნებასაც არ მოგცემ. მე ვარ, თუ თქვენ მორიგეობის პა-სუხისმგებელი?
- გუშაგთ უფროსი. მე.
- გადუნ. ეხლავე იპოვეთ გუშაგი. მიწა გახეტქეთ, ზღვა გააპეთ, გააჩინეთ, როგორც ვინდოდედ, თორემ ყველას თავდაღმა დაგკიდებთ.
- ბერსენევი. ვერ გამიგია. უბედურება რამ თუ მოხდა? ზღვაში თუ გადა-ვარდა, მაგრამ, რისთვის უნდა გადავარდნილიყო? ალბად სადმე წავიდა.
- გადუნ. მე იმას ვუწვენებ წასელას. გემის ფსკერზე დავაყენებ საუშაგოზე.
- ბერსენევი. (გუშაგთ უფროსს) ყარაულს მოუბმეთ!
- გუშაგთ უფროსი. (უსყუნს. შტანწყის წაი) ბოცმან, მოუბმეთ გუშაგთ!
- შვაჩ. არის! (უსყუნს ცაბაღლის ცამობასალს).
- გადუნ. რა განიზრახეთ?
- ბერსენევი. კრეისერის დაუყონებლივ განჩრეკა.
- შვაჩ. (თავისთავს) სერიო თუ გინდა ეს არის. (შტანწყისან გუშაგთ და ჩამუშაგე-ნიან).

რადაც ავირჩიეთ. ყველა აფიცრები რომ თქვენისთანა ყოფილიყვნენ—ეგეც არ იქნებოდა საჭირო. რაკი საკუთარი სტატუსი შევქმედდნო—სასიცოცხლო გზას დავადექით, უფლება გვაქვს ყველას, სულსა და გულში ძირამდი ჩავიხედოთ, ვნახოთ, ვის როგორი ფსკერი აქვს. ნუ კუდმალობთ მატროსების წინაშე.

გაღუ. მატრიჩი მართალს ამბობს! დაფიქრით კაპიტან! სულ ერთია—შარს ვერავენ მოგდნებ.—და რომ მოგდონ კიდევაც, ჩვენ არ ავყვებით! (შეაჩხილაპარაკე წითელო ტურავ!

შეაჩ. ყველაფერს გეტყვით. მატროსების მოტყუების ნებას არავის მიეცემ. მეც შეგნებულად ვარ რეკოლუციის მხარეზე და თანაუფრძობ ბოლშევიკების პარტიას.

გაღუ. პარტიას თავი დანებებ. საქმე სთქვი. გახსოვდეს: თუ გიცრუნებია, გიჯობს ეხლავე პანაშვიდი გადაიხადო.

შეაჩ. (მამათა და შჩაპათ შამთაიჯაჯა) ძმებო, მისწინეთ. თვალეზახვეულ ცხვრებივით დაგვტარებენ, ბატონი კაპიტანი ბერსენევი ხელს გვართმევს—ვითომდა მატროსების ერთგული ძმია, თითქოს თავისუფლებას იცავს, ხოლო ამავე დროს ვის სახლში, ღამლამომით, ჩვენი სისხლის მსმელი აფიცრები იკრიბებიან და იმაზე ფიქრობენ და ზრუნავენ, როგორ ნოამწყუდიონ მახეში ჩვენი თავისუფლება და ჩვენ, ყველანი ზღვაში ჩაგვებრძონ.

გაღუ. სტყუი ქვემძროპო!

შეაჩ. რად უნდა ვსტყუოდე? რა მოგებისთვის? მრცხვენიან კიდევ, რომ ძველებური მორჩილების წყალობით დღემდე ვღუმდი და ამით თითქოს მათი მონაწილე ვაქვდი. ეინანიებ თქვენს წინაშე ძმებო, ჩემს ცოდვას. სწორედ ამ საღამოს გამოვაცლიე კაპიტან ბერსენევის ბინის უკანა ძარებიდან ორი კონტრქურქიანი აფიცერი: პალკოვნიკი და პარულჩიკი და პატრულებს ავიშორე. (შეაჩხაჯა შეპთობა).

გაღუ. (შეაჩხ ელმა სწაჯა) სტყუი, წაგებრძობთ! (შეფრთხაშვი შმაჯთიმა თანდათან პლაიქლეშა).

ხმები. შაიდა კაპიტან! თავს იკატუნებდი?...
გაღუ. (შეაჩხ შთინთხუხ) დაიკარგე ვერ დავიჯერებ! ევეგნი, თქვენ თითონა სთქვით. მაგ წითელ ჯუღიქვეია ტურას ვერ დავუჯერებ. თქვენ თითონა სთქვით. რასაც იტყვით—დაგიჯერებთ!

ბერსენევი. (თავდასთავა) არ ვიცი... იქნებ მართალია...
გაღუ. მართალი?...
ბერსენევი. შეიძლება!

3-ე მატროსი. როგორ თუ შეიძლება? სიმართლეა თუ არა, რაც აქ ითქვა?
5-ე მატროსი. კუდს ნუ იქნევთ!

ბერსენევი. არ ვიცი... რაკი ბოკმანი ლაპარაკობს. აღზად მართალია. (ამბამასლა).

ყველა. შა...
5-ე მატროსი. დაგვიჩინიან თუ რა ამბავია, ძმებო! გირჩევიან პატიოსნად სთქვა. სულ ერთია გაიძულებთ.

4-ე მატროსი. ფრთხილად კაპიტან. (შეფრთხაშვი ზორბენაისაჯან შაიჯენ).

შეაჩ. (თავდასთავა) გადავჩინი! ღმერთო, შენ მიშველე! ცოტა დრო მაინც მოვიგო!

გაღუ. (შეფრთხაშვი აღლუქოქული შეფრთხაშვი გადაიქლეშა).

ევეგნი, რასა ჰვავს ეს? მე თქვენი ღმერთივით მჯეროდა. საკუთარ თავზედ უფრო ვგნდლობდით. თქვენ კი, გადაგიხვევით ჩვენი გზისათვის. გადაგვდგომიხარ. ხომ გახსოვთ—ადმირალს, რომ ვაცილებ-

დით, გითხარით—თუ ძალია არ შეგწვეთ გაილაშქროთ თქვენისების წინააღმდეგ, უარი სთქვით მეთქი. ხომ გითხარით, წესდულად ვით მამინ პატროსნად და არც არავინ დაგზრახავდათ, რაღაცეა მამეცით, ჩვენ გზას დაადეკით და ეხლა... როგორ მოვიტყუოთ, რა გიყუოთ. იუდას ამბორი იყო ეგა, თუ...

ბერსენევი. გადუნ!

გადუნ. რა გადუნ? ბასტა! ლამპარაკი ზედმეტია! გაყურებისებთ... გაქელილი ჩემი რწმენისა და მოტყუებისათვის... (გუზავთ უფატოსს) დააპატიმრეთ! (ვუმაგნი ამოუღვენიან პრისონჯა! წიყუანეთ ხვალამდის.

3-მე მატროსი. (ზავრთსენი აკვანდენიან) სად მიგყავთ?

2-რე მატროსი. რატომ ხვალამდი? — აქვე გავსამართლოთ!

5-მე მატროსი. აქვე გამოვამჯღაფნოთ იუდას განზრახვა.

4-ე მატროსი. ზღვაში გადავუძახოთ!

6-ე მატროსი. აბა, აქვე მოულოთ ბოლო ქვემძრომს (პრისონჯს მისდევანი).

გადუნ. (პრისონჯს აკვანდენი და აკვანდენი) სდექ! ნებას არ გაძლევთ! განუკითხავად განსამართლებას ადგილი არ უნდა ექნეს. ჯერ მე მომკალით, მერე ეგა. ცოცხალი თავით არ დაგანებებთ (მზბოლა, ღზაალი).

5-ე მატროსი. მოშორდი არტიომ!

ბმა. კატარლა მოდის. (უკვანდენი ბინოქსი. დედანი პრისონჯს თავს ვანდენიან და ქანს ვადენიან. ვადენიანოქსი პრისონჯს, თავს ვანდენიანოქსი თავს ვანდენიანს ვადენიან ვადენიან).

ბმა. სდექ! ვინა ხარ?

3-ე მატროსი. სდექ! შენი ღდინი... გესერი!

ბმა ზღვიდან. ცენტრობალტ.: (პრისონჯი).

გადუნ. მენიანსენი. (მენიანსენი მთავსთან მთავსენი. მთავსენი ლამპენი აქნოქსი).

გადუნ. (მთავსთან) ვინა ხართ?

ბმა ზღვიდან. ცენტრობალტ. პანოვ! (მთავსთან პანოვ. მას მთავსთან ვადენიან, ბოქსს ვადენიან ვადენიან, მთავსთან და ვანდენიან).

3-ე მატროსი. ტფუ! ეშმაქმა დილახეროს! დედაკაცი!

4-ე მატროსი. საიდან ვანდა?

გადუნ. პანოვ, ვამარჯობა! საიდან? როგორ?

პანოვ. ვავიანარჯოს არტიომ! აქ მოდი ერთ წუთს!

ტატიანა. (ვადენიანს ვადენიანს ვანდენიანს მრეს, მანას ვანდენიანს და ვანდენიანს)

ტატიანა. მამა!

ბერსენევი. (ვანდენიანს) ტატა, შენა? აქ რა ვინდა? (ვადენიანს სდექს და ვანდენიანს).

გადუნ. (ვანდენიანს) რა მოხდა?

პანოვ. (ვანდენიანს) თქვენთან ყველაფერი რიგზეა?

გადუნ. რა იყო?

პანოვ. მეც ვერ გამოვიკა! კომიტეტის სხდომა გექონდა. აი ეს ქალი შემოგვივარდა, დიწყო ყვირილი, წივილი, ისტერიკა მოუვარდა. „ავრორას“ აფეთქებენ, „ავრორასაო“ გიყვივით ტირილი აფეარდა, ცანცანებდა, თმებს იკლევდა, სულ ვადიანია, ძლივს მოასულთიერეს. მაგრამ ვერაფრით ვერ დავამშვიდეთ. ვაბა ყვირილი: — „ქმარიო“, ასაფეთქებელ ნივთიერებათა სარდალიო, აფიცრების ორგანიზაციო“. ვინ იცის კიდეც რა არა სთქვა. ერთი სიტყვით, მთელი აღიანიქოთი აყვირა. ვილაც წითურა ბოქმანსაც იხსენიებდა (ვანას, ბოქსს) ლე მათ ასლანს ადგა. ვანასაქსი რიგინად ვერც კი ვავიგეთ! ბოლოს ვადენიანს ვადენიანს მე და ეს, ქალი აქ გამოვეგზავნეთ და საქმის ვი-



თარება ბღვილობრივ გამოგვერცეო. ქალი ქალია, მგრამ ეშმაქს არ სძინავს, იქნებ ამოდუნდეს, იქნებ მართლაც იყოს რამე...
გაღუნ. სდექ, ვაგივე! დანარჩენი მერე იყოს. ეხლა კი, წრათ-წყითი ხბის ოქროდა ღირს. (შავბთხვან) სარდალებში... დედითქვენისამ... კისრის ტუხით. პანოვ, ვაპყვე მაგათ! ვინც არ უნდა იპოვნოთ—ცოცხლად მომგვარეთ აქა (შანღე და ბამღინაშე შავბთხა ჯაბიან, ჯაღუნ შავსაჯას) შუამ... (დანიარჩუნვის) არსად გაუშვათ. ეხლა აქ მოათრიეთ ის ძალღის ლეკვი (შავბთხა ჯაბიან).

გაღუნ. (შუბსუნჯას და ჭავბიანათან შიდას) ეჰ, ეგვანი! რისთვისა სდუმდით? ვისთან დადიოდნენ ადვიტრები? კეთილშობილურმა სიამაყემ გძლიათ, არა? ამ კეთილშობილების წყალობით კინალამ სიცოცხლე წავაგეთ ყველამ.

ტატიანა. რა მოხდა?
გაღუნ. რაც იყო, იყო. არ ვანმეორდებამ! (სმაჯბთხა. შავბთხაში ბალათ შთათრჯუნ შუღვის).

- 1-ლი მატროსი. ადგი, ადგი ქვემძრომო!
- 3-ე მატროსი. აჰ, ძალღივით იკბინებამ!
- 4-ე მატროსი. მუხრუჭი!
- 5-ე მატროსი. პანლურო!
- შტუბე. (ავბთხა) ხელი არ მახლოთ, არამზადებო!
- 4-ე მატროსი. ნუ იყუფებამ!

ტატიანა. (შუღვისაჟან ჯაჟუნას) ლეო!
ბერსენევი. (ავაჟან) ტატა, გვიან არის!
 3-ე მატროსი. შიგ სარდაფში დავიპირეთ გველის წიწილი.
 5-ე მატროსი. პატრუქს უკიდებდა. ორი საათის შემდეგ ხელ შუა ვზახე ავღეთქდებოდით...

გაღუნ. (შღრუს) ვერ მოგართვეს, თქვენო მალღ კეთილშობილებამ? სხვები ვინ არიან (შუღვი სღუნს. ჯაღუნ ნაჯანს აღუნს).

გაღუნ. სთქვი ძალღის ლეკვო, თორემ ცხელ ტყვიას გადავაცლაპებ.
ტატიანა. (ჯაჟაჟათ) გაღუნ... ნუ... გაღუნ...
გაღუნ. (შთარჩუნჯა) რაო, გებრალეზათ?... ეჰ...
ტატიანა. ხილათი, ხომ ავადღინეთ?... აპატრეთი...
ბერსენევი. (ჭავბიანას ჯაჟანას დღალიშს) ტატა, წავიდეთ! შენი აქ დარჩენა არ შეიძლება.

ტატიანა. გაღუნ, იყავით აღამიანი. ამიერიდან ხომ ვერაფერს გავნებთ. ვერ ვაბედღავს, სულმოკლეა, შესაბრალისი.
შტუბე. ხმა, კონტი! არ ვსაპიროებ შენს შებრალეზას, მძებგბარ, მეზიზღები (შავბთხთა მღბო ჯღუნს პანთთან ჟბთად შუღმავას შგანი).

6-ე მატროსი. ცეიხპაღში დავიპირეთ. ბუშლატებში შემძვრალიყო.
გაღუნ. შანდ დაყენეთ! (შგანს შღრუს გჯრღათ დაავაჟუნას).
ბერსენევი. ტატიანა, წადი აქედან!
გაღუნ. (შუბსუნჯას) წაიყვანეთ, ხომ იცით—ვერაფერს გავაწყობთ... პანოვ, უშველეთ! (შუბსუნჯას და პანთს ჯაჟუღ-ჯამბიანაში შიშავათ ჭავბიანა. ახიღ ღბო შაღუღლა შავსჯას).

გაღუნ. აბა, ძმებო! გაასამართლეთ!.. რას იტყვით?
საერთო ამოძახილი. ბოლო მოუღოთ.
გაღუნ. აბა! (შგადან ჟჟვით ანიშუნს).
 5-ე მატროსი. აბა ბიჭებო, უცბად! (შავბთხაში შავსჯაჟეზიან შუღრუსა და შგანს).
შეან. ამხანაგებო, ძმებო, შემბრალეთ... მეტს არ ჩავიდენ...

მოხუცი მატროსი. რამდენიც უნდა იყვირო, არ შეგიბრალებთ. თქვენისთანების წყალობით დიდილუპა პატიომკინი (ხანშიაქლე მამჩინანს შვილუ თაფს ვაშს ზღვანი ვადუბახუენ).

გინჯიჩინთაქა

მე-4ე მატროსი. ვასკურე!

3-ე მატროსი. წყალქვეშა მეფეს ვადაეცი ჩენი სალამი, ნაძირალავ.

5-ე მატროსი. დალაგება მორჩია! შაბაშ ამხანაგებო!

ხმა სპარდეკიდან. ვადუნ, ამხანაგო ვადუნ! (ხიზუჲ).

ვადუნ. რა ამბავია?

რადიოსტი. (ჩაწმინძას) რადიო! ცენტრობალტ! დაუყონებლივ უნდა დავიძროთ!

ვადუნ. მოიტა! (ჩადაისც სოლიდან ჩაწმინჯლუჯა ქაღალდს და სინათლუსთან მიიჯანს. მავტლსუმი სმავაკმეწელი ვაბს უსყუიან. ვაიუჯ-გამზანის თელთალიდან წაშის სელგო დაჩბნთილი ვაშთის ცაჯიანა. მათთან პანთიდან).

ტატიანა. (შაშას მთმთბოქმა და ვადუნს უახლოვდუმა) არტოში!

ვადუნ. (ვათსულმბს და ცაჯიანას სიჯყა აბ უსშას).

ტატიანა. ვადუნ, რა ჰქენით?

ვადუნ. (ვაშთისჯაქს). ა?

ტატიანა. რა უყავით?

ვადუნ. (ქაშს აქით და უმჯობს სულს). ვადავლძახეთ! (ცაჯიანა სმა ათულუქულავ თაჯ ნახშას და ვადუჯაქუნა).

ვადუნ. (ქაღალდს აფბალოქს). ძმებო... ამხანაგებო... ლაშქრობა... პიტერ-დილზე უნდა ვავილაშქროთ! ძმებო, პირველი ვალაშქრება მსოფლიოში: თავისუფლებისა, მიწისა, ზაეისა, პურისა და მუშათა უფლებებისთვის! ძირს სამუდამოდ ბურჟუეზების უღელი. (მავტლსუმი შაბაჩულუანა).

ყველა. ძირს!

მოხუცი მატროსი. ამ დღესაც მოვესწარ!

ვადუნ. (ზეზსუნჯს) ვეგენი! წყენისათვის ანგარიშის ვასწორების დრო ესლა არ არის. დღეს დეღამიწა ყირაზე უნდა დავაყენოთ. ქარიშხალს, გრიგალს პირისპირ უნდა ვეკვეთნეთ. შავმნელ ცხოვრებას დაჯკრათ ლახვარი შიგ ვულში... ვაეცი თ ვანჯარგულენა.

ბერსენევი. კარგი ვადუნ, მერე ვავსწორდეთ. ზოქმან... მოუხმეთ ყველას... ახსენით ლუზა (აჯჯანა. ზმუნა).

პანოვ. აბა, არტოში ვუხა ხსნილი და ბენდიერო გამარჯვებისა. გისურვებ ჩენებურ, მატროსულ ბენდიერებას! (ვათმანულს ჰაქუნაან).

ვადუნ. მშვიდობით მეგობარო! ვადაეცი კომიტეტს, რომ არ შევარცხვენთ... კბილებით ვამოვგლეჯთ საბჭოთა ხეიდრს.

პანოვ. ჩენსას ვავიტანთ! (დაშალს სპით) იმ ქალს უკანვე წაეიყვან, მიეხედავთ კიდევ... რაც არ უნდა იყოს, ქმარი მოუქვს.

ვადუნ. ცხავე... (ცაჯიანას) ტატიანა...

ტატიანა. (აჩუთ) რა იყო?

ვადუნ. მშვიდობით! პანოვი სახლამდე მიგაცილებთ!

ტატიანა. სადა?

ბერსენევი. ლუზა, ასწი!

ხმა. (კულასქაში) არის! ლუზა, ასწი!

ვადუნ. შინ უნდა დაბრუნდეთ.

ტატიანა. ჩემი „შინ“ აქ არის.

ვადუნ. არ შეიძლება... საომრად მივდივართ!

ტატიანა. მით უფრო, ვადუნ... მე ხომ მოწყალების და ვარ. დაქრილებს მოვლა არ უნდა?



გადუნ. მაშ ასე? კარგი, მიბრძანდით ლაზარეთში. შიტრიპ, ვააცილე დიი! (ში-
ხვე შავთხსს (ვაფანა მიხეა).
ბერსენევი. რა იქნა ლუხა?
ხმა. მოდის!
პანოვ. ვხედავ, მარტო უნდა დაებრუნდე. ერთხელ კიდევ მშვიდობით! კეთი-
ლი მგზავრობა! გამარჯვებებს ვისურვებთ, ამხანაგებო! (ვადუნ შოგას-
თან შავდილუზს პანთეს).
ხმები. გმადლობთ. ბედნიერად! (კავატლა შაფის: შავტახეა ქედუზას ძნუთთ ვთხლ-
ჯეშაან).
ბერსენევი. დროშა და ვაუის ასწიეთ (შავთხსა ხსნას და სწყს ანდრუყას
ფლაგა).
გადუნ. (შავარდუზა) სდექ!.. უკან! ჯანდაბას მეფის კონვერტი! აწ აღარა ვართ...
ფოსტალიონები. შოიტათ კომიტეტის დროშა.
მოხუცი მატროსი. სწორია, არტიომ! ამართეთ ჩვენი დროშა! პატრიომკინის
დროშა (შავთხსს შოაქს ჩიოქლი დრთმა, რთმულსაც აშახთაფუნ ბეულას
ნავლად).
ბერსენევი. სწრაფი სვლა! იარ პირდაპირ!
ხმა. სწრაფი სვლა! იარ პირდაპირ!
გადუნ. ტანია, გრძობ ქარის სუნთქვას? ახალ სიოს? აბა, ფოლადის ციხე
სიმივარეც... ვაძვეთუე ქარი, ვააპე წყალი; ვარდაიარე ტალლა და
ზეირთი, ვასწიე მედგრად და ვაარლეიე შტრის გული (ამაქ დრთს
აშთბაქაქულ სტანაილისგან ზღა აქაფდუზა).
მატროსი. იარ მზიარულად! იძლევი საბჭოთა ხელისუფლებას!.. ვაშა!..
საერთო ამოძახილი. ვაშა!..

თარგმანი აკ. ფალავასი.



საქართველოს ენციკლოპედია
საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

პრიტიკული შენიშვნები

ბ. პილნიაკი

Мчатся тучи, вьются тучи,
Невидимкой луна.
Освещает снег легучий
Мутно небо, ночь мутна
А. Пушкин.

Ветер, ветер на всем божьем свете.
А. Блок.

I

ვიანესლავ პოლონსკიმ თავის წერილს პილნიაკზე¹⁾, ასეთი ეპიგრაფი წარუმძღვარა:

— მერგ, როგორ შეიძლება ასე თამაში?

— რატომ, რაშია საქმე?

— როგორ თუ რაშია, სად არის შენი მეფე?

და მართლაც, ვებებენ მეფეს. კადრაკის დაფაზე მეფე არსად სმანს. ბოლოს დაინახეს: ლუდის ბოთლი დაუცავთ „მეფით“, პრობკის მაგივრად. („დედა-დედინაც-ვალი“).

და სწორედ ასეთ მოკადრაკეს მოგაგონებთ მწერალი პილნიაკი, მწერალი, რომელსაც მთავარი მიზანი ჯერ კიდევ გირკვეული არა აქვს თავისთვისაც.

უმეფოდაც შეიძლება თამაში—რატომაც არა?—კარგი სვლების გაკეთებაც, კარგი კომბინაციების შექმნაც—მაგრამ ეს მხოლოდ თამაში იქნება, უმიზნო, უბოლოო, ყოველგვარ აზრს მოკლებული. ზენ არ ვიტყვით, პილნიაკის ნაწერები ყოველგვარ აზრს მოკლებული იყოს—მაშინ, ცხადია, ლაპარაკიც არ ეღიერებოდა მათზე,—მაგრამ ის, რომ მათ აელიათ მთავარი ღერძი, დასაყრდნობი საძირკველი, რომ მათ არა აქვთ გარკვეული მხატვრული მიზანი—ეს ცხადია და ადვილათ დასამტკიცო. შეიძლება პილნიაკი ფიჭრობდეს, რომ არც არის საჭირო მაინცა და მაინც მხატვრულ ნაწარმოებისათვის რაიმე მთავარი ღერძი, მისაღწევი მიზანი, გარკვეული აზრი, —ასე ხომ „ბეჭრი“ ფიჭრობს დღეს

¹⁾ „Новый мир“ №10—1927 წ.

გვრედ წოდებულ ფორმალისტთა ბანაკიდან, — შეიძლება! ეს მისი საქმეა და უფლება. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მკითხველი და კრიტიკა ასევე ფიქრობდეს. მკითხველი და კრიტიკა ეალდებულებს დააფასოს მხატვრული ნაწერი (როგორც ყოველივე, რაც კი არის, დაფასებას მოითხოვს!) არა მარტო იმ მხრით, თუ როგორ არის შესრულებული იგი, არამედ იმ მხრითაც (ხანდახან უმთავრესად სწორედ ამ მხრით!), თუ რის შესახებ სწერს ავტორი და როგორ აშუქებს, აფასებს თვით იმ ფაქტებს, ამბებს, მოვლენებს, რომელნიც ნაწარმოების შინაარსს წარმოადგენენ. ის, რასაც ავტორი გვუბნება, რისკენაც გვიზიდავს, რასაც გვასწავლის, რას გვაძლებს და რას გვიქებს — აი ეს არის ჩვენი აზრით — ნაწარმოების დაფასების უმთავრესი საგანი... ამის გარეშე არ არსებობს არავითარი კრიტიკა, რაიმე ობიექტურ საფუძვლის მქონე, ამის გარეშე ლაპარაკი და „კრიტიკა“ მხოლოდ ლაყბობაა და წყლის ნაყვა.

ვერავითარი — თუ გინდ ესთეტიკის ურბილეს ბუმბულშიაც აღზრდილი და პოეზიის ცაში ლაღად მონაყარდვ კრატოკოსი ვერ აგვიხსნის, ვერ მიგვახედრებს, ვერ გადმოგვეცემს, ვერ გვაგრძნობინებს — თავისი სიტყვებით, თავის „კრიტიკით“ — იმას, თუ როგორი უძვირფასესი მშვენიერებით არის შესრულებული პუშკინის, ნიკო ბარათაშვილის თუ სხვა ვინმესი — ესა თუ ის ნაწარმოები. ამისათვის საჭიროა მისი წაკითხვა — არც მეტი, არც ნაკლები. ღ, რასაკვირველია, წაკითხულის ვაგება. თორემ..

კრიტიკა შეიძლება, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ (ან და უმთავრესად) იმაზე, თუ რა აზრებია მათ ნაწერებში, რა გრძნობებს გვიღვიძებენ ისინი, საით გვეზიდებიან, რა მოქმედებისათვის უფრო გვაქებებენ, რას გვასწავლიან (შეიძლება ასეც ითქვას), — და მერე დაფასება ყოველივე ამისი: ე. ი. აზრების, გრძნობების, სწავლის საზოგადოებრივი თვალსაზრისით. და რადგან საზოგადოებრივი თვალსაზრისი ჩვენთვის დღეს (როგორც ყოველთვის) ნიშნავს რევოლუციის სარგებლიანობის თვალსაზრისს, ამიტომაც: უმთავრესი საზომი ჩვენი კრიტიკისა იქნება: რევოლუციის სარგებლიანობა; უნდა იქნეს ყოველ შემთხვევაში.

„პოეტიკა? ლექსთა-წყობის კანონები“?! — შემოგვძახებენ გაკვირვებით დღ. შეიძლება გაბრაზებითაც ახალგაზრდა მოხუცები, პოეზიის და კრიტიკის ქურუმებად რო მოაქვთ თავი. „ესეც, რასაკვირველია, ესეც“ — უპასუხებთ ჩვენ მათ. მხოლოდ... დროა დაუბრუნდეთ პილნიაკს.

ერთ თავის მოთხრობას („სამი ძმა“) პილნიაკი ასე ამთავრებს:

მე აქ ვათავებ ამ მოთხრობას. საქმე ისაა, თუ კი ხელოვნება არის ყოველივე ის, რაიც მე ამოკრიფე ცხოვრებიდან და შევაწებე ერთმანეთს სიტყვებით, — მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არ არის ხელოვნება, მაშინ ზომ უსაზღვრო და უბოლოო გამოცემა ყოველივე მოთხრობა, ისევე, როგორც უსაზღვროა და უბოლოო თვით ცხოვრება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ანალოგია უადგილოა და სწორიც არ არის. მართალია, უსაზღვროა და უბოლოო, ყოველ შემთხვევაში ადამიანის ვაგებისათვის —

ცხოვრება, — მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ცხოვრების ყოველგვარი მოვლენანი და ფაქტები ასევე უსაზღვრო და უბოლოდ მიმდინარეობს. მეოცნებება დანამდვილებით ითქვას, რომ პილნიაკს ბორისს — ავტორს შრავალ შეტად საინტერესო ნაწერებისას — აქვს საზღვრები: საწყისი — დაბადება და ბოლო — სიკვდილი. შეიძლება ეს ძალიან არა სასიამოვნოც იყოს, მაგრამ ეს სწორედ ასეა: ვიბადებით და ვკვდებით. ასეთია ბედი ყოველი არსებულის, — ადამიანისაც მანასადამე; და რადგან ხელოვნება — უმთავრესად — ამაში პილნიაკიც არ გვედევნება, — ადამიანის ცხოვრებას და ამ ცხოვრების სხვადასხვა ფაქტებს, მოვლენებს, სახეებს, გამოხატულებებს ეხება, — ამისთვის საჭიროა, რომ მოთხრობებს, პილნიაკის გამოთქმით — ექნეს თავიცა და ბოლოს; აუცილებლივ საჭიროა. შეიძლება მართალიც იყოს ის, ვინც ამბობს, რომ ქაოსიდან წარმოიშვა ყოველი და ქაოსში ინთქებაო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ — დღესვე უნდა გაეამეფოთ ყველაფერში ქაოსი, კერძოთ იმ დარგში, რომლის ნიჭიერ მუშაკათ პილნიაკი ითვლება: ხელოვნებაში.

II

პილნიაკი რეალისტი, — ე. ი. მას აინტერესებს ცხოვრების საკითხები, ის, რაც არის, არსებობს. ის არ არის ფანტაზიორი, მეოცნებე — ასეთი გავებით: ის არ თხზავს, არ იგონებს ცხოვრებაში, სინამდვილეში არ არსებულ თემებს, საკითხებს. მაგრამ რეალისტიც არის და რეალისტიც — რადგან არის ცხოვრების საკითხებიც და საკითხებიც. არაა საკმაო იყო რეალისტი, საჭიროა ამავე დროს შენს რეალიზმს ჰქონდეს საზოგადოებრივი ხასიათი; სახელდობრ: გაინტერესებდეს ის, რაც ეპოქის (რომელსაც შენ, მწერალი, ეხები) — დამახასიათებელია, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რაც საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს.

პილნიაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის სწორედ ასეთი რეალისტი მწერალია. პილნიაკი არ გაუბრბის ეპოქას, რომელშიც ის ცხოვრობს და მუშაობს. პირიქით, სწორედ ჩვენი ეპოქის საკითხების გარშემო ტრიალებს ის. თუ როგორ „ტრიალებს“ და რა დასკვნებს გვაძლევს — ეს სხვა საქმეა. ფაქტი კი ისაა, რომ თითქმის ყველა მისი მნიშვნელოვანი ნაწერები — ეპოქისათვის საინტერესო საკითხებით არის გაღენთილი. და რადგან ჩვენი ხანა ეპოქა რევოლიუციების, ბრძოლების, ძველის ნგრევის და ახლის (როგორც ეს მის ეს „ახალი“ პილნიაკს, ამაზე შეზღვევს), შენების, — პილნიაკის ნაწერებიც სწორედ ამათ ეხებიან. ამ მხრივ პილნიაკი „გაბედული“ მწერალია: არ უნდა დავივიწყოთ, რომ არა-კომუნისტ პროზაიკოს მწერლებიდან რევოლიუცია და მისი საკითხები, საკმაო სიგრძე-სივანით, პირველად პილნიაკმა აიღო თავის შემოქმედების საგნად. ამ დამსახურებას პილნიაკს ვერავინ წაართმევს. მაგრამ მართალია ისიც, რომ ამ გამბედაობასთან ერთად ის საკმაოდ მშოშარაც არის. რევოლიუცია და მისი საკითხები გაბედულათ გამოაჰყავს მას თავის ნაწერებში, მაგრამ როდესაც თვითონ კარგად დააკვირდება, თუ რა სურათები დახატა — თითქოს დაწინდაო, — უკან იხეცს, გარბის საღადაც, თვალეზზე საფარს იკეთებს,

ან და უშვებს სრულებით ფარდის. ამის მიზეზი ისაა, რომ იგი „უშუფოთ თა-
მაშობს“—სწორი გაგება არა აქვს იმისი, თუ რა ხდება უმთავრესად კოქია-
ში, რომელსაც ის მხატვრულად სახავს; ვერ გაუგია, ~~სწორად~~ ~~სწორად~~ რა
არის დაბოლოს ეს რევოლუცია, ვინ არის მისი მთავარი აქტორი და სა-
ით მივეყვართ მას?! ეს ვერ გაუგია და გასაგებია: ასეთ უდიდეს მნიშვნელო-
ბის საკითხებში მომწვედელი—ის ნერვიულობს, შიშობს.

ერთი რამ ცხადია: პილნიაკისათვის არ არსებობს საკითხი—რევოლუცია
თუ რეაქცია, —წითლები, თუ თეთრები. ის თავიდანვე რევოლუციას ამოუდგა
გვერდით, — თავისი გაგებით რასაკვირველია. ემიგრანტებს ის არ ეკუთვნის:
არც უცხოეთში გაქეულებს (კუპრინი, მერეკოვსკი, ბალმონტი და სხვები),
არც საბჭოთა ქვეყნებში დარჩენილთ (გვ. ზაშიატინი, ანდრეი ბელი და
სხვები).


მაგრამ შემცდარი იქნებოდა გვეთქვა: პილნიაკი რევოლუციის მწერალია
არა, პილნიაკი არ არის რევოლუციის მწერალი, ის მხოლოდ კოქლი „თანამ-
გზავრია რევოლუციის“. რევოლუციის მწერალისათვის არ არის საკმაო—რე-
ვოლუცია აილოს საგანათ თავის შემოქმედებისა და თუ გინდ, თავისი თავი
რევოლუციის მომხრეთ გამოაცხადოს. რევოლუციის მწერალს სწორად უნდა
პოინდეს წარმოდგენილი ის შინაგანი პროცესები, რომლებიც ხდება რევოლუ-
ციაში. მისთვის არ არის საკმაო, მოგვეს სურათი (თუ გინდ სწორიც) იმასა,
თუ რა არის დღეს, არამედ საჭიროა გვიჩვენოს, დაგვანახოს, ფარდა ახლოს
იმას, —თუ რა მხადდება ხვალისათვის, როგორია მისი ხვალისდელი დღე, რო-
გორია რევოლუციის ადამიანები და რა ვარდატეხებია მოსალოდნელი მათში;
უნდა გვაჩვენოს ის, თუ ვინ ან რა არის უმთავრესი რევოლუციაში. თორემ
მარტო რწმუნება და ყვირილი: „ოსანა რევოლუციას, ოსანა“—და ამავე
დროს ამ რევოლუციაში დანახვა უმთავრესად მე-17 საუკუნის და მტკიცება,
რომ ეს სწორედ ასეა, ვერაფერი რევოლუციონური მწერლობაა. პილნიაკს
კი ხშირად ასე ემართება.

III

1922 წელს ჟურ. „Утревиак“-ში (N 2) პილნიაკმა გამოაქვეყნა განცხადება
(საქმე ეხებოდა მის გამოსვლას „სმენავეხელების“ ვაზეთ „Накануне“-დან.),
რომელშიაც ის სხვათაშორის სწერდა, რომ ის, პილნიაკი, „აღბათ სმენავეხე-
ლი უნდა იყოს“. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვირონსკი თავის წერილში
პილნიაკზე*), ეს არ იყო მთლად მართალი. არაერთარი „ვეხები“ პილნიაკს არ
უცვლია. ამ მხრივ ის „სმენავეხელი“ არ ყოფილა. მაგრამ რევოლუციის მისე-
ბურ გაგებით — ის დიდათ უახლოვდება რუსეთის რევოლუციის ამ თვისებურ
„მეგობარ“ მიმართულებას.

და მართლაც როგორია პილნიაკის ფილოსოფია ოქტომბრის რევოლუ-
ციისა, როგორია რევოლუციის გაგება მის მიერ? რას ხედავს პილნიაკი რევი-
ლუციაში და რა მიმართულებას აძლევს მას? რა არის უმთავრესი, დამახასიათე-

*) А. Воронский. კრებული „Настыие“.



ბელი ოქტომბერის და ვინ არის მისი მეთაური და წინამძღოლი?.. ყველა ამ კითხვებზე პილნიაციის პასუხი ნათელია და გარკვეული, მაგრამ ცუდად გამოიყენეს ნათელი და გარკვეული პასუხი—ღრმად რეაქციონურია, რადგან: მას შიშის ბრწყინვალა ბეჭედი რუსული ნაციონალიზმისა, არქივებს ჩაბარებული სლოვიანო თილოზისა, ცოტად შეფერილი კრაპოტკინის და კამკოვ-სპირიდონოვის ანარქიზმით და ესერიზმით. პილნიაციასთვის ოქტომბრის რევოლუცია, ეს პირველ ყოვლისა, მხოლოდ რუსული მოვლენაა, რუსების („ველიკორუსების“—როგორც ამბობს თავადი—ბერი-სილვესტრი) ნაციონალური საქმეა.

ვეროპის კულტურა ჩიხში მოექცა. ორი საუკუნეა, რაც რუსეთის საბელშჩიკოვ-რეიზმის სურდა მიეღოს (პეტრეს შემდეგ) ეს კულტურა... და რევოლუციამ დაუპირისპირა რუსეთი ვეროპას. და კიდევ, მაშინვე, რევოლუციის პირველ დღეებშივე, —რუსეთი—ყოფა-ცხოვრებით, ქალაქებით, ხე-ჩვეულებით, კვლავ დაუბრუნდა მე-17 საუკუნეს... რუსეთის ინტელიგენცია არ გახედა ოქტომბრის და არც შეეძლო გაყოფილა... ინტელიგენცია პეტრეს წამდელი წელია. ამბობენ რომ რუსეთის ინტელიგენციის შამათ-შთავარი არის რადიკალიზმი; ტყუილია!— პეტრეა ჩვენი ინტელიგენციის შამათ-შთავარი... რევოლუციას, ხალხურ ფანებს არ სჭიროდა უკრა მოხდა, ხალხური ამბოხი;—ძალა-უფლება დაიპყროს და ჰქმნიან თავის სიხარულს—ნამდვილი რუსები, მამდვილი რუსული... ვინ გაიმარჯვებს ამ კიდეში—მეტანიური ვეროპა თუ სექტანტური მართლმადიდებელი, ღვთიან-მოსილი რუსეთი?

ასე ამბობს ეს პატარა ტანის მღვდელი, არქივისკოპოსი სილვესტრი, ყოფილი თავადი, ყოფილი კავალერგარდი. ასე ამბობს იგი და ნათელია: მისივე სიტყვებით „ლალადებენ ბაგენი“ პილნიაციისა, და კიდევ:

...გაიქვენ დონზე, იაკზე, —იქედან კი ჯანებით, შოთით კვლავ წამოვიდნენ მოსკოვზე. და ეხლა მიადრეის მოსკოვს, თავისი ძალა-უფლება დაიბრუნეს, საკეთილად საბელშჩიკოს შენება დაიწყეს და ააშენებენ კიდევ. ისე ააშენებენ, რომ ურთიერთს ხელი არ შეუწალონ, საქმე არ გააფუჭონ, როგორც სოკოები ტყეში („შეშველი წელი“).

მაშ ასე: ოქტომბრის რევოლუცია—ეს თურმე „ვეროპის კულტურის“ ჩამოცილება ყოფილა რუსეთისაგან, უკან დაბრუნება მე-17 საუკუნეში, სტენკა-რაზინის და ემელიან პუგაჩოვის სოკოების გამარჯვება—ვეროპის კულტურით „გაგლენთილ“ ქალაქებზე... „ძველმა“ მოსკოვმა გაიმარჯვა ახალ პეტერბურგზე. იმპერატორი პეტრე დაამარცხა მემკვიდრე ალექსიმ. ოქტომბერში იჯანყებული პეტერბურგის და მოსკოვის პროლეტარები—ეს თურმე პეტრე დიდის წინააღმდეგ აჯანყებულ „სტრელცების“ გაცოცხლება ყოფილა: იმ გარჩევით, რომ „სტრელცები“ მაშინ პეტრემ დაამარცხა და თავები დაჰკვეთა მათ, ეხლა კი: „სტრელცები“ გაიმარჯვეს და პეტრეს მოხრეთ ტყეიებით უმასპინძლდებიან.

ძნელია წარმოიდგინო ოქტომბრის რევოლუციის ამზე მეტი დაპახინაგება. ეს ნიშნავს სულ ყირაბალა დააყენო რევოლუციაში ყველაფერი: შავი თეთრად დაგვიხატო და თეთრი შავათ. რევოლუციის შთავარი სული, გული—შეკმულია: პროგრესის ნაცვლად რეაქცია—და მერე როგორი?—საუკუნეებით უკან! გვებატება შიგ. რა გარჩევია აქ რევოლუციის სიბჭულით კუპაზე შეშლილ დიმიტრი მერეტკოვსკის და რევოლუციის სიყვარულით (ენაზე გვადგას:

აგრეთვე კუთხე შეშლილ!) გატაცებულ ბორის პილნიაკის შორის! მხოლოდ ერთი რამ: მერეკოვსკი ტუნებზე დორბლებით შესცქერის იქნებ მისი მილინიკი კი ღიმილით: ოქტომბერში კი ორიენი თითქმის ერთნაირად მხატვრობაზე: სადაც რუსეთის ძველი ისტორიის ძველ ამბებს, სიბნელეს, უკულტურობას, ნაციონალურ კარნაქტილობას, სექტანტობას და არაყის კვლავ გაცოცხლებას, ლიტერატურული თვალსაზრისით პილნიაკი უფრო ლოლიკურია; თუმცა სრულებითაც არა ორიგინალური. პილნიაკმა რევოლუციაში განხორციელებულად დაინახა ის, რასაც რეაქციის წლებში გულმოდგინეთ ქადაგებდა მერეკოვსკი, განა რევოლუციის მთელი ეს რეაქციონური „კონცეპტია“ ლოლიკურად არ გამომდინარეობს მერეკოვსკის ნაწერებიდან? განა მერეკოვსკი თავის დროზე აგრეთვე გააფთრებით არ ებრძოდა პეტრეს (ევროპას, კულტურას, „ანტიქრისტიეს“) და არ იდგა ალექსის მხარეზე? განა მერეკოვსკი არ იყო, რომ ყოველ გზაჯვარედინზე ქადაგებდა და წინასწარმეტყველებდა—რომ, რუსეთის „ნაციონალური სულის განთავისუფლება, ქრისტეს მკვდრეთით აღდგენა, მოითხოვს—პეტრეს ეპოქის („В Европу прорубить окно“) თავიდან მოცილებას? რომ პეტრე ანტარუსული მოვლენა იყო, ანტიქრისტიანული?.. პილნიაკის რევოლუციის ფილოსოფია ნასესხია მერეკოვსკის ტრილოგიიდან. ესლა ვის სცალია მის წასაკითხად—თორემ ამ ტრილოგიის მესამე ნაწილის „პეტრე და ალექსის“ (ქრისტე და ანტიქრისტე) წაკითხვაც უშეკვოდ გახდიდა ყველაფერ ამას.

ჩვენ ამით სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ მერეკოვსკი და პილნიაკი რევოლუციისათვის ერთი და იგივეა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ პილნიაკიც იქ იქნებოდა, სადაც დღეს „განისვენებს მერეკოვსკი: ემიგრაციის აშორებულ კუთხეში. მერეკოვსკი (და კამპანია) აჯანყებულია „თოფითა და ჯინჯილითა“ იმ რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც არის, არსებობს, იბრძვის, აშენებს; მერეკოვსკი შეგნებული გამოაკვეული მტერია ჩვენი. პილნიაკი რევოლუციასთან ერთად არის—თუმცა რევოლუციაში ხედავს იმას, რაც ფაქტიურად არ არის—ამ რევოლუციაში, პილნიაკი თავის კალამს ამსახურებს ოქტომბრის რევოლუციას—თუმცა ოქტომბრის გზები მისთვის სულ სხვა მხრით იმართებიან, ვიდრე ეს ნამდვილად არის. პილნიაკი ჩვენიან ერთად ებრძვის მერეკოვსკის,—თუმცა რევოლუციაში ის სწორედ იმას ხედავს, რასაც „პეტრე და ალექსის“—ს ავტორი. სად არის ლოლიკა? ვინ იცის... შეიძლება იტყვას, სადაც მგონი იმ მოკადრაკის, რომელიც უმეფოდ თამაშობს... პილნიაკიც ხომ „უმეფოდ“ ხატავს რევოლუციას!!

პილნიაკი მხატვარია—რევოლუციასთან მყოფი—და მას აქვს მხატვრული უფლება თავისი სარკით გვანჩენის რევოლუციის სურათები, ამ უფლებას მას ვერავინ წაართმევს—(სანამ ის რევოლუციასთან არის). მაგრამ ვერც ჩვენ წავართმევს ვერავინ უფლებას—დაუზოგავად ებრძოდლოთ რევოლუციის დამახინჯებას, რომელსაც ჩვენ პილნიაკის ძალზედ ელამი სარკე გვიჩვენებს. ამ უფლებას—ჩვენ მკითხველებს—ვერავინ წავგართმევს, რადგან ეს უფლება რევოლუციის მიერ გვაქვს მოცემული და ვალდებულიც ვართ გამოვიყენოთ იგი.

როდესაც ჩვენ გვეუბნებიან—„რევოლუციამ დაუპირისპირა რუსეთი ევრო-

პას,“—(იქ ნაგულისხმევია რუსეთი არა როგორც პროლეტარიატის ქვეყანა, და ევროპა არა როგორც ბურჟუაზიული ქვეყანა, არამედ რუსეთი როგორც რუსეთი და ევროპა როგორც ევროპა) ჩვენ ვუპასუხებთ—ტყუილია ეს. რევოლუციის დამახინჯება ეს.

როდესაც გვეუბნებიან: „რევოლუციის პირველ დღეებშივე რუსეთი დაუბრუნდა მე-17 საუკუნეს“—ჩვენ ვუპასუხებთ: ტყუილია ეს. რევოლუციის დამახინჯება ეს.

როდესაც გვეუბნებიან: „მოხდა ხალხური ჯანყი, ძალა-უფლება დაიპყრეს და ჰქმნიან თავის სიმართლეს—კეშმარიტი რუსები, კეშმარიტი რუსული“—ჩვენ ვუპასუხებთ: საძაგელი ტყუილია ეს. ნუ ამახინჯებთ რევოლუციას, ნუ სწამებთ ცილს მას.

IV

Рожденные в года глухие
Пути не познал своего,
Мы дети странных лет России
Забить не в силах ничего.

ბლოკის ეს სიტყვები პილნიაკსაც შეუძლია გაიმეოროს, რადგან ისიც შეიღია რუსეთის „ამ საშინელ წლებს“, მასაც არ ძალუძს დაივიწყოს რაიმე ამ წლებიდან.

სამივე ამ წიგნის გმირი ერთი და იგივეა; ეს მე ვარ, ჩემი ცხოვრება, ჩემი აზრები და საქმენი.—

ამბობს ის თავის წიგნების წინასიტყვაობაში. და ეს მართლაც ასეა. „რუსეთის საშინელი წლები“—სამოქალაქო ომების და ბრძოლების წლები—მისთვის დაუღიწყარია, მათში ნახულაბს ის თავის შემოკმედების უმთავრეს წყაროს; და გასაგებია—თავისი თვალთახედვით აშუქებს მათ; პილნიაკის რეალიზმი—უკიდურესად სუბიექტიურია: იმიტომ, რომ მთავარი გმირი თავის ნაწერებისათვის თვითონ ის არის. იმიტომაც არის, რომ ასე დაუფარავად გამოიყურება პილნიაკის „ფილოსოფია“ ყველა მის ნაწერებიდან; იმიტომაც არის, რომ თითქმის ყველა მთავარი მომქმედნი პირნი (თუ კი არიან საერთოდ ასეთები) პილნიაკის ნაწარმოებთა ლაპარაკობენ და ფიქრობენ სწორედ ისე, როგორც მსჯელობს და ფიქრობს თვით ავტორი... იმიტომაც პილნიაკი პასუხისმგებელი ხდება თავის გმირების ანა მართო მხატვრულ შექმნაში, არამედ მათი „პუბლიცისტურ“ მსჯელობაშიაც.

ჩვენ ვსაუბრობდით რევოლუციებზე. სმოლენკი—კომუნისტი, ტოპტიგინ—ეშაკმა იცის ვინ არის, მგონი გთავილი ზოლშევიცი და მე—სინამდვილეში ანარქისტი, რომელიც თავის-თავს ნაბევრად სეროიზულად, ნაბევრად ზემოობით ასე ვაბასიათებ: „ბოლშევიცი, მაგრამ არა კომუნისტი“. ჩვენ სამივეს გვიჯვარდა რევოლუცია, ისე როგორც უნდა გვიჯვარდეს ყოველივე სტიქიური, თავაქრილი, უძლევი, როდესაც საკითხი ასე სდგას: სიცოცხლე თუ სიკვდილი. მე ვამტკიცებდი ჩემთვის ყველაზე უფრო ნათელ და გასაგებ აზრს: რომ ჩვენმა რუსეთის რევოლუციამ დაიწყო, იარა და უკვე გაიარა თავისი საძალი გზა სწორედ რომ ჩვენი ივანუშკა სულელის რუსული ზღაპრით („სამი ძმა“).

მაშ ასე. რუსეთის რევოლიუციის გზა—ეს ივანუშკა სულელის ზღაპრული გზა ყოფილა. რა საჭირო იყო აქ ლენინის გენიალური შორისმხედრობა, კომუნისტური პარტიის სწორი მესაკეობა, პროლეტარიატის კლასიური შეგნება, წითელ არმიის გამორული ბრძოლები,—რა მნიშვნელობა აქვს მათ? ივანუშკა სულელის სავალი გზა სრულიადაც არ საჭიროებდა ამას. ამიტომაც არის: პილნიაკის ნაწერებში არ სჩანს არსად მებრძოლი მუშათა კლასი, როგორც რევოლიუციის ჰეგემონი და მეთაური, პილნიაკი ყურადღებასაც არ აქცევს მას; ამიტომ დაკარგულა სამოქალაქო ომების წლებში (ამით ეხებოდა ხომ პილნიაკის უმთავრესი ნაწერები) წითელი არმია; ეს „საოცარი ამბავი“ პილნიაკისათვის უბრალო კემპარიტებაა; სტიქიურ ქარბუქმა—რევოლიუციამ—გაიბრძინა სტიქიურად—ივანუშკა სულელის სავალი გზა. რისი მაქნისია წითელ ვარსკვლავიანი არმიელები?! არსად სჩანს კომუნისტების მეთაურობა რევოლიუციისა, მეთაურობა, რომლის გენიალურ ხაზს ლენინი იძლეოდა; ძველი მსოფლიოს შემზარავი საშინელება—ლენინის პარტია—არსად არის პილნიაკის ნაწერებში: გამოკლებით შეიძლება რამოდენიმე ფურცლების „შიშველ წელში“, (ტყავის ტუყურკიანების შესახებ). ამიტომ მოხდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ნახული მასების გამირობით და თავდავიწყებით აღსავსე წლები—სამოქალაქო ომისა—პილნიაკის კალმით—„შიშველი“ გამოდგა. „შიშველი წელი“, ასეთი სათაური მისცა პილნიაკმა თავის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწერს.

„ბოლშევიკი, მაგრამ არა-კომუნისტი“.—ასე ახასიათებს თავის თავს პილნიაკი. ეს გაბედული თქმაა, იმიტომ, რომ მართალია. მაგრამ, არა ყოველი სიმართლეა მისალმბი. ჩვენ კარვად გვახსოვს, თუ ვინ „ამაყობდა“ რევოლიუციაში ასეთი დევიზით. ეს ხომ „დაუვიწყარ“ ბატკო მახნოს „შემოქმედებაა“. „ძირს კომუნისტები, გაუმარჯოს ბოლშევიკებს“—ამ სიტყვებით შეიარაღებულ დროშის უკან ჩვენ წარმოგვიდგება საშინელი დინგი რევოლიუციის წინააღმდეგ აჯანყებულ კულაკებისა: ებრაელების პოგრომები, კომუნისტების ხოცვა-ჟლეტა, მტაცებლობა, ყაჩაღობა, ყველაფრის ნგრევა და არაფრის კეთება, ბოლოს, რევოლიუციის აშკარა მტრების ბანაკში გადაბარგება—იმიტომ, რომ ასეთი იყო „გულიაი პოლეს“ „სამეფოს“ რეჟიმი, ასეთი იყო ბატკო მახნოს გაგება რევოლიუციის, ასე ეთქვათ მისი „ფილოსოფია“.—რასაკვირველია, ზედმეტი იმის მტკიცება, რომ პილნიაკი პირადად არ ყოფილა მახნოს „სამეფოს“ პრაქტიკულ მშენებელთა შორის, მაგრამ ეს არც საინტერესოა. საინტერესო ის არის, რომ მხატვარ პილნიაკის მიერ მოცემული სახე რევოლიუციის წლებისა ძალზე წააგავს „კულაკების რევოლიუციის“ სახეს. მახნოც ხომ „ანიარქისტობდა“ ერთ დროს!

რა იწლება პილნიაკის მიერ დაბატულ რევოლიუციაში? ჯანყი, შფოთი, უბოლოო არეულობა, ნგრევა, უსისტემობა, უთაობა—„სტიქიური, თავაჭირილი, უძლევი“. ამიტომ უყვარს პილნიაკს რევოლიუციის შედარება ქარბუქთან, თითმის ყველა მისი ნაწერები—პილნიაკი ქარბუქის—იმიტომ, რომ ეს ქარბუქი სიმბოლოა რევოლიუციისა პილნიაკისათვის. ქარბუქი ხომ ასე წააგავს უპატრო-



ნო სტიქიურ ჯანეს. ერთ მის მოთხრობას სწორედ ასეთი სახელწოდება აქვს — „ქარბუქი“.

ბრწყინვალეობა

ქარბუქი, ქარი, ქარიშხალი! ბერი, კორიანტელი, უცუმი, მოწავე. საბუღბში საწოლები, ზოდანდოფრი, რუსული ფეხები, მაყაღა, და დაპტრის პირველი ქარბუქი-პირველი. და როგორ არ მოვითხროთ მოთხრობებელი, — თუ როგორ უცებ გაჩნდება, — ქარბუქში, თოვლში, ქარის ღმუხლში, ნაყარში, — ცეცხლში და ჯირითში... („ქარბუქი“).

მოთხრობიდან — „კარებთან“.

ცნვა და ქარბუქი. ცვეცვადა, ნაგარდობდა, ღმუხდა, კენესოდა, ყვიროდა ქარბუქი. მინდორ-ველებზე, ქალაქში, სიბრინის შთაზე და ცალფერსასტუმროებში... და ფიქრობდა ოღვა: რველილუცია ეს ხომ ქარბუქია და ადამიანები კი თოვლის ფიქვები.

და კიდევ:

გარეთ გამოვიდა (ტანიტარი) და მოეჩვენა, თითქოს კუდიანმა ჩასტიდა მას ცინვის ხელები კისერში: ეს ქარბუქი იყო. („კარებთან“)

მოთხრობიდან „მემკვიდრენი“.

მინდორ-ველებზე, ვოლაზე, და ქალაქში — დანავარდობს ქარბუქი, დაჯირითობენ თოვლის რაშები, — იჭმება რველილუცია ისეთივე, როგორც იყო სტენკა რაზინის დროს, ყაზაღური — თავზე ხელაღებულია წებოვარი ლაშქარი.

მოთხრობიდან „დედა-დედინაცვალი“.

- როგორი ამინდია დღეს! — იეთხა,
- ქარბუქია, თქვენი ბრწყინვალეობა — უპასუბეს.
- ახ, ქარბუქი! კარგი, წადით.

იმიტომ, რომ ქარბუქი, ეს რველილუცია და რველილუცია კი — მისი ბრწყინვალეებისათვის ასეა გასაგები: „ახ, ქარბუქი! კარგი, წადით“. ეს ნიშნავს: „ახ, რველილუცია! კარგი, წადით“.

რველილუცია ქარბუქია და ქარბუქში კი ძნელია რაიმეს გარკვეულად გარჩევა. ყველაფერი მღვრიეა, ყველანი. და თითქოს თავი უნდა იმართლოსო, რომ რველილუციის სურათები ასეთი გამოადის მისი კალმით — იგი გვიხსნის:

ჩემი თვალები შორს ვერ ხედევენ, სათვალეს თოვლი ყვერას. სათვალე იყინება, უმისით კი მე ვერაფერს ვარჩევ, ან და ვხედავ მხოლოდ რაღაც მწვანე სიმღვრიეს, ღია თვალებზე უმოწყალოდ მცემს თოვლი: და უცებ, საიდან არ იყოს, გაჩნდება თოვლის ფანტები, ეფრო დიდრონი და ბნელე ვიდრე სინამდვილეში, კიდევ უფრო ისრდებაან, დიდდებაან; მინდა დაგუბო თვალები, ხელები წინ გავიშვირო: სახლები, ეკლესიები, ქარა, თოვლი, — ყველაფერი აფერ, სადაც არის, თავზე დამეცემა. მაღლა, მაღლა, შავი (თუ ღილისფერი) ანაფორა — დიაგანის — გაწლილი ღრუბლებზე, ქარბუქში.

ჰო და, ასეთ პირობებში ცხადია, ძნელია რველილუციის მართალი სახის დანახვა, არამც თუ სხვებისათვის მისი ჩვენება. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, თვალებზე უფრო მეტად ტვინია დამნაშავე, იმიტომ, რომ ის მართო ქარბუქს ქმნის იქ, სადაც ეს ქარბუქი შეიძლება სულაც არ იყოს. თვალები რა! თვალები მხოლოდ ასრულებენ ბრძანებას.

რველილუცია კი — პოლიტანბანის გარდა, ამას გამოკდილება გვამცნევს — არა მართო ქარბუქია, ე. ი. არა მართო ჯანყი, შფოთი, ნგრევა. რველილუცია ამავე დროს და უპთავრესად: წესრიგია, დისციპლინა, მასში არის

მეთაურობა, რადგან მას ჰყავს მეთაური კლასი, ის არ ანგრევს, მხოლოდ ის აშენებს და სწორედ იმიტომ ანგრევს, რომ ახალი ააშენოს, ეს მხოლოდ ქველს ანგრევს. დისკიპლინა და წესრიგი ყველაზე უფრო სწორედ მას სჭირდება. იმიტომ, რომ იგი ყველაზე უფრო რთული და გრანდიოზული ხელოვნებაა: მისი შემოქმედება ხალხების მიერ ხდება და ხალხების ზურგზე. პილნიაკი ნაკლებად ხედავს, ან და სრულიადაც ვერა (თუ არა) იმას, თუ რას აშენებს რევოლუცია თვით ნგრევის პროცესშია. მართო ის რად ღირს, რომ მან რევოლუციის ყველაზედ უფრო საამაყო ნაყოფი ვერ დაინახა: ვერ დაინახა წითელი არმია, და ეს, მერე როდის? სამოქალაქო ომის წლებში!!!

V

პილნიაკისათვის ოქტომბრის რევოლუცია უკვე დამთავრებულია. „რუსეთის დიადმა რევოლუციამ უკვე გაიარა თავისი საველი გზა“ — აბომნს ის. ეს გასაგებია, იმიტომ, რომ პილნიაკისათვის ოქტომბრის რევოლუცია მხოლოდ რუსების საქმე იყო. რუსეთის მასშტაბით შემოიფარგლა ის. და როგორც ასეთმა, მან უკვე გააკეთა თავისი საქმე: სოფელი თავისუფალია, სოფელი კი უმთავრესია, რადგან „რუსული სული“ — სწორედ სოფელს ეყრდნობა. სოფელი კი პილნიაკისათვის ერთი არის. ყოველ შემთხვევაში — მის დაყოფას — მდიდრებად და ღარიბებად — ეტორი არსად გვიჩვენებს. საუფქვლიანათ შეგვიძლია, იქვი შევიტანოთ: სოფლის მდიდარ ნაწილის თავისუფლებით ხომ არ კმაყოფილდება პილნიაკი? მახნოს „არმიას“ ხომ სწორედ ეს ნაწილი აესებდა და „ანარქისტობაც“ ხომ მისი პრაქტიკა იყო! „ძირს კომუნისტები, გაუმარჯოს ბოლშევიკებს“! ყოველ შემთხვევაში — ესეც რომ ასე არ იყოს — პილნიაკს მაშინაც ვერ დავეთანხმებით: რევოლუცია არ დამთავრებულა ვერ. მისი გზა ვერ კიდევ სად არის დამთავრებამდე? განა სხვა ქვეყნების რევოლუციების გზა, ეს მისი გზა არ არის? განა მისი ბედი არ არის გადაჯაჭვული სხვა ქვეყნების რევოლუციების ბედთან? მაგრამ, განა ჩვენ დავგაფიწყდა, რომ პილნიაკს გროშ-კაპიკადაც არ მიაჩნია ეს მსოფლიო ინტერნაციონალური ხასიათი ოქტომბრის რევოლუციისა? განა ეს რევოლუცია რუსების საქმე არ არის?... რა შუაშია აქ სხვა ქვეყნები, III ინტერნაციონალი და სხვა?!

მე ვამტკიცებ, რომ რუსეთში ზღვა ზალხის ქვედა ფენების ღრმა ნაციონალური, ჯანსაღი, ავტოლელბიე საპირო მოძრაობა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ევროპულ სინდიკალიზთან, რუსეთში ანარქული ჯანყია საბელშევიზმ-ებრიობის, ყოველგვარ ძალა-უფლების წინააღმდეგ მიმართული. მე ვამტკიცებ, რომ რუსეთში უნდა მოაშროს თავიდან და იშორებს კიდევ, პეტრეს დროის ციებ-ცხელება, პეტრებურგოვშია, შატმატიკური კატოლიციზმი, იფების და თეორიების ციებ-ცხელება. მე ვამტკიცებ, რომ რუსეთში გაიმარჯვებს რუსული, — ალექსევის რაჯოლინი, ინჟინერი ანდრეი ლიუპოვოვიკი. („სანქტ-პეტერ-ბერბ“).

მოსაწყენია, მაგრამ კიდევ ერთი დიდი ამონაწერი: აი რა არის რუსეთი მოკლეთ:

დინგრა ოჯახი, მორალი, სარწმუნოება, შრომა, კლასიური შეგნება მცხოვრებთა ყველა ჯგუფების, რადგან ბრძოლა არსებობისათვის, სიმშლით სიკვდილი (სიმშლიბა კი მივიღო რუსეთი გამთავლებლიე) — მორალის გარეშე და

ყველას აიძულებდა ამორალურად ემოქმედნა. შრომის ნაყოფიერება ისე დაეცა, რომ რომელიმე ერთეულ საგნის გაკეთება იწვევდა ხარჯებს *რეზერვუარული* კაპიტლის თვით ღირდა:—და ამაზე გამოიწეოა მეტრთა მეთობა, კეტილნი მისი მისი ღებ. ნაციის დემორალბაცია და განკლასიება საზოგადოებრივ უკუღებისა და კატასტროფული დღარობება ქვეყნისა, რომელიც კაცის ჰამიობამდე დაეცა... თითქოს დაიღუბა ნაცია, სახელმწიფო. მაგრამ კიდევ ერთი ფაქტი: ტყუილი რუსეთში. მე ვღებულობ ზაზეთებს და წიგნებს და პირველი, რაიც მათვეს მათში ეს—თამაზია განდგებულ, რუსეთში არ არსებულ, ცნებებით; მე მქონდა ლაპარაკი საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, ბურჟუაზთან, მუშებთან,—ისინი ყველგან ამას და სტყუიან: სიყალბე ყველაფერში: შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოჯახურ დამოკიდებულებაში: სტყუიან ყველა: კომუნისტები, ბურჟუაზები, მუშები და, წარწინადგინეთ, რევოლუციის მტრებიც, მთელი ნაცია, მთელი რუსეთი. რა არის ეს?—მასობრივი ფსიხოზი, ავადმყოფობა, საერთო დაბრმავება? მე კი ეს დადებით მოვლენათ მიმართ... თურმე არსებობს ასეთი ნების-ყოფა, როდესაც არ გინდა დაინახო ის, რაც არის, და გინდა დაინახო ის, რაც არ არის რუსეთი სემბორობს ნდამის, სურვილის ნებისყოფით და ნებაყოფით, რომელიც არ ხედავს იმას, რაც არის ეს სიყალბე, ტყუილი მე მიმართა მეტად ღრმა დადებით მოვლენათ, ერთ-ერთად მიუღ მსოფლიოში. მიუხედავად ვოველივესი, წინააღმდეგ ყველაფერისა, ბატონმეფო წყაყობილებაში კაცის ჰამიობაში, წარმოდგენულ გადასაადებით, ისეივე შრომით, რომელიც ყველას სიკვდილიანად ეზრება,—თვალზე აბეჭდილი ვოველივე ამაზე—სექტანტური, ღვაწლით მოსილი, ახიური რუსეთი—სამშობლო, ჭარულობაში, კაცის-ჰამიობაში, ნგრევაში და შფოთში—ფაჩის მთელ ქვეყნიერებას, კრემლით, ტყვეებით მინდორ-ველებით და მდინარეებით, ოლქებით, გუბერნიებით, მაზრებით და თემებით.

რაზე ვფანტის მსოფლიოს რუსეთში? რა სურს რუსეთში? კედლებების იქეთ კრემლში იყენენ ადამიანები, რომლებმაც იწამეს მე-მ ინტერნაციონალი,—ჰემართან კი იდგა ორი დარაჯი,—ტანოსაშოსით, როგორც ძველი სკოლები,—ის ზალბი, რომელიც თავის დიდ უზრავლესობაში წერა-კითხვის არა მცოდნეა... დღეს ცირკში იოგმა ვეაჩენა, თუ როგორ კეთდება ინდუსების ფოტოები, როგორ კეთდება,—ის ერთადერთი რუსეთში არ სტყუოდა, ეს ყველაფერს ნიშნავს. ვინ იცის? ორი ათასი წლის წინაც ცამეტმა უენაურმა მეოცნებე იერუსალიმიდან გადადგრეს ზომ მთელი ჰემეანა („მედა-დედინაცვლი“).

განა არ მოგვაგონებს ვოველივე ეს იმ „მარგალიტებს“, რომლებიც ისე უზვათ გააპნია ჰერბერტ უელსმა თავის წიგნში: „Россия во мгле“. ეს სახელგანთქმული ადამიანი—მწერლობაში და ძალიან სახელ გატეხილ პოლიტიკაში,—მენწვეიკი—სტუმრად იყო 1920 წ. რუსეთში. ვითომც „დაათვალიერა“ საბჭოთა რუსეთი და დასწერა უწო წიგნაკი „Россия во мгле“, სადაც სხვათა შორის, არის ასეთი თავი—„კრემლის მეოცნებე“. იცით, ვინ არის ეს „მეოცნებე“? ლენინი—უელსის წარმოდგენით. ლენინი—მეოცნებე!.. და აი ეს წიგნაკი სავსეა პოლიტიკის ნაწერითა ზევით მოყვანილ „ფილოსოფოსობის“ მსგავს მსჯელობებით. დავანებოთ თავი ისეთ მარგალიტებს, როგორც არის: რუსეთში ყველა და ვოველივე სტყუის, არ არის კლასიური შეგნება. აქ შეიძლება ხელები გაშალო მხოლოდ და სიქვა გაკვირვებით:

И где они портреты пишут,
Где разговоры эти слышат?!

მესამე ინტერნაციონალი თურმე კრემლის მეოცნებეთა ავადმყოფური ოცნებების ნაყოფი ყოფილა. სხედან ეს მეოცნებენი კრემლში, კედლების იქეთ და

ლოცულობენ III ინტერნაციონალზე, ხალხი კი—განა ამას არ მოწმობს ის
 ორი დარაჯი, რომლებიც სვეითების ტანისამოსში სდარაჯობენ ქრისტიანთა?
 ჩაკლულან საუკუნოების სიბნელეში—წერა-კითხვაც არ იციან. მაგრამ ვინ
 იცის—გვაიმედებს მისტერ სმიტი—ერთხელ ხომ მოხდა: ცამეტმა მეთევზემ ქვე-
 ყანა გადაკერეს... ალბად ამით უნდა ვიმედოვნებდეთ... მაშ ასე: ტყუილია III
 ინტერნაციონალი, ტყუილია მსოფლიო რევოლუცია, ტყუილია ევროპა, ამე-
 რიკა, ტყუილია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ საქმე მხოლოდ
 ჩვენშია. ჩვენ დავიწყეთ, ჩვენ განვაგრძობთ და ჩვენვე დავამთავრებთ. დავამ-
 თავრებთ კიდევ. „რუსეთ-ევროპის დიად ველებზე მშვენიერმა გაიარა რევო-
 ლიუციამ. აღსრულდა რუს სექტანტთა თქმულებანი“. ჩვენთვის ოქტომბრის
 რევოლუცია, ეს იყო კარლ მარქსის იდეების და მოძღვრების, ასე ვთქვათ,
 ხორცშესხმა, პილიაკისათვის კი—ეს ყოფილა რუს სექტანტთა თქმულებათა
 განხორციელება. ჩვენ გვეგონა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სასიკვდი-
 ლო ლახვარი ჩასცა ყოველგვარ ღმერთებს და მათ წინასწარმეტყველებს,
 მათ შორის, სექტანტების ღმერთებსაც,—თურმე კი, ნუ იტყვიან, სწო-
 რედ სექტანტების ღმერთებს ვაუმარჯვიათ. ალბათ ამიტომ აუჯანყდა ცკლე-
 სია და მისი ყოველგვარი მსახურნი „ბოლშევიკების ტირანიას!“ ალბათ ამი-
 ტომ მონათლეს ლენინი ანტიქრისტე! და კიდევ: „წარმომიდგა ლეონისშო-
 ბელი—ძველი და ახალი რუსეთის სახით. ნამდვილი რუსეთის... და ლეთის-
 შობელი იყო გასაღები მთელი რუსეთის, იყო გასაღები ყველა ჩენი—რუსე-
 თის—რევოლუციების და ჯანყების“. ესეც „ახალი“ და „რევოლუციონური“
 აღმოჩენა! ჩვენ დღემდის ვფიქრობდით, რომ ლეთისშობელი იყო სიმბოლო
 ძველი რუსეთის, მეფის რუსეთის, პოპედონოსცების და არაქრეცის რუსეთის—
 მაგრამ თუ კი იგვედ ლეთისშობელი წარმოგვიდგენდა ახალ რუსეთის სახეს, თუ
 კი იგი იყო გასაღები ყველა ჩენი რევოლუციებისა, მაშასადამე ოქტომბრი-
 საც—ეს, უნდა გამოეტყუდეთ, ჩვენს გაუნათლებლობაში—სწორედ არ ვიცოდით...
 მაშ ტყუილი ყოფილა მთელი ჩენი ბრძოლა ეკლესიების, ხატების და მათ
 მსახურთა წინააღმდეგ! თუმცა:—მისტერ სმიტი ხომ ამბობს, რომ საბჭოთა
 ქვეყნებში ყველაფერი და ყოველივე სტყვისო. სათქმელი რა გვაქვს—ასეთ არ-
 გუმენტის წინააღმდეგ უნდა ჩავჩუმიდეთ.

იყო და არა იყო რა, იყო ქაოსი, უყუნი და მღვრიე. იყო რუსეთი თვალ-
 უწყინელი—მინდორ-ველებით, ტყეებით, მდინარეებით, სოფლებით, და იყო
 მარად ქარბუქი, თოვლი, წვიმა, გრივოლი. ეშმაკნი, კუდიანები, ალქაჯნი და
 მრავალნი სხვა მცხოვრებნი ჯოჯოხეთისა ჯირითობდენ ქარბუქში და ჰკიოდენ,
 წიოდენ, ღმუოდენ: შოიააა, შოიააა, გვიუუუ, გლაებუუუ...

Сколько их? куда их гонят?

Что так жалобно поют,

Домового—ли хоронят,

Ведьму—ль замуж выдают.

და იყვნენ მეოცნებენი—ცოტანი, მხოლოდ ერთეულები, ცხოვრობდენ ჩა-
 კეტილნი საღდაც მიუვალ ციხეში. გარს კედლები აღემართათ და სდარაჯო-

ჯობდენ სკვითები. ეძახდენ დანარჩენ ქვეყნებს, მთელ მსოფლიოს.. სწამდათ III ინტერნაციონალი, მარქსი და ლენინი. საბრალონი! მხოლოდ იმ შემთხვევაში რომ: ხომ გადავირეს ორი ათასი წლის წინეთ მთელი მსოფლიო სამეცნიერო მეთოდები!! და იყო მწერალი პილნიაკი.. და....

სწორედ მან დაბატა ასეთი სურათი ჩვენი რევოლუციისა. სურათი, რომლის შესახებაც ავტორი თავმოწონეთ ამოხს:

„Здесь Русью пахнет“. Похнет то пожалуй и пахнет. მაგრამ.. Чем пахнет и как пахнет? აი რაშია საქმე.. ყოველ შემთხვევაში—არა რევოლუციით და მით უმეტეს—არა ოკტომბრის რევოლუციით.

VI

პილნიაკის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწერები (გარდა ყოველ-მხრივ შენიერ „Speranza-სი,“ „Россия в полете“ და ორიოდ სხვა მოთხრობისა) საშინლად ქაოტიურია. რომანი რომანს არა ჰგავს, მოთხრობა მოთხრობას.—თითქოს მისი ნაწერი ეს ის ქარბუქია, რომელიც მას ასე თავდავიწყებით უყვარს.

ერთ მოთხრობაში რამდენიმე მოთხრობაა მოთავსებული, სამაგიეროთ არც ერთი არ არის დამთავრებული. ხშირად პუბლიცისტიკაც იჭრება „თავხედურათ“. პუბლიცისტიკის წინააღმდეგ აბა რა გვაქვს, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. გაზეთის მოწინავესაც თავისი მნიშვნელობა აქვს, ხშირად ძალიან დიდიც. მაგრამ არ შეიძლება ასეთი მოწინავეებით დატვირთო მხატვრული ნაწარმოები—მაშინ ეს უკანასკნელი უკვე არ იქნება ის რაც უნდა იყოს, რისთვისაც ის დაწერილა—მხატვრული ნაწერი. ასეთი „უოდვეები“ კი ხშირია პილნიაკის ნაწარმოებებში.

აი, პილნიაკის ტიპური მოთხრობა „დედა-დედინაცვალი“ („მესამე სატატრო“). რა უნაკლო იქნებოდა იგი მხატვრულ შესრულების მხრივ, რომ საეც არ იყოს, თუ გინდ ასეთი „მოწინავეებით“:

იმ წელს,—იმ წლებში,—არავინ იცოდა, თუ რა მოველინა ვეროპას: სიკვდილი, დაღუპვა, თუ ახალის დაბადება. მაგრამ მისტერ კონსტანსა, როგორც ყველა მათ, ვისაც კი უსწავლია ციურების კითხვა, იცოდა:—პირველად ამ ორი ათასი წლის განმავლობაში, ჰეგელიანთა მსოფლიოზე უკვე გამოცვალა ვეროპას. უკვე გავიდა წლები კაცობრიობის ბოცვა-კლდის, შემდეგ, მაგრამ ხატებში, როგორც მხეცები ქროლობებს ილოკადენ და ამავე დროს ემზადებოდენ ახალ და ახალ ომებისათვის. მთელი ვეროპა, გამარჯვებული და დამარცხებულიც, ქვეყნები, რომლებსაც შარცვადენ და ქვეყნები, რომლებიც შარცვადენ,—ომიდან დამარცხებული გამოვიდენ. ყველა ქვეყნებში, ყველა ხალხების გაპარტახდა უნიფერსიტეტები, მუსრი ველება ინტელიგენციას—ხალხების ტენს—დამიშვრა, დანგრავ, განიადდა—მუხელეები, სურათები და წიგნთსაცაეები,—ხალხებს განაგებენ: ჯარისკაცები,—ბრძენი როგორც ყანარმის დარაჯი და შიბერი ენერგიული, როგორც კინემატოგრაფი.

და ასე სულ მთელი ფურცელი. ყველაფერია აქ გარდა... ხელოვნებისა. ასეთი ამონაწერები შეიძლება ბევრი, ძალიან ბევრი მოგვეყვანა პილნიაკის სხვადასხვა ნაწერებიდან, მაგრამ ეს მეტად მოსაწყენი იქნებოდა.... არა მარტო იმიტ, რომ მხატვრობა ნაკლებია მათში, არამედ იმიტაც, რომ

ხშირად პოლიტანანის უცოდინარეობის არც ისე სასიამოვნო ბეჭედი მის მათ, და ყოველივე ეს მით უფრო გასაოცია და საეაღალო, რომ პილნიაკის მხატვრულ ნიქს ადვილად შეეძლო თავიდან აეცილა ასეთი რამეები. ვანა მოთხრობა „Speranza“, წიგნი „Россия в полете“ არ ამტკიცებენ იმას, თუ როგორ დიდ ნიქთან გვაქვს საქმე პილნიაკის სახით!

პილნიაკი დიდი და უკვე ავტორიტეტის მქონე მწერალია. ამიტომაც არ ეპატიება მას ის, რაიც სხვა დამწყებ მწერლისათვის შეიძლება „ცოდვითაც“ არ ჩამოგვერთავა. პილნიაკს დიდი გავლენა აქვს არა მარტო რუსულ ლიტერატურაში. მას ავტორიტეტად სთელიან სხვა ხალხების მწერლობაშიაც. შორს რომ არ წავიდეთ—ეს ხომ დასაძალი არ არის—და როგორ დამალავ? ჩვენი დემნა შენგელაია მისი პირწავარდნილი მოწაფეა. ამიტომაც უყვარს დემნას ასე პილნიაკი. ამიტომაც მოხდა, რომ ეს მეტად ძნელი სათარგმნი მწერალი, ასეთი სიყვარულით, და ვიტყვი, დიდი მიღწევებით სათარგმნა დემნა შენგელიამ. მხოლოდ შეყვარებულ მოწაფეს შეეძლო შეესრულებინა „წიშველი წლის“ ისეთი მაღალღირსებაანი თარგმანი, როგორც ეს დემნა შენგელიამ მოგვცა. პილნიაკი უკვე „დამსახურებულ“ მწერალთა რიცხვში გადირიცხება მალე, და მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ არის დამოუკიდებელი მწერალი. ბევრი ჰყავს მას მასწავლებელი ტ პირველი მათ შორის არის ანდრეი ბელი, მართლაც — „Пильная пишет черным по... Белому“.

პილნიაკის ჭოტიური სტილი ანდრეი ბელისაგან არის ნასესხი. ბელის შესანიშნავი რომანი „პეტერბურგი“ დასაბამია პილნიაკის ბევრ მნიშვნელოვან ნაწერებისა. მხოლოდ ერთი ამონაწერი:

პ ი ლ ნ ი ა კ ი :

Впрочем не было луны, впрочем была не только муть, но и мгла. Город был. И как не рассказать—нерасказываемое,—о том как в метелях, в снегу, в вое ветра, мянания, скачке и пляске—я блнзо ружей! და სხვა.

„(Метель)“

ა. ბ ე ლ ი.

Не было ни земли, ни Венеры, ни Марса, бежали лишь, кользя, еще разорвалось четвертое и огромное солнце, еще собиралось стоть миром бежали туманности, текли расстояния да სხვა.

„(Петербург)“

და არა მარტო ანდ. ბელი, რემიზოვი, ზამიატინი, ლესკოვი, დოსტოევსკი—მასწავლებლობენ პილნიაკს. ილექსანდრ ბლოკის „სული“ ხომ მუდმივ დასტრიალებს პილნიაკის „მუზას“. „Ветер, ветер на свем божем свете“. ეს ხომ ბლოკმა დასწერა.

პილნიაკის შესახებ—მიუხედავად მის „მცხოვანებისა“ ყოველთვის ვინდა სთქვა: ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალია. ახალგაზრდობა საძრახი, ცხადია, არ არის, შეიძლება, საქებიც იყოს. მაგრამ, არ შეიძლება სულ ახალგაზრდა იყო. პილნიაკმა ერთად რომ შეკრიბოს თავის ნაწერები—ათამდის კარგად მოზრდილი ტომი გამოვა. დროა ამიტომ—„ახალგაზრდობას“ მწერლობაში თავი დააბწიოს—და „სიმწიფის მოწმობა“ მიიღოს.. ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც



ის დაიწყებს წერას პირველ ყოვლისა *черным по белому* და არა „по Белому“, და მეორე: სამწერლო ჭადრაკის დაფაზე დაკარგულ მეფეს თავის ადგილს მოუხაზავს. წინააღმდეგ შემთხვევაში პილნიაკი მართლაც დაბერდება, ტომები ერთი ორად გაიზრდება—მაგრამ ის მაინც დარჩება „ახალგაზრდა“ მწერალი:—ეს უკეთეს შემთხვევაში. შეიძლება კი უარესიც მოხდეს: უმეფოთ თამაში, ეშმაკმა იცის სად გადაგჩქეს. მხოლოდ მე-17 საუკუნით ხომ არ შეიძლება სულ იკვებო და სხვებსაც პატიუობდე.

პილნიაკის უკანასკნელი ნაწერები იძლევიან იმედს. მართალია სუსტია მისი „ჩინეთის მოთბობები“, „იპაონიის მზეც“ არ არის შედეგრი, —ლორდ ბაირონზე დაწერილი ამბავი ხომ კიდევ უფრო—მაგრამ არის აგრეთვე მათში ისეთი რამეები, რომლებიც აუცილებლივ პროგრესათ უნდა ჩაითვალოს: ანდრეი ბელი ნაკლებათ სჩანს მათში. რომბები და კვადრატები, უბოლოო წინადადებები, მანჭია და პრანჭია სატყეების კორინტელი, კუდაინები და ეშმაკები უკვე აღარ არიან მათში, ან და ძალიან ნაკლებათ. სლავიანოფილური ანარქიზმიც აღარ სჩანს. ეს კი უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო, ოპტიმისტურ იმედების მომეგვრელი მისი უკანასკნელი წიგნაკია „Россия в полете“. ჩვენ ვიცით: რუსეთში ბატონობს ქარბუქი, უკუნი, მე-17 და მე-18 საუკუნეები. ასე გვასწავლიდა პილნიაკი, ეხლა კი... საღდაც პერმის ტყეებში—შეგროვილან მცხოვრებთა დედეგატები, და ორკესტრი გაყვირის „ინტერნაციონალს, პიონერები სალამის ნიშნით გაიძახიან: მზათ ვართ“. ვალაპარაკოთ თვით ავტორი:

თვითმჯრინავს ეკიპაჟის სახელით ვარლამოვი მიესალმა შეკრებულთ მოსკოვის მრავალ ათას მუშებისა და საპაერო ფლოტის მილიონ ბეგობართა სახელით. და მაშინ ათეული ორატორი მოგვესალმა ჩვენ: ჩვენი საბით კი სალამს უგზავნიდენ რევოლიუციას. მუშათა სოლიდარობას, მეშების ძმობას მიუღ მსოფლიოში, რევოლიუციას ყველა ქვეყნებში, მსოფლიო რევოლიუციას. და იყო მათ სიტყვებში უზომო სოფარული და ნება მშენიერებისადმი, კულტურისადმი, გამარჯვებებისადმი—ყოველგან, ყოველ ქვეყნებში.

ეს ახალი სიტყვებია, კარგი სიტყვებია. პილნიაკი ასე გარკვეულათ ამ ახალს უწინ ვერ ლაპარაკობდა. თვითონაც გვეთანხმება ამაში:

და ვფიქრობდი, რომ ამ გადაფრენამ ბევრი შეშინა, არა ნაკლები ვიდრე უნივერსიტეტის მენიერებათა დისციპლინამ. მე მიგზვდი, რომ დღემდის ჩვენ კრძოთ მე პილნიაკი—საკმაოდ ვერ ეფასებდით რუსეთს.

დიხ! პილნიაკი საკმაოდ ვერ აფასებდა რადგან ვერ იცნობდა—მუშების, პროლეტარების რუსეთს, ოქტომბერში საძირკველ ჩაყრილ რუსეთს... ასე იყო წარსულში.. როგორ იქნება მომავალში?

პილნიაკისაგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. პოლონსკი: პილნიაკი „სიურპრიზების“ მწერალია. კარგი იქნება თუ ეს „სიურპრიზები“ შეიქნა გაგრძელება წიგნაკისა „Россия в полете“. პილნიაკი დიდი ნიჭის—ეს ხომ ყველას მიერ არის ცნობილი?—პატრონია—და რევოლიუცია მოიგებდა ამით. არა ნაკლებათ მოიგებდა თვით პილნიაკიც.

ქართული მწერლობის ერთი წელი

1927

(დასასრული) *

* * *

ჯანსაღ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა მხოლოდ ძველი მარაგით, იგი არსებობს ცოცხალი შრომით—ამბობდა მარქსი. მარქსის ამ დებულების ლიტერატურულ კრიტიკაში მოხმარებისას შეგვიძლია ვსთქვათ: ჯანსაღ მწერლობას არ შეუძლია ძველი მარაგით არსებობა, მწერლობა განაგრძობს არსებობას მხოლოდ ახალი და ახალი მიღწევებით, „ცოცხალი შრომით“.

ეს გარემოება თითქოს არ ესმით ზოგიერთ „უპარტიო კრიტიკოსებს“. ისევ გრძელდება ამაყობა მხოლოდ კლასიკებით, ქართულ მწერლობაზე ლაპარაკის დროს ისევ მხოლოდ რუსთაველზე ლაპარაკობენ და ა. შ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ლიტერატურის ისტორია მაინც დაუმუშავებელი რჩება და თანამედროვე მწერლობასაც ამით არაფერი ემატება.

როგორც ვხედავთ, ამაყობას „ძველი მარაგით“ არა მარტო ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის სურვილი უძევს საფუძვლად, არამედ ერთგვარი ნაციონალისტური-ისტორიული რომანტიზმი.

ნაციონალიზმზე აღზრდილი ძველი ხელოვნება, ხედავს რა თავის იდეურ განიარაღების აუცილებლობას, უკანასკნელ ლონისძიებებს მიმართავს, რათა თავისი პოზიციები მხატვრული სტილის სფეროში მაინც შეინარჩუნოს.

ზემოდ დაბასიათებულმა ტენდენციებმა ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე არქიტექტურის სფეროში მიიღო.

არქიტექტურაში ყოველივე ზედმეტი და ხელოვნურად მიმატებული ყვირის თავისი ზედმეტობის შესახებ. მართლაც: თანამედროვე სახლს სრულებითაც არ სჭირდება სათოფურები, რომელიც სჭიროდა ფეოდალურ კოშკს. ფეოდალურ კოშკზე სათოფურები მარტო სილამაზისათვის კი არ იყო გაკეთებული, მათ პირველ რიგში რეალური, გამოყენებითი (თავდაცვა) და მეორე რიგში ესთეტიური მნიშვნელობა ჰქონდა. და როდესაც დღეს იმავე კოშკების ან საეკლესიო შენობის სტალი ზოგიერთ ქართველ არქიტექტორს ხელოვნურად სურს თანამედროვე შენობის სტილს „შეუფოს“—ეს უკვე რესტავ-

*) იხ. ჟურნ. „მნათობი“ № 1.

რატორული ტენდენციებია, სტილის ამ შერევის არაერთი პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ამხ. მიხ. კახიანი სრულიად სამართლიანად ილაშქრებდა ასეთი ნაციონალისტურ ტენდენციების წინააღმდეგ ხელოვნებაში. ის ხაზს უსვამდა, რომ სტალინის პროლეტარული კულტურის ფორმულა ნაციონალური ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის შესახებ, სრულებითაც არ ნიშნავს უკან დაბრუნებას. ამ შემთხვევაში სტალინის ფორმულა ნიშნავს: პროლეტარულ კულტურის ინტერნაციონალურ-კომუნისტურ შინაარსისთვის პროლეტარული სტილის შექმნა, ლოკალურ-ნაციონალურ პირობებთან შეფარდებით.

ქართულ მწერლობაში კი არსებობს მთელი ფენა მწერლებისა და კრიტიკოსების, რომლებიც ლოკალურ საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან იგი (ხელისუფლება), მათის აზრით, ნაციონალისტურ-ეროვნული სტილის მომხრეა, ეს მწერლები (ე. კოტეტიშვილი, მ. ჯავახიშვილი და სხვ.), დიდ სიბარულს გამოთქვამენ თუ სადმე ახალი შენობა ძველი აბანოს ან ფეოდალური კოშკის მსგავსად აშენდა (სახკინმრეწვის ფაბრიკა, ზაქისის შენობა და სხვ.). ასეთი შეხედულებები ყველაზე უფრო ნათლად, ჯერ-ჯერობით „ქართული მწერლობა“-ს ფურცლებზე გ. ქ.-მ ჩამოაყალიბა, ის სწერს:

თავის თავად ცხადია, რომ ახალი სტილი არ შეიძლება გამოთხდელი იყოს ეროვნული არქიტექტურის ტრადიციებს, ის მის ლოკალურ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს. ეს კარგად ესმის საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ჭალაჭბის ძველ უბნების გაფართოებასა და ახალი შენობების აგების დროს შეძლებისამებრ ანგარიშს უწევს არა მარტო პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებს, არამედ ქართული ხელოვნების ტრადიციებსაც (იხ. „ქართული მწერლობა“ № 10, 1927 წ. გ. ქ. „საბჭოთა ხელისუფლება და ქართული ხელოვნება“).

როგორც ვხედავთ აქ წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწიოს „არა მარტო პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებებს“, არამედ ქართული ხელოვნების ტრადიციებსაც“. მაგრამ თანამედროვეობის მხატვრული სტილი—დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ „პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნილებებზე“ და არაერთი შემთხვევაში ტრადიციებზე, მით უმეტეს, თუ ეს ტრადიციები პრაქტიკულად სასარგებლო არ აღმოჩნდება. თანამედროვე სახლის ფეოდალური სტილით აშენებას კი არაერთი დადებითი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს. პირიქით, იგი მავნეა კიდევ.

სხვა საკითხია თანამედროვე არქიტექტურისათვის ძველი ქართული ხელოვნების შესწავლის საჭიროება. აქ ვერაფერს შევადგებთ გ. ქ.-ს. ოღონდ ეს სრულებით სამართლიანი მოთხოვნილება ისტორიულ რომანტიკად არ უნდა ვაქციოთ. ჯერ კიდევ ვ. ბელინსკის დროს ესმოდათ ამ რომანტიკის მავნებლობა.

თანამედროვე ოცნებებში დაძინება, რის შესახებაც არ უნდა იყვნენ ისინი—ჩვენ სახალხო სახლებზე, ჩვენ ვერაძილობაზე და სხვ. ერთნაირად მავნეა და უსარ-

გებლა, რათა ძილი არ არის ცხოვრება, არამედ არის მტკიცე, მკაცრი ცხოვრებაზე; არ შეიძლება არ უთხრა ზადლობა მას, ვინც შექმნილია კანონებისა. (ბელინსკი, თხზულებათა კრებული, ტომი II, გვ. 135)

მართლაც, ჩვენ ბელოვანთა განსაზღვრულ ფენებში წარსულ წელში მეტად გავრცელდა ასეთი „თვითმოტყუება“ „ძველი მარაგით“ ანუ ისტორიით. მწერლობის ძველ ფენებში ეს ტენდენციები საგრძნობად მტკიცდება, ამიტომ იყო, რომ მკითხველის ყურადღება შეეგჩერეთ ამ საკითხის განხილვით. დროა „ძველი მარაგით“ თვითკმაყოფილება და „თვითმოტყუება“ შეიცვალოს „ცოცხალი შრომით“, ცოცხალი და ჩვენი ეპოქისათვის შესაფერის ახალ მწერლობაზე ზრუნვით.

* * *

ვერავინ იტყვის, რომ ქართველი მწერლები ამ უკანასკნელ წლებში არ იბეჭდებოდნენ, რომ ისინი არ შრომობდნენ. მაგრამ სიახლე, როგორც თემატიკური, ისე ფორმალური, ფართე ჰორიზონტი და მასშტაბის სიდიდე არ იგრძნობა. რაინე განსაკუთრებული და მიღწევათა საერთო დონესაგან განსხვავებული, ინდივიდუალური და გამყოფის ღირსი არ დაწერილა. საერთო ლიტერატურული მუშაობა სწარმოებს, ლიტერატურული ჯგუფები არსებობენ, მწერალთა მუშაობის მატერიალური პირობები გაუმჯობესებულია, დღითი დღე იზრდებიან ლიტერატურული ორგანიზაციები, იბეჭდებიან ჟურნალები და კრებულები, მაგრამ კრიტიკა ცალკე ნაწარმოებებს მაინც ვერ გამოჰყოფს, ვერ მიუთითებს მათზე.

ერთი სიტყვით ქართულ მწერლობაში რალაც „საალყო წესებია“, როცა ყველა გრძნობს „დიდ“ პროდუქციაზე გადასვლის საკურობას, როცა ყველა რალაცასთვის ემზადება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოხუცები მაინც წყნარად განაგრძობენ „კერიასთან ნაცარქეჩაობას“, ახალგაზრდობა კი მიუხედავად მზადებისა, მაინც ყოველდღიურ ლიტერატურულ წვრილმანებს უნდება.

ჟურნალები და საერთოდ ლიტერატურული პროდუქცია, რალაც საშუალო დონით (საშუალოობით) ხასიათდება, ვერ იტყვის კრიტიკა, რომ სუსტია ნაწარმოები, ვერ დაამტკიცებს, რომ ესა თუ ის ესკიზი ან ნოველა „კანონიერად“ არ არის დაწერილი. მაგრამ თანამედროვე მკითხველს ვერ იპყრობს ეს მუშაობა. ვერ შედის მწერლობა თანამედროვე ადამიანის ინტერესთა შიგნით, ვერ დაეწია მის მოთხოვნილებებს. გულმოდგინეთ ხაზავს მწერალი სურათს, პეიზაჟს და სხვ. და ეს „ყველა კანონების თანახმად“ ვაკეთებული ნაწარმოები არ შედის მკითხველის ინტერესთა სფეროში. ზოგიერთ სოფლის მოსამართლეებს »Воплики неоплачиваемые«-ს უწოდებდნენ ირონიულად. ასეთ „დიდ“, მაგრამ უსასყიდლოთ მომუშავე ადამიანებს მოგვაგონებს ქართველი მწერლების უმრავლესობა. სასყიდელი, ესე იგი -- მკითხველი, არ არის დაპყრობილი. ამ გარემოებას, სხვათა შორის, მწერალთა პროდუქციის გავრცელების ტექნიკური დაბრკოლებანიც უწყობენ ხელს, როგორცაა წიგნის და ჟურნალის სიმორცხე და მიუწევლობა მკითხველისათვის, კრიტიკისა და რეცენზიის სისუსტე და უსისტემაობა, რეკლამის შემთხვევითი ხასიათი და სხვა.



სამხატვრო ჟურნალებს განსაკუთრებით ეტყობათ ზემოდ უდაბესყოფილები საშუალო დონე. ამ მხრივ ბევრი არაფერი მომხდარა ახალი **„გასული მწერლი“**. დაიწყო გამოსვლა ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობა“-მ და გასაკვირველი არ იქნებოდა, რომ ეს ჟურნალი ნაკლებად საინტერესო და უფრო სუსტი ყოფილიყო, ვიდრე „ქართული მწერლობა“, მაგრამ ეს ასე არ მოხდა! „ქართული მწერლობა“ „პროლეტარულ მწერლობა“-ზე უფრო მაღლა ვერ იდგა და ორივე იმ საშეალოობით ხასიათდებოდა, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი.

მწერალთა გაერთიანებული ორგანიზაციების ორგანო სხვებზე სუსტი და არა აქტუალური აღმოჩნდა. არ შეიძლება ითქვას, რომ მასში რაიმე განსაკუთრებით სუსტი ან რეაქციონური იმეკდებოდა, მაგრამ... ეს ხომ საკმარისი არ არის იმ მწერლობისთვის, რომელსაც წინ სვლა სურს!

წარსულ წლის მხატვრულ აღმინახებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე „მემარცხენეობა“. ობიექტიურ პირობებს, რომ თავი დავანებოთ, საერთოდ რომელიმე ორგანო ყოველთვის იმდენად უფრო ძლიერია, რამდენადაც მის გამარჯვებაში დაინტერესებულია მწერალთა განსაზღვრული წრე.

* * *

ქართული მწერლების სინამდვილეში, სხვებთან შედარებით, პროგრესიულ თანამგზავრულ ძალას წარმოადგენს „მემარცხენეების“ (ფუტურისტების) ლიტერატურული ჯგუფი. ამ ჯგუფის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ადგილი ჩვენს წერილის წინა ნაწილში განვსაზღვრეთ. რაც შეეხება ამ ჯგუფის წარსულ წლის ლიტერატურულ პრაქტიკას, იგი (პრაქტიკა) ზოგიერთი იდეური გამემარცხენეებით, ესე იგი—პროლეტარულ რევოლუციისთან მოახლოებით ხასიათდება. მართალია, ჩვენ არაპროლეტარულ მწერლობის ზოგიერთ სხვა ფენებშიაც თემატური გაბალისება ხდება, მაგრამ ფუტურისტების გამემარცხენეობა იმიტომაც უფრო საყურადღებო, რომ იგი (გამემარცხენეობა) სწარმოებს არა მარტო თემატურ, არამედ იდეურ სფეროშიაც, პარალელურად ზოგიერთი, ნაწილობრივად სასარგებლო ფორმალური ძიებისა.

ძველი ქართველი მწერლების უმრავლესობამ თავისი გამემარცხენეობა თემის ნაწილობრივი შეცვლით გამოხატა, მაშინ როდესაც ამ ახალ თემას იგი ხშირად ისევე ძველი იდეური საზომით და „ტრადიციული“ სტილით ამუშავებს. ფუტურისტები თითქოს გვიპრადებიან ასეთი მემარცხენეობით არ დაკმაყოფილებას,—თუმცა აქვე ხაზი უნდა გავესვას იმ გარემოებას, რომ ჩვენი ფუტურისტების მემარცხენეობა სრულებითაც ვერ უდრის რუსულ „ლეფ“-ის მემარცხენეობას.

ფუტურისტების პრაქტიკაში, როგორც საერთოდ ქართულ მწერლობაში, პირველი ადგილი პოეზიის შემდეგ—პროზას უჭირავს.

„მემარცხენეებს“ შორის წარსულ წელში აღსანიშნავია (პოეზიაში) სიმონ ჩიქოვანის და ნიკოლოზ ჩაჩავას მუშაობა.

ნიკოლოზ ჩაჩავას წარსულ წელში ნაკლები იდეურ-მეცნიერული და შეცდომები ჰქონდა, ვიდრე ს. ჩიქოვანს. მას უფრო გარკვეულ კონსტრუქციულ-დენტური ხაზი ახასიათებდა. მართალია, მისი ურბანიზმი („ლაპარაკი მოფერთან პოეტების გასაგონად“) მეტად ელემენტარული და „უპარტიოა“, მაგრამ ლაშქრობა პრიმიტივის და ურმის იდილიის წინააღმდეგ მაინც პროგრესული საქმეა!

ღოო არის ჭირმა გადააშენოს
 ეხლა ურმების მლაღადებელი.

ეს ურბანიზმი ძლიერ მინიშნულურია და ასეთი „მინიშნული“ უკვე შეასრულა ეკონომიკაში გამარჯვებულმა პროლეტარიატმა. მაგრამ ხელოვნებაში ეს მინიშნულიც მიქსიმუმი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სწერს ოდნეს ზაქესზე, არსებითად კი ამ ოდნის უმრავლესობაში ისევ ურემი ან „სვეტი-ცხოველი“ ზაქესზე უფრო იგრძნობა.

შედარებით კარგია ჩაჩავას „კალოშები და სიყვარული“. იგი საყურადღებოა, როგორც იდეურად, ისე ფორმალურადაც, განსაკუთრებით კი ფორმალურად. წინეთ ჩაჩავას სიტყვის სფეროში განყენებული ექსპერიმენტები ახასიათებდა. მას აინტერესებდა პრიმიტივი. ეხლა ჩაჩავას თითქოს აღარ ახასიათებს ძველი უსაგნობა, რომელიც უკარგავდა მის პოეზიას საზოგადოებრივ-ათვისებითი მნიშვნელობას. „კალოშები და სიყვარული“ წარმოადგენს ლირიკულ მიმართებას, რომელიც აშენებულია არა „ესთეტიურ“ - ყალბ, არამედ პრაქტიკულ-ყოველდღიურ ლექსიკონზე. თქმის კონსტრუქციებიც დამყარებულია ყოველდღიურ საუბრის მანერაზე. არ გვხვდება ამ ლექსში არც „ესთეტიური“ მრავალსიტყვაობა, რომლითაც მთელი ქართული პოეზიაა დაავადმყოფებული. ლექსი სასაუბრო თქმებზე და მიმართებაზე დამყარებული:

ჩემი გული ამბობს:
 რომ თქვენ დატოვათ
 აღარა აქვს პრეტენზია სიღვარულზე
 და თქვენდამი კრახათ.
 მიატოვეთ ქალბატონო სიყვარული,
 მიატოვეთ, თორემ დაიღუპებით.

გარდა თქმულისა, ლექსი ანტიანტიმენტალიზმით და ანტირომანტიზმით ხასიათდება და ამ იდეურ საფუძველს შეფერის ის ხერხი, რომლითაც გაკეთებულია. მრძოლა ყოფითი („სიყვარული“) და ლიტერატურული (სიტკბილე) სანტიმენტალიზმის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს ჩაჩავას ეს ლექსი, უმკველად რევოლუციონური საქმეა და გიხარიათ, როცა მას მაინც ასრულებს მწერალი.

ჩაჩავას დანარჩენ ლექსებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე „უბიძგოები ქალქს გადაცდნენ“ და „კონფლიქტი დედისა და შვილს შორის“.

სიმონ ჩიქოვანს ჯერ კიდევ ვერ მოუცილებია დეკადენტობის ზოგიერთი ვაელები და მისი წარსული წლის ლექსები ორ უკიდურეს პოლიუს შორის ირყევა. მაგალითად, ერთი და იგივე აეტორი სწერს დეკადენტურ „წვიმების ქვეშ“, სენტიმენტალურ „მიძღვნა და მიბაძვა მუხებს“, რომანტიულ „მი-

ძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის*—ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი უბრალოდ გაკეთებულ და უემპეულად თანამგზავრულ „ოქტომბრული“¹ „სოფელი ჩემი ოთახიდან“, „კავკასიიდან—ტაგანროგამდე“. პროდუქციის ამ სხვადასხვაობის გამო, ჩვენ პირდაპირ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი განზრახ იკავებს ასეთ ორკოფულ პოზიციას და არ უნდა აიღოს განსაზღვრული გეზი. საქმე იმაშია, რომ ჩიქოვანს შეტად განვითარებული აქვს თავის ლექსებში „თეორია“ „ხალხის“ შესახებ—მის „ხალხის“, უკეთ—პოპულიარული პოეტობა სურს. ამიტომ იგი სხვადასხვა, სოციალურად დამორბეული, ადგილობრივების ყურადღების დამსახურებას სცდილობს. აქედან—პ რ ი ნ ც ი პ ი ა ლ უ რ ი ზ ი გ ზ ა გ ე ბ ი.

ჩიქოვანი ყველა მის ამანაგებზე უფრო მეტს სწერს „თეორეტიულ“ ლექსებს და, საერთოდ, იგი „მუზისა“ და „შთაგონების“ წინააღმდეგია. მართლაც, მის ლექსებში სწორედ ისინია უფრო კარგი, რომელსაც იგი „თეორეტიულ“ თემაზე თვით პოეზიაზე, ან საკუთარ ლექსზე სწერს, — კონკრეტული მხატვრული ნაწარმოები ჯერ არ ეხერხება. ერთი სიტყვით, ლექსში იგი თეორეტიკოსია, თეორეტიულ წერილში კი—პოეტი. ასეთ პირობებში ის ზიგზაგები, რომლებიც ზემოდ დავახასიათედ არ შეიძლება რაიმე „შთაგონების“ ან მოულოდნელობის შედეგი იყოს. ეს ზიგზაგები განზომილია და მით უარესიც! ჩიქოვანი ამბობს:

მინდა სიცოცხლე შევიტანო ხალხში მისხლებით
და მღვრიე ხმები შე ამომდის ყელში ფუტკვით.

მემარცხენე პოეტის ამოცანაც იმაშია, რომ მოსპოს საერთოდ მწერლობაში და, მით უმეტეს, თავისთავში ეს „მღვრიე ხმები“.

ფუტურისტულ თეორიას, რომ ხელოვნება ცხოვრების და ნივთების შენებაა, ჩიქოვანი ლექსებითაც ასაბუთებს:

მუდამ ვამბობდით ნივთი ავადით
რათ გვინდა ლექსით სულის ზნობა,
შრომის ბრაჰმაში გული წაევათ
გვეძახის ჭეცყის მეურნეობა.

(„ოქტომბრიდან 27 ფე“)

ლექსის თეორეტიულ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ის გარემოება, რომ „ჭეცყის მეურნეობისთვის“ მზადაა ავტორი იმუშაოს, რომ იგი ცდილობს იბრძოლოს ამ ჩვენი ყოფის საფუძველზე—ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩიქოვანს საბოლოოდ სურს თანამგზავრული ხაზის აღება, მაგრამ, მეორე მხრივ იგი ბარათაშვილს ეუბნება „შე შენ გასრულე“—ო. ბარათაშვილის საქმის დასრულება, რომც შესაძლებელი იყვის ეს დღეს, არც ისე საამაყოა რევოლიუციონური პოეტისათვის, თუ ასეთად ყოფნა მას სურს. არ არის სახარბიელო და შეტად მინიმალურია ჩვენი დროისათვის ძველის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ბარათაშვილს ერთი სატყუნი წინანდელი მოტივიროვკის განმეორებით დაკმაყოფილება:

და ჩვენი გრძნობაც, ჩემო ლექსო ძველთან მტრულია,
რადგან კაცი ვართ და ეს დრო გვაქვს სასპარეზოც.

ასეთი იძულებითი და არა კატეგორიული დასაბუთება „მკვლის“ სიძულვილის, ვიმეორებთ, მეტად ლოიალურია!

ფორმის სფეროში ჩიქოვანს ჯერ კიდევ ახასიათებს იმავენი მზის გავლენა, ესე იგი, ლექსის სახეებით დატვირთვის მანერა. მისი ლექსები ბუნდოვანი სახეებით და მეტაფორებითაა დატვირთული, ამისთანავე შეუკრელი და ცალკე სტრიქონების მექანიკური გაერთიანების შთაბეჭდილებას სტოვებს. გარდა ამისა, მას პოეზიაში ერთგვარი „ფილოსოფოსობის“ სურვილი ახასიათებს. ეს თავისთავად კარგი ტენდენციაა, რომ პოეზიაში რაიმე განსაზღვრული აზრისთვის ბრძოლა სწარმოებდეს—ჩიქოვანის ლექსებში შესაფერის ფორმას ვერ პოულობს. მისი ლექსი ვერ უძლებს „დატვირთვას“. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არაპროფესიონალი პოეტი სწერს ლექსებს.

ჩიქოვანის წარსული წლის ლექსებიდან, როგორც შედარებით კარგ ლექსებს, ჩვენ გამოვყოფთ „ოქტომბერიდან 27-დე“ და „კავკასიიდან—ტაგანროგამდე“. სუსტია ლექსი „მოსკოვი“ და ეს საკვირველია, მით უმეტეს, რომ აქ თემა ძლიერ კონკრეტული და მდიდარი იყო. სუსტია „მიძღვნა და მიბაძვა მუზეუს“.

დავით გაჩეჩილაძე უმთავრესად უარყოფითი თვისებებით იქცეეს ყურადღებას. მისი ლექსების უმრავლესობა („განთიადამდე“, „მგოსანი და სიკვდილი ბულბულისა“) მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს ლექსები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ რევოლიუციის პერიოდში აღიზარდა ახალგაზრდობის განსაკუთრებული კატეგორია, რომელიც სულიერი სიციარიელით, უგზოობით, ფსიქოლოგიური ლუმენპროლეტარობით, პრინციპიალური ზოქმით და საერთოდ არქაიული ანარქიზმით ხასიათდება. ამ იდეურად და ფსიქოლოგიურად თავშესაფარ მოკლებულმა ახალგაზრდობამ გაატარა რა რევოლიუციის წლები უმიზნო ხეტიალში, ეხლა ცხოვრებაში თავის ადგილს ვერ პოულობს. ახალგაზრდობის ამ კატეგორიას ცხოვრებისადმი არავითარი სერიოზული მოთხოვნილებები არ აქვს, მხოლოდ გრძობების „სპეციალისტობა“ დარჩენია და ვინაიდან დღეს ადამიანი უმთავრესად საქმით ხასიათდება, იგი ჩვენ დროს და ადამიანებს „თიხის გულიანს“ უწოდებს, დარწმუნებულია, რომ „ამ სიცოცხლეს სუნი უღის მქქნარი ვარდისა“ (იხ. „განთიადამდე“):

1. მაგრამ მე რა ვქნა, თუ ჩემი ცა გატეხილია

თუ ეს სიტყვები იგივეით ცრემლით სავსეა.

2. წუთით მიწიდან მოწყვეტილი ზეცას დავეძებ

გულმა დაპრიღმა ვერ იგუა მიწის ყალიბი.

ვატეხილი ცა, უგზოობა, ცრემლით სავსე სიტყვები, ზეცის ძებნა, მიწის ყალიბთან ვერ შეგუება—ყოველივე ეს არის ნამდვილი 100%-ნი „ესენინი-შჩინა“, ჩვენს პირობებში გ. ტაბიძის პოეზიის წინანდელი პერიოდიდან გამომდინარე. დღემდე ნამდვილი „ესენინი-შჩინა“ ჩვენში ასე მკაფიოთ არ გვსმენია.

იმავე ლექსში („განთიადამდე“) ავტორი სცდილობს თავის ესენინისტურ განწყობილებების უარყოფას, მაგრამ უარყოფითი განწყობილებები ისე მძლავრად და მოკემული, რომ შერე ძნელი ხდება ამ განწყობილებათა „უკან წაღება“. საერთოდ კი ლექსი თავისთავთან კამათის სახითაა დაწერილი.

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, უსამართლობა იქნებოდა „მემატრეა“-ნიშნა იმავე ავტორის „ოქტომბრის დღეები“, რომელიც გაკვირვებულმა სტატურული სიმდიდრით და სახეების სითაბამით (იმავენიზმის გაულენა აქაც საგრძნობია!). სრულიად არ გიკვირთ, როცა მასში გრძნობთ რევოლუციის სტიქიის იდეალიზაციას, რადგან „განთიადამდე“-ს ავტორისათვის, რევოლუციის იდეალიზმი მინც უნდა იყოს „საინტერესო“.

„მემატრეა“-ს პროზაიკებს შორის აღსანიშნავია დემნა შენგელია, აქაი ბელიაშვილი და სტეფანე კასრაძე.

აკაკი ბელიაშვილის პროზაული პროდუქცია რაოდენობით უმნიშვნელოა, მაგრამ დამახასიათებელია. მის პროზაში (რომანიდან „ავადმყოფი რასა“) იგრძნობა წერის მანერის ზოგიერთი სიახლე. აქ მოცემულია მენშევიკების ბატონობის დროინდელი „ბრწყინვალე ახალგაზრდობა, ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობა და სხვადასხვა“. ამ „ბრწყინვალე ახალგაზრდობის“ ცინიკურ მოხაზვას ახერხებს ავტორი. თუმცა აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ავტორი თითქოს არც ისე ემტერება ამ ხალხს, იგი „ისე“ უბრალოდ დასცინის. ასეთი იუმორი უსაბოა, განურჩეველი და უპრინციპო. ერთი სიტყვით, არ იგრძნობა კლასობრივი შუღლი და ეს გასაგებია! აღნიშნულ გარემოებას ცინიზმი უბრალო, მსუბუქ ირონიამდე დაჰყავს, თუმცა არის ადგილები, სადა ცინიზმი რომ მოგვეგონებინა, მაგ:

გაიოზი უყვებოდა მეგობრებს პეტრობურგის სენსაციურ ამბებს, თუ როგორ დამაღვდნენ ისა და გრადი ბეკნდორფი იმის შესახებ, რომ განაუფულზე თვადის ქალები ატარებენ თუ არა ქვედა თეთრელს და ა. შ.

სტეფანე კასრაძის მემატრეა უნდა იქნებოდა პრობლემატიური. ის კულტურულად იწყებს პროზის სფეროში მუშაობას, არ აქვს ის ლიბაპსუსები, რომლებიც სხვა დამწერლებს ახასიათებს, მარგამ პრინციპიალური სიახლე მასში არ არის. ამას მოწმობს 1927 წლის ერთადერთი ნოველა „უდაბურება“.

ამ ნოველაში ავტორმა შესძლო სხვისი თვალით (ამ შემთხვევაში გლეხის ბავშვის) „სამყაროს ხილვა“. „სხვისი თვალთ ხედვა“ პროზაიკისთვის აუცილებელია. მაგრამ თვითონაც უნდა ჰქონდეს მწერალს საკუთარი თვალი—მარტო „ასახვა“ არ კმარა! ამ ნოველაში კი ავტორს ჰორიზონტის სიპატარავე და თემის არა აქტუალობა ახასიათებს.

იულონი გლეხია, რომლისათვის სამყარო ორი სოფლით, ერთი ქალით, ტყით და მასში ნადირობით განისაზღვრება. ასეთი გლეხის ჰორიზონტის სიპატარავე კარგადაა აქ მოცემული, მაგრამ ეს გლეხი ტიპური არ არის იმერეთ-სამეგრელოსთვის. არაბუნებრივისადმი, შეიძლება პატალოგიურისადმი ლტოლვითაც აიხსნებოდეს ავტორის მიერ ამ გლეხის მოცემა. ტიპიზაციას ავტორი ჯერ არ შეჩვევია. მისი ადამიანები მარტო მოქმედების შინაარსით განსხვავდებიან ერთი მეორესაგან.

სიუჟეტის უმაღლესი გავლა, საერთოდ, ქართულ პროზაში იშვიათად იციან. კასრაძეც მიმართავს პირველ რიგში ჯერ აღწერებს, პეიზაჟებს და სხვა ასეთებს.

კასრამეს მკითხველი ერთგვარ რიტმით ჰყავს დაჰყრილი, ჰკრთვითურით
 თხრობა და აზრაცების პერიოდული რიტმია ამის მიზეზი. ეს კი პროზისა-
 თვის არ არის საჭირო! კასრამეს თქმისა და სიტყვის კულტურა აქვს, მაგრამ
 აქ იქ აკადემიზმიც იტაცებს („აღტაცება სულთა ხდება სათნო“ და სხვა).
 კარგია, რომ მის პროზაში იშვიათად გვხვდება სახეები, მაგრამ იქ, სადაც
 გვხვდებიან ისინი სწორია და შეფარდებულია მოთხრობის განწყობილებასა და
 თემასთან (სოფელი), მაგ: „ჩითის ზეცა“, „წონგურის ხმები, აბრეშუმით მშინ-
 ნავი“ და სხვ. საერთოდ, როგორც დამწყებისათვის, კასრამის „უდაბურებს“
 არააუშავს.

დენმა შენგელაიას შესახებ: მისთვის წარსული წელი უეცკველად
 გამემარჯვენებს ნიშნავდა. დეკადენტის რეციდივები მოულოდნელი სიმლიე-
 რით ამეტყველდნენ მისში რომან „ტფილისის“ სახით.

პირველად ყოვლისა შენგელაიას თვალსაზრისის შესახებ. „ტფილისში“
 იგი სწერს:

ჟაკტები მოჩვენებაა, მე მხოლოდ ზილვა მწამს და ჩემთვის ცხოვრე-
 ბა მხოლოდ შეხედვაა, მიდგომა და სხვა არაფერი. ამისთვის საჭიროა
 ხედვის წერტილის მონახვა, მეს ეს წერტილი ვერ მოვხაზე და, აღ-
 ბათ, ამიტომ პარია ასე ჩემი გზები.

როგორც ეხედავთ აქ ხელოვნების დეკადენტურ ფილოსოფიასთან გვაქვს
 საქმე. სენსუალისტების ფილოსოფიის თანახმად სამყაროს მხოლოდ გრძნო-
 ბითი ათვისება არის ჩვენი მსოფლმხედველობის საფუძველი. აქედან უკიდურესი
 ინდივიდუალიზმი. აქედანვე პირდაპირი გზაა მეტაფიზიკურ ფილოსოფიასა და
 სპირიტუალიზმისაკენ, რომლის თანახმად დაშვებულია „სულის სამყაროს“ მა-
 ტერიისგან დამოუკიდებელი არსებობა. მთელი ეს „ფილოსოფიური ზაგაგი“,
 როგორც სჩანს, შეიძლება შეფუნებლად, აუთვისებია შენგელაიას. „ტფილისი“
 მართლაც ამ შეხედულების თანახმად არის დაწერილი.

მაგრამ სწორი არ არის შენგელაიას მტკიცება თავის შესახებ, თითქოს
 „გზები იმიტომ აერია ასე“, რომ „ხედვის წერტილი“ ვერ მონახა. „ხედვის
 წერტილი“ „ტფილისისათვის“ მას მოუნახავს და სწორედ ის დეკადენტური,
 რომელიც ზემოდ დავახასიათეთ. მისი გზები კი იმიტომ არეულა ასე, რომ ეს
 „ხედვის წერტილი“ სრულებით არ შეუერის იმ ქვეყანას და დროს, რომელ-
 შიაც მუშაობა უხდება დენმა შენგელაიას.

დახასიათებული დეკადენტური მსოფლმხედველობის თანამედროვეობასთან
 კუროზულ შეხედრიდან გამომდინარეობს, რომან „ტფილისი“-ს ყველა მხატ-
 ვრული თვისებები: სიმეოლისტური, ლირიკულ-ინდივიდუალისტური მისვლა
 საგნებთან, ფედერალიზმიდან გამომდინარე ისტორიზმი, ედგარ პოეს კულტი
 საგნებში რალაც არ არსებული და მისტიური აზრის ძებნა, ზაქესის წინააღმდეგ
 შთაბრუნებთან ერთად ლაშქრობა, ნიეთების და ქალაქის (ტფილისის) კომპარი,
 „დოსტოვეშინა“ („ეს სახლი, რომელშიაც მე ვცხოვრობ ჰყავს გადარეულის
 კულდიან ბოდვას“, მოჩვენებები, სცენა სიკოცხლის შესახებ ეპიკობისა დედაბერ-
 თან და სხვა. და საერთოდ ლიტერატურიდან (არა ცხოვრებიდან!) მიღებული
 რომანტიული თემები—და ა. შ.

დ. შენგელაიას „ტფილისის“ მიხედვით არ შეიძლება იტყვიან, რომ იგი მემარცხენდება, როგორც ფუტურისტების ნაწილი. თუ რა გზით უნდა წავიდეთ შენგელაია მომავალში, ამის შესახებ წინასწარ ძნელია თქმა.

* * *

მიუხედავად მხატვრული პროზის პოეზიასთან შედარებით რაოდენობითი სისუსტისა, წარსულ წელს პროზაში უფრო საყურადღებო მოვლენებს პატივს აძლავს. აქ თითქმის არის რამოდენიმე ნაწარმოები, რომლებიც შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ და აღვნიშნოთ, როგორც ჩვენი არაპროლეტარული მწერლობის რევოლუციონური ფაქტორები. მაგრამ ეს გამოწვევის არის! პროზაულ ნაწარმოებთა საერთო მასა კი, ისევე იმ „საშველო-ობით“ და არა აქტუალობით ხასიათდება, როგორც პოეზია.

პირველ რიგში პროზაში საგრძნობია, პოეზიაზე უფრო, თემების კრიზისი. პროზაში ახალი თემების შეტანა უფრო ძნელი შეიქნა, ვიდრე პოეზიაში. პოეზიაში ეს ახალი თემები უფრო ადვილი შემოსატანი აღმოჩნდა, რადგან პოეტების უმრავლესობა პოეტური დეკლარაციებით დაკმაყოფილდა.

პოეტური დეკლარაცია, მაგალითად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დროა „მიწას“ და „სინამდვილეს“ დაუბღუნდეთ, რომ არ შეეჩრდებით ჩვენ ამ მოტივზე, რომ საჭიროა „აზნაურული გახარამაცების“ ჩამოცილება და სხვ.

რევოლუციონური თემის შემოტანა პროზაში რევოლუციის უფრო მეტ, ფაქტიურ ცოდნას და არა მოწმის თვლით ხედავს საჭიროებას. საჭიროა უფრო დიდი პორიზონტი. ერთი ქართველი მწერალი სხვა მწერალზე სწერს: „ვე ვიცნობ ერთ ქართველ მწერალს; მისი აღმოსავლეთი ნავთლულით იწყება და დასავლეთი ავღაბრით თავდება“-ო. პორიზონტის ასეთი სიპატარაის დროს, არაა გასაკვირველი რომ პროზა „роскош полуживания“-ით (პუსჟინი) ხასიათდებოდეს და ერთი და იგივე პატარა თემა წაღმა უკვლამა ბრუნავდეს. თემატიური *perpetum mobile* და ფორმალური განმეორებანი—ასეთი დახასიათება შეიძლება მივსცეთ იმ პატარა თუ დიდ (მაგ. ანასტ. ერისთავ-ხოშტარიას „სალი“) ბელეტრისტულ ნაწარმოებთა უმრავლესობას, რომლებიც წარსულ წელში გამოქვეყნებულა.

წარსული წლის ქართულ პროზიდან ჩვენი ყურადღების ცენტრშია ოთხი ნაწარმოები: 1) „სისხლი“—რომანი ლეო ქიაჩელის, 2) „უბედური რუსი“—რომანი შალვა დადიანის, 3) „ეპოპეია“—მიწიშვილისა და 4) „ნაღვერ-დალი“—რომანი დავით სულაშვილის.

* * *

ლეო ქიაჩელის „სისხლი“ ნამდვილი თანამგზავრული ნაწარმოებია. პროლეტარული მკითხველისათვის უეჭველად სასარგებლო და საინტერესო იქნება.

ჩვენი ბელეტრისტებისათვის 1905 წ. რევოლუციის თემა ყველაზე უფრო მიღებული და საყვარელი თემაა, რევოლუციონურ თემათა შორის. ამ თემის

დამუშავების დროს ცენტრალურ გმირად ყოველთვის ან ინტელიგენტი, რევოლუციონერი ან (იშვიათად) გლეხი რევოლუციონერი. მისი მხარეში მისი ცხრას ხუთის ნამდვილი გმირი ჯერ მოუხაზავი რჩება.

„სისხლში“ თუმცა არის ცდები ბოლშევიკის ტიპის მოცემის, შედარებით კარგადაცაა მოცემული მუშა-ბოლშევიკი ნიკო, მაგრამ იგი მაინც მეორე ხარისხოვანი და ეპიზოდური გმირია. ამასთანავე მისი პიროვნება თითქოს ავანტიურულ ხაზებში არის მოცემული. რომანის მთავარ გმირად ისევე და ისევე მოსული, თავადიშვილი, კეთილშობილი ინტელიგენტი არჩილი დადიშანი არის („არჩილს სწორი, სუფთა სახე ჰქონდა, ქერა, კეთილშობილური“). არჩილი არსებითად თანამგზავარია რევოლუციის და ამ თანამგზავარის, მოსულის თვალთახედვით არის დანახული 905 წლის რევოლუცია. თანამგზავარი არჩილია ცენტრში, მის ირგვლივ არის თავმოყრილი რომანის ყველა მაგისტრალეზი.

არჩილ დადიშანი უწყველად ტიპური მოვლენაა. ავტორმა კარგად მოგვცა ამ ტიპის ბუნება, მას, ეტყობა, დადიშანების ყოფის და მოქმედების ყველა დეტალების ცოდნა, — ავტორი მთლიანად შესულია დადიშანის ფსიქოლოგიაში. ბევრი ასეთი დადიშანები, ფეოდალური ინტელიგენციიდან გამოსული ადამიანები სათავეშიც კი ჰყოლია საქართველოს რევოლუციონერ მოძრაობას (უმთავრესად მენშევიკურ მოძრაობას).

მშენიერად ახასიათებს თვით ავტორი არჩილს:

არჩილ პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იცოდა კავშირებში, ვიდრე ვინმე. — იგი გიმნაზიაშივე პარტიის გაფლენის წრეს მოჰყვა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის იდეური გაცნობიერება მყარდებოდა.

არჩილს თაობის დიდი ნაწილის გზა ასეთი იყო: ჯერ მარქსისტული წრე. რევოლუციონერი იდეების პირველი მატარებელი იყო. არაღვეალური ხალხის გაცნობა. აკრძალული ლიტერატურის გადო. მერე თანდათან პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლა გატაცება. შემდეგ რევოლუცია. ბრძოლა.

საქართველოს ფეოდალურ ინტელიგენციას, რომელსაც მატერიალური ბაზა გამოეცალა, სამი გზა დარჩა: უარყოფა თავისი თავის და კაპიტალისტური გზით (ვაჭრობა და სხვა) სვლა, რაიც მეტად „არა სიმპატიური“ იყო კეთილშობილ ინტელიგენტისათვის. მეორე: უარყოფა თავისი თავის და რევოლუციონერ მოძრაობის მორევში გადავარდნა, მაღალი იდეალების თანამგზავრობა. მესამე და ერთად-ერთი გზა, რომლითაც შესაძლებელი იყო თავისი თავის უარყოფის ამცდარიყო ფეოდალი: ზედმეტ, უსაქმო, ფუქსავატ ტიტულის პატრონი ადამიანი დაარჩენა, გადაგვარება და ბოგემა, — ერთი სიტყვით წასვლა ცხოვრებიდან „იზნაურულად“. ასეთ გმირებს დაეით კლდიაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებში შეხედებით ხოლმე.

არჩილ დადიშანი ერთი იმათგანია, რომლებმაც მაღალ რევოლუციონერ იდეათა სამსახური გადასწყვიტეს. მაგრამ დადიშანებს წარსული მაინც მხრებზე აწევს და ეხილება უკან, — აღიბერალებს, არბილებს და უფრო განწყობულ-იდეალურად ხდის მის რევოლუციონერ იდეებს. ის იბრძვის, ხშირად-პათეთიურად არწმუნებს სხვებს იმაში, რაც თვითონ არ სწამს, მაგალითად არ



ჩილი ნაციონალურ საკითხში სულითა და გულით ფედერალისტებთანაა, მაგრამ ციხეში გაკეთებულ მოხსენებაში იგი ყალბობს, — იცავს იმას, რაც მისი მხარესაა. გაორებულია და თავის თავს ებრძვის.

რევოლუციონერობა არჩილისათვის ერთგვარი რელიგიური მსხვერპლია, მის ეს ეძნელება, რადგან იგი (რევოლუცია) მისი ყოფიდან, მისი ბუნებიდან კი არ არის წარმოშობილი, არამედ მოტანილია გარედან. ამიტომაც, რომ ზოგჯერ არჩილი სიყვარულით ისევ დაინტერესებული, როგორც რევოლუციით (ფოთიდან ქუთაისში ჩამოსვლის დროს). ამიტომაც, რომ არჩილი ხშირად სტუმარი ივითაა რევოლუციონერთა და განსაკუთრებით ბოლშევიკთა შორის. ბოლშევიკი თომა სამართლიანად ეუბნება:

ბო, კარგი ერთი. სტუმარივით ნუ გვიბრავს თავი, რა დროს მორცხვობაა...

რევოლუციის არჩილი მისდა უნებლიედ და შეუგნებლად მოჰყვება, თუმცა განვითარებულ რევოლუციონერად და ხშირად ბელადის სამოსელშიც გვევლინება: „რალაც დამუნჯებას გრძნობდა იმ დიდი და სწრაფი ამბების წინაშე, რომლებიც მის თვალწინ ხდებოდენ და რომლების მთავარი მოწაწილე თვითონ იყო სრულიად მის დაუნებლიედ, რალაც გაუგებარი და შეუცნობელი ბედის წყალობით“ — ამბობს თავისი გმირის შესახებ ავტორი.

შემდეგ უფრო გარკვეულ დახასიათებას იძლევა ქიაჩელი:

...როგორც ამ წეს მიჰყვება არჩილი, ისე გაჰყვება იგი ცხოვრებასაც და იმ ნაპირს მიადგება, რომელიც ბედზე უწერია, თუ კი არსებობს სადმე ნაპირი ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია.

როგორც ეხედავთ დადიშვიანები რევოლუციის („ნავი“) წამყვანი არ არიან, — ისინი ძალაუნებურად მოხვდნენ ამ „ნავში“, მიჰყვებიან „ბედის ამარა“ და არციციან („თუ კი არსებობს“) მათი ბრძოლის საბოლოო და რეალური მიზანი. ფეოდალ ინტელიგენტს, რომელსაც მძიმე წარსული მხრებზე აწევება „საკუთარი თავის უარყოფა და შეთენოდა თავდაცვის უკანასკნელ და ერთადერთ საშუალებათ, რომ არსებობა განეგრძო“. მიუხედავად ამისა დადიშვიანები რევოლუციის ქაინც ერთგული თანამგზავრებია, განსაზღვრულ დრომდე და ადგილამდე. ბოლოს და ბოლოს კი ისინი რევოლუციის ჩამოშორდებიან ისე, როგორც ჩამოშორდა მენშევიზმი და მიუხედავად ამისა, რომ რომანი არ არის დასრულებული, ჩვენ მაინც წინდაწინ ვგრძნობთ: არჩილ დადიშვიანი ოქტომბრის რევოლუციის დროს, ამ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდება. ასეთია სოციალური კაუზალობის ლოდიკა და ეს კარგად აქვს გაგებულ ლეო ქიაჩელსაც.

პარალელურად არჩილ დადიშვიანისა „სისხლში“ მოკმეულია ტიპი გლეხი რევოლუციონერისა (ქარივაძე), ფედერალისტი სტუდენტისა (რამაძე), რევოლუციის „თანამგრძობი“ ქალის ტიპი (ცაცა რამაძე) და სხვ. ერთი სიტყვით,

პერსონაჟების სიმრავლე და მათი ურთიერთობა მეტყველებს იმის შესახებ, რომ ღეო ქიჩელი პროფესიონალი ბელეტრისტიცა, რუსული მწიგნობის ქართულ სინამდვილეში.

ფორმის მხრივ რომანი სუსტია. სიხლეს ვერ ვიგრძნობთ. ტრადიციული მეთოდები და ხერხი. დაწყება პრიმიტიული. ენაწყლიანობა, იმდენად ზედმეტი, რომ რომანის დაახლოებით ერთი მესამედით დაწურვა შეიძლებოდა. აუტანელი სანტიმენტალიზმი. სიტუაციების და მოტივების ამ საერთო სანტიმენტალიზმს მოუთხოვია შესაფერისი სანტიმენტალური ლექსიკონი და სტილიც („სევდა“, „სიყვარული“, „ფერიები“ და სხვ.). მხატვრული საშვავლებების სიღარიბეც ეტყობა და რაიმე კარგის, ლამაზის მოსაცემად „კობტას“ მეტს ვერაფერს ახერხებს. როცა გმირის განწყობილების გადაშლა სურს, მიმართავს მოწვევებებს, რათა ამ მოწვევებებს გმირმა მონოლოგის სახით გააცნოს თავისი განყოფილებები (სცენა ვარდოს სასაფლაოზე). რომანი ისეა გაკეთებული, რომ მკითხველი დაახლოებით გრძნობს, თუ რა მოხდება მომავალში და სხვ.

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარი დადებითი მხარე (ფორმალური) რომანისა ტიპიზაციაში მდგომარეობს. ავტორმა შესძლო გმირების კარგი მოხაზვა. სიუჟეტიც საკმაოდ ნიჭიერადაა გაშლილი, მკითხველის ინტერესს იწვევს. თუმცა სიუჟეტის შენების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ავანტიურისმიამდე დაჰყავს ზოგიერთი ეპიზოდები. უკეთ რომ ვთქვათ მოქმედება ჩამოშორებულია კონკრეტ სოციალურ ატმოსფეროს, საზოგადოებრივ ყოფას. რევოლუციონური მუშაობა, ჭერტევეშ მომუშავე ხალხი თითქოს მოწყვეტილია სოციალურ ბაზას, თითქოს ისინი რალაც შეთქმულთა უბრალო ჯგუფია, ჩამოცილებული ქვეყანას ისე, როგორც რაბინზონ-კრუსოს კუნძული. ამიტომაც, რომ თვით რევოლუციონერთა ყოფა-ცხოვრება, მიუხედავად ინტრიგის კარგი გაშლისა, — ვერ არის დამაკმაყოფილებლად მოცემული. ავტორს ეხერხება მხოლოდ მსხვილი რევოლუციონური ფაქტების მოხაზვა (კარგადაა მოცემული ქუთაისის ციხის გათბრა).

გარდა თქმულისა, ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ რომანს. ე. წ. „სიყვარულის პრობლემა“ სწორად ვერაა ამ რომანში გადაწყვეტილი. ზოგან კი ეს „პრობლემა“ გადაჭარბებულადაა მოცემული. აქ „სიყვარულის“ მომენტის გადაფისებისთან და ვერ შეფასებასთან ვვაქვს საქმე. მაგალითად: ანდრო ქარიფაძე მაშინ გადასწყვეტს ტერორისტად გახდომას და ქალაქში რევოლუციონურ მუშაობაზე წასვლას, როცა მის ბიუროკრატი საცოლეს წაართმევს. აქ კლასობრივი ბრძოლის და შუღლის გასაძლიერებლად „სიყვარულის“ დამარცხებაა „მიმატებული“. რა საჭიროა ეს, განა კლასობრივ ბრძოლის მოტივს რაიმე „დამატება“ სჭირია. — იგი ისედაც საკმაოდ მძლავრი მოტივია.

„სიყვარულის“ მოტივი „სისხლში“ ზოგან ისე არის გაყალბებული, რომ ანდროს თოფით ხელში ბრძოლის დროსაც კი (ეპიზოდი ფოთთან, ტყეში) ელანდება „სიყვარულის მოციქული“ ტყის ფერია და სხვ. „საკვირველია, რომ ეს სიყვარული ყველგან ერთნაირია“ — თ, ამბობს რომანის ერთი გმირი — ბოლშევიკი. მართლაც: როდემდე იჭნება ამ ჩვენ რევოლუციონურ წარსულის

შესახებ დაწერილი რომან-მოთხრობებში ეს სიყვარული ყველგან ერთნაირი, მოსაწყენი და უზეირო? ნუთუ სხვა ტიპის ძალებს და უფრო მდიდრულ მითებებს ვერ პოვლობს მწერალი?

საერთოდ კი „სისხლი“ უსათუოდ მნიშვნელოვანი და სასარგებლო მხატვრული ნაწარმოებია!

შალვა და დიანის—„უბედური რუსია“ სერიოზული და დამთავრებული, მაგრამ ობიექტურად რეაქციონური ნაწარმოებია. რა თქმა უნდა, მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ელემენტარული პრინციპების სრულ დამახინჯებას გამოვავაშვარებდით, რომ ამ ნაწარმოების რეაქციონურობა მხოლოდ თემით დაგვესაბუთებია. არ შეიძლება მწერლობას ვუკიციხოთ ისტორიული თემების დამუშავება. მაგრამ, როგორ მიუდგება ავტორი—ამაშია საკმე და სწორედ ამ თემისადმი (თამარ მეფის ეპოქა) მიდგომაშია „უბედური რუსის“ ესთეტიური რეაქციონურობა.

მაგრამ თემისაც აქვს მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ დღევანდელ მწერლობაში მოიპოვებინა მწერლები, რომლებიც მთელი თავისი შემოქმედებით ბუნებით დანტერესებული არიან უმთავრესად თამარ მეფის ეპოქით, რომლებიც რაღაც „ღვთაებრივი სასობით“ თითქმის დაბრმავებამდე არიან მისული ამ ეპოქის განხილვისას—მოწმობს ამ მწერლების რომანტიკულ პატრიოტიზმის შესახებ.

რამდენადაც უფრო გამსჭვალულია „უბედური რუსია“ ამ რომანტიზმით, იმდენად უფრო გიჟივს ადამიანს: როგორ შესძლო „თანამედროვე“ ადამიანმა ამ რამოდენიმე საუკუნის წინანდელ ეპოქაში ასე ორგანიზულად შესვლა, როგორ შესძლო აემბტყველებია მთელი ინვენტარი და „მშვენიერება“ თამარის სასახლის, თამარის მოახლეებისა, უამრავ ერისთავთა, დადიანობისა და სხვ.

როგორ შეუძლია თანამედროვე კაცს იმსჯელოს, იფიქროს, და რომანტიზმის სწეროს კიდევ იმაზე, რომ შეცდა თუ არა თამარ მეფე, დაუშვა თუ არა შან „საწვილიშვილო“ შეცდომა, როცა უბედური რუსია—ერია—ქმრად მიიღო და სხვ.

ასეთი მწერლის არსებობა ჩვენ მოგვაგონებს იმ უდავო პრეშმარტივებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერია წმინდა ფეოდალური მწერლობის რეციდივები და რომ ამ მწერლობას საკმაო მკითხველიც ჰყავს. ჩვენ არა ერთი ყოფილი ადამიანი გვინახავს, რომელიც გაგიყვებით გვერტჩაღლება იმის შესახებ, თუ როგორი მშვენიერებაა ეს რომანი, რომ აქ მთელი ქართული „სული“ და „გენია“ გადაწლილი...

და მართლაც... რომანის ესთეტიური დომინანტა იმაში მდგომარეობს, რათა დაარწმუნოს მკითხველი: რომ თამარ მეფის ეპოქისეშური ლალი, მშვენიერი, დიდებული და ბრწყინვალე საქართველოს არჰქონია და არც ექნება, რომ იდეალი საქართველოსი არის თამარ მეფის ეპოქა, მწვერვალი კი ის იდეები, აღმოსავლეთის ბიზანტად საქართველოს გარდაქმნისა (პოეტი გოდერძის იდეები), რომელსაც მაშინდელი წარჩინებული საქართველო ისახავდა, რომ მაშინდელსავით თავისუფლად

არასოდეს არ უცხოვრია ქართველ „ერს“, რომ მაშინ გღებობა ცი მიშენივრად გრძნობდა თავს, რომ მთელს ქვეყანას და დოვლათი არა მარტო მეფეების, არამედ „ხალხის“ დიქტატორი იყო და სხვ. აი, საილიუსტრაციო, რომანის ერთ-ერთი გმირის (ჩანქანის) სიტყვები:

... ანუ არ არის საქართველოში. იქ მეფის კარი ფართოა, მაღალი, ყველანი ერთი კარებით შეჰყავთ. თითქმის შემსვლელიც და დამჩხვდურიც ლაღია და თავისუფალი... მას შემდეგ მანც, რაც თამარმა ახალი სასახლეები ააგო—თავისუფლად სუნთქავს იქ კაცი, სული აღარ გჭრთება...

უნდა ითქვას სიმართლე: მთელი რომანის აღნივობა, მისი ჩამოყალიბებული ფორმები, სიუჟეტის დარბაისლური და დინჯი გაშლა, ლექსიკონის მთლიანად შეფარდება ეპოქის „ბრწყინვალეობასთან“, სახეების და მეტაფორების შესაფერისი ყოფიდან ამოღება და მათი თავადური გემოვნებით დამუშავება, მეფური თქმები, მეფური ცერემონიები, აუტკარებლობა თბრობაში და სიუხვე დოვლათის აღწერაში, (ფეოდალიზმის დოვლათის აღწერლად დახასიათება, ხომ შეტყუებელია!) ყოველივეს ამზობს იმის შესახებ, რომ ავტორს თავისი რომანის ფეოდალურ თემისა და იდეისთვის, ასეთივე ფორმა და სტილი შეუფარდება. ეს მონოლიტობა იდეისა და ფორმისა, ეს მათი შეხანება და არც ერთი ნიშანწყალი თანამედროვე სტრლის (რომანის კონპოზიციას თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ) გაეღნისა — ამ ნაწარმოებს „კლასიკურ ფეოდალურ ნაწარმოებად ხდის და ამასთანავე ერთად გვარწმუნებს იმაში, რომ იგივე ნაწარმოები ძალიან შესაძლებელია დაწერილიყო ერთი საუკუნით, ან კიდევ უფრო ადრე. ვინ იცის, ეგებ მართლაც ეს რომანი რამოდენიმე ათეული, ან ერთი ათეული წლით ადრე მაინც არის დაწვებული! მაგრამ ნაწარმოები მაშინ იბადება და მაშინ ეძლევა მას მოქალაქეობის უფლება, როცა იგი ქვეყნდება, როცა იგი იკითხება („ლიტერატურის ისტორია წაკითხულის და არა დაწერილის ისტორია“ — ამზობს კოგანი). „უბედური რუსი“ კი 1927 წელში გამოქვეყნდა, მხოლოდ ამიტომ ის ამ წლის პროდუქციაში უნდა ჩაერიცხოთ.

ერთი სიტყვით, რომანის ავტორმა კარგად შესძლო თავისი რეაქციონერი იდეისთვის შესაფერისი ფორმა გამოენახა... მით უარესი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ის იდეები, რომელიც რომანშია მოცემული, რაიმე სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდნენ. პირიქით, მიუხედავად რომანის ძლიერ სერიოზული ტონისა, მისი იდეები მაინც კომიკურია... უკეთ: ეს იდეები დღევანდელი თვალსაზრისით სასაცილოა! სასაცილოა ის ადამიანი და მკითხველი ამ რომანისა, რომელიც მეოცე საუკუნეში, როდესაც „კომუნისმის ანრდილი დაპქრის“ საქართველოში სერიოზულად არ ანებებს თავს ფიქრს იმის შესახებ, რომ საქართველოს დიდ იმპერიად, ბიზანტიად გადაქცევის ბედი მოელის წინ. სასაცილოა ფაქტი იმისა, რომ საქართველო ოდესმე დაიბრუნებს იმ ათეული საუკუნის წინანდელ მდგომარეობას, როდესაც, გოდერძის ენით რომ ვსთქვათ, „საქართველო ზრდიდა მისრეთ, ელადას და რომს“. მართალი უნდა ვთქვათ, ეს სასაცილო ხალხი ჯერ კიდევ მოიპოება! ამიტომ საქართველოში საჭიროა ახალი სერვანტესი, რომელიც „უბედური რუსის“ პაროდის სახით დასწერს ამ ხალხზე ახალ

„დონკიხოტს“, სადაც გმირი გულუბრყვილო და ქარის წისქვილდებზე მონადირე დონ-კიხოტი კი არ იქნება, არამედ... „თვით“... თამარ მეფე *ქალიწი თანამედროვე* შეოცნებე პატრიოტი რომანტიკოსი, რომელიც საბჭოთა საქართველოში თამარ მეფის სასახლის ილიუზიებით სცხოვრობს.

რადგან „უბედურ რუსს“ აქვს კიდევ სხვა თვისებები: მიუხედავად თავისი იდეების სიყალბისა ის მაინც ყალბად არ არის გაკეთებული. ყალბი იდეები აქ ისეა მოკემული, რომ თითქოს სინამდვილის ილიუზიას ჰბადებს და მკითხველს ითრევს. მაგალითად, იმისთვის, რომ ავტორმა დაამტკიცოს თუ რა დემოკრატი იყო თამარი, რომ ის გლეხებს უთანასწორდებოდა, ავტორი სპეციალურად აკეთებს რეალისტურ სურათებს იმის შესახებ, თუ როგორ დადიოდა თამარ მეფე თავისი ქალთა რაზმით გლეხობის გადასარჩენად მთებში და სხვ. ასეთი სურათი, რა თქმა უნდა, გულუბრყვილო მკითხველში დიდ აღფრთოვანებას და თანაგრძნობას იწვევს (ამისათვის იბრძვის ავტორიც).

ღვე ტოლსტოი მიმართავდა ერთ კარგ ხერხს. როდესაც თავის ნაწარმოებში ბოროტმომქმედს იძლეოდა, იგი ცდილობდა, მკითხველი ყოველნაირად დაერწმუნებია, რომ მისი ბოროტმომქმედი მართლა საშინელი ადამიანია. ამიტომ იგი მიმართავდა ერთ საშუალებას: ბოროტმომქმედის უარყოფით და საზიზღარ ხაზებთან ერთად აჩვენებდა მის მშვენიერ და კეთილშობილ თვისებებსაც. მაგრამ ბოროტმომქმედის ბოროტება მაინც ფაქტია და მეტად მძიმეც. ასეთ შემთხვევაში ეს კეთილშობილი ხაზები უფრო არწმუნებენ მკითხველს ბოროტმომქმედის საზიზღრობაში. გმირი დამარწმუნებელი ხდება.¹⁾

დაახლოებით ასეთ ხერხს მიმართავს შ. დადიანიც. რომ დაარწმუნოს მკითხველი თამარ მეფის სასახლის და ეპოქის სიდიადეში, იგი მთელი ძლიერებით აჩვენებს ამ სასახლის და ეპოქის ზოგიერთ ნაკულლოვანებებს (ინტრიგები, ეკოიზმი, იურის ავადმყოფობა, მონების ჩუმაღ, თამარის ბრძანების წინააღმდეგ ყოღვა და სხვა.).

ერთი სიტყვით, შ. დადიანი „ობიექტიურის“ პოზაში დგება და ეპოქის ზოგიერთ ნაკლოვანებებს დაპატარავებულ მაშტაბით მაინც გვიჩვენებს, ისე, რომ მთავარ გმირს (თამარ მეფეს და ფეოდალიზმს) ამაში ბრალად კი არ ედება. დამნაშავეა ვილაც ზანქანი და მისი ნოქარი, რომ იქ საღლაც მონები იყიდებოდნენ და სხვა. ასეთ შემთხვევაში თამარ მეფე და ფეოდალიზმი ამ ბოროტებაში რა შეიშინა!

სხვათა შორის, ერთი გარემოება არის, რომელიც ისტორიულ კემშარიტებას შეიცავს და სრულებით მეცნიერულადაა მოკემული.

თამარ მეფის ეპოქის სიძლიერე არა მარტო ფეოდალიზმში, არამედ სავაჭრო კაპიტალიზმის აღორძინებაც. დიდი სოფეაგრის ზანქანის როლი, ამ შემთხვევაში ძლიერ სწორად და დამაჯერებლად არის მოკემული. მართლაც: მთელი ამ ეპოქის სიძლიერე თამარ მეფის კი არა, უამრავ ზანქანების მიერ არის შექმნილი. ამ მხრივ ზანქანის როლი, ჩენის აზრით, ძლიერ პატარადაც

¹⁾ ბელინსკი აწბობდა, რომ შემოიკარდეს კეთილშობილა გმირი, ამისთვის მას ერთი დიდი საზიზღრობა მაინც უნდა ჰქონდეს ჩადენილი.

არის წარმოდგენილი. მართალია თვითონ ზანქანი, როცა ის თავის თავზე ამბობს:

„...ის კი არა (თამარ მეფე პ. ქ.) ზანქან ზოჩაბაბელი, სოფდაგარი ტფილ ქალკისა, რომელსაც გაბმული აქვს აბრეშუმის უწყვეტი ძაფები ბაღდადსა და ალექსოს, ისაანსა და თაფრისს, ბიზანტიასა და ვლთების ქვეყანაში, სურჯასა და კომანებთან და ვინ იცის კიდევ სად... ის არის ამჟამად ერთად ერთი და მორკმული ბელშეფიე საქართველოს... მმ.

ეს ისტორიული კვშმარიტება ხომ არ დავიწყებია ავტორს. როცა მან რომანის ბოლოში ზანქანი საქართველოდან გაადევნინა. ზანქანების მაშინდელ საქართველოდან განდევნა მის დალუპვას მოიტანდა... ალბათ აქ ნაგულისხმევია, რომ სხვა ზანქანები საქართველოში კიდევ ბევრი დარჩა.

ნიკოლოზ მიწი შვილმა წარსულ წელში ერთი ბელეტრისტიული ნაწარმოები გამოაქვეყნა: „ეპოპეია“.

საერთოდ კი საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიწიშვილი თითქოს „მკეტრეთათ აღსდგა“ — ის „ცისფერი ყანების“ ორდენს გუთვნის. იქ პატარა ძალას წარმოადგენდა! მაგრამ დღეს მიწიშვილი უფრო „აქტუალური“ ხდება!

ლექსის სფეროში მიწიშვილი დღემდე იმავე პატარა მნიშვნელობის პოეტად რჩება, როგორც წინა დეკადის მიწიშვილი. მის მიერ 27 წელში გამოქვეყნებული სამი ლექსი „სიყვარული“, „სამშობლოს“ და „პროლეტარიატს“ არაფრით განირჩევიან ძველ სიმეოლისტურ ლექსებიდან.

სულ სხვაა „ეპოპეია“.

მიწიშვილი „საშუალო კაცის“ ანუ მონიტელიგენტო ფილისტერის წარმომადგენელია ქართულ მწერლობაში, — განვსაზღვრეთ ზენ წინეთ. ეს განსაზღვრა 100 პროცენტით დადასტურდა „ეპოპეიას“ გამოქვეყნებით. პირველად ყოვლისა ეს ნაწარმოები „თებერვლის“ გაგრძელებაა. მხოლოდ თანრი და მოყოლის ხერხია შეცვლილი.

ის საშუალო კაცი (სიმონ თუ რომელიმე X, ეს სულ ერთია, რადგან საშუალო კაცი ყოველგან საშუალოა და ნაცრის ფერი), რომელიც საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში გამარჯვების შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ ფამდ ბოლშევიკები მისთვის არც ისე საშიში ხალხია, რომ მათთანაც შეიძლება სამსახურში ყოფნა და სულის მოთქმა. მდგომარეობას შეურიგდა.

ბოლშევიზმთან შერიგება, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავდა ფილისტერის ძირფესვიან გარდაქმნას. ან მის „გარდაცვალებას“. „საშუალო კაცმა“ „ხალათი გამოიცვალა“, არსებითად კი (სოციალურად) ის ისევე ფილისტერია! ვისაც ეგონა რომ სიმონი გამოიცვალა — სასტიკად შეცდა! სიმონი „შეგუა“ რევოლიუციას და აქედან იწყება მათი ურთიერთობა. რევოლიუციის გამარჯვებამდე სიმონი (ნ. მიწიშვილი) არ იცნობდა რევოლიუციას. ან და რა ჰქონდა მაშინ საერთო საშუალო კაცს რევოლიუციასთან...

რევოლიუციონერობა რევოლიუციამდე არც ისე „სასარგებლო“ იყო! ის, თუ გნებავთ, რევოლიუციამდე ბავშვიც იყო და მას 3 კაპიკიანი პური უფრო აინტერესებდა, ვიდრე წითელრაზმელები (ეს მეტად დამახასიათებელი და სიმეოლიური ფრაზაა „ეპოპეია“-დანა). ერთი სიტყვით...

რევოლუცია მოხდა უჩემოდ. განვითარდა უჩემოდ, უჩემოდაც გაი-
მარჯვა რევოლუციამ, და გაიმარჯვა ისე, რომ არ მინახეს ნაწილი რევო-
ლიუციის, არც ის ბრძოლა, რამაც რევოლუცია გამოსჭედა—ეს მისი მისამართი
ყოფიდა. შემდეგ კი იმდენი ხალხი დაეპატრონა რევოლუციას, რომ დიდი საქმის
გაქეთებაში ჩებადნენ არ მიაღწია.

პატარა საქმის ისედაც კი ვაკეთებდი, ურევოლუციოდ.

როგორც ვხედავთ „საშუალო კაცი“ თავის იმართლებს, რაღა დარჩა მას
სარევოლუციო და საბრძოლველი... ის ხომ ბავში იყო... ეს თავის მართ-
ლება საკუთარი წარსულის რევოლუციის წინაშე რეაბილიტაციის გულისათ-
ვის არის საჭირო. რატომ? იმიტომ რომ დღეს, როცა რევოლუცია გამართლ-
და და როცა საჭიროა „შენც დაეპატრონო“ მას, მის ერთ ნაგლეჯს მაინც, ვინ
მოგვეყენებს ამის უფლებას, თუ არ უპასუხებ ჩვეულებრივ კითხვას: შენ კი სად
იყავი მაშინ, როცა ჩვენ რევოლუციის ვაკეთებდით? და აი საშუალო კაციც
უპასუხებს პროლეტარიატს: იგი თურმე დიდი ხანია პროლეტარიატს ეძებდა
და ვერ ნახა (იხ. ლექსი „პროლეტარიატ“). უპასუხებს, რომ ის... დამნაშავე
არ არის თუ გვერდში არ ედგა მათ, რომ ის ბავში იყო, რომ რევოლუციებმა
მისგან მოშორებით ჩაიარა, რომ მან არ იცოდა არაფერი... და სხვ.

ერთი მეტად დამახასიათებელი დეტალი: პირადათ მიწიშვილისათვის ეს
მოტივიროვკა რევოლუციონერთა რიგებიდან გამორჩენისა, არც ისე მართა-
ლია. თუ „ეპოპეის“ მიწიშვილს ნამდვილათ თავისი თავი და არა რომელიმე
„გმირი“ უნდოდა მოეცა (რომლის ე. ი. გმირის მოცემის წინააღმდეგ იგი
ილაშქრებს). მაშინ ეს ამბავი სწორი არ არის. აეტორი თავისი წარსულიდან
რატომღაც წაღავს, რომ მას ოქტომბრის და თებერვლის რევოლუციის დროს
არც ისე უპარტიო ადგილი ეკავა საზოგადოებაში (ესერების და სხვ. პარტიები,
რუსული გაზეთი და სხვ.) აქ „საშუალო კაცი“ სტყუის თავისი წარსულის შე-
სახებ და ეს მეტად სიმპტომატიურია!

ეს დასკვნა (რომ მიწიშვილი სტყუის) მისი „ეპოპეია“-დან და არა ბიო-
გრაფიიდან გამომდინარეობს.

ფაქტები კი ასეთია: მართალია რომ საშუალო კაცი იმთავითვე რევო-
ლიუციის შემომქმედი არ იყო, არც მის მხარეზე იყო, — მაგრამ უპარტიო არ
ყოფილა. და თუ სადმე იდგა, უპირველესად ყოვლისა რევოლუციის მოწინა-
აღმდეგეთა ან მტრუკვე, ობიექტიურად კი ისევ კონტრრევოლუციონურ ბანაკ-
ში იყო. ეს არის არა მიწიშვილის, არამედ ჩვენი სიმართლე საშუალო კაცის
წარსულის შესახებ.

როგორც ვხედავთ, მიწიშვილის „დოკუმენტალური პროზა“, არც ისე დო-
კუმენტალური ყოფილა, როგორც თავისი, ისე საერთოდ საშუალო კაცის წარ-
სულის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ მიწიშვილი დოკუმენტალური
პროზის მომხრეა, და წინააღმდეგია „შეთხზული“ გმირის,
მას მაინც ვერ მოუხერხებია დოკუმენტალური პროზის მო-
ცემა. „შეთხზავს“ თავისი თავი, ესე იგი, შეუქმნია განსახ-

ღვრული გმირი, „საშუალო კაცის“ ტიპი. ამ ტიპის მოქაზვისას მწერალი ისტორიულ ტყუილს ამბობს „საშუალოდუგის“ და თავისივე პირადი წარსულის შესახებ, რაშიც მწერლის პირად რევოლიუციონური წარსულის რეაბლიტაციის საშუალებით უფლება მიეცეს თანამედროვე, უკვე საბოლოოდ გამარჯვებულ რევოლიუციის მონაპოვარის ზოგიერთ ნაგლეჯს მაინც თუ მთლიანად არა (სად შეუძლია საშუალო კაცს უსტრიალაციით პირდაპირი იყვეს) დაეპატრონოს.

ჩვენ არ გამოვავაქვს დანკნები ზეპირად. აი ფაქტებიც: „თებერვალში“ სიმონი ამბობდა: მოვიცადოთ, ჯერ საათმა პროლეტარულად“ იმუშაოს, მერე ენახოთ, ეგებ ისევ ძველებურად დაეაწყებინოთ საათს მუშაობაო. მიწიშვილი („ეპოპეიას“ გმირზე ლაპარაკი) „უპარტიო მოქალაქეთ“ შეხვდა რევოლიუციას. შემდეგ დანახა: რევოლიუცია საბოლოოდ იმარჯვებს! ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღესაც იძახის „მე—არც ბოლშევიკი ვარ და არც მენშევიკი“ (კლასიკური ფილისტერული ფორმულა), თითქოს შზადაა დადგეს რევოლიუციის მხარეზე. სტამბოლში ჩასვლისას მიწიშვილი ემიგრანტებს ურჩევს, ბოლშევიზმთან ბრძოლას დაანებონ თავი. არა იმიტომ, რომ ბოლშევიზმი პრინციპიალურად სწორია, არამედ:

თქვენ იცით, რომ ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ ბოლშევიკები მაგრად არიან და (ამიტომ პ. ჯ.) მათი დამხობის იმედით ცხოვრებას არაფის არ ურჩევ.

ნ. მიწიშვილმა იგრძნო თუ არა მაგარი ხელი, მაგარი „მთავრობა“... აქვე დასვა წერტილი. ყოველი ფილისტერი „მაგარ-ხელის“ წინაშე კრთის და იმას ცდილობს, თუ როგორ შეეგუოს ამ მაგარ ხელს, როგორ და რა დათმობაზე წაიყუანოს ეს „მთავრობა“ თავის სასარგებლოდ. ამ დათმობებს იგი მოვლის არა ომის და ბრძოლის გზით, არამედ მოფერებით, „თანამშრომლობით“ და „მეგობრობით“.

როცა ყოველივე დაწყნარდა, საშუალო კაცის საათმა მეტისმეტად „ბოლშევიკურად“ დაიწყოს სვლა და თანდათან ეშაბდება, რათა ისევე ძველებურად დაიწყოს მუშაობა („მოვდივარ საუსე ძველის სისხლით და ძველი ვალით—უზნება მიწიშვილი პროლეტარიატს ლექს „პროლეტარიატს“-ში). ამ იმედით მიწიშვილი „იცავს“ რევოლიუციის მონაპოვარს.

რამდენად საშუალო კაცი და მისი მწერალი ნელ ნელა ანადგურებს თავის თავს და რევოლიუციის უახლოვდება, იმდენათ ეს მოვლენა დადებითია. მაგრამ ამასთანავე ისიც არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ ეს „საშუალო კაცი“ ასე უცბად მთლიანად ვერ გამოიცივლის საკუთარ სოციალურ ბუნებას. მოახლოებისას საშუალო კაცს თან მოჰყვება მთელი მისი სოციალური ტრადიციები და „ბაგაეი“; სურვილი, რაც შეიძლება მეტიდამეტი დათმობა გამოაღებინოს ხელისუფლებას თავის სასარგებლოდ და მერე თუ მოსახერხებელი იქნება თანდათან დაეპატრონოს მონაპოვარს, გაათავისებ უროს

რევოლიუციის... ამგვარად: საშუალო კაცი რევოლიუციისთან მოახლოებით ისევე და ისევე სვამს დილემას წერტილს მუხრანულ-ზიისრევოლიუციისთან „იდუმალი“ ჭიდილისას მჭიდროს და დიდი ვიციით, რომ საშუალო კაცი ცდებოდა ანგარიშში და ამავნია მიზნები იმისა, რომ ხშირად მხოლოდ სიცილით ვხედებით საშუალო კაცის ოცნებას „საათის ძველებურად ამუშავების“ შესაძლებლობის შესახებ.

ეხლა „ეპოპეიას“ ფორმის შესახებ. მიწიშვილი თანდათან სტოვეს სინეოლიზმს (პროხაზი), როგორც მხატვრული შემოქმედების მეთოდი. ლიტერატურულად შეტყველად დადებითი ფაქტია, რომ მიწიშვილი თითქოს თანდათან დღევანდელი პრაქტიკული ენით და ხშირად პოლიტიკური „ფარგონითაც“ სწერს. ეს გარემოება მის ნაწერებს „ბელმისაწვდომად“ ხდის.

მართლაც: ძველი ქანრები რღვევას განიცდის. საჭიროა შეიქნას და ალბად, შეიქმნება კიდევ ქანრების რაიმე ახალი ტიპები. მიწიშვილის „ეპოპეია“ ახალი ქანრი არ არის, მაგრამ იგი მაინც განსხვავდება ძველი ქანრებისაგან და ამ მხრივ მას პროგრესიული მნიშვნელობა აქვს.

„ეპოპეიაში“, არ არის რაიმე სისტემა და ჩამოყალიბებული პრინციპი. მასში არეულია ფელეტონის, მემუარის, ქრონიკის, ანეგდოტის, უბრალო საბურის, აღწერის, მხატვრული მოყოლის, სხვისი ენის და ფარგონის იმიტაციის თხრობის) და სხვა მანერები. ასეთი აღრევა სასარგებლოა, ბოლოს და ბოლოს ამისგან შეიძლება რაიმე გაკეთდეს.

მაგრამ მიწიშვილის „ეპოპეიას“ უსისტემობას აქვს სოციალური საფუძველიც: ის, რასაც ეყება მიწიშვილი („საშუალო კაცი“) მისთვის არაა მგულმგობრივი და მის გარეშე მდებარეა. ამიტომ, რომ მიწიშვილი მასალის თავს ვერ უყრის. მისთვის ხშირად ვაუგებარიცაა მოვლენები. მიწიშვილი მხოლოდ ეხლა ცდილობს შთაბეჭდილებების რაიმე ნაირად (სულ ერთია რაინაირად: „ამიტომ მინდა, ხელი ავიღო ყველაფერზე და უბრალოდ ვისაუბრო ისე, როგორც გაახერხებს კაცი“) სისტემაში მოყვანის, მათში თვითგამორკვევას, მათ კვალიფიკაციას და თავისი ადგილის ახალ ყაფაში განსაზღვრას. აქედან პრინციპიალური ანარქია სტილისა და ქანრების, აქედან უარყოფა გმირის, რომანის და სხვა.

გმირის მოცემა, ჩამოყალიბებული ადგილის და საზოგადოებრივი მდგომარეობის მონახვა თავისი გმირისთვის მხოლოდ იმ მწერალს შეუძლია, რომლის მსოფლმხედველობა, მხატვრული აზროვნება ჩამოყალიბებულია, მწერალს გარკვეული უნდა ჰქონდეს, თუ რომელი გმირით რა ადამიანი უნდა „აბალოს“, ან „დასცეს“. საშუალო კაცი კი როგორც წერილობრუ-ზიისრული მოვლენა ყოველთვის ქანაობს მოწინააღმდეგე კლასების შორის, მისი „პროფესიაც“ ეს პერმანენტული ჩამოყალიბებლობაა. გარდა ამისა, საშუალო კაცი რევოლიუციას განზე ედგა და ასეთ პირობებში რევოლიუციის გმირის მოცემა მას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია.

„ეპოპეისთან“ დაკავშირებით საინტერესო იყო გაგვეცნო ერთი სპიტი. „ეპოპეიაში“ არ არის დახასიათებული ის მოტივი თუ რატომ უნდა „სახლად“ გარეთ უპარტო მოქალაქე მიწიშვილი? ეს მეტად საინტერესო საკითხია! „თებერვლის“ სიმონი ხომ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ გვგონია, — სიმონის გაგრძობა „ეპოპეიაში“ — მიწიშვილი იმიტომ წავიდა საზღვარგარეთ (თავისი ნებით), რომ გადაეჭრა მისთვის საბოლოოთ ჯერ გადაუჭრელი საკითხი: მართლა სამუდამოდ დამარცხდა ემიგრაცია თუ არა, მართლა საბოლოოდ საჭიროა შერიგება რევოლიუციასთან თუ არა...

დავით სულიაშვილის „ნალევრდალი“ „სისხლის“ პარალელური მოვლენაა. „ნალევრდალს“, რა თქმა უნდა, „სისხლზე“ ნაკლები მნიშვნელობა აქვს. პირველად ყოვლისა, თვით ავტორს უფრო პატარა მასშტაბი აუღია და, მეორეთ, იმისათვის, რომ აქ ტიპები არც ისე თამამად და სრულად არიან მოცემული, როგორც „სისხლში“. სულიაშვილს „ამბვისთვის“ უფრო მიუქცევია ყურადღება და ეს უპიკველად კარგია. მაგრამ მისი გმირები სქემატიურია და ისე როგორც „სისხლში“, აქაც რევოლიუცია ინტელიგენტი გმირის (გოგია) თვალთაა დანახული. აქაც ცენტრალური ფიგურა ინტელიგენტი რევოლიუციონერი და არა ბოლშევიკი მუშა ამხანაგი იოსები არის. ამ ინტელიგენტი რევოლიუციონერის სახით ავტორი სკდილობს მოგვეცეს საშუალო სიდიდის პროფესიონალი რევოლიუციონერის ტიპი.

კარგია, რომ მოქმედება უმთავრესად ტფილისში ხდება, მაგრამ რევოლიუციის მოცენის დროს ავტორი სოფელს (ყვირილა და სხვა) უფრო ხალისით იძლევა, ვიდრე ქალაქს. კმათურაც არის მოქცეული მოთხრობის სფეროში, მაგრამ მკრთალად.


რევოლიუციონერთა ყოფა „ნალევრდალში“ შედარებით კარგადაა გაშლილი.

ავტორს პერქვეში მუშაობის ცოდნა ეტყობა, მაგრამ მუშების ყოფა ცხოვრება... მაინც განზე რჩება.

ქართულ მწერლობას ჯერ არ შეუხრულებია ის დიდი ამოცანა, რომელსაც წარმოადგენს ნაძალადევის წარსულის, აწმყოს და მომავლის მოცემა. სემინარია, მოსწავლე ახალგაზრდობა... ინტელიგენტი რევოლიუციონერი და ისევ და ისევ ეს ტანჯული სიყვარული. ეიმეორებთ: „სიყვარულის პრობლემა“ კომუნისტურად ვერ გადაკრა ჩვენმა ბელეტრისტმა. ერთ თავში, რომ გმირი ახალგაზრდების კრებაზეა, მეორეში „სატრფოსთან“, მესამეში ისევ კრებაზე, მეოთხეში ისევ „სატრფოსთან“ და ასე რიგრიგობით. ავტორი მექანიკურად, რაღაც აუცილებლობის განაო მოათრევს „სიყვარულს“ ასეთ ნაწარმოებებში ორგანიულობა არ იგრძნობა!

არის „ნალევრდალში“ რევოლიუციონერთა მოქმედების და ლაპარაკის მანერის კარგი სურათებიც:

იხილეთ მთელი სხეულით თრთის, თვალები გაფართოებული აქვს, ხელებს შლის და მთელი ენერჯით ამტკიცებს თავის დებულებას.



ეს მართალი დახასიათებაა და შეფერის რევოლიუციონერის **ლამარაკის სტილს.**

სწორედ მუშა-რევოლიუციონერის ოთახის მოხაზვაც: **ბიზლინისა**

მერე—პატარა ოთახი, კედელთან გახუთებით დაფენილი მაგიდა. მაგიდაზე წიგნაკები, ჭიქა, ბოთლი, სამელნე, კალამი და ტანისამოყის საწმენდი წითლი. მაგიდის წვეთ კედელზე პატარა სურათები გალქვევლი საბავშვით და სხ.

მხატვრული ფორმის მხრივ „ნალევრდალიც“ არაფერს არ იძლევა ახალს, მაგრამ გაკეთებულია სუფთად და კურობების გარეშე. თუმცა რევოლიუციაში სქესობრივი საკითხის ადგილის და მისი შინაარსის გამოუჩვენებლობამ ნაწარმოების სტილი ძლიერ დაამახინჯა.

მაგალითად ხშირად ვხვდებით ასეთ „ფილოსოფიურ“, სანტაშენტალურ და აუტანელ ადგილებს:

რა არის სიყვარული? სიყვარული იქნებ ის უზილავეი ძაღვაა, რომელიც რაკილა ერთხელ ეფუღება გულს,—შებორკავს და შებოკავს მთელ არსებას.—მერე მის კბილებში ჩაეარდნის, უნდა ემონო, შესაძლოა მისი კაპრიზები, მხოლოდ მისთვის ფიქრობდე...

იქნებ სიყვარული ვახსინაში ყლორტია, ციურ ნაშს ჩვეული დათუშვადე მის სხეულთან ერთად არ ეკუთრება სიცოცხლის ამძვრელი წვეთის—სკვება იგი და სხ.

ამ ტრაგიკულ ფრაზეოლოგიის ვერ იიტანს 1927 წელში გამოცემული ნაწარმოები.

აქვს ავტორის პრიმიტივიზმი სხვა სფეროშიც (თქმები: „იიზმით გაწმენდილი სიტყვა“ და სხე.).

ნაკლია ისიც, რომ ყველა მუშები ყოველგან და ყოველთვის ლურჯ ხალათებშია.

საერთოდ „ნალევრდალს“ რომანი არ შეიძლება ეწოდოთ, რადგან აქ პერსონაჟების სიმცირეც, ტიპების მოხაზვაც არ შეფერის რომანის სახელწოდებას.

სამაგიეროდ, კარგიდაა მოცემული ციხის სურათი. ვასაგებია, თუ საერთოდ ამ ტიპის, ე. ი. 905 წ. შესახებ დაწერილ რომანების ერთ-ერთ მთავარ მოტივს ციხე შეადგენს. მშვენიერადაა ავრთვევ მოცემული ტყეის რომანტიკა. ვინც 905-ის მოძრაობაში არ მონაწილეობდა, ვინც არ ყოფილა წიფაში, ნასაკირალზე ან სხვაგან მან რა უნდა იცოდეს იმის შესახებ, თუ რად უღირდა მაშინ აჯანყებულ რევოლიუციონერს ერთი ბერდენას ტყვია, რათ უღირდა მას ერთი ვინტოკა?! თუ რა სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევდა ერთი ტყვია,—ამის გაგება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ამ, ან ანალოგიურ ბრძოლებში ყოფილა. ერთი ტყეის რომანტიკა—აი რა შეიძლება უწოდოთ ასეთ მოტივს.

მოხარდი თაობისათვის ასეთი ნაწარმოები მეტად საჭიროა. ამ გზით ჩვენ ახალგაზრდობას შეუძლია შეისწავლოს რევოლიუციონერი წარსული, გაიგოს რას ნიშნავს რევოლიუციონერი პათოსი და შეადაროს ეხლანდელი წარსულს.



წარსული წლის სხვა დაბეჭდილ მოთხრობებიდან განსაკუთრებით საყურადღებო მაინც და მაინც არაფერია.

მიხეილ ჯაფარიძის მიხედვით — ორი პატარა მოთხრობა გამოკვეთილია — „თეთრი კურდღელი“ და „ორი შვილი“. პირველი ერთგვარად გამოკვეთილია ექსკურსიას წარმოდგენა და არ შეიძლება ითქვას, რომ „თეთრი კურდღელი“ რეზიუმე კარგი მცოდნე აღმოჩნდა ფსიქოლოგიის, ეს იმიტომ რომ ფსიქოლოგიის ისე განყენებულად წარმოდგენა არ შეიძლება.

მეორე მოთხრობა „ორი შვილი“ ერთგვარ ამერიკანულ ყაიღის „საიდუმლოებათა რომანის“ ხერხითაა გაკეთებული. მასში მამამძველობა ივრძნობა.

„გივი შადური“ როგორც ნაწევრი, მოკლებულია ინტერესსა და საინტერესოა მხოლოდ იმით, რომ ჯაფარიძის არ სცილდება ზედმეტ ადამიანის თემას.

საკურადღებოა კვლავ ნადირაძის „მენათე ვასპარ“, რადგან აქ როგორც თემატიური (პატარა კაცის, შრომელი მენათის ყოფა), აგრეთვე ფორმალური (დაახლოვებით რეალისტური) სიმეოლიზმის შეთოდებიდან ნაწილობრივ განთავისუფლება ივრძნობა. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, კარგ შედეგებს მოიტანს.

ნიკოლოზი თქვიფანიძე — ახალი არაფერი გამოკვეთილია, მან მხოლოდ გამოსცა ძველი თავისი ნაწარმოები (წიგნები: „მრისხანე ბატონი“, „ნამთა სიამე“ და „იუმორი“), და ამიტომ მასზე ახალის არაფრის თქმა არ შეიძლება.

ენერგიულად იბეჭდებოდა წარსულ წელში სერგო კლდიაშვილი, მაგრამ იგი აქტუალური არ არის და განზე რჩება ჩვენი მწერლობის დიდ ვახს.

საერთოდ სერ. კლდიაშვილი საქართველოს სპეციფიური თვისებებით აღკურვლილი, საწყალი და სასაცილო, ძველი პროვინციალური ქალაქის და დაბის ყოფის მწერალია (бытописатель провинциального городка), ამ პროვინციალური ქალაქის იდილიის მცოდნე. მართალია, მის პროვინციალურ ქალაქს რკინის გზამკე კი ჩამოუარა („მარტია“), მაგრამ ამით მასში არსებითად არაფერი შეცვლილა. რა გასაკვირია, რომ ასეთი ყოფის მწერალი თვითონ გახდეს მოსაწყენი, ისე როგორც მოსაწყენია ის ამბავი და ის ადამიანები, რომელსაც იგი იძლევა.

სერ. კლდიაშვილის „ქალაქი“ ისევ მოზრდილი სოფელია, მოსაწყენი და წყნარი. მისი პერსონაჟები („მარტია“, „კინკა“ და სხვა) ამ ქალაქ-დაბის ობიექტულებია. პროვინციული ობიექტული ცოლ-ქმარის მოსაწყენი დროს ლეკვა. სერ. კლდიაშვილის მოტივებში მთავარია: პროვინციალური გახუნებული ბალი, მთავარის შუქი პროვინციალური ქალაქის კორიკანა ქუჩაზე, „ქალაქი“, რომლის ყოფა იმდენად ერთფერია, რომ კაჭკაქის მასში მიმატება („მარტია“), ან ძაღლის დაკარგვა მთელ „რევილიუციას“ იწვევს („კინკა“).

მაგრამ სერგო კლდიაშვილის პროვინციის მიხედვით, რომ ჩვენი ძველი პროვინცია (განსაკრთრებით იმერეთ-გურია-სამეგრელოს) შვეისწყალთ, — შტედლომაში შევალთ. ეს პროვინცია არც მთლად ასეთი იყო. საქმე იმაშია, რომ თვით სერ. კლდიაშვილი ჯუჟუბს ამ პროვინციას ობიექტულის თვა-



ლით, ამიტომია იგი (პროვინცია) ეგზომ კუროსულ დამკვიდრებული. ობივატელს თავის ყოფაში ვანა სხვა რამე აინტერესებდა? ანუ აინტერესდება?

არავითარი სერიოზული სოციალური კონფლიქტები, ან რევოლუციონური მოძრაობა ამ პროვინციისა, ან სხვა.

მართალია, შედარებით უფრო პატარა, მაგრამ მაინც არსებული ჯანსაღი მხარეები ამ პროვინციის ყოფის-მწერალს არ აინტერესებს, არც შეიძლება აინტერესებდეს.

ობივატელური თემიდან და მწერლის ობივატელური თვალთაბედვიდან გამომდინარეობს მისი წერის მანერის და სტილის მასიათი. სერ. კლდია-შვილს პირველად ყოვლისა ახასიათებს (ობივატელის მიმართ) მსუბუქი ირონია, ნაწილობრივ ცინიზმიც. მაგრამ ეს ირონია არა კლასობრივი მტრის, არა ობივატელშინის წინააღმდეგ მებრძოლის სასტიკი ხელია, არამედ კეთილ მუზობლობაში მყოფ უფრო კულტურულ ობივატელის მსუბუქი ანგდო-ტი და არისტოკრატიული ირონია უფრო უფულტურო მეზობელ ობივატელზე.

ვანა შეიძლება არ გიყვარდეს პატარა ქალაქი, სადაც ყოველთვის სიჩუ-შეა, — ამ ქუჩები, რომელზედაც ბაღანია ამოსული და კრავები ბაღანობენ და ძღებთან. ან და ცისფერად შეღებილი დაბალი სახლები, რომელთაც აუცილებლად შეშებანი ან ფართო აივანი აშვენებს.

ყველა უბანში სტოვირობდენ მშვიდად და ვის შეეძლო წარმოედგინა, რომ ასწლობით დამკვიდრებული დარბაისელი ცხოვრება იმდენად შეეძლო ავსურია ნუნთხევით ჩამოთრეულ უკეთო ფრინველს, რომ ტკბილ მეზობლობაში შებერე-ბული ბეკა და ასლანი ერთმანეთის მტრები გახდებოდნენ („მარტია“).

ასეთია ამ პროვინციისადმი მწერლის დამოკიდებულება და მისი ირონი-ის ტონი.

როგორც ელემენტარულია და სულელობამდე უბრალოა ყოფა ს. კლდია-შვილის პერსონაჟების, ისევე უბრალო და მოსაწყენია თბრობა კლდიაშვილის.

როგორც უგემურია ყოფა პროვინციისა, ისე უგემურია სახეები, პროვინ-ციალურია ლექსიკონიც: მაგ. „ზოგიერთი გავდა იმ ფარგას, რომე-ლიც დუქნის წინ ეკიდა რკინის კაკვზე გაბერილი როგორც სათესლე კიტრი“ („კინკა“). ამ ქალაქში მხეც კი დასკინის ატაფახებულ ქუჩებს („კინ-კა“) და თვით ქალაქი გახუნებულ ყავრით დახურულ, ერთმანეთზე მიკრულ კო-ლოფების გროვას ჰგავს.

არ შეიძლება ს. კლდიაშვილის პროვინციის მოეცა სხვა ტიპის მწერალი, გარდა ყოფის აღმწერისა (бытописатель) და ნატურალისტისა: სერ. კლდიაშვილი უმნიშვნელო წვრილმანების აღწერით, ნატურალისტური ხერ-ხით ორ შედეგს აღწევს. პირველი: გიოჩენებს, რომ ამ პროვინციალურ ყოფა-ში, რომელსაც ის იძლევა, მხოლოდ ეს სულელური წვრილმანებია „სა-ინტერესო“ და მეტი არაფერი. მეორე: გვიჩვენებს ამ მწვრილმანებისადმი „მოქალაქეთა“ დამოკიდებულებას, და ამ ხერხით ამკლანებს თვით მოქალაქე-თა მეწვრილმანეობას და ფუქსიატობას. წვრილმანებისადმი მწვრილ-მანეობით მტკიცდება „მოქალაქეთა“ ფუქსიატობა.

ამ წემთხვევაში ნატურალიზმი ემსახურება ისევ და ისევ მწერლის ირონიას. თქმულის მშვენიერ დასაბუთებას წარმოადგენს შემდეგი „მწერლის კონკა“-დან:

ხანდახან არი ძალი ჭადავებოდა ერთმანეთს (უმწინველო ფაქტია—პ. ქ.) ამის დანახვაზე კვაჭერალებიდან გადმოადგებოდნ გამუღვლები, ალკოვებდნ მუხუტყეები ერთი მეორეს და სიამოვნებით უყურებდნ როგორ სცდილობენ ძალღები დაშორებას და ვერ ახერხებენ.. („მოკალაქების სულელური ფაქტისადმი დამოკიდებულებით, მათი ფუჭავატობის გამომწივანება პ. ქ.).

ენიმეორებთ: მოსაწყენია და არა აქტუალური სერ. კლდიაშვილი, ისე როგორც მისი პროვინციის პერსონაჟების ყოფა.

სერ. კლდიაშვილმა წარსულ წელს ცალკე წიგნად გამოსცა მეტად მსუბუქი მოთხრობა „ახნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი“, რომ ღონკიხოტი არ დაეწერა გენიალურ სერვანტეს, ეგებ მაშინ ჰქონოდა ამ ნაწარმოებს მეტი ღირებულება. თუმცა ღონკიხოტი „ტრაბახა“ კი არ არის, არამედ რაინდების შთამომავალთა „უკანასკნელი მაგიკანი“, გულწრფელი და სულელი. ლახუნდარელი „იმერული ტრაბახა“ ძლიერ ელემენტარული და უბრალო. არა გვგონია რომ თანამედროვეობაში ეს ტიპი მოიპოებოდეს, როგორც ავტორი ამბობს.

წარსულ წელს პროზაში მუშაობდა პოეტი ალ. ქუთთათელიც, თუმცა ისიც დაახლოებით იმ ყოფითაა დაინტერესებული, რომლითაც სერ. კლდიაშვილი (იხ. „ხონის ბირეა“ და სხვ.), არა უშავს ნაწილებს: „კორნელი და მუშები“.

არისტო ქუთუბაძემ—წარსულ წელს რამოდენიმე მოთხრობა გამოაქვეყნა („შმო“, „სასწაული“). მართალი უნდა ვეღიაროთ, რომ ეერაფერი „ვაეკაცური“ მის სტილში ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ, გარდა იმისა, რომ მისი მოთხრობები თითქოს თემატიურად ახალია, მაგრამ სუსტადაა გაკეთებული, აღსავსეა პროვინციალური თუ რაღაც „ორიგინალური“ ლექსიკონით და ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა „გულმა რეჩი ჰკრა მატატის“ და სხვა ასეთები.


* *

გალაქტიონ ტაბიძემ წარსულ წელს მხოლოდ ორი ლექსი გამოაქვეყნა. უფრო საყურადღებოა მათ შორის „ქალაქი წყალ ქვეშ“. აქ რომანტიულ ტონებში ახალის ძველთან დაპირისპირებაა. ლექსის დასკვნა ისეთია, როგორსაც მოველოდით „ჯონ-რიდის“ ავტორისაგან:

„ტელორ ნეტე“ ელა ისვენებს, და ფრინველების დაცხრა გუნდები,
მშვიდობით ხსოვნათ დაჯარგულ ფენებს, არასდროს აღარ დაებრუნდები.

დამახასიათებელია, რომ გალაქტიონ ტაბიძეს ახალის წარმოდგენა მხოლოდ ძველთან შედარებით და მისი ძველი, რომელიმე რომანტიული სახელის დარქმევით შეუძლია („მე შემიძლია მიესცე პოემა, პოემა ახალ დიოსკურიის“). ეს ლექსი დაწერილია შედარებით მტკიცე ტონით და მის ბგერებში არ იგრძნობა ძველი, გალაქტიონისებური მოღუნება.

შეორე ლექსი, „პოეტის შებვედრა მოჩვენებებთან რევოლიუციის მუხუტყმის წინ 7 ნოემბერს, 1927 წ.“, შედარებით პირველთან, სუსტია. თვით თემა, რომ პოეტი ძველის ნანგრევთა მოჩვენებებს ხვდება, ვერ არის ხაზგასმული და მოჩვე-



ნებები მართლაც მოჩვენებებად (მკითხველისათვის) რჩებიან. ცუდია სათაურში სიტყვა „მოჩვენებებთან“. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, არ ვთვლით, რომ ვალაქტიონ ტაბიძე აქაი წერეთელს ბაძავს და აწერს ლექსს მხოლოდ: ჩახვესს (ს. ვალაქტიონი“).

ა. აბაშელი ნაყოფიერად მუშაობდა. მან რამოდენიმე ლექსი — უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თემაზე გამოაქვეყნა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აეტორი, რაღაც იდილიის მოვლის ინდუსტრიალიზაციიდან („ზრომა, სინათლე და სიხარული“). აბაშელი ინდუსტრიას ისევ განყენებულად იღებს. ინდუსტრიალიზაციის სოციალისტური ხასიათი ისევ ვაუთვალისწინებელი რჩება. ამასთანავე მეტად საგულისხმოა და დამახასიათებელი, აბაშელისთვის ასეთი შედარება:

და რომ სიბნელე დღეს ვერა სჯობდეს
იმუა სინათლე სიბნელე მთოველი;
დადგა ტფილისის სადარაჯოზე
ნათლით მოსილი სვეტი ცხოველი („მტკარი“).

ელექტროფიკაციის და კერძოდ ზაპესის სვეტი-ცხოველად გამოცხადება შეუძლებელია.

დამახასიათებელია აბაშელისათვის ლექსი „მოგონება“. როგორც ვიცით აეტორი ე. წ. დემოკრატიულ მწერალთა პლედის ახლობელი პოეტია. ეხლა იგი იგონებს, რაღაც შეუბუქი სიყვარულით 905 წლის ბრძოლებს. მას იდილია იაყრობს, მას აღარ შეუძლია ძველებულად ბრძოლა. კლასობრივი ბრძოლის უნარის დაკარგვის ესთეტიური ფიქსაცია, — იდილიური ლირიკის სახით ხდება. სრული გაუპარტიოება, ანუ პოლიტიკური პასიობა იგრძნობა ამ ლექსში:

გული ბრძოლისცნ მიმიწვეს ეხლაც
მაგრამ ეს ვიცი რომ ძველებურად
არ შემიძლიან მე მტერთან შეხლა!
აღბად დაუკარგე ძალა ქვიტვირის,
და აღარა მაქვს ბრძოლის უნარი.
ხო და, ხანდახან გული თუ ტირის,
გული არ არის გასამტყუნარი.

გარდა ამისა აბაშელმა გამოაქვეყნა საოქტომბრო ლექსი „1917 წელი“, სადაც მოკემულია ერთგვარი ობიექტური (მოწმის თვალთ) სურათი რევოლუციის.

სანდრო შანშიაშვილმა რევოლუციის შესახებ რამოდენიმე ლექსი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით სუსტი იყო „ქართულ მწერლობა“-ში მოთავსებული „ოქტომბრის ჰიმნი“. აქ აბსოლიუტური რიტორიკაა!

დამახასიათებელია, რომ რთდესაც ასეთ საზეიმო და რევოლუციონურ თემებზე წერენ ძველი მწერლები, ისინი ძალაუნებურად იმეორებენ პოოლეტარული მწერლობის პირველი პერიოდის პოეტების ნაწერებს და ფორმებს (როგორცაა მიძღვნა, რიტორიული ოდა, განყენებული წარმოდგენა რევოლუციის და სხვ.). მაგ. შანშიაშვილი თავის ოქტომბრის ჰიმნიში სწერს: „კრინის კაცი ლენინის სახით. მოღის მუწა ჩაქუჩით“ და სხვა ასეთები.

ტიციან ტაბიძე — შარშან პოეტური აგრესიების ხასიათდებოდა. მისი „აგრესიული პოლიტიკა“, იმაში გამოიხატა, რომ იგი შეეცადა ყველა პოეტების თემებში ეწინაა თავი. მაგალითად: გრიშაშვილის თემები (სიყვარული, კინტოები) და სხვ. ამას მან ლოთობის მოტივებიც თან დაამატა „თავის“ ახრივ:

ტიციან მჭეო, ვრჩები ტიციანად.
ღვინით და ლექსით ყველამ მიცანიო.

აგრესიული იყო ტიციან ტაბიძე ლიბიკის სფეროშიც. იყო სურვილი ლიბიკაში თავისი ძალების ჩვენებისა და ამიტომ რამოდენიმე „მწერალ-მეტად გრძნობიერი“ ლექსები გამოაქვეყნა („მე ყაბაღბაში მომკლენ ხარაგენი და სხ.).

ტ. ტაბიძის წარსული წლის ლექსებში განსაკუთრებით საგრძნობი იყო „ცრემლების ფრქვევა“. შედარება ამას „чрезливый шаг“ დაარქვა. იმ ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი სიტყვები: „ჩვენც ხომ კრავები ვართ დასაკლავი“ და სხ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორს როგორც დეკადენტს, ერთი განსაკუთრებული თვისება ახასიათებს. ეს არის სიტყვის და აზრის შუაზე შეწყვეტა, დაუმთავრებლობა. პოეტი სცილობს რაღაც პატარა გაურკვეველი ფრაზებით, რაღაც „დიდზე“, ცოტა რამ აგრძნობიოს მკითხველს. ერთი სიტყვით ტიციან ტაბიძემ, იგრძნო „ჩვენი დრო“, და დიდის ენერგიით შეუდგა მოტივების ხშირ ცვლას, საქიროებისა და ადგილის მიხედვით.

მთავარი, რასაც უნდა გაუსვათ ხაზი, ტიციან ტაბიძის წარსული წლის ლექსებს შორის, ეს არის „ხალტურა“. ავიღოთ მაგალითად „ქართულ მწერლობაში“ დაბეჭდილი „მეარსენები და პოეტები“:

ნინა, ნინა, ჩემო ნინა,
გათხოვება ხომ არ ვინდა,
გათხოვება რომ მიხდოდეს,
შენი კითხვა მე რად მიხდა.

ფორმის სფეროში ტიციან ტაბიძე ისევე განაგრძობს, ძველ დეკადენტურ ხაზს. განსხვავება ძველ ლექსებთან, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმაშია, რომ ხერხები მეორდება და არაფერი ახალი არ არის. არც შეიძლება იყვეს! ლიტერატურულად დეკადენტური ფორმები ყველაზე უფრო შეაწვინდა და შეუფერებელია დღევანდელი მწერლობისთვის და ამ ფორმებშია ამოსწორეს მთელი თავისი შესაძლებლობანი.

ვალერიან გაფრინდაშვილიმ წარსული წელი თავისი თავის მართლებას მოანდობა. „პასუხში“ ვკითხულობთ:

როცა მზის ნაცვლად ვეინდებოდა მთვარის პატარუკი,
და არსად სწანდა ცხოვრებაში ვპირი საქები,
როცა გარს გვერტა სინამდვილე მთლად უხადრუკი,
შორველ ლანდებს ვადიდებდი მე გაშმაგებით.

ასეთი მოტივიროვკა, მეტი რომ არ ვსთქვა, კუროხულია. ეს იმას გავს, რომ ვინმემ თქვას: მე რეაქციონური მწერალი ვიყავი იმიტომ, რომ დრო იყო რეაქციონურიო. მაშინ ეგნატე ნინოშვილი ტარიელ მკლავაძის „მეხოტბე“ უნდა ყოფილიყო, ან დრობეჭების მწერალი.

აქ აღარ შეეზღვრებით გაფრინდაშვილის იმ ლექსზე, სადაც იგი საკოს და ვანცეტის აღარებს ქრისტეს, — ამაზე თავის დროზე ითქვა. გვიხმა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც ჯანსაღი რევოლუციონური განწყობილებაა, შესაფერისი სახეებიც, თანდათან მაინც უნდა მოიხაზოს. თუ შესაფერისი არ განიზიანებოდა, ასეთ კუროხებს მაინც არ ეჭნებოდა ადგილი.

რაც დენ გვეტაძის წარსული წლის ლირიკულ ლექსებში აქტუალური და საზოგადოებრივად ჩვენი დროით დაინტერესებული პოეტი არ იგრძნობა. შედარებით კარგია „წითელი რაზმელი ქალი“.

ვარლამ რუხაძე შარშანდელ ლექსებში განყენებულ, მაგრამ რევოლუციისთან დაკავშირებულ თემებს ამუშავებდა, თუმცა ავტორის განწყობილება ლექსებში ხათლად არ იყო მოცემული. ფორმალურადაც იგი ძველ წერტილზე დგომას განაგრძობს.

ასეთიბ, მოკლეთ, ქართული მწერლობის გასული ლიტერატურული წელი.

პენრიხ იზსენი

(დაბადებულიდან ასი წლის შესრულების გამო)

როგორც მოაზროვნეს, იბსენს შტირნერისა და ნიცშეს გვერდით იბსენი-ბენ და როგორც ხელოვან დრამატურგს შექაპირს ადარებენ. ათეული წლების განმავლობაში მისი პიესები არ მოშორებია ევროპის ხალხთა სცენებს, მხატვრული კრიტიკა მის გარშემო ტრიალებდა და ლიტერატურული საზოგადოებანი მის შესახებ მსჯელობდნენ.

დიდი გატაცება იყო იბსენით რუსეთში პირველი რევოლუციის ხანაში და მომყოლე რევოლუციის დროსაც.

იბსენის პიესების მოქმედნი პირები ექიმები შტოკჰემანი, ნორა და სხვა დიდ თანაგრძნობას იწვევდნენ რევოლუციონერ ახალგაზრდობასა და მუშებშიაც.

პლენანოვი ამბობს, რომ იბსენს ვაცხარებით უკრავდნენ ტაშს მთელი ევროპის რევოლუციონერები და განსაკუთრებით ანარქისტებიო. როგორც ეტყობა, თითონ პლენანოვსაც არა ერთხელ დაუკრავს მისთვის ტაში, თუმცა მარქსიზმის თეორეტიკოსი ანარქისტებისაგან ისე შორს იდგა, როგორც ზეცა დედამიწისაგან.

მაგრამ ეს იყო მსოფლიო ომის წინა დროინდელ ხანაში. დღეს კი რევოლუციების დროს, ასეთ ნაირად არ გვიტაცებს იბსენი და მისი სახელი საკმაოდ დაინრდილა თანამედროობით. რაშია საქმე, რითი აიხსნება ეს გარეგნობა?

ამ საკითხზე პასუხს მაშინ მივიღებთ, როდესაც დაახლოვებით მაინც გავცნობით ამ შესანიშნავი ადამიანის შემოქმედების ძირითად ხაზებს.

პენრიხ იზსენი დრამატურგია, მას აქვს დაწერილი ოცდა შვიდი პიესა, ყველა ეს პიესა გადათარგმნილია ევროპისა და აზიის თითქმის ყველა ენაზე. რამდენიმე მათგანი გადმოთარგმნილია ქართულ ენაზედაც, დაბეჭდილია უმთავრესად თეატრ ქურნალ „მოამბეში“.

იბსენის პიესები თავიდან ბოლომდე იდეოლოგიითაა გაქვნილი და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს კითხვის დროს. პიესის პირველ აქტიდანვე მკითხველი ავტორის მონად ხდება და სულს მოუთქმელად მიისწრაფის უკანასკნელ მოქმედებისაკენ. პირველ ნაბიჯიდანვე ავტორი თვალწინ გიყენებთ ძლიერ პიროვნებას, რომელიც ოსტატურათ არის გახლართული საზოგადოებრივ ცხოვრების ქსელში და რომელიც გმირულის სიმტკიცით და თავდადებით ებრძვის

მოზხამულ საზოგადოებრივ ატმოსფერას. რევოლუციონური სიტყვები, ვაბედული მოქმედება, იდეისათვის თავდადება,—აი იბსენის საყვარელი გამოხატვის სულიერი თვისებები.

იბსენის „ადამიანის აჯანყებულ სულს“ პოეტს უწოდებენ და მართლაც, მთელი მისი შემოქმედება—ეს მებრძოლი პიროვნების ყოცინაა და იერიშები ჭაობათ ქცეულ ბურჟუაზიულ საზოგადოების წინააღმდეგ. იბსენის ტიპები ებრძვიან ბურჟუაზიულ ზნეჯახრწინილებას, ორპირობას, უხასიათობას, ოპორტიუნიზმს. ეგოიზმს, მორალს. იბსენი მართლაც „აჯანყებული სულის“ პოეტი.

მაგრამ მარქსისტულის თვალსაზრისით ამ ეპიტეტის იბსენისათვის მითვისება ერთგვარი მეტაფიზიკოსობა იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ მარქსიზმს არ სწამს ადამიანი და მისი „სული“ გარეშე კონკრეტული პირობებისა, ქვეყანაზე არ არსებობს საზოგადოთ ადამიანი—განყენებული არსება, არა, ამ მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი უპირველეს ყოვლისა კლასიური არსებაა და აქედან უნდა იქნას შესწავლილი მისი „სულის აჯანყება“ და სიმშვიდეც. სტემებსა და ოპსტრაქციებს იძლევა ის მწერალიც, რომელიც ადამიანის მოცემას დროისა და სივრცის გარეშე შეეცდება.

აჯანყების უფლება და მიზეზი ყოველგვარი წრის ადამიანს აქვს, ამ თვალსაზრისით, სრულიად კანონიერია იბსენის ტიპების ბრძოლაც, მაგრამ საქმე კიდევ კონკრეტულ პირობებზეა და ჩვენს წინაშე ხელახლა ისმება ასეთი საკითხი: რა მიზეზია, რომ იბსენის პერსონაჟები დღეს ჩვენ არ გვაინტერესებს?

მწერალი სტილით გამოაცნობაო ამბობენ. ეს აზრი შესანიშნავად დაამტკიცა გოგოლისა და დოსტოვესკის სტილის განხილვით რუსეთის დღევანდელ კრიტიკოსებში სახელოზვევილმა პერვერზევემა. საზოგადოების რომელ წრიდან ასახულ პერსონაჟებს გვიჩვენებს ავტორი და რა სიტუციებით გვიხატავს მათ—თანაუგრძნობს თუ ჭკიცბავს? ამ საკითხის ნათელყოფა პირდაპირ გვაგებინებს მწერლის საყვარელ ტიპებს და იდეებს.

იბსენის პიესების მოამქმენდი პირნი არიან: ექიმები, მოხელეები, გლეხები, ბანკის დირექტორები, სტუდენტები, პასტორები, ვაჭრები, ხელოსნები, მეფეები მდაბიო მოქალაქეები და სხვა ასეთები. ეს ელემენტები ეკუთვნიან ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, მათი სასიცოცხლო ინტერესები მკიდროთაა გადანასკვლვი ამ კლასის საარსებო ინტერესებთან.

ექიმი შტოკმანი თავისი მდგომარეობით ბურჟუაზიულ წრეებიდან დამოკიდებული ინტელიგენცია, ნორა ბურჟუაზიული წრის ქალია, ბრანდი პასტორია, ბორკმანი ბანკის დირექტორია, რუბეკი მოჭანდაცეა და სხ. და სხვ.

ეს პიროვნებები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ მათ გარშემო არსებულ პირობების წინააღმდეგ და გააღმასებულნი ეკვეთებიან მათი პიროვნების შემბოკველ ატმოსფერას.

„სი ყვარულ ის კომედიია ში“ ჩვენ ვხედავთ უწმინდესი გრძნობის—სიყვარულის—საეაქრო საგნად გადაქცევას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. პოეტი

ფალკი უარყოფილია მისი სატრფოს მიერ მდიდარ კომერსანტებს, გაუფასურებელი-სათვის, რომლებმაც პოეტის იდეალიზმს და სიყვარულის პოეზიას დაეწვეს. მხრივ უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების იდილია დაუპირდაპირა.

„საზოგადოების ბურჯანი“ გვისურათბატებს იმ ორპირობას, ეგოიზმს, გამყიდველობას და გაუტანლობას, რომელიც მეფობს უმაღლეს საზოგადოების წრეებში. მდიდარი კონსულის ბერნიკის სახით იბსენმა მოგვცა ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწის სიცრუეზე აგებული კარიერა.

„ქაბუქთა კავშირში“ ვეჭილი სტენსგორი ასე ახასიათებს წვრილ ბურჟუაზიას: „ოჯახში გათახსირება და ზნეობრივი არარაობა. სკოლაში ვითომ ფრთას შლის აღმაფრენა, მაგრამ ქუეა, ხასიათი, ნებისყოფა, ნიჭი—ყოველივე ეს ცალკალკე მიიწევს. და რა გამოდის აქედან? პიროვნების გახლეჩა, გამობა და ბოლოს დაცემა.“

შეუბრალოდ ილუპებიან ადამიანთა პიროვნებანი წვრილი ბურჟუაზიის მიერ შექმნილ „ტიკინათა სახლებში“. ვეჭილმა პელმერმა წარმტაცი იდილია შექმნა თავის ოჯახში, არადფერი არ აკლია მის მეუღლეს ნორას, ჩიტის რძეც რომ მოინატროს, იმასაც კი მოგვრის მასზე უზრუნველი ქმრის დაუღალავი ხელი. ამავდროს ნორა გაგიყვებით უყვარს პელმერს... მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ეს სპობს და ანადგურებს ნორას პიროვნებას, ნორას „მე“-ს, რომელიც ერთიანად გაითქვიფა ოჯახურ ქაობში და ლამის არის საძულამოდ დაკარგოს ადამიანური აღმაფრენის უნარი. ბურჟუაზიულმა ოჯახურმა იდილიამ ნორა ტიკინად გადააქცია: ყოველივე იმის სამაგიეროდ, რაც მას მოსიყვარულს ქმარმა შესძლენა, ნორა ვალდებულია თავისი პიროვნება შეზღუდოს და ქმრი გასართობ ღედოფალად გარდაიქცეს, თავისი თავი სხვის საბედნიეროდ უნდა პყავდეს, იგი საშუალებაა სხვის გასაბედნიერებლად.

როდესაც უკან მოვიხედვად და ჩემს განვილ ცხოვრებას გადავავლებ თვალს, მე ვხედავ, რომ აქ გამოტარებია ჩემი სიცოცხლის სავალალო დღენი, — ეუბნება ნორა პოესის ბოლოში ქმარს, — მე მშენიერად მასმეღენ, მაჭმეღენ, მაქმეღენ და მახურავდენ, ჩემი საქმე იყო შენი გართობა და თავის შეტყუვა. აი რა პირობებში გაიარა ჩემმა სიცოცხლემ. შენ მთაწვედ ეს ავრე, ტორვალდ! შენ და მამაჩემი ბეგრ რამეში ხართ დამანაწეე ჩემს წინაშე. თქვენი ბრალია, რომ ჩემგან არადფერი გამოვიდა.

კოლქმართა ურთიერთობის თემას ამუშაივებს იბსენი პიესაში „მოჩვენებანი“. ბურჟუაზიული ქორწინება საშინელი ბორკლია ადამიანთათვის, ქალს ერთის საზომით განიხილვენ და მამაკაცს მეორეთი. აქ არ არსებობს სიყვარულის უანგარობა, ორი არსება სრულიად შემთხვევით უახლოვდება ერთმანეთს და თუ ქორწინების უღელში შეგებენ, მერე მათი დაშორება უდიდეს დანაშაულად ითვლება ფართო საზოგადოების თვალში, თუნდაც გარყვნილ და გათახსირებულ ქმარს, უფლება აქვს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სტანჯოს კოლის პიროვნება.

არსად, არც ერთ პიესაში იბსენი არ ღებულობს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის ყოფა-ცხოვრებას და ზნეობრივ კოდექსებს. ყოველ ფეხის გადადგმაზე გბრძვის იგი ამ საშინელ ქაობს, სადაც ერთგვარი თვით მტყველ-

ბის ფილოსოფიაც კი არის შექმნილი. „გარეული იხვი“ ამის მხატვრული განსახიერებაა. მდიდარი კომერსანტი და მექარხნე ვერლე, პარმენიძის თავიდან ფეხებამდე გაიხლართა ცხოვრების ბადეში, სიცრუის ფილოსოფიის ქმნის. დეე, სიყალბეზე იყოს აგებული ადამიანის ბედნიერება, დეე, სიცრუე მეფობდეს მის გარშემო! საქმე ის არის, რომ მან არ იცოდეს ყოველივე ეს, ვერ გრძობდეს ამ სიყალბეს და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდეს. არავის არა აქვს უფლება აუბილოს მას თვალბები, აწვევოს ჭეშმარიტება და მით სიცოცხლე მოუწამლოს მას. ასეთია ამ დრამის ფილოსოფია.

მაგრამ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ერთიანად ვერ ჩააღრწო უდიდესი მისწრაფებანი ადამიანის არსებაში და ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენ ვხედავთ მებრძოლ ძლიერ პიროვნებებს, რომელნიც თავდავიწყებით ეკვეთებიან მომზახულ სინამდვილის ზღუდეებს. იბსენის ყველა პიესაში სჩანან ასეთი მებრძოლი პიროვნებები, შეუბრალოდ იხრაკებიან საზოგადოებრივი სიყალბის, ეგოიზმის და გაუტანლობის ტაფაში. მათი არსება ვერ შეთვისებია არსებულ სისაძაგლეს, რომელიც მოსპობას უპირებს ყოველგვარ ადამიანურს და დაუზოგველ ომს უცხადებენ მას. ჩვენ აქ შეგვირდებით ორ შესანიშნავ პერსონაჟზე—ბრანდზე და ექიმ შტოკმანზე. ეს ორი პიროვნება და მათი ფილოსოფია იბსენის შემოქმედების მწვერვალებია, მათი ბაგებით და მოქმედებით გვისურათხატებს დრამატურგი თავის უსაყვარლეს იდეებს.

ბრანდი არის „აჯანყებული სულის“ პატრონი, რომელიც გმირულად მიაბიჯებს ცხოვრების მოედანზე და ყოველ ფეხის გადადგმაზე იბრძვის. მოვალეობა მოყვარის წინაშე,—ამ მისი დევიზი, თავისი თავი მას სხვებისათვის დაუნაცვლებია. არაფრის წინაშე იგი არ დრკება: თავისი მრველის კეთილდღეობისათვის იგი ერთად ერთ შეილსაც გასწირავს და საყვარელ მეუღლესაც გამოიმეტებს. მან არ იცის კომპრომიზები: „ან ყველაფერი, ან არაფერი“, ასეთია მისი პრინციპი.

ახალგაზრდურის ცეცხლით გულ ანთებულნი, მომყვით მე დეე, აღგავს თქვენმა სულის თქმამ დაყაყბული ცხოვრების მტერი. მე თქვენ წაგიფანთ გამარჯვებისგან. ადრე თუ გვიან უნდა გაიღვიძოთ, უნდა განიწმინდოთ და გაკეთილშობილდეთ, კომპრომიზების ჯაჭვები უნდა დალეწოთ. „იჩქარეთ გაქცეთ სულმოკლეობას და გაორების ქაობს, იფრინებთ მტერზე, გვეთეთ მთელის ძალღონით, ან სიკვდილად, ან სიცოცხლედ!“

ასე წარმტაცად მოუწოდებს ბრანდი წვრილ ბურჟუაზიულ ბრძოს, რომლის კეთილდღეობას ყველაფერი შესწირა მან, მაგრამ მაინც მარტო დარჩა და მაინც ვერ ამოიყენა გვერდით ვერც ერთი თანამებრძოლი წვრილ ბურჟუაზიულ ბრძოდან. ბრანდი განმარტოვებული დაილუპება მთის ნაპრალებში. ის უძლიერესი პიროვნებაა, რომლისათვის სრულებით არ არის საშიში საკვდილი, ოღონდ კი თავის ცხოვრების დანიშნულებას მიიღწიოს და ადამიანთა საკეთილდღეობთ მიმართულმა მისმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღოს. ბრანდი უსარგებლოდ დაილუპა, თუმც თავის იდეალებს თავგანწირვით ემსახურა.

სწორი იყო თუ არა მისი ბრძოლის მეთოდები?

ჯერ შევხვით ექიმ შტოკმანს და მერე დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

შტოკმანიც ძლიერი პიროვნებაა, მისი სიძლიერე დაფუძნებულია შექნიერულ საფუძვლებზე, მისი გული ისე მტკიცეა, როგორც მის მიერ შექმნილი მეცნიერული დასკვნა: ის აგარაკი, რომელიც საჩხო-საბადებელს აძლევს მრავალ-რიცხოვან მის მფლობელთ, მოწამლული წყლების ექსპლოატაციით არის მდიდარი. დაუყოვნებლივ უნდა დაინგრეს ყველა შენობა და, თუ არ გვინდა საექიმოდ მომავალ და სწულდებულთა ამოხოცვა, ეხლავე უნდა შეუდგეთ საქმეს. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ აბა ვინ სულელი იქნება წინ აღუდგეს და ეჭიმი შტოკმანიც მზადაა გამარჯვება იღღესასწაულოს. მაგრამ მწარეთ მოტყვილდა: აგარაკების დანგრევა და ხელახლა აშენება აუარებელ თანხას მოითხოვს და სახლების შეპატრონენი როდი აპირებენ ხარჯის გაწევას. დეე, მოწამლული იყოს წყლები, დეე, მორჩენის მაგიერ საიქიოს წავიდნენ ავადმყოფები, რა ენაღვლება წვრილ ბურჯებს, მის გაზეთებს და მისი ქალაქის თავს! ოლონდ ფული კი აიღონ და სხვას რას დაგიდევნ. იწყება საშინელი ბრძოლა ძლიერ ადამიანს—შტოკმანსა—და შეკავშირებულ უმეტესობის შორის. გამარჯვებული, რასაკვირველია, უმეტესობა გამოდის, შტოკმანი კი ბრანდივით განმარტოვებული რჩება და სრულებითაც არ იხრის ქედს ბრბოს წინაშე. იგი მზადაა ხელახლა მიიღოს გადაწყვეტი ბრძოლა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას „ჭეშმარიტება“.

ეს არის პიესის საერთო ხაზები, გავეცნოთ უფრო ახლო შტოკმანს. აი რას ამბობს იგი პიესაში:

ყველაზე უფრო საშიშარი მტერი ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის არის შეკავშირებული უმრავლესობა. უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი, დიას, არასოდეს! ეს არის საზოგადოთ მიღებული აზრი, რომლის გარშემო უნდა ილაშქრებდეს ყოველი თავისუფალი და გონიერი ადამიანი. ვინ შეადგენს უმეტესობას თვითულ ჭეყანაში? განათლებული ადამიანები თუ უცილები? რასაკვირველია, უცილები და ჩერჩებები. ასე არის მთელი დედამიწის ზურგზე, და განა საშიშროლიანია, რომ უცილები განაგებდნენ განათლებულთა ცხოვრებას?

შტოკმანს უსასტიკეს ბრძოლას უცხადებენ მის მიერ ასეთნაირად უარყოფილი თანამემამულენი და ისიც სრულიად გარიყული რჩება. „ყველაზე ძლიერი პიროვნება მთელ ჭეყანაზე ის არის, ვინც განმარტოვებულად დარჩენას შესძლებსო“, ამბობს ამ დროს შტოკმანი, რომელიც თავიდანვე ქადაგებდა რჩეული ადამიანების ერთგვარ თეორიას.

შტოკმანის პირით იბსენმა შექმნა დოსტოვესკისა და ნიცშეს ზეკაციის თეორია, იმ ზეკაცი, რომელსაც ყველაფრის ჩადენის უფლება აქვს. დასტოვესკის რასკოლნიკოვივით—ადამიანის მოკვლაც კი ეპატიება.

ჩვენ აქ მთავადეკით იბსენის ფილოსოფიაში შესასვლელ მთავარ კარებს. რჩეული ადამიანები, ზეკაები, აი მისი საყვარელი სახეები. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს თეორია იბსენის საკუთრებას არ შეადგენს: ამ იდენის სათავე დოსტოვესკის რასკოლნიკოვივით („დანაშაული და სასჯელი“) იწყება და გერმანელ ფილოსოფოსის ნიცშეს მოძღვრებით გვირგვინდება. ინდივიდუალიზმი და ზეკაცი—ეს არის ორი დიდი მოახროვნის შტირნერის და ნიცშეს საყვარელი იდეები, იბსენი კი ამ აზრების პოეტურად გამომსახველია, შტირნერი და

ნიცვე იმას ამბობენ ფილოსოფიაში, რასაც იბსენი მხატვრულად გვიშლის თვალ წინ თავის საჭეყნოდ ცნობილ დრამატულ თხზულებებში დაუგდოთ ყური რას ლაპარაკობს ექიმი შტოკმანი:

ბუნების მეტყველების საშუალებით მე თქვენ დავიტკიცებთ, როგორც ორჯელ ორი ოთხია, რომ „საბაღბო შიამბე“ უსინდისოდ სტაფის, „როცა თქვენ გეუბნებათ, რომ ბრბო, მასა, ხალხი—ეს მთელი ერის ნამდვილი და ჯანსაღი საძირკველია. ეს არის საგაზეთო სიცრუე და მეტი არაფერი. ბრო—ეს ის ნედლი მასალაა, რომლის საგანაც ხალხმა უნდა შექმნას ნამდვილი ადამიანები. და განა ამასვე არ ეხებათ მთელ ცხოველთა სამეფოში? შეადარეთ, თუ რა განსხვავებაა პირველ ყოველ პირუტყვთა ჯიშებსა და ბუნებრივის შერჩევის გზით გაუმჯობესებულ და გაჯუღტუროსნებულ იმავე სახის ცხოველთა შორის. მაგალითიანათვის მოგონეთ ზვეულებრივი სოფლელი ქათამი. რა მდარეფ ღირსებას ზარს იძლევა ეს საბრალო ქათამი ერთი ისიც ნახეთ, როგორ ავერცხებს დებს ეს უმწეო არსება ასეთივე სიდიდის კვერცხებს დებს უფველი წესიერი და თავისი თავის პატივის მცემელი გვეფიც კი აიღეთ და ეხლა შეადარეთ ამ საცოდავ ქათამს ისპანეთის, ან კობინისის უმაღლესი ჯიშის ქათამი, ან კიდევ ჯიშისი ხოხობი, ან ინდოური და აშკარად დანიშნულ განსხვავებას. ან თუ გნებავთ, ავიღოთ ძაღლები, რომლებთანაც ჩვენ ადამიანებს, აბღნი ნათესაობა გვაქვს. წარმოიდგინეთ ჯერ უბრალო ძაღლი, ბ. ი. მუნიო შექმული გლეხის ნაგახი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დაწინაულებს და კედლებს ეღწავს. და აი ეს ნაგახი დაუყვანეთ გვერდით ჯიშის ფინისს, რომლის წინაპრები არის-ტოკრატულ სახლებში იზრდებოდნენ, სადაც ისინი შერჩეულ საჭმელებს ჰამდნენ, ჰარმონიულ ხმებს და მუსიკას ისმენდნენ. ამ ჯიშის ფინებს, რომ ცირკში წრთნიან და ათსანიარ ფოკსებს აკეთებინებენ. უბრალო ძაღლი კი უბრალო ამის მაგარს ვერ შეითვისებს, ამაში დარწმუნებულნი იყავით.

ამ სიტყვების აზრი აშკარაა: იბსენის მიერ შექმნილი ძლიერი პიროვნებები ერთიანად ეწინააღმდეგებიან ადამიანთა თანასწორობის იდეას, უარყოფენ თანამედროვე დემოკრატიულ აზრებს და ქადაგებენ გონებრივ და ფიზიკურ არისტოკრატიზმს. იმითმია, რომ ბრანდი, შტოკმანი და სხვა მისი პერსონაჟები ცალკე პიროვნულ ბრძოლას აწარმოებენ და არასოდეს ისე არ დაიმდაბლებენ თავის, რომ „ბრბოს“ ამოუდგენ გვერდით. ხალხი, ბრბო მათ ხელში უბრალო მასალა უმაღლესი ტიპის ადამიანის ძიების გზაზე.

იბსენის და მისი პროტოტიპის ექიმ შტოკმანის აზრთა სიყალბე აქ აშკარაზე აშკარაა. აზრთა მეტყველების მეთოდი, რომელსაც ისინი მიმართავენ უდიდეს შეუსაბამობაზეა აგებული: დარვინის ევოლუციონური თეორია, რომელიც ცხოველთა სამეფოს წარმოშობა—განვითარებას შეეხება, აქ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაგვარებლად არის გამოყენებული და ლოლიკური აბსურდიც აშკარაა. ბუნების მეტყველების კანონები და ადამიანთა სოციალური ცხოვრება სულ სხვათადასხვა ტიპის მოვლენებია და მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა არ შეიძლება.

რანია საქმე, რისთვისაა, რომ აგრე იბნევა ეს დიდი მწერალი და ასეთ შეუსაბამო აზრებს გამოსთქვამს? იბსენი „აჯანყებული სულის“ მგოსანიო, ესთქვით. დავაკვირდეთ, რომელი წრის ანუ კლასის ადამიანთა სულის აჯანყებას გულისხმავს იგი? პასუხი აშკარაა: ყველა ეს ბრანდები, შტოკმანები და ნორები წერილი ბურჟუაზიის შეილებია და თავგანწირვით იბრძვიან თავისივე კლასის



მიერ შექმნილ წესებსა და ზნეობრავ კოდექსების წინააღმდეგ. ეს უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა: საზოგადოებრივ კლასს აღმოაჩნდა მსუქანი მკრთოვანი შეილები, რომელნიც ერთიანად ამაღლდნენ ამავე კლასის ეგოიზმზე, დაზვეს კვირადი ინტერესები და უკეთეს მომავლისთვის იბრძვიან. თავისივე კლასის გარეწარი (отщепенец) ეს სიმპატიური მოვლენა და ამიტომაცაა, რომ იბსენის ტიპები ხშირად გვიტაცებენ. მაგრამ ეს ალტაცება მაშინვე ნელდება, როდესაც ამ პერსონაჟების მეთოდებს და აზრთა შემდეგ განვითარებას ვეცნობით: ინდივიდუალიზმი და ზეკაცის იდეა მიუღებელია, ადამიანთა საზოგადოება ამ პრინციპით ვერ იხელმძღვანელებს. წვრილ ბურჟუაზიას ბრძოლის მეთოდებიც წვრილ-ბურჟუაზიულ ანარქისტული აქვს.

რა მიზეზია, რომ ასე თავგამოდებით იბრძვიან იბსენის ტიპები? რისთვის ვერ ეტყვიან ისინი თავისივე კლასის ფარგლებში, რისთვის ეზუთება მათ სული?

ბურჟუაზია, შედარებით რომ ვსთქვათ, ახალგაზრდა კლასია, ევროპის კონტინენტზე მისი ბატონობა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ იწყება. მაგრამ ტენიკოს ზღაპრულმა განვითარებამ საშინელის სისწრაფით განვითარა იგი და თანაც მისავე წიაღში წარმოშვა ახალი საზოგადოებრივი კლასი— პროლეტარიატი, —რომელიც თავიდანვე დაუპირდაპირდა კაპიტალიზმს, მისი მესაფლავეობა იკისრა. გარდა ამისა, კაპიტალისტურ სისტემას თანდაყოლილი აქვს ერთი მომაკვდინებელი თვისება—პერიოდული კრიზისები, რაც დამოკიდებულია წარმოებებში წინასწარი აღრიცხვის და გათვალისწინების შეუძლებლობაზე. პროლეტარიატის განვითარება და პერიოდული კრიზისები თავზარს სცემს ბურჟუაზიულ წარმოებას და მასზე დაყრდნობილ მთელ გაბატონებულ კლასს... და ეს შედარებით ახალგაზრდა კლასი სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში საშინელ ეკონომიურ და იდეურ წინააღმდეგობათა ქსელში გაიხლართა. მან არ იცის რითი დააღწიოს კრიზისებს თავი, და რითი იხსნას თავისი წესწყობილება პროლეტარიატის იერიშებისაგან. ამ ნიადაგზე იქმნება ურთულესი და უმძაფრესი გონებრივი მოძრაობა, შეიქმნა მთელი ფილოსოფიური და სოციალური სისტემები, წარმოიშვა ძლიერი ლიტერატურული მიმდინარეობანი.

ბურჟუაზიულ წარმოებას, უპირველეს ყოვლისა, კონკურენცია და დაუნდობელი ბრძოლა ახასიათებს, აქ მეფობს ეშვებ გალესილი ეგოიზმი. ადამიანი აქ შეგლია ადამიანისთვის.

ამ დაუნდობლობის ატმოსფეროში წარმოიშვა შტირნერის ინდივიდუალისტური ფილოსოფია, რომელსაც სწამს მხოლოდ პიროვნება და მისი ინტერესები. ნიკშეს ზეკაციც ამ ატმოსფერის ნაყოფია. აქვე აღიზარდნენ იბსენის შტოკმანები და ბრანდები.

ბურჟუაზიულ ურთიერთობის ტენიკური განვითარება ამავე დროს სპობსა დამიანის პიროვნებას და არარაობად აქცევს მას. ამ კლასმა ყოველგვარი ღირსება დაუკარგა ადამიანის პიროვნებას. ბურჟუა ყველაფრით ვაჭრობს. ფული და ფული, სხვა იდეალი მან არ იცის. მაგ: ამ ასეთ ატმოსფერას უძლებენ მარტო საშუალო ადამიანები, ხოლო მაღალ საფეხურზე მდგომთათვის ყოველივე ეს მომწა-

მეღელეა და გამანადგურებელი. ამიტომ არის, რომ ამ წრის ზეგნულად მობილი შეილი“ ებრძვის თავისავე „მშობელს“, ამისათვის აფასს ჯერჯერობა განსახლებულად თანაფარებით შტოკმანს და ბრანდს.

ეს პირები, უპირველეს ყოვლისა იმიტომ იბრძვიან, რომ შეინარჩუნონ თავიანთი პიროვნება, მათი იდეალი მთლიანი და თავის თავთან შეთანხმებული პიროვნებაა, რომელმაც არაფერ შემთხვევაში არ უნდა უღალატოს თავის თავს, მუდამ გაუტეხელი უნდა იყოს და თავგანწირულად უნდა უკვირდებოდეს არსებულ ბოროტებას.

ასეთის რეკეტით უპირებდა ომის წინადროინდელი ბურჟუაზია თავის თავს ექიმობას. მისი იდეოლოგიები და მოწინააღმდეგენიც ამ კლასს მთელ კაცობრიობად ასალებდნენ, ამიტომ მათი აზრით ნიცშეს ფილოსოფიას მთელი კაცობრიობა უნდა დაეტანა. იბსენის პერსონაჟებიც „საკაცობრიო იდეებს“ ქადაგებდნენ.

მაგრამ კაცობრიობას ბურჟუაზია არ წარმოადგენდა, იყო მეორე საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ერთა უმრავლესობას შეადგენდა და, კაპიტალისტურმა წარმოებამ კოლექტიური ფილოსოფიის მატარებლად გახადა იგი. ამ კლასსაც ჰყავდა თავისი იდეოლოგიები. უტოპიური სოციალიზმის დამარცხების შემდეგ ვასული საუკუნის 48 წელს ორმა მისმა უდიდესმა იდეოლოგმა, მარქსმა და ენგელსმა გამოაქვეყნა „კომუნისტური მანიფესტი“, რომლის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ არსებული ბურჟუაზიული წარმოება უნდა მოისპოს და მის ადგილას უნდა გაბატონდეს სოციალისტური წარმოება. ბურჟუაზიულ ეკონომიკას მოსპობს არა „გმირების“ ბრძოლა, არამედ კოლექტიურად შედუღებული მუშათა კლასი, რომელიც ისტორიის მიერ მოწოდებულია მთელი კაცობრიობის გარდასაქმნელად, ახალი აზროვნების და მორალის განსამტკიცებლად. შეკავშირებული მუშათა კლასი ის ძალაა, რომელმაც უნდა გარდაქმნას მთელი ჩვენი ცხოვრება, უნდა შექმნას ახალი საზოგადოებრივი ფორმები და უნდა გადაასხვადგროს მთელი მსოფლიო. ასეთია პროლეტარიატის იდეოლოგია.

ხოლო ეს მუშათა კლასი კი ნიცშესათვის ყოვლად უსაზიზღრესია არსებაა, მისი აზრით, ადამიანთა თანასწორობის იდეა, რომელიც ასულდგმულებს მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას, კაცობრიობის დამღუპველი და ყოვლად სამარცხენო იდეა არის. სოციალისტებს ნიცშე „განება დაილუნგებულ ფილისტერებს და ძმობის ფანატიკოსებს უწოდებს, ანარქისტებს ჭუჭაში მოწინააღმდეგე ძალებს ადარებს. სოციალიზმი, მისი აზრით, უსაშინელესი მონობის სიმბოლოა, ტრანზის ამხადებს და ადამიანის პიროვნებას განვითარების ვასაქმნს არ მისცემს. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორი აზრის იყო ამვე საკითხის შესახებ იბსენის გმირი შტოკმანი. აზრთა იგივეობა აშკარაა.

კოლექტივი და მასთან ერთად ბრძოლა არ სწამს არც ნიცშესა და არც იბსენს. ისინი ერთიანად ეწინააღმდეგებიან იმ სოციალურ ფორმულას, რომელსაც აღიარებს პროლეტარიატი. მართლა, მიზანი თითქოს ერთი და იგივეა: ორივე მიმდინარეობა ბურჟუაზიულ წესწყობილებას „ებრძვის“, მაგრამ ბრძო-

ლის საშუალებანი ისე სხვადასხვაა, რომ ბოლოს და ბოლოს მიზანიც სხვადასხვა გამოდის. ბურჟუაზიასთან ბრძოლა ზეკაცების საშუალებით უკეთესი ტიპების შესაქმნელად, — ასეთია ნიცშე-იბსენის ფორმულა. ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის დარაზმვის საშუალებით იმავე მუშათა კლასის განსათავისუფლებლად — აი მეორე ფორმულა. ამიტომ იყო, რომ პროლეტარული იდეის მიტარებელნი კარგა ხანს უკრავდნენ იბსენს ტაშს, მაგრამ ბოლომდის როდი გრძელდებოდა ეს ტაში: თანამედროვე ნებრძოლ პროლეტარიატს მოსწონდა იბსენი, რადგან იბსენის აზრები მიუღებელია მისთვის.

პლუხანოვი ამბობს: ანარქისტები კი თითქმის თავისად თვლიდნენ იბსენს და ყველა ჯურის რევოლუციონერებთან შედარებით ესენი უფრო ხანგრძლივის ტაშით აჯრღლივებდა მასო. მაგრამ იბსენმა ანარქისტებიც ბევრჯერ ჩააფიქრა. იგი ამბობდა: მე მწამს ერთად ერთი რევოლუცია — ეს მსოფლიო წარდგენ არისო. უნდა მოისპოს მთელი ამ ქვეყნიური სისაძაგლე და ისე უნდა აშენდეს ახალი ცხოვრებაო, ამბობდა იბსენი და ანარქისტებიც ალტაცებაში მოდაოდნენ. მაგრამ როდესაც იბსენმა განაცხადა, რომ მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულის აფეთქებას და არა პოლიტიკურ ფორმას, მაშინ კი მდგომარეობა შეიცვალა. მისი აზრით, ჩვენთვის სავალდებულოა ადამიანად გადაქცევა, ხოლო მოქალაქედ გახდომა სრულებით არ გვევალება. ყველაზე უფრო კარგი სახელმწიფოებრივი ფორმა რუსეთის თვითმპყრობელობაა, ვინაიდან იგი ადამიანში ბრძოლის ცეცხლს აღვივებსო, — მისწერა იბსენმა გამოჩენილ კრიტიკოსს ბრანდესს და ანარქისტებსაც ცივი წყალი გადაასხა.

ასეთი არის საერთო ხაზებში ის დიდი მწერალი, რომელიც ერთ დროს მთელ ევროპაში უდიდეს აზრთა გამძაფრებას უწყობდა ხელს. დღეს ჩვენ სხვა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ეს ცხოვრობთ და სხვაგვარ იდეალებისაკენ მივისწრაფით. ამიტომაც არის, იბსენის მხოლოდ მოგონებით ვკმაყოფილდებით.

„თეთრი საყლო“ და ხევსურეთი

საკავშირო აღწერის დროს მეც, როგორც ხევსური ექიმები გაწვეული ხევსურეთში აღწერაში მონაწილეობის მისაღებად. ავედი ხევსურეთში და შეუდგით აღწერას. გროვდება მრავალი ახალგაზრდობა, რომლებიც შეკითხებიან, შენ გეცოდინების ვინ დასწერ წიგნი „თეთრ საყლო“. მე უთხარი — მაგ წიგნის ავტორი არის მიხეილ ჯავახიშვილი. შეკითხებიან შენ რას ხეიქრობ მაგ წიგნზე და დასწერზე? რა უნდა ვიფიქრო? — ის უნდა იფიქრო, ხევსური ხარ და აქაური ზნე-ჩვეულება და ყოფა-ცხოვრება ხო იცი, მისწერე სინამდვილე ამ ჩვენი წესებისა, თუ არა ჩვენ ამას არ მოვითმენთ, ჩვეალთ თბილისში მოვქებნით იმ კაცს და დასამტკიცებლად პასუხს მოვთხოვთ, თუ არ მისწერ შენც ნულარ გაივლი ხევსურეთში და ნურც სხვა შენისთანა მაწანწალები, შენც დახვიდოდი სწერდი აქაურ ამბებსა და ლექსებს, ჩვენ არც შენ განდობთ გულს, იქნება შენც ეგეთ რა დასწერ, როგორც ის გვილაბავს ზნე-ჩვეულებას, ენას, თავმოყვარეობას და სულიერ სიამაყეს, უნდა დასწერ, უნდა, ამბობენ ხევსურნი.

მე დავთანხმდი დაწერაზე, უთხარი, მე არ შემიძლიან იმ განვითარებულ ადამიანს პასუხი გავეცე, მხოლოდ ამ წიგნში რაც ტყუილი და არაწმინდა ნაწერი არის კი დავეწერ სიმართლეს, როგორც ადგილობრივი და ყველა აქაურის მკოდნე კაცი. წიგნი ხელში ექირათ და კითხულობდენ ასოების თვლით, ზედ უმატებდენ — არ მოვითმენთ ასეთ შეურაცხყოფას არ, ხევსურეთი ამბურებულაია, აზოჩქორებულაია და კიდევაც იქნება მაგ ავტორის წინააღმდეგ.

* * *

ავტორის მიხყავს ინიენერი ალახანზე, ადის ბორბალოზე, რომელიც აერ-თებს თუშ-ფშველებს და ქისტებს არის ძალიან შორს მოშორებით ხევსურეთის პატარა სოფლები, რომელიც ეკუთვნის შატილს. შატილი, გურო, კისტანი, ლეხაისკარი, შუკუ, არდოტი, ხახაბო, ავტორს კი აქ მოხყავს არხოტის ხეობა და წიკლაურების გვარი, რომელიც მდ. არავის სათავეს ეკუთვნის და არა ალახნისას, მოხყავს ლაშარის ჯვარის ხატობა, რომელიც არხოტის თემს არცკი ყურით გაუგონია, ეს სალოცავი ეკუთვნის ფშველებს, უკანა-ფშვეში. მოხყავს ხევსური ჯურხა, კაცის მკვლელი გამოქცეული ხევსურეთიდან ჩამოდის თბილისში, იქ დახვდება თოთია ცოლ-შვილით. ბოლოს ჯურხა ირთავს თავის ნა-

თესავს მზექალოს, რაც ყოველად შეუძლებელია. მეორე ფარ-ხმლით სჭრიან ერთმანეთს, და კრილობაში აწეობენ ქერის მარცვლებს. საკვინოცნობა კაცი თბილისში ჩადის ამისთანა გზებზე არ ვარდება, არ კვდება, იმდენად სარულ ქვევზე არის, და იქ ჭალაქში ისეთი გიყი გაცივდა რომ მარცვლები კრილობაში ეყარა და ტკივილებს ველარა გრმობდენ. და ხან გიყივით მთვარეში იქნეოდენ ხმლებს, მერე ისეთი გიყი ჯურხა მიდის საზღვარგარეთ სწავლის შესაძენად ბრუნდება და აღის ისევ ხევსურეთში, და რჩება ისევ უსწავლელად.

მარცვლების დაწყოების წესი:

ხევსურეთში ჩხუბის დროს დაიკრება კაცი, მარტო პირისახეზე იზომება მარცვლებით, და არა სხვა სხეულზე, იზომება წყრულის განკურნვის მეორე წესიწადს; იმიტომ რომ ერთ წელიწადს ნაწილი კრილობისა გაიკურნება კარგად და აღარ შეიწმენება, რაც რჩება, ის იზომება ძაფით, ძაფი იდება ქვაზე, ქვა იხაზება იმ ძაფის ზომაზე, და ეწყობა თითო ქერის მარცვალი და თითო წმიდისა შუა და შუა ნაპირებზე გამოაკლდება ორი მარცვალი და რაც რჩება, თითო მარცვალზე დაშკრული დაჭრილს აძლევს ხუთ მანეთს ფულს. ავტორი ხევსურეთში კლავს კაცს დათვიას და ხევსურები კაცნიან და უმაღლიან კიდევ, და აძინებს ისევ მკვლელს ჩრდილოში თავისუფლად და უდარდელად. არც ეს შეიძლება ასე ადვილად, ასე რომ იყოს ზომ სულ მთელი ხევსურები ამოხოცავენ ერთმანეთს, მკვლელი მთელი თავის გვარით და ნათესაობით იმათის ჩვეულებით უნდა გადინიზნოს სხვა ქვეყანაში, ნებდება თავი მის სახლკარს და მამულს, სახლი ღებება და ინგრევი, იქერს შიგ უძრავ-შოდრავ ქონებას, რჩება ყანები მოსამკალი, ასე რომ ხელს ვერაფერ ვერ ახლებს მკვლელის უძრავ-შოდრავ ქონებას. მოკლულის დასაფლავების დღეს შუაკაცები იქნებიან პრავალი სოფლის მცოდნე ხალხი, იმათის შუამავლობით დაზარალებულს ეგზავნება პირველ შემთხვევაზე ერთი საკლავი, ერთი სამი წლის ხარი და ხუთი ლიტრა სპილენძი, გამოასვენეს მიცვალბული კარზე და ამ დროს კიდევ მოდის ერთი საკლავი, დაასაფლავებს და ერთი საკლავიც მაშინ იკვლება, იგზავნება ერთი საკლავი წისქვილის სამხსნელო რომ დამნაშავეს ნება მიეცეს დაზარალბულისგან წისქვილს დაფუქვისა, იგზავნება ერთი საკლავი სათიბად გასელის შესახებ. დამნაშავე გვარი დაზარალბულ გვარს აძლევს ერთ კურეტს და ხუთ-ლიტრა სპილენძს სამოსს, დამნაშავის უნათესაო სოფელი უგზავნის დაზარალბულის უნათესაო სოფელს ერთ საკლავს, დედიშას დაზარალბულისას უგზავნის დამნაშავე ერთს ორი წლის კურეტს, საკლავს და ხუთ ლიტრა სპილენძს. დაზარალბული იღებს ხუთ ძროხა არბითს, შემდეგ პირებისაგან, თუ ვინმე მოკვლის დროს მონაწილეობა მიიღო ან ენით ან ხელით და სხვა, თუ ასეთი დამნაშავე არ აღმოჩნდა ზღავს ის ვინც ჩხუბის დროს იქ იყო და არ გააშველა, ბოლოს ის ზღავს თუ ვისიმე კარები ღია იყო ჩხუბის დროს და გასაშველებად არ გამოვიდა. მკვლელმა თუ იმღერა ან იცეკვა ან ლხინში ჩაერია და ეს გაიგო დაზარალბულმა, უნდა ყოველივე ესეთ შემთხვევაზე დამნაშავემ გადაიხადოს ხუთი ძროხა, გადაიხსნულები იმალებიან ისე რომ არც იქ გამოდიან დღე კარზე, ვაი თუ დაზარალბულის პატრონებმა შეიტყვეს ჩენი აქ ყოფნა, ჩაგვი-

საფრედებიან და მოგვეკლავნო. ხშირად ხდება ჩასაფრება და სროლა. სროლის დროს თუ ააცილეს ვისაც ესროლეს, რადგან ის ძველი ბრძოლველია კიდევ იქვე გზავნის ერთ საკლავს, ისენი ბრუნდებიან შინ, თუ მოკლა კი გარბიან და გადიხეწებიან, ბოლოს მკვლეელი აძლევს ხუთ ძროხას, რომელსაც ხქვიან საუკუნ მამკედრო. ისევ უკან დავბრუნდეთ, მკვლელის ნათესაობა ერთი წლის მემრე ხარზავს ხუთი საწყვის ლუღს, (საწყავი ქერი ღდრის ერთ ფუთს) მიდის რომელიმე პატივცემულ ხატში იმ სოფელში, სადაც მოკლული იყო და შუაკაცების ძალით ურიგდება დაზარალებულებს თან მიხყავს კურეტი და საკლავი და ხუთი ძროხა. ხატები ხეესურეთში ყველა სოფელში არის თავთავისი, სამი წლის მემრე თვითონ მკვლეელი იქცევა ესეთივე წესით, რომელსაც ჰქვიან პირს შესამყრელო. მხოლოდ მკვლეელი ერთი წლის თავზე მიიპარება საიმედო ახალგაზრდებით, მიხყავს ხარი და ხუთი ლიტრა სპილენძი და მიდის იმათ ხატში, აწყობს იქ სპილენძს, აბამს ხარსაც ხატში და გაიპარება ისევ ღამე, ეს ამბავი იცის სოფელში ვინმე სხვა გვარის კაცმა, მიდიან დილას, კვლენ ხარს და აწყობენ სპილენძს სახატოდ, რომელი ეს შემდეგ აკრძალულია.

ხატის ძალით დამნაშავეს მოკლა ამას ხქვიან ჯვარში შაჯდომა, როცა პირს შასამყრელო ექნება როგორც ზემოაღწინში, მერე ყოველ წლით დამნაშავე გზავნის ერთ საკლავს, კიდევ თუ მოკვდა ვინმე დაზარალებულის გვარში მაშინაც გზავნის ერთ საკლავს; მხოლოდ იქნებიან საბოლოოდ მონებად დამნაშავეს გვარი დაზარალებულის გვარისა საბოლოოდ. ასე რომ იმათ ნება დაურთავად ვერაფერს ვერ გააკეთებენ, ეს ყოველივე შუაკაცების თხოვნით იქნება და დიდის ამბით, ესე ადვილად კი არა როგორც შე აღწინში. აეტორა კი ისე აადვილებს იქ კაცის მოკვლას, ვითომ არაფერი ყოფილიყოს.

ავტორს მოჰყავს ხეესურეთში წაწლობა. ჯერ ეს რომ სიტყვა წაწალი ხეესურეთში არ არის, ხეესურს სიტყვა წაწალი მიანჩია დიდ შეურაცხყოფად, ესე რომ შესაძლებელია ამ სიტყვაზე კაციც მოკლას. ხეესურეთში არის სიტყვა სწორფერი. მემრე აძინებს ტიტველ ქალთან, რომელსაც მკითხველი თვითონ მიხვდება მაგის შეუძლებლობას, ვისაც კი გაუგონია ხეესურეთი, ხეესურეთში ქალისა და ვაჟის თავმოყვარეობა, თავშენახულობა და სხვა... ხეესურეთში ქალი და ვაჟი იძინებენ ერთ ლოგინში, ეს მართალია, ეს შემდეგის წესით:

ქალისა და ვაჟის გაცნობა შეიძლება შუაკაცით, რომელსაც ქვიან ელჩი, ელჩი ქალსაც შეეკითხება და ვაჟსაც გაცნობის სურვილს, და ორივე თუ თანახმა არიან, ელჩს მიჰყავს ქალი ვაჟთან. ისინი იძინებენ ერთ ლოგინში, აძლევენ ალთქმას დამურ სიყვარულზე ერთმანეთს, შეუძლიან დაწოლა შემდეგის წესით:

პირისახე ექნება პირისახესთან, დანარჩენი ტანი მოშორებით, შეიუძლიან ტკბილი ალერსი, იშვიათი დამურა კოცნა და ტკბილივე პატროსანი ლაპარაკი, წვებიან ხეესურული შალის პერანგით და კაბით, ქალის კაბას აქვს ერთი შესაკრავი ღილი საყელოში, რომლის ახლოს არც ხელი მიეკარება ვაჟკაცისა და არც პირისახე, რომლის მაგალითი ჯერ არ ყოფილა ხეესურეთში. ავ-

ტორი ასურათებს, ვითომ ძუძუებს არც კი მალავდნენ, ეს ხევესურეთისთვის დი-
დი შეურაცხყოფა არის, ხევესურის ქალი ისე დაბურდება და მოქუცდება რომ წარ-
და მაწოვარი შეილისა ვერც ხელს შეახებებს ვინმე და არც თვალს. ხევესურის
დედაკაცი აწოვებს შეილს ისე რომ შეილს აქვს გადაფარებული თავზე კა-
ბის ნაწილი, რომელსაც ქვიან ფარავი. ეს სირცხვილის თავდაცვის გულის-
თვის, რომ მოწოვების დროს თვალთ არავინ დაინახოს. სწორფრობა შეიძლება
გათხოვებამდნენ, და ცოლის მოყვანამდინ, ბოლოს სწორფერი რჩება დამწურად-
ვე, რომელნიც თავის სიცოცხლეში როგორც ღვიძლი დამა ისე პატივს სცემენ
ერთმანეთს. ხევესურეთში, ასურათებს ავტორი, ვითომ მკბენარი ყოფილიყოს. არც
ეს არის სინამდვილე, ხევესურულ შალის პერანგს, პაერს და წყალს, და ხევესუ-
რულ თავმოყვარეობას მკბენარი არც მიჰყარებია და არც მიეკარება. პირიქით,
ხევესურები სხვა ერებს უწოდებენ ტილიანს. — ცოლქმართ შეუღლება შეიძლება
შემდეგის წესით: ცოლს დანიშნავს ვინმე სხვა, ან ბიძა ან მამა, და ან სხვა უფ-
როსი კაცი, ახლო ნათესავი ისე რომ ქმარს არც კი ვაუჯია. ასეთისავე წესით
იქნება ქორწილი, რომ ქმარი და ცოლი ერთმანეთს არ ნახვენ. კიდევ
წლების გამომავლობაში ცოლი ქმარის თვალწინ არ გაეგლის და არც ხმას გა-
სცემს. შემდეგ, ისევე ელზით, ან დედამთილი ან ქმრის და, ერთსაც სთხოვს და
მეორესაც გაცნობის შესახებ, და მიჰყავს ცოლი, ისეთი სიფრთხილით და ჩუ-
მად რომ იმ ოჯახში მეორეებმა არ შენიშონ, ისეთი კიდევ არიან დამპურის
წესით რამდენიმე წლით, როგორც მუღლლე, ცოლი იშვიათად იძინებს ქმართან,
დანარჩენ ოჯახის წევრების შეუმჩნეველად. ავტორი კი ასურათებს, ვითომ ქმა-
რი სახალზოდ დაუძახებს ცოლს, (კუს თუ გეკუსებისავე) ეს ადამიანებში კი არა
და მხეცებშიც არ მოხდება, ეს სიტყვა არ ვიცი ავტორმა სად შეიძინა და ან
როგორ იკადრა ესეთი უმსგავსო სიტყვების წერა, რომელიც ხალხის გათახსი-
რებას ნიშნავს. ავტორი, მართლაც რო ვთქვათ, ხევესურეთს ბევრნაირად ამა-
ხინჯებს, ენა ხომ სრულობით არ არის ამ წიგნში ხევესურულის მსგავსი. მე არ
ვიცი, ეს რა ენაზე არის ნაწარმოები.

მე მგონი ადამიანი უნდა გვეცნოს ჯერ ადგილმდებარეობას, შემდეგ ზნე-
ჩვეულებას, შემდეგ ენას ხალხისას და მაშინ შეუძლიან დასწეროს სინამდვილე. მე
მიკვირს შეგნებული და განვითარებული ადამიანი ასე შეუფერებლად რად უნ-
და იხსენიებდეს ერთ-ერთ ქვეყნის კუთხეს, იმის მაგიერ, რომ უნდა სკდილობ-
დეს ხალხის კეთილდღეობას ზნე-ჩვეულების ნამდვილ ცოდნას და შესწორებას,
ესე კი არ ხდება და პირიქით, ყველაფერი დამაბინჯებელია.

ავტორი ხევესურეთში იხსენიებს ქალის გათხოვებას ვითომც ელბსარს,
ინეინერს ქალის პატრონებმა ორმოცი ძროხა ურათი მისცეს, ხევესურეთში არც
ქალს მიაქვს რამე ურვათი და არც ქალის მშობლები იღებენ, ეს ჩვე-
ულებები არის ქისტებში და ქისტები კი ქმარი აძლევს ურათს ქალის პატ-
რონებს ორმოციდან ას თუნამდე, ხევესურეთში კი ქალს მიაქვს მარტო თავის
ხელით გაკეთებული ტანისამოსი და მეტი არაფერი. ვისაც სურს ხევესურეთის
ზნე-ჩვეულების აწერა და გაცნობა, უნდა იცხოვროს რამოდენიმე წელიწადი ან
თვეები ხევესურეთში და სწეროს ადგილობრივ ყოველივე, და მაშინ შეიძლება

ეკოდინოს ცოტაოდენი სინამდვილე მაინც, თუ ამას ვინმე ჩვერნე შესძლებს, არიან თვითღისში ისეთი პირები, რომელთაც აქვს ხევისურუღის ნაწერები ათეითონაც უმზავრია ხევისურეთში, აქვს ადგილობრივ ნაწერები და თვით ნაცნობი წერვა-კითხვის მცოდნე ხევისურებიც, სწერენ და უგზავნიან თავის ხევისურულ მასალებს დასაბეჭდათ.

ესეთი პირნი არიან: აღმოსავლეთის ენების პროფესორი აკაკი შანიძე, რომელმაც ერთი წიგნი უკვე გამოსცა ხევისურული მასალები, ბესარიონ გაბური მეორე, ხევისურეთის ნამდვილი მცოდნე არის. მასწავლებელი ნიკო მაკალათია, რომელმაც იცხოვრა ერთი წელიწადი ხევისურეთში და აქვს ყოველივე აწერილი სინამდვილით. არის კიდევ რომელსაც აქვს ნაწერებიც და იცნობს ხევისურეთს, ვინმე ქართველი ქალი ქრისტინე შარაშიძე, და აი, ესეთი პირებისაგან შეიძლება, შეიძინოს ადამიანმა ხევისურული ენაც და ყველაფერი, თუ ესეთიც ვერ შესძლო და ვერ შეიძინა ადამიანი, ჩემის აზრით არ უნდა ატუტყვიანებდეს, იმ კუთხეს, რომელიც თვალთაც არ უნახია. *)

*) საშუალებას ვაძლევთ ავტორს გამოსთქვას ახრი „ეთერი საველოს“ შესახებ. წერილი იბეჭდება უცვლელად, ავტორის სტილისა და მართლწერის დაცვით.

ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის

ერთად საინტერესოა ი. სურგულაძის ნაშრომის ხელისუფლება და სამართალი* შეთოდოლოგიური ნაწილის განხილვა. ჩვენ გვინდა მოკლეთ აღვნიშნოთ, თუ რაში მდგომარეობს ამ შეთოდოლოგიის თავისებურება. ასეთი ანალიზი მით უფრო საჭიროა მიგვაჩნია, რომ ერთად-ერთი იურიდიული მონოგრაფია ჩვენი უნივერსიტეტის მოღვაწისა, სამწუხაროდ, დაწერილია მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელ ენაზე (გერმანულ ენაზე).

ჩვენ არ ვაპირებთ, ჩვენი აზრი გამოვსთქვათ ხელისუფლების და სამართლის პრობლემის შესახებ. არც ის გვაქვს მიზნად, რომ მკითხველს გავაცნოთ სამართლის სხვადასხვა თეორეტიკოსების შეხედულება ამ საკანზე. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ—რა შედეგის მიღება შეგვიძლიან ჩვენ, თუ ავტორის მონოგრაფიის ძირითად დებულებებს ლოკურად განვაერთარებთ. მოკლეთ, ჩვენი მიზანია პატივცემული ავტორის მეთოდოლოგიის ინანენტური კრიტიკა.

რაში მდგომარეობს ავტორის მეთოდი? რა და რა დებულებაა მის სისტემაში აღიარებული ძირითად დებულებად?

მონოგრაფიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, თუ რა უმწეო მდგომარეობაშია სამართლის მეცნიერება, რომელსაც აზრთა სხვადასხვაობა და მეთოდების ბრძოლა ახასიათებს, და გამოკვლევის მე-2 გვერდზე ამბობს:


შემდეგში ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ, რომ ის მოვლენები, რომელთაც სახელმწიფოში, როგორც მთლიანობაში, ვხვდებით, არსებითად ონთოლოგიური ხასიათის შინაგან სხვადასხვაობას ააშკარავენს. სახელმწიფო, როგორც ერთი სოციალური ერთეული და სახელმწიფო, როგორც განსახლებული სისტემა სამართლებრივ მოწესრიგებისა (აქ ეს სისტემა გვქმნის არა მოწესრიგების პროცესის აზრით, არამედ, როგორც უკვე არსებული სამართლებრივი მთლიანობა) წარმოადგენს არა რელატიური სხვაობის უბრალო სახელმწიფოს ერთსა და იმავე ინილიოლოგიურ რიგში, არამედ ყოფის (Sein-ის) ძირითადი კატეგორიების სხვადასხვაობის დასახელებას.

შემდეგ ავტორი იძლევა სოციოლოგიურ თეორიის მოკლე ანალიზს და აღნიშნავს:

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ამ მეცნიერული კონსტრუქციების მიზნდება და ფასი შევამცოროთ. ყოველ ექვს გარეშეა, რომ სოციალური მოვლენები, სახელმწიფოს ცხოვრების შინაარსს ქმნიან. ამ აზრით სახელმწიფო წარმოადგენს რთულ სოციალურ ფენომენს და ამ შორის ის ბუნებისმეტყველების მეთოდით უნდა იქნეს შესწავლილი. მაგრამ სოციალურ პროცესთა შვაში, რომელთაც ადგილი აქვთ სახელმწიფოში, საესებით ვერ ამოწერავს სახელმწიფოს შინაარსს.

ესე იგი, ავტორს სურს სთქვას, რომ სახელმწიფო გვევლინება როგორც სოციალური ფენომენის, ისე სამართლებრივი ინსტიტუტის სახით:

*) იხილეთ: ი. სურგულაძე: Gewalt und Recht. ტფილისის უნივერ. გამოცემა.



სახელმწიფო ამ მეორე მნიშვნელობით არ შეიძლება შესწავლილ იქნეს ბუნების-მეტყველების „მეთოდის საშეღებოთ“ (გვ. მე-3).

საქმარისია დაუშვათ, — ამბობს ავტორი, რომ სახელმწიფო, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, შეიძლება შესწავლალ იქნეს ბუნებისმეტყველების მეთოდით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ დაპყარგოს ყოველივე მნიშვნელობა და აგრეთვე უფლებაც არსებობისა.

იმ თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოში ბუნებრივი პროცესების გარდა ვერაფერს ხედავენ, უნდა ითქვას, რომ არც ერთი ძირითადი ნიშანი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს ახასიათებს, არ შეიძლება განიხილული იქნეს ამ თეორიებით.

და ამით აიხსნება ისიც, რომ ყოველთვის, როდესაც ამ ბუნებისმეტყველების მეთოდის (რომელსაც ალბათ სოციოლოგიასაც აკუთვნებს ავტორი) წარმომადგენლები პირისპირ ხედებიან სამართლის საკითხებს, ცდილობენ ან გვერდი აუხვიონ მათ, ან და, თუ მათ დაძლევას შეუძლებიან, ააშკარავენ მათთვის სრულ უძლეობას.

ზოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამართლ-დებულებათა ჯამი (die Summe der Rechtsätze), რომლისკენაც იქმნება სამართლებრივი მოწესრიგების სისტემა, წარმომადგენს არა ფაქტობს, არამედ სპეციფიურ სინამდვილეს, რაც უშუალოდ მოცემულია ჩვენი შემყენებისათვის. და ეს სინამდვილე უნდა გამოიყვლიოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერებამ (გვ. 6).

აქ ავტორი სავსებით გარკვეულად ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების სავანი სამართალია (ან ნორმათა სისტემა), რაც თავისი ბუნებით სავსებით განსხვავდება იმ საგნობრივი შინაარსისაგან, რომელიც შესწავლილ უნდა იქნეს სოციოლოგიის საშეღებით.

მხოლოდ ამ განსხვავების სრულ შეგნებას შეუძლიან, დაასახუთოს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების დაბოლკიდებლობა (გვ. მე-6).

სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, ისე როგორც ყოველ თეორიულ დისციპლინას, აქვს თავისი სავანი, რომელიც არ შეგვიძლიან სოციოლორიდან გამოვიყვანოთ, ამბობს ავტორი, და დისძენს:

აქედან ირცე ეხადია, რომ მეთოდი, რომელიც აქ უნდა იქნეს გამოყენებული არ სებითად უნდა განსხვავდებოდეს ბუნებისმეტყველების მეთოდისაგან, ვინაიდან ეჭვს გარეშეა, რომ მეთოდოლოგიის სავადსავაობა შეიძლება მხოლოდ გამოსაკლვდ მოვლენათა საგნობრივი შინაარსის სხვადასხვაობაზე იქნეს დაწყობებული (გვ. 6-7).

აი ამ მოსახრებით ავტორისათვის მიუღებელია კელსენის მეთოდი, მიუღებელია ელინიეცი, რომლის თეორიის თანახმად ერთი და იგივე სახელმწიფო შეიძლება შესწავლილ იქნეს სხვადასხვა თვალსაზრისით. თვალსაზრისი და მეთოდი კი არ ქმნის ავტორის აზრით სავნის თავისებურებას; ერთ სახელმწიფოში მოცემულია ორი სვადასხვა ბუნების შინაარსი, რომელთა სხვადასხვაობაც ქმნის თვალსაზრისთა, მეთოდთა და მეცნიერებათა სხვადასხვაობას. უარყოფს რა ფორმალურ-ლოგიკურ მიდგომას სახელმწიფოსადმი, ავტორი ამბობს:

ჩვენ შევძელიან სავსებით დავსახუთოთ, რომ განილვის თვალსაზრისის (Betrachtungswaise-ს) ფორმალურ-ლოგიკური მომენტები კი არ არის აღებულ მეცნიერებათა სხვადასხვაობის სავფრველი, არამედ სავნის ობიექტობრად არსებული სხვადასხვაობა (გვ. მე-11).

თუ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა ბუნების შინაარსია, რომელ შინაარსს მიეკუთვნება ხელისუფლება? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა სავსებით გარკვეულ პასუხს:

როგორც აღვნიშნეთ, ამბობს ავტორი, სახელმწიფოს სოციოლორი მხარე ნიშნავს საზოადობრივი ცხოვრების ერთ ფორმას. თუ ზომიელთან ერთად მივიღებთ, რომ (über- und unterordnung არის სახეობანი, რომელთაგან საზოადობა წარმისგდება... ჩვენ შევძელიან წინააღმდეგობა (Gegensatz) სახელმწიფოს სოციოლორი

და სამართლებრივ შინაარსთა შორის გამოვჩაგრეთ ხელისუფლების და სამართლის ცნებაში რათა სწორედ იქნეს გაგებული ის ურთიერთობა მათ შორის, რომლის საშუალებითაც იქმნება კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოში როგორც მთლიანობისა (გვ. 14—15).¹⁾

ამგვარად, ხელისუფლება გადატანილია სოციოლოგიის საგნობრივ შინაარსში, ე. ი. იმ სფეროში, სადაც, ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არ შეგვიძლიან ვეძიოთ სახელმწიფოთა სამართლის მეცნიერების, საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ანუ სამართალი.

ხეშო აღნიშნული ციტატების ძირითადი აზრი მონოგრაფიაში ხშირად მეორდება, ალბათ იმ მიზნით, რომ ავტორის დებულებათა შეთვისება მკითხველისათვის გაადვილებული ყოფილაყო, მაგრამ ყველა შესაფერისი ადგილის მოყვანა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ავტორის მეთოდოლოგიის გასაგებად ჩვენი ამონაწერებიც საკმარისია. მართლაც, მონოგრაფიის იმ ადგილებიდან, რაც ჩვენ აქ მოვიყვანეთ ცხადი და უდაოა რომ:

- 1) სახელმწიფო თავისთავად ერთი საგანია (ერთი მთლიანობა);
- 2) სახელმწიფო შეიცავს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ და სრულიად განსხვავებულ შინაარსს—სამართლებრივს და სოციალურს;
- 3) საგნობრივი შინაარსის ამ ონთოლოგიურ განსხვავებაზე დამყარებული სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისა და სოციოლოგიის განსხვავებაც;
- 4) სოციალური და სამართლებრივი, როგორც დამოუკიდებელი საგნობრივი შინაარსი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა, ერთმანეთს უპირისპირდება;

5) სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სპეციფიური სინამდვილეა, რომელიც სამართალდებულებათაგან (Rechtsätze) იქმნება ანუ რაც იკვება, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია;

6) წინააღმდეგობა, დაპირისპირება სახელმწიფოს სოციალურ და სამართლებრივ შინაარსს შორის შეიძლება ხელისუფლების და სამართლის ცნებით გამოიხატოს;

7) სოციალურის (რომელშიაც ავტორი ათავსებს ხელისუფლებას) და სამართლებრივის ურთიერთობით იქმნება სახელმწიფოს, როგორც მთლიანობის, ცხოვრება.

აი ავტორის ყველა ძირითადი დებულება. მათი ანალიზის საშუალებით ჩვენ შევეცდებით ნათელყოთ თუ რა დასკვნების მიღება შეიძლება ავტორის მეთოდოლოგიიდან.

ავტორი აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება მხოლოდ სახელმწიფოს ერთ მხარეს იკვლევს. მაშასადამე, იურისტა ან, ვსთქვათ, სახელმწიფო სამართლის თეორეტიკოსი, რომელიც ავტორის მსჯელობას უნაკლოდ სცნობს, ყოველთვის უნდა გააოდიოდეს იმ ძირითადი დებულებიდან, რომ აი თითქოს არსებობს ერთგვარი მთლიანობა—სახელმწიფო, და მხოლოდ ერთი მხარე ამ სახელმწიფოს შეიძლება იყოს იურიდიული exigatio-ს საგნად. მაგრამ განა შესაძლებელია, რომ სახელმწიფოს, რომელიც იურიდიული ვაგების საგნად არის აღიარებული, ჰქონდეს ისეთი მხარე, რაც იურისპრუდენციის შეს-

¹⁾ ძნელი არ არის იმის დამტკიცება, რომ „ეს ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“, რომელზედაც ავტორი დაპირაკობს, და ის „Über-und-untersordnung“, რომელზედაც გ. ზიმელი მოთხოვს, სამართლისაგან დამოუკიდებელ სფეროს ეს არ წარმოადგენს, არამედ ეს ცნებანი ნორმისა, სამართალს გულისხმობენ, მართლაც, რას ნიშნავს სახელმწიფო, როგორც ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა? რა კრიტერიუმის მიხედვით ქმნის ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა სახელმწიფოს სოციალურ მხარეს? საკმარისა იყო ასე დაესვათ საკითხი და ნათელი გახდებოდა, რომ „ეს ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა“ ბოლოს და ბოლოს არის სამართლით მოწესრიგებული მთლიანობა.

წავლის საგანს არ წარმოადგენს? განა სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას, რომელიც მხოლოდ სამართლის სისტემას იკვლევს, შეუძლიან წარმოადგინოს ისეთი სახელმწიფო, რომლის ბუნებაც მთლიანად ამოწურული არ იქნება მსგავსი მსგავსი აზრით და შინაარსით?

აი, ის კითხვები, რომელიც წამოიჭრება იმის წინაშე, ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად სამართალს აღიარებს.

ავტორის იმ თეზისის თანახმად, რომელიც ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალია, ორი რამ უდაოდ უნდა ჩავთვალოთ:

1) იურისტს არ შეუძლიან მოსწყდეს თავის ინტენციონალურ საგანს, ე. ი. სამართალს და 2) იურისტმა თავისი მსჯელობიდან უნდა განდევნოს ყოველივე ის, რაც სამართალს არ წარმოადგენს. სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი „Einstellung“-ი, რომელიც, პუსერლის აზრით, არის მეთოდოლოგიური ხერხი, რის საშუალებითაც სწარმოებს ამა თუ იმ საგანზე მთელი შემეცნებითი გულისყურის მიპყრობა. აი, თუ ჩვენ ამ ძირითად აზრს შევითვისებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ სოციალური რამ, იმ აზრით, როგორც ეს ავტორს ესმის, არ შეიძლება განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით, და მეორეს მხრით, არც სამართალი შეიძლება შესწავლილ იქნეს იმ მეცნიერების საშუალებით, რომლის საგნობრივ შინაარსსაც სოციალურ ურთიერთობათა ის სამყარო წარმოადგენს, რაც მოკეპულია სამართლისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსისაგან დამოუკიდებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამართლის თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს სამართალი, ან ის, რაც სამართლის განხორციელებას წარმოადგენს (ე. ი. ისევ სამართალი). *) ამიტომ ის, ვინც სახელმწიფოს სამართლოვან მხარეს იკვლევს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოშორდეს იმ აზრს, რომ არასამართლოვანში სამართლის გაგრძელება ეძიოს, რადგანაც წარმოუდგენელია სამართალი შევსებულ იქნეს იმით, რაც სამართალი არ არის. ამგვარად, ვერც ის, ვინც „სამართლოვან მხარეს“-მეთოდოლოგიურად უდგება, და ვერც ის, ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს იხილავს, ვერაფერს შემთხვევაში, თუ რასაკვირველია იგი ავტორის მეთოდს არ უღალატებს, ვერ წარმოადგენს სახელმწიფოს როგორც ორი სხვადასხვა საგნობრივი შინაარსის გაერთიანებას, ე. ი. სამართლის გაერთიანებას იმასთან, რაც სამართალს არ შეიცავს. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის მიღება შეიძლება: სახელმწიფო—როგორც მთლიანობა და, მაშასადამე, სახელმწიფო—როგორც საგანი, ვერ შეისწავლება ვერც სოციოლოგიით და ვერც იურისპრუდენციით, რადგანაც ავტორის მეთოდის თანახმად იურისპრუდენციის საგანს მხოლოდ სამართალი წარმოადგენს, ხოლო სოციოლოგიის საგნობრივ შინაარსს კი—ის სოციალური სფერო, რომელსაც ავტორმა სამართლოვანი აზრი და შინაარსი საბოლოოდ გამოაცალა. იურისპრუდენციის—სამართალი, სოციოლოგიას—სოციალური. აქ არის უცნობი მთლიანობის ნაწილები და არა თვით მთლიანობა, ე. ი. სახელმწიფო. ვიმეორებთ, რომ ეს არის ერთად ერთი შესაძლებელი დასკვნა, რაც ავტორის მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს, რადგანაც ავტორის მეთოდის თანახმად, იურისტს არ შეუძლიან იმას იკვლევდეს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, ე. ი. ნორმათა სისტემას აღემატება და, მეორეს მხრით, სოციოლოგს (რამდენადაც ეს მეთოდს ნიშნავს) არ შეუძლიან სოციალურ სფეროს გასცილდეს. მართლაც „ხელისუფლება და სამართალი“-ს ავტორის თეორიის თანახმად, სახელმწიფო

*) რადგან განხორციელება—რამის (ამ შემთხვევაში ნორმის) განხორციელებას ნიშნავს.

იმ საგნობრივ შინაარსზედაც მეტია, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერებისათვის არის გამოყოფილი, და იმ შინაარსზედაც მეტადაა განსაზღვრული. შესწავლისაც ავტორი მხოლოდ სოციოლოგიას აკისრებს, რადგანაც სახელმწიფო სოციოლოგიისა და სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთა ჯამს წარმოადგენს. რომ სახელმწიფო იგივე იყოს, რაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ან სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსია, მაშინ მთლიანად დაირღვეოდა ავტორის თეორია იმ ორი ონთოლოგიური რიგის შესახებ, რომელთა დაპირისპირებამედაც დამყარებულია „ხელისუფლება და სამართალი“-ს გამოკვლევის მთელი სისტემა. ხოლო რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სახელმწიფოს შინაარსს ვერ ამოწურავს, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს აღარ წარმოადგენს, თუ, რასაკვირველია, ერთი მეცნიერებას, ამ შემთხვევაში—სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, საგნობრივ შინაარსს მეორე მეცნიერების, ე. ი. სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსი ვერ შეაესებს (რაც ჩვენი ავტორისავე თვალსაზრისით დაუმჯობესად უნდა ჩაითვალოს). აქედან აშკარაა, რომ იურისტს, რომელიც იკვლევს მხოლოდ ნორმათა სისტემას, როგორც ისეთ რასმეს, რაც სამართლის შემცნებით სავსებით ვერ დაიძლევა, არ ძალუძს იფიქროს, რომ იგი თითქოს სახელმწიფოს იკვლევს, და, მეორეს მხრით, ვერც სოციოლოგი, რომელიც ისეთ რასმეს იზილავს, რასაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსთან არაფერი საერთო არა აქვს, ვერ იტყვის, რომ იგი სახელმწიფოს შესწავლის აწარმოებდეს. ამ შემთხვევაში მითითება იმაზე, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თითქოს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს იკვლევს, და სოციოლოგია კი მხოლოდ სოციალურ მხარეს, ვერ გადაარჩენს ჩვენი ავტორის ძირითად დებულებებს, რადგანაც თვით ავტორის მეთოდის თანხმად, შეუძლებელია ნორმათა სისტემა, ე. ი. სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი წარმოვიდგინოთ იმ ერთი მთლიანობის ცალკე მხარედ, რომლის აზრიც სამართლის შინაარსით სავსებით ვერ ამოიწურება. იურისტს, რომელიც თავის საგნობრივ შინაარსზე, ე. ი. სამართალზეა მიჯაჭვული, არ შეუძლიან წარმოიდგინოს თავისი საგანი იმის ნაწილად ან ცალკე მხარედ, რაც ერთგვაროვანი არ არის იურიდიული აზროვნების ინტენციონალურ საგანთან, ხოლო ყოველივე ერთგვაროვანი იქნება იგივე, რაც უკვე მოცემულია სამართლის შემავსებელ აქტში.

მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართლის კონკრეტულ სისტემიდან შეიძლება იქცეს უნივერსალური სამართლის სისტემად Weltstaat-ად, იმ აზრით, როგორც ეს ესმის ქრისტ. ვოლფს, Krabbe-ს და Kelsen-ს, მაგრამ არც ერთი ნაწილი სამართლის ამ სისტემისა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს (ნეთოდოლოგიურად) იმასთან რაც სამართალს არ წარმოადგენს; ამიტომ ნორმათა სისტემასაც ე. ი. სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს, არ შეგვიძლია შევხედოთ როგორც მთლიანობის ისეთ მხარეს, რომლის შინაარსი სავსებით არ ამოიწურება სამართლებრივი აზრით. მას, ვინც მტკიცედ შეითვისა სახელმწიფო სამართლის მეცნიერების, როგორც თეორეტიული მეცნიერების, ამოცანა და მის გამოსავალ წერტილად სთვლის სამართალს, რომელზედაც დაფუძნებულია ამ თეორეტიული მეცნიერების მნიშვნელობა (Zielung), არ შეუძლიან სხვანაირად იმჯერლოს. სწორედ ამიტომ იურისტს, რამდენადაც იგი თავისი საგნის, ე. ი. სამართლის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს, არ შეიძლება სამართალთან ეტყვნოს არასამართლოვანის ერთ მხარედ და, მაშასადამე, სახელმწიფო სამართ-

თლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსიც არ შეიძლება მიიღოს ისეთი მთლიანობის ნაწილად, რაც სამართლის ან ნორმათა სისტემის თვალსაზრისით წარმოადგენს. ამის გამო იურისტს, რომელმაც შეითვისა ის თვალსაზრისით სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ნორმათა სისტემა, ან ძალუქს თავისი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ისეთი მთლიანობის ცალკე მხარედ დასახოს, რომელსაც აქვს სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსსაგან სრულიად დამორბეული მხარეები. მაგრამ რაკი შეუძლებელია (მეთოდოლოგიურად), რომ იურისპრუდენციის—საერთოდ და კერძოდ—სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მივიღოთ როგორც ნაწილი ან ცალკე მხარე იმისა, რომლის სხვა ნაწილებიც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენენ, და სახელმწიფო კი, ჩვენი ავტორის თეორიის თანახმად, არ არის თანაბარი სამართლისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ერთადერთი საგნობრივი შინაარსია, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოც, როგორც ასეთი, (როგორც მთლიანობა, ე. ი. როგორც საგანი) არ შეიძლება სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენდეს. თუ ვიტყვით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სამართალს ან ნორმათა სისტემას სწავლობს, მაშინ ისიც უნდა მივიღოთ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი იკვება, რაც სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ის, რაც ნამდვილად მოხდა: სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას აღარ ექნებოდა თავისი საგანი, ე. ი. სახელმწიფო. ვინც აღიარებს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართალი ან ნორმათა სისტემა, მან აუცილებლად უნდა სცნოს სახელმწიფო (როგორც მთლიანობა) როგორც სამართლოვანი მსჯელობის მატერია, როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა. Symbol der Rechtsgegenstände, მან უნდა სცნოს სახელმწიფო როგორც „Noema“ der Noesis des Rechtsurteile“¹⁾ ხოლო თუ გავაკეთებთ ამ ერთად ერთ დასკვნას იმ თეზისიდან, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი სამართალი ან ნორმათა სისტემა წარმოადგენს, დაირღვევოდა ჩვენი ავტორის თეორიაც ორი ონთოლოგიური რიგის (სოციალური და სამართლისა) შესახებ, ან სხვანაირად: რომ ავტორმა განავითაროს ის აზრი, რაც მის თეზისში იმალება, მაშინ მისი თეორია დაკარგავდა თავის ძირითად ბაზას.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ რაიმე ნაწილის შესწავლით შეუძლებელი იყოს მთლიანობის შინაარსის გამოკვლევა; ჩვენ შორსა ვართ ასეთი აზრისაგან. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მთლიანობის გაგება ნაწილის მეშვეობით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ნაწილები განსაზღვრულ ერთიანობაში ან ერთმანეთის შემავსებელ (Ergänzungsbedürftig) ურთიერთობაში არიან წარმოდგენილი. მაგრამ, თუ კი ჩვენ ავტორს გავუყვებოდით და სახელმწიფოს ვაღიარებდით როგორც მთლიანობას (საგანს), როგორც ორი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ონთოლოგიური რიგის გაერთიანებას და თანაც ვსცნობთ რომ თვითთულ ამ რიგს თავისი ცალკე მეცნიერება აქვს, მაშინ თავისთავად ცხადი იქნება, რომ ამ მეცნიერებათა საგნობრივი შინაარსი მოცემულია როგორც სრულიად დამთავრებული შინაარსი, და არა როგორც შევსების მომთხოვნი (Ergänzungsbedürftig), და, მაშასადამე, შეუძლებელია ამ ორი მეცნიერების საგნობრივი შინაარსი ერთი განსაზღვრული მთლიანობის ნაწილად ან ცალკე მხარედ წარმოვიდგინოთ. იურისტს რომ შეეძლოს იმის დაშვება, რომ მისი კვლევის საგანი მოითხოვს შევსებას (Ergänzungsbedürftig), ე. ი. რომ

1) სწორედ ასე მოიქცნენ Birling, Afolter, Krabbe, Kelsen, Merkl, Wenzel და სხვები.

სამართალი თავის თავად დამოუკიდებელი არ არის და რომ იგი შეიქმნება იმით, რაც სამართალს არ წარმოადგენს, მაშინ კიდევ შესაძლებელია მისი დადგენა გველაპარაკა იმის შესახებ, რომ სამართალი რაღაც მთლიანობას წარმოადგენს. თუნცა ესეც შეეძლოა იქნებოდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სამართალსა და სოციალურს ჩვენი ავტორი უყურებს როგორც ორ სრულიად დამოუკიდებელ საგანს; ავტორის სისტემაში ისინი ორ პარალელურ ხაზს წარმოადგენენ, რადგანაც მათ შორის გაწყვეტილია ლოლიკური კავშირი და ისეა გაწყვეტილი რომ აღარც სამართალს აქვს დასაყრდნობი ფუნქცია სოციალურში და აღარც სოციალურს სამართალში. რაკი სამართალი და სოციალური ასე დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან, ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ისინი რაღაც მთლიანობის ცალკე მხარეებად, ან ნაწილებად, რადგანაც ნაწილად ყოფნა ნიშნავს Ergänzungsbefürfnis-ად ყოფნას, ხოლო სამართალი და ავტორის სოციალურ გამოკვლევაში არსებობენ როგორც ორი საგანი ორი დამოუკიდებელი მეცნიერებისა.

რა დასკვნა შეიძლება მივიღოთ აქედან? მხოლოდ ერთი: რაკი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი 1) არ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანობის ცალკე მხარედ, 2) რაკი ეს საგნობრივი შინაარსი იგივე არ არის, რაც სახელმწიფოს და 3) რაკი იგი წარმოადგენს არა ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, არამედ საერთოდ ნორმებს, — თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება, ჩვენი ავტორის მეთოდის თანახმად, არის არა მეცნიერება სახელმწიფოზე, არამედ უბრალო მოძღვრება სამართლისა და ნორმების შესახებ, და თანაც ისეთი მოძღვრება, რომელიც თავის საგნად ვერასოდეს სახელმწიფოს ვერ ჩათვლის. მაგრამ თუ ამ დასკვნის წინააღმდეგ გვიპასუხებენ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება (რომელიც შეზღუდულია თავისი საგნობრივი შინაარსით, ე. ი. სამართალით), სწავლობს რა „სამართლებრივ მხარეს“, ნამდვილად იკვლევს იმ ფენომენს, რომელსაც სახელმწიფო ეწოდება, და სოციოლოგია, სწავლობს რა მხოლოდ სოციალურს, (სადაც სამართლის შესაგვის არაფერია), იკვლევს იმავე სახელმწიფოს, მაშინ პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს მთელი შინაარსი აუცილებლად გაივსება სამართლის შინაარსით, ე. ი. სამართალსა და სახელმწიფოს შორის თანასწორობის ნიშანი დაისმის, ხოლო მეორე შემთხვევაში (ე. ი. სოციოლოგიური მიდგომის დროს) სახელმწიფოს შინაარსი ამოიწურება იმ სოციალური სფეროთი, სადაც ჩვენს ავტორს არ შეუძლიან სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსისათვის დამახასიათებელი ელემენტები მონახოს. ამგვარად, თუ პირველ დასკვნას უარეყოფთ და ვიტყვით, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს რა სახელმწიფოს ერთ მხარეს² ამით იკვლევს თვით სახელმწიფოს და სოციოლოგიაც, რომელიც მხოლოდ „სოციალურ მხარეს“ სწავლობს, იმავე სახელმწიფოს იკვლევს, — მაშინ შეგვიძლიან ვაღიაროთ, რომ ერთი სახელმწიფოს ნაცვლად ჩვენს ავტორს მხედველობაში ჰყავს ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი საეხებით ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე ისეთია, რომელშიაც არაფერი სამართლებრივი არ არის. მაგრამ თუ „სოციალურისა და სამართლის შინაარსთა ურთიერთობა, — როგორც ჩვენი ავტორი ამბობს, — შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებაში“ (ე. ი. ხელისუფლება სოციოლოგიის საგნობრივი შინაარსის სფეროა), აშკარა ხდება, რომ ის სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს წარმოადგენს, იქნება უხელისუფლებო სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფო სამართლებრივი, ხოლო ის სახელმწიფო, რომელიც სოციოლოგიის რჩება, იქ-

6
ება სახელმწიფო ხელისუფლებით, მაგრამ ისეთი სახელმწიფო, რომელშიაც
სამართლის ნასახიჯ ვერ მოიპოება.

მართლაც, საკმარისია ვლიაროთ, რომ სახელმწიფო, ^{სამართლის} მეცნი-
ერების საგნობრივ შინაარსს ნორმათა სისტემა წარმოადგენს, და ჩვენ მაშინვე
შეგნიშნავთ, რომ სახელმწიფო შინაარსს გამოეცლება ყოველივე ის, რაც კი სა-
მართალს შეადგენს. რა სახით შეუძლიან სამართლის თეორეტიკოსს, რომელ-
მაც შეითვისა ჩვენი ავტორის თეზისი, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიე-
რების კვლევის საგანი სამართალია, წარმოუდგინოს სახელმწიფოს „სოციალურ-
რი რეალობა“? განა მის შეუძლიან სახელმწიფოს „სოციალურ რეალობას“ მი-
აკუთვნოს ის, რასაც სამართალითან კავშირი არა აქვს? ჩვენ გვგონია, რომ არა,
რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით ვლიაროთ, რომ
სახელმწიფო სამართლის მეცნიერება თავის საგნად მარტო სამართალს კი არ
სთვლის, არამედ იმასაც, რაც სამართალი არ არის. ხოლო ასეთი შეგება ერთი
მეცნიერების საგნობრივი შინაარსისა მეორე მეცნიერების საგნობრივ შინაარსით
უარყოფილია თვით ავტორის მიერ. აქედან ცხადია, რომ ის, ვინც სახელმწიფოს
მიუდგება როგორც იურისტი, მან სახელმწიფოდან უნდა განდევნოს ის მეორე
ონთოლოგიური რიგი, რომელიც, ჩვენი ავტორის აზრით, სოციოლოგიის კვლე-
ვის საგანია. ამავე წესით, ის, ვინც სახელმწიფოს სოციალურ შინაარსს მიუ-
დგება, მან სახელმწიფოს უნდა გამოაცალოს ის შინაარსი, რომელიც სახელმწი-
ფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული.

მეორე საკითხს ამ შემთხვევაში ნუ შეეხებით; შეგხერლეთ პირველზე და
ვნახოთ—შეუძლიან თუ არა იურისტს, რომელმაც ავტორის თეზისი მიიღო
(რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი სამართა-
ლია), აღიაროს, რომ სახელმწიფოში არის ისეთი შინაარსი, რასაც არაფე-
რი საერთო არა აქვს სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ ში-
ნაარსთან.

„სოციალური—ამბობს ავტორი—უსათუოდ სახელმწიფოს შინაარს შეად-
გენს“. მაგრამ თუ ის ამ „სოციალურს“ მიუდგება როგორც იურისტი, რომელი
კრიტიკიუმის ძალით შესძლებს იგი ეს „სოციალური“ მიაკუთვნოს სახელმწიფოს
როგორც იურიდიული აზროვნების მატერიას? მე გვონია, რომ ორი აზრი ამ
საკითხის შესახებ არ შეიძლება იყოს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ
იურისტს შეუძლიან მხოლოდ სამართალზე იმსჯელოს, სრულიად უეჭველი იქ-
ნება, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს იგი მი-
აკუთვნებს მხოლოდ სამართალს და იმას, რაც სამართლის განხორციელების
წარმოადგენს. მხოლოდ სამართლის ეს განხორციელება ან განსაკუთრებული
ნორმების სისტემის Wirkung-ი შეუძლიან იურისტს აღიაროს სახელიწიფოს
სოციალურ რეალობად. როგორც ვხედავთ, თუ ჩვენ სწორად შევითვისებთ იმ
თეზისს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივი შინაარსი მხო-
ლოდ სამართალია, აღარ დარჩება ადგილი იმ შინაარსისათვის, რომელსაც ჩვე-
ნი ავტორი სოციოლოგიის საგნად სთვლის. შევუდგებით თუ არა იმ თეზისს
აზრის განვითარებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერე-
ბის საგნობრივ შინაარსს ნორმების სისტემა წარმოადგენს,—„სოციალური
მხარე“ მაშინვე თავის თავად მოსწყდება სახელმწიფოს.

არა გვონია, რომ მან, ვინც ამ თეზისის აზრს შეითვისებს, დაიწყოს
მტკიცება—თითქოს სახელმწიფოს შინაარსს შეიძლება მიეკუთვნოს ყველაფერი,
რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხდება, ან ყველაფერი, რაც შეეხება იმ მო-
სახლეობას, რომელზედაც ამა თუ იმ სამართლის ძალა ვრცელდება. ამის აღი-
არება ხომ იმას ნიშნავს, თითქოს იურისტს სამართლის კრიტიკიუმის გარდა

შეუძლია კიდევ იხელმძღვანელოს არასამართლის კრიტიკით. მაშასადამე, იურისტს არ შეუძლიან სახელმწიფოს შინაარსს ზიანს მიყენონ სოციალური მენაჯის წრითობათა ყველა ფორმები, არამედ, მხოლოდ ის ფორმები, რაც მსაჯულთა მსახურთადაა, ე. ი. წარმოადგენს იმ სამართლის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსად არის აღიარებული. მაგრამ თუნდაც დაუშვათ, რომ სახელმწიფოს შინაარსს შეადგენს არა სოციალური ურთიერთობათა განსაზღვრული ფორმები, არამედ საერთოდ სოციალური, ამ შემთხვევაშიაც შემდეგი დებულება უნდა გავიზიაროთ: იმისათვის, რომ საერთოდ სოციალური ვალიაროთ, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, რომელსაც სამართლებრივი მხარეც აქვს, საჭიროა მთლად სოციალური განხილულ იქნეს სამართლის თვალსაზრისით. ექვს გარეშეა, რომ როდესაც იურისტს აქვს მხოლოდ სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი და ეძებს მის მეორე მხარეს — სოციალურს, ამ უკანასკნელს იგი იკვლევს მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივი თვალსაზრისით; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ ვპოვებს იმას, რაც აკლია, რომ იცოდეს რა გაცილია, უნდა იცოდეს რა გაქვს. სხვანაირად რომ ესთქვათ: იმ სოციალურის მოსაპოვებლად, რომელიც სამართალითან ერთად სახელმწიფოს შეადგენს, იურისტს შეუძლიან მხოლოდ სამართლის კრიტიკით იხელმძღვანელოს. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ სამართლის კრიტიკით სხვა რამ მოინახოს, თუ არა სამართალი? არა ნგონია. ამიტომ ის სფერო, რომელიც, ავტორის აზრით, სახელმწიფოს სოციალური მხარეა, ან სრულიად უნდა მოსწყდეს სახელმწიფოს, ან და ეს სოციალური მხარე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სამართალი, ან როგორც განხორციელება სამართლისა. მხოლოდ ამ აზრით შეუძლიან იურისტს მიიღოს სახელმწიფოს „სოციალური მხარე“. როგორც ვხედავთ, სოციალური მხარე ან არ არის „მხარე“, ან და ის არსებითად სხვა არა არის რა, თუ არ სამართლებრივი მხარე სახელმწიფოსი. უფრო სწორად: ეს სოციალური მხარე არის განხორციელება სახელმწიფოს „სამართლებრივი მხარისა“, აღსრულება (Befolgung) ნორმათა იმ სისტემისა, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს წარმოადგენს.

ჩვენ ვეფიქრობთ, ეს მცირე შენიშვნები სრულიად საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ იურისტს, რომელმაც სამართალი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნად აღიარა, არ შეუძლიან სახელმწიფოში აღმოაჩინოს ისეთი რამ, რაც სამართალს ან სამართლის განხორციელებას არ წარმოადგენს.

ამგვარად, ზემოაღნიშნულის მიხედვით ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ავტორის მეთოდის თანახმად, სახელმწიფო საერთოდ არ არის არც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანი და არც სოციალური საგანი, ან და უნდა დაუშვათ, რომ არსებობს არა ერთი, არამედ ორი სახელმწიფო, რომელთაგან ერთი ამოიწურება სამართლის შინაარსით, ხოლო მეორე სრულიად არ შეიცავს რაიმე სამართლებრივს (ე. ი. ერთი საგნის მაგიერ ორი სხვადასხვა შინაარსის საგანი).

ამ დისკუსიების გაბათილება შეუძლებელია, შეუძლებელია იმიტომ, რომ მთელი თავისი სისტემა ავტორმა ააგო ისეთ ორ თეზისზე, რომელნიც ერთი მეორეს ძირიან-ფესვიანად უარყოფენ. მართლაც, განა შესაძლებელია ის თეზისი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა სისტემას იკვლევს, შეუთანხმეთ მეორე თეზისს, რომელიც გვეუბნება, რომ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის ორი საგნობრივი შინაარსია?

მაგრამ ვნახოთ, რა წინააღმდეგობანი გამოძლინდნენ კიდევ ავტორის გამოკვლევის ძირითადი დებულებებიდან.

ავტორი ამბობს, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს სპეციფიურ სინამდვილეს, რომელსაც ქმნის სამართალდებულებების (Rechtsätze) ე. ი. იკვლევს სამართლის სისტემას. მაგრამ რა არის ეს განსაზღვრებული სპეციფიური სინამდვილე, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს? არის ის სპეციფიური, და მამასადავს ვინსაზღვრულიც, იმ აზრით, რომ ეს სისტემა ნორმებისა თავისი სპეციფიური შინაარსით განსხვავდება ყველა სხვა სისტემისაგან, თუ მას უჭირავს რაღაც განსაკუთრებული ადგილი სამართლის ერთ ზოგად სისტემაში?

რომ ავტორს ეს თეზისი განეფიქრებია, იგი იძულებული იქნებოდა უარი ეთქვა ზოგიერთ ფრიად არსებით დებულებაზე. თუ ავტორს არ სურდა, რომ მისი მეცნიერება სახელმწიფო სამართლისა უოფილიყო ხან სისხლის სამართლის, ხან სამოქალაქო სამართლის, ხან საფინანსო სამართლის, ხან კიდევ სხვა რომელიმე სამართლის მეცნიერება (რადგანაც სამართალს ეს მეცნიერებანიც იკვლევენ), მას სამართლის საერთო სისტემა უნდა წარმოედგინა, როგორც მთელი რიგი საფეხურებისა (Rechstufen), რომელთაგან ერთი სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანს შეადგენს. ვინც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანად, აშკარად თუ ფარულად, მხოლოდ ნორმათა სისტემას სთვლის და ამივე დროს აღიარებს სხვადასხვა იურიდიულ მეცნიერებათა (სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და სხვ. და სხვ.) არსებობს, მან სამართლის სისტემაში უნდა დაინახოს სამართლის ის საფეხურები, რომელზედაც მერკლი ლაპარაკობს. მაგრამ ვინ, ან რა აწყობს სამართლის ამ საფეხურებს, თუ არ სახელმწიფო?

Es sind bestimmte staatsfunktionen, das heist gesetzgebungsfunktion, der Verordnungsfunktion, der Verordnungsgewalt, die Verfügungskompetenz, die Verfügungskompetenz die Justizhoheit des staates u. s. w um die Einzelnen Rechtsufen gruppieren, ამბობს Heinrich-ი. *)

ამგვარად, იმისთვის, რომ სამართლის სისტემაში თავისებური საფეხურიანობა შექმნათ და ამით სახელმწიფო სამართლის მეცნიერებას „განსაზღვრული საფეხური“ მიეკუთვნოთ, საჭიროა ორიენტაცია სახელმწიფო აქტის (Staatsact) იდეაზე და, მამასადავს, საჭიროა ვალიართ ამ აქტების მატარებელიც, ე. ი. სახელმწიფო იურიდიულ პირად უნდა ჩაეთვალოს. აბა ვინმემ სინჯოს ამ ორიენტაციის გარეშე დასაბუთოს არსებობა ნორმათა რაღაც განსაზღვრული სისტემისა, რომელსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება უნდა იკვლევდეს. თუ პრაქტიკული ავტორი ფიქრობდა, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საფუძვლიანი შინაარსი ნორმათა ერთგვარი განსაზღვრული სისტემაა, მას სახელმწიფო აუცილებლად იურიდიულ პირად უნდა ელიარებინა. უნისოდ პირველ დებულებასაც აზრი ეკარგება. ტყუილად ხომ არ აღნიშნავენ, რომ მერკლის თეორია სამართლის ძალისა და სამართლის საფეხურიანობის შესახებ ცოცხლობს და ირღვევა იმ ცნებასთან ერთად, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იურიდიული პირია, ხოლო მერკლის თეორიის ბედი უნდა გაიზიაროს ყველა თეორიამ, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგანად „ნორმათა განსაზღვრულ სისტემას“ აღიარებს. თუ ჩაუკვირდებით ავტორის თეზისის აზრს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება „იკვლევს სამართალდებულებათაგან შექმნილ ახალ სინამდვილეს“, ამოიხსნდება, რომ ამ თეზისში მოცემულია იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ან როგორც rechtsinhaltebe Tatbestand, რადგანაც იმეორებით, თუ ჩვენ არ მივიღებთ სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირი, შეუძლებელი იქნება

*) Heinrich, Zur Theorie der Rechtskraft.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება ნორმათა განსაზღვრულ სისტემას იკვლევს.

მაგრამ რა აზრით იქნება ასეთი დასკვნა მიუღებელი ჩვენი ავტორის თეორიისათვის? თუ იმის შესახებ, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას, როგორც ენახეთ, თავისთავად იძლევა დასკვნას, რომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერება სწავლობს არა მარტო სახელმწიფოს ერთ მხარეს, არამედ მთელს სახელმწიფო როგორც *rechisinhaltliche Tatbestand*-ს. მაშასადამე ავტორს არაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ სახელმწიფოს შინაარსიდან განდევნოს ყველაფერი, რაც სამართალი არ არის და აგრეთვე ყოველივე ის, რაც არ წარმოადგენს ნორმათა იმ სისტემის განხორციელებას, რომელიც სახელმწიფო სამართლის მეცნიერების საგნობრივ შინაარსს შეადგენს. ამგვარად, ავტორის დებულებას, რომ სახელმწიფო ორი სხვადასხვა მეცნიერების (სახელმწიფო სამართლის და სოციოლოგიის) ორი საგნობრივი შინაარსისაგან შესდგება, არღვევს ავტორისვე მეორე დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება იკვლევს ნორმათა სისტემას; სხვანაირად შეუძლებელია, რადგანაც ამ უკანასკნელ დებულებაში იმალება იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, ე. ი. იმალება ცნება ისეთი სახელმწიფოსი, რომლის შინაარსიც საესებით ამოიწურება სამართალით, ვინაიდან იურიდიული პირის შინაარსში ჩვენ ვერ შევიტანთ სამართლისათვის რაიმე უცხო შინაარსს. მაგრამ თუ დაუშვებთ, რომ თეზისი—სახელმწიფოში ორი სხვადასხვა მეცნიერების საგნობრივი შინაარსის არსებობის შესახებ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება, თეზისს, რომელშიაც ჩამარბულია იდეა სახელმწიფოსი, როგორც იურიდიული პირისა, მაშინ კიდევ უფრო დაუშვებელ დასკვნას მივიღებთ. აი რატომ.

ავტორის დებულებათა მიხედვით არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იურიდიული პირის ბუნება მთლიანად სამართლის შინაარსით და მნიშვნელობით უნდა ამოიწუროს. სამართლის სუბიექტის იდეა ავტორმა გაანთავისუფლა ყოველივე იმისაგან, რაც სამართალს არ წარმოადგენს. რაღა საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი იურიდიული პირი სხვაგვარად იქნეს გაშუქებული? მაგრამ თუ იურიდიული პირი ჩვენ საერთოდ, და კერძოდ ავტორის თეორიის თანახმადაც ისეთ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც სავსებით სამართლის შინაარსით ამოიწურება, მაშინ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენი ავტორის თეორიით სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი? თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის თეორიას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, ორი შინაარსისაგან—სამართლისა და სოციოლოგიის შინაარსისაგან შესდგება, ცხადია, რომ მხოლოდ სამართლებრივი მხარე ამ სახელმწიფოსი შეიძლება განსახიერებულ იქნეს სახელმწიფოს როგორც იურიდიული პირის ცნებაში, რადგანაც, კომპარატივით, იურიდიული პირის შინაარსს შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ის, რაც სამართალს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, თუ რა დასკვნამდე მივყევართ ასეთ მეთოდს: ერთი და იგივე სახელმწიფო ერთი თავისი ნაწილით გვევლინება, როგორც იურიდიული პირი, მეორე ნაწილით კი—იგი ასეთ პირს არ წარმოადგენს. იურიდიული პირი, რომელიც, ავტორის აზრითაც სრულიად მთლიანი უნდა იყოს თავისი შინაგანი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს ისეთ სხეულს, რომლის ერთი ნახევარი სამართალია, ხოლო მეორე ნახევარს არაფერი საერთო სამართალთან არა აქვს. აი ასეთი არაბუნებრივი სახის სახელმწიფოს შობს დასახელებული მეთოდოლოგია. ვინა ამ იურიდიულ პირს, რომელიც მთლად სამართლის შინაარსშია მოქცეული, შეუძლიან ატაროს რაღაც ნაძალადეგით მიყვარებული კული, რომელშიაც არაფერი სამართლებრივი არ არის? ვინა ამგვარად არ სჩანს,

რომ ჩვენ ავტორის თეორიამ იურიდიულ პირს მოსდო მძიმე ტვირთი, რომლისაგანაც იგი უნდა განთავისუფლდეს, რათა თავისი ზეგნულად დაზარალებული მთლიანობა და ჩამოსხმული მოყვანილობა შეინარჩუნოს.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ იურიდიული დებულების თანახმად შეუძლებელია თვით პრობლემაზე ხელისუფლების და სამართლის ურთიერთობისა. არის ეს მონოგრაფია პასუხი ავტორის მიერ წამოყენებული საკითხისა? ვფიქრობთ რომ არა. მართალია, მთელს მონოგრაფიაში მხოლოდ იურიდიული ენაზე ხელისუფლების ცნებას, მაგრამ ეს საკმარისია იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ თუ რას უნდა გულისხმობდეს ავტორი ხელისუფლების ცნებაში. ამ იურიდიული ანალიზი ნათლად დაგვანახებს, რომ შეუძლებელია თვით იმ პრობლემის დასმა, რომელსაც ავტორი თავის გამოკვლევას უძღვნის!

პირველი თეზისის შინაარსი ასეთია: სახელმწიფოს სოციალური და სამართლებრივი შინაარსის დაპირისპირება შეიძლება გამოიხატოს ხელისუფლებისა და სამართლის ცნებით (ე. ი. სამართალსა და ხელისუფლებას ავტორი უპირისპირებს ერთმანეთს ისე, როგორც სოციალურს და სამართლებრივს). მეორე თეზისის შინაარსი კი მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლებისა და სამართლის ურთიერთ მოქმედება ქმნის სახელმწიფოს სამართლებრივ ცხოვრებას, ანუ სამართლებრივ წესრიგს. რომ თავის ადგილას, ე. ი. იქ, სადაც პირველად ვხვდებით „იმ ახალ სინამდვილეს“, რომელსაც ნორმათა სისტემა წარმოადგენს და რომელიც სახელმწიფო სამართლის მექანიზმების საგანია, ავტორს დაესვა, კითხვა, თუ რაში მდგომარეობს კავშირი ამ ახალ სინამდვილესა და ხელისუფლებას შორის, ვფიქრობთ, სულ სხვანაირი იქნებოდა ავტორის ახრთა წყაბა. შესაძლებელია ვი დაისვას საერთოვ საკითხი ხელისუფლებისა და სამართლის შესახებ, როდესაც თვით ცნება ხელისუფლებისა ავტორის მეთადასოვლების თანახმად უარყოფილია? ავტორის მეთადი თუ კავშირი სამართალსა და ხელისუფლებას შორის საბოლოოდ გაწყვეტილია. მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთმანეთის უარყოფა. მას შემდეგ, რაც ავტორმა ხელისუფლება სამართლის სიკალიბრეში გადაიტანა, გაუგებარია, რა კავშირი უნდა იყოს ამ ხელისუფლებასა და სახელმწიფოს სამართლებრივ მხარეს შორის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ასეთი ცდა უნაყოფო იქნებოდა. ამას ალბათ გრძნობდა თვით ავტორიც. შესაძლებელია ამიტომ უფრო მოხერხებულად მიიჩნდა ავტორს მონოგრაფიის პირველ ნაწილში სამართალზე ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ლაპარაკი, ხოლო ხელისუფლების შესახებ კი მონოგრაფიის მეორე გამოუქვეყნებელ ნაწილში. მაგრამ როდისღა გვეტყვის რასმე ავტორი თვით ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემის შესახებ? იქნებ იმავე მეორე ნაწილში, ან შესაძლებელია, თუ მეთხებში? ვფიქრობთ, რომ გამოკვლევას იმ ნაწილს, სადაც ხელისუფლებისა და სამართლის პრობლემა ერთმანეთზე გადაბმული იქნება, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიხილავთ. ვერ ვიხილავთ იმიტომ რომ თვით მეთადი ავტორისა ამბობს: ვერ იხილავთ, ვინაიდან გამოკვლევას ის მეორე ნაწილში, რომელშიაც განმარტებული უნდა იყოს ხელისუფლების ბუნება შესაძლებელია შეიცავდეს განმარტებას მხოლოდ ძალის შესახებ.

მართალია, რის მიხედვითა შეგვიძლიან ჩვენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა ძალთა შორის მხოლოდ ერთი, გამოვეყნოთ როგორც სახელმწიფო ხელისუფლება? რა კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში? ვფიქრობთ, რომ თუ ეს ძალები ჩვენ ავიღეთ სამართლისაგან დამოუკიდებლად, ვეღარ შევძლებთ ყველა ძალთა შორის გამოვიცნოთ ერთი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება. ჩვენ ვერ ვპოულობთ მას, თუ არ ვიხელმძღვანელებთ სამარ-

თლის კრიტიკიუმიტ; თუ არ ამ კრიტიკიუმიტ, ვერ მოვძებნით ძალას, რომელსაც, როგორც ხელისუფლებას, გადავებამდით იმ სახელმწიფოს, რომელიც უფლებრივია ერთ თავის ნაწილში მაინც (როგორც ავტორი განმარტავს).

ხელისუფლება—ეს თავისებური თვისებაა ძალისა. ის, თუ გნებავთ, სამართლით მოწესრიგებული ძალაა და ამით განსხვავდება ის სხვა დანაწიერი ძალებისაგან. ამიტომაც, როდესაც ჩვენ ხელისუფლებას ვთიშავთ სამართლისაგან, ხელისუფლება კვარგავს იმ ერთად ერთ სპეციფიურ თვისებას, რომლითაც ის უბრალო ძალისაგან განსხვავდება, სამართლისაგან დამოუკიდებლად ხელისუფლება, როგორც უსახო ძალა, ჩაიძირება ძალთა ბრავალ სახეობაში. საჭიროა ძალა ანა თუ იმ სახით მიუახლოვდეს სამართალს, რათა ის განსხვავებულ იქნეს უბრალო ძალაშიგან. მაგრამ რას ნიშნავს ძალის მიახლოვება ან გადაბნა სამართალთან, თუ არ ძალის დამორჩილებას სამართლისათვის? და აი ამ დამორჩილებაში პირველად შევადრება, ჩვენის აზრით, იდეა ხელისუფლებისა. ძალის დამოკიდებულება სამართალთან თვით ამ ძალას ახალი ანოკანის წინაშე აყენებს. ეს ანოკანა არის—სამართლის განხორციელება. ამიტომაც, სამართლის მიერ მოწესრიგებული შესაძლებლობა სამართლის განხორციელებისა, იქნება ხელისუფლება. სხეანიარად რომ ვთქვათ, იმდენად, რამდენადღაც ჩვენ ვაზროვნობთ არა სამართალს, არამედ შესაძლებლობას, ანუ შინის შივი განხორციელებისას, ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ხელისუფლებაზე. და შინაარსთა ამ ღრმა განსხვავებაზე დამყარებული ავრთვე განსხვავება ხელისუფლებისა და ძალის განცდისა. სამართლის სფეროში ძალის წნევის განცდაში, ყოველთვის არის მოცემული მომენტი მისი ლოლიკური უარყოვისა. ხელისუფლების განცდაში კი ამ მომენტი, ლოლიკური და არა ფსიქიკური უარყოვისა, ვერ ვაოულობთ, ვინაიდან ხელისუფლება ჩვენს მიერ ყოველთვის წარმოდგენილია როგორც განხორციელება ლოლიკურად აღიარებული ნორმისა. *)

ძალა სამართლისადმი დაპირისპირებაში ორი მნიშვნელობით შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ: ძალა, რომელიც წინ უსწრებს სამართალს და ძალა, რომელიც სამართლებრივ სტიქიაში მოქმედობს. ის ძალა, რომელსაც სამართლებრივ სფეროში ვხვდებით, შეგვიძლიან ჩავთვალოთ მხოლოდ როგორც უარყოფა სამართლისა, ე. ი. როგორც ძალნომრეობა, ვინაიდან, ვიმეორებთ, სამართლებრივ აქტისადრეაში შესაძლებელია მხოლოდ სამართალი და ის, რაც სამართლის განხორციელებაა.

გამოკვლევის ავტორი კი ხელისუფლებას სახელმწიფოში ხედავს, იმ სახელმწიფოში, სადაც სოციალური და სამართლებრივი დამოუკიდებლად არიან მოკემული, რადგან თვითთელი მათგანი აღიარებულია, როგორც ორი დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი. ხელისუფლება კი გადატანილია სწორედ იმ სოციალურში, სადაც სამართლებრივი სრულებით არა სნანს. როგორ გამოიყურება ეს სოციალური, რედესაც მას ვკვრეტთ იმ სამართლებრივი შინაარსის თვალსაზრისით, რომელთანაც ერთად ეს სოციალური კქმნის ერთ სახელმწი-

*) ნორმის შეცნობის აქტში ნორმა ლოლიკურად აღიარებულია. მაშასადამე, ლოლიკურად აღიარებულია აუცილებლობაც მისი განხორციელებისა. ანას ვარდა, აღნიშნულ უნდა იქნეს განსხვავება, რომელიც ფსიქიურსა და ლოლიკურ აღიარებას შორის არსებობს. საიქიურ აღიარებას არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი ხელმწიფება-მორჩილების აქტში, რადგან ხელმწიფება-მორჩილების განცდას შეუძლიან თან სდეს ჩემი და სხვისი მებოყოფის დაპირისპირების მომენტი. სხვისი ნებისყოფა რომ ჩემი ნებისყოფა იყოს, ამ სხვას და ჩემს შორის შეუძლებელი იქნებოდა ხელმწიფება-მორჩილება. იმავე წესით, როგორც შეუძლებელია ხელმწიფება-მორჩილებაზე ლაპარაკი პანოტიზმისა და მდებრე შორის, რადგანაც აქ საკმე ვეაქვს არა ორ ნებისყოფასთან, არამედ ერთთან. ამიტომ, ვვლა ის თვორია, რომელიც ხელისუფლებას განმარტავს როგორც საშუალებას ერთი ნებისყოფის მეორე ნებისყოფად ტყევისა, შეძეარ თვორიად უნდა ჩითვალოს.

ფოს. ცხადია, რომ ყოველი ძალის მოქმედება, რასაც იღვრილი ექნება ამ სამართლებრივ სფეროს გარედ, არ შეიძლება სამართლის განხორციელების და ამიტომაც ის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ რიგობის ძალმომრება. თუ დავუშვით, რომ ამ ძალის მოქმედება სამართლის განხორციელებაა, მაშინ მთელი ეს სფერო აუცილებლად შეერთვის სამართლებრივს და ამ შემთხვევაში კი ეყარება მნიშვნელობა იმ თეზისს, რომელშიაც სამართლებრივი და სოციალური დამოუკიდებლად არიან მოცემული.

მაშასადამე, საკმარისია ხელისუფლება მოსწყდეს სამართალს, რომ ის უბრალო ძალად იქცევა. ხოლო რამდენადაც ამ ძალად ქცეულ ხელისუფლებას სამართალს ვუპირისპირებთ, ის სამართლის უარყოფას, ანუ ძალმომრებას ნიშნავს. ჩვენმა ავტორმა კი ორივე ოპერაცია მოახდინა: ჯერ მოხსყვიტა ხელისუფლება სამართალს, იმით რომ ეს ხელისუფლება სამართლებრივ სოცალიერეში გადაიტანა, ხოლო სოციალურისა და სამართლებრივის დაპირისპირებით მან ძალად ქცეული ხელისუფლება სამართალს დაუპირისპირა, რითაც ხელისუფლება უბრალო ძალმომრებად გახდა.

როგორც ვხედავთ, ავტორის მეთოდოლოგიის თანახმად შეუძლებელია დაიხვას თვით პრობლემა ხელისუფლებისა და სამართლის—რადგან ხელისუფლება ავტორის კონსტრუქციით, შეიძლება მხოლოდ ძალმომრებას ნიშნავდეს. მაგრამ, როგორც ხეშოდ იყო აღნიშნული, ავტორი ფიქრობს, რომ სამართლებრივისა და სოციალურის (რომელშიაც ავტორი ხელისუფლებასაც გულისხმობს) ურთიერთობით იქნება კონკრეტული ცხოვრება სახელმწიფოსი, როგორც მთლიანობისა. მაგრამ როგორ ხდება რომ ეს ურთიერთობა სამართალსა და იმის შორის, რაც სამართლის უარყოფაა, ქმნის სახელმწიფოს კონკრეტულ ცხოვრებას (რომელიც ალბათ უფლებრივ წესრიგსაც გულისხმობს), ანუ ერთ მთლიანობას? იფიქრობთ, რომ ეს ძნელი გასაგებია. *)

*) იბეჭდება დისკუსიის წესით.

„არითონი“)

ლიტერატურული წრეები დიდი ხანია მოვლნდა „არითონის“ გამოსვლას. კიდევ მეტი, ახალი ლიტერატურული კორპორაცია არითონი განსაკუთრებულ სპოგადობებზე ყურადღებას იწვევდა. ლიტერატურულ ცხოვრების ასპარეზზე ახალი ძალის გამოჩენა, ახალი სიტყვის თქმა, ახალი კორპორაცია პროგრესიულ მოვლენად ითვლება. წით უმეტესად ჩვენში, საქართველოში. ხშირად გვგონია, ამოიწურა „სიტყვის მადანი“, დაძვლდა ყველაფერი, გვიძნია თემატიკაში კრიზისმა. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს „შტურმისა და დრანგის“ პერიოდში. ჩვენ გვგონია, არც ერთ საუკუნეს არ შეეძლო მხატვრულ ლიტერატურისათვის მიეცა იმდენი მასალა, როგორც XX საუკუნეს, კერძოთ და უმთავრესად—ოქტომბრის რევოლუციის ეპოქას. განსაკუთრება მოითხოვს ამ აქსიომის დასაბუთებას?

არითონმა ჩვენი ყურადღება მიიჯაჰვა სწორედ საკითხის რადიკალურათ დაყენებით. „სალიტერატურო განცხადება“ მეტად რთულ, მაგრამ პირველხარისხოვან პრობლემას ებება და არითონი გვიპირდება ამ პრობლემის გადაწყვეტას. არითონი აცხადებს:

ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულებით სხვათაირი ესტეტიური გემოვნება და შეგრძნობანი აქვს, ვიდრე აბჯარ-კონქების ხანას ჰქონდა.

აბსოლიუტურად სწორი დებულებაა ესაშაგიეროდ, ახალი არაა ეს სიტყვა ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენ არითონის ახალი სიტყვა გვინტერესებს. ახალი კი მართლაც არის „სალიტერატურო განცხადება“-ში:

თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გეზოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს უფრო-უფროებით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ბელავენებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია არითონის მიზანს შეადგენს, ეს სახე გავცხადოს ლიტერატურაში.

აი ეს ადგილი არის არითონის დეკლარაციის კინტ-ესენცია, ideefix.

„თანამედროვე დიდ ეპოქის“ სახით ოქტომბრის მიერ შექმნილ ეპოქას თუ ვივლი სხმებთ (ეს ასე უნდა იყოს, ბუნდოვანობის მიუხედავით) და „ახალ ადამიანთ“ რევოლუციონურ თანამედროვეობისათვის, ახალ ყოფისა და სოციალისტურ კულტურისათვის მებრძოლ ადამიანს მივიღებთ, — არითონის ეს დებულება არავითარ შესწორებას არ მოითხოვს.

არითონი გაბედულად და, მართლაც, ვაჟაკურად აცხადებს, თანამედროვე ადამიანი ალარ სჩანს „დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში“. არითონი ცისახავს მიზნათ ახალი ადამიანის „სახე გავცხადოს ლიტერატურაში“. მეტად რთული და წმინდა ეს მიზანი. ამდენად საპატიოა, სავულისხმო, მისაბაძი და მხურვალე თანაგრძნობის გამომწვევია არითონის ყოველგვარი მუშაობა ამ მიზნის მიღწევის ნიადაგზე.

ასეთია პირველი, ძირითადი და მთავარი დამირება, თამასუქი, რომელსაც არითონი იძლევა. მაშასადამე, „არითონის“ გულდასმითმა გადაკითხვამ ჩვენ ობიექტიურად უნდა გვიპასუხოს საინტერესო კითხვებზე: ყალბი ხომ არ გამოზღვარა ეს თამასუქი?

*) კრებული პირველი, ტფილისი, 1928 წ. ტირაჟი 2,000. გვ. 578. ფასი 2 მან.

არიფიონის „სალიტერატურო განცხადება“, მისი ლიტერატურული credo ერთგვარ თეორეტიულ საფუძვლებს ეყრდნობა. ამჟამად უნდა ითქვას, არ მოგეწონს ეს თეორია ჩვენ. აქ ორგვარ უარყოფით მოვლენას აქვს ადგილი — წინააღმდეგობას და ბუნდოვანებას, ანდენად — შეუღობას. წინააღმდეგობა:

შეპოქმედეგების პროცესი უაღრესად ინტენსიური და პიროვნული... მხატვრის თვალთ და ალღო თავისუფალია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხელოვნება მიწის წყნით საზოგადოებას და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის.

აქ ორი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობის „შეთავსება“ — იდეალისტური და მატერიალისტურის. სინამდვილეში როდის ხერხდება ასეთი „შეთავსება“. „შეთავსების“ ცდაც მანერა და მიფლებელი. აქედან არ სჩანს „ისიც“, არიფიონი უარყოფს თუ არა თანამედროვე ახალ ადამიანისათვის მიუღებელ, ამჟამად რაკეტონურ თეორიას: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, „წმინდა ხელოვნება“ და სხვ. არიფიონის პასუხი აქ გაორებულია. სწორად რომ ვსთვავთ, მას არ ვაჩნია გარკვეული პასუხი. ერთი კი უნდა ითქვას უსათუოდ: ამ ძირითად, მსოფლმხედველობის საკითხზე სწორი პასუხის უქონლობა უკვე აღად უარყოფით გავლენას მოახდენს არიფიონის მომავალ მხატვრულ მუშაობაზე. ამიტომ „ასაკაცია არიფიონის მიზანს“ უნდა შეადგენდეს სწორი თეორეტიული თეალსაზრისის გამოჩახება. სხეანიარად არაფერი გამოვა.

ახლის ძიებას ქართული ლატერატურა მიმდინარე საუკუნეშივე შეუღდა. არიფიონი იმ ქართულ მწერლებს აკვებობს, რომელთაც ამ გზაზე უკვე შეიძინეს საკვლავი გარკვეული სახე მტკვლეობა და ქათეტილი ხილვის.

არიფიონის ამ განცხადებას ჩვენ ბუნდოვანებას ვუწოდებთ, რადგან არ ვაგვჩინია სხვა უკეთესი გამოსავალი. არიფიონისათვის, ალბათ, შეიძლება მართლაც ბუნდოვანი იყოს ეს ადგილი. ჩვენთვის კი აქ ყველაფერი ცხადია და მზის სხივებით მოფენილი.

ხვეით, „თანამედროვე დიდი ეპოქა“ და „ახალი ადამიანი“ რეკონსტრუქციები ტიურ მცნებათ მიეკუთვნება. ნდაბიოთ რამ ვსთქვით, ექვი შევტანეთ ამ განცხადებაში. არ ვიტყვით, ვამართლდა ეს გმვი, გაძლიერდა კი. რა არის „თანამედროვე დიდი ეპოქა“, ვინაა ის ახალი ადამიანი, რომელიც უნდა გააცხადოს არიფიონმა ქართულ ლიტერატურაში? ალკიმისკსები არიფიონი და ახალგაზრდობა, ამ „ფილოსოფიური ტვის“ ძიებას ქართული ლიტერატურა თურმე... „მიმდინარე საუკუნეშივე შეუღდა“. თანამედროვე „დიდი ეპოქა“ ოქტომბრით იწყება კაცობრიობის ისტორიაში. ასე ვუთქვამთ ჩვენ. ნუ თუ არიფიონს არ სჯერა ეს? თუ სჯერა, მაშ რა შეაშია აქ „ახლის ძიება“, „მიმდინარე საუკუნეშივე“? რომელი ადამიანი, რომელი ეპოქა უნდა „გააცხადოს ლიტერატურაში“ არიფიონმა: ის, რომელიც უკვე განმტკიცებული იყო გასულ საუკუნის მიწურულში (ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობა), თუ ის, რომელიც წარმოიშვა ჩვიდმეტი წლის ოქტომბერში? აქ ამჟამადაა ლოდიკური წინააღმდეგობა, ვიტყვი: სხეანიარათ — ბუნდოვანება. „ასაკაცია არიფიონის მიზანს შეადგენს“ ახალი ადამიანის, ახალი ეპოქის „სახე გააცხადოს ლიტერატურაში“. სამწუხაროდ, არიფიონი არ აცხადებს ასე ამჟამად და გულახდილად საკუთარ სახეს. უნდა გვახსოვდეს, ლიტერატურა ცირკი არაა, სადაც შეიძლება ნილაბით გამოსვლა და საკუთარი სახის არ „გაცხადება“.

ასეთია მეორე დასკვნა, მართლაც ყალბი თამასუქი, რომელსაც „არიფიონი“ იძლევა. აქ ჩვენ არიფიონისგან გარკვევით და ამჟამად ვიძიებთ. აქ დიდა უფსკრული და ეს უფსკრული უნდა იცოდეს ყველამ, რომელიც მართლაც ლიტერატურის „წივებით საზრდობს და სინამდვილის დაკვირვებიდან გამოდის“.



პოლიტიკურად არიფიონი რევოლუციონურ „თანამედროვეობის ნიჟადაგზე მსჯელობს“. ოქტომბრის (ამ სიტყვას, რატომღაც ვაურბის არიფიონი).

რევოლუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და სულიერი გარდატეხა მოაწვინა. საბჭოთა სისტემამ ორმად დაიშვა ფესვები ხალხის შეგებაში და უზრუნველსა ჩვენა მომავალი. ამ რევოლუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის. ვითარდება ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვივებს ლიტერატურა, მუყენიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქაბდაცება, მუსიკა და ეროვნული სკოლა.

ასეთია არიფიონის პოლიტიკური „მრწამსი“. არიფიონიც მთელი „თავის ძალ-ღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას—ლიტერატურის, ხელოვნებისა და აზროვნების განახლებას“.

ასეთია მესამე დასკვნა, რომელიც არიფიონს გამოყავს პოლიტიკურ თვალსაზრისით თანამედროვეობის შეფასებიდან.

არიფიონის „სალიტერატურო განცხადებას“ ხელს აწერს 14 ქართველი მწერალი. მათ შორის გალ. ტაბიძე, სანდრო შანიშიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ლეო ქიჩაჩელი და სხ. ასენი მართლაც ცნობილი ძალები არიან ჩვენს მწერლობაში და არიფიონიც სერიოზულ ასოციაციის შთაბეჭდილებას სტოვებს.



გენიალური იყო მარქსის შენიშვნა: თორმეტ პროგრამას ერთი პრაქტიკული ნაბიჯი სჯობია.

„სალიტერატურო განცხადება“, ძალიან კარგათაღ რომ იყოს ის დაწერილი, უსათუოდ მეორე ხარისხოვანი საქმეა ლიტერატურული დაჯგუფების მხატვრულ პრაქტიკასთან შედარებით. მხატვრული პრაქტიკა ჩვენი მიზანია, დაჯგუფება და დეკლარაციები კი—საშუალება.

ჩვენს წინაშე გადაშლილია ევებერთელა კრებული—„არიფიონი“. მხოლოდ სქელტანიან კრებულის გამოცემა დიდი plus-ია მხატვრულ ლიტერატურაში. ეს კიდევ ზედმეტად მოწმობს იმას, რომ პარტია და ხელისუფლება ფართო გასაქანს აძლევს ლიტერატურულ ცხოვრებას, მხატვრულ შემოქმედებას.

მეგრამ ჩვენითვის ზომ სულ სხვაა საინტერესო! ეს არის „წყვეული საკითხი“: თანამედროვე დიდი ეპოქა, ახალი იდეა-ნიანის „სახე გააცხადა ლიტერატურაში“ თუ არა არიფიონში? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი უნდა მივიღოთ. ეს პირდაპირი პასუხი მართლაც არის „არიფიონში“: არაეკითარი ახალი ადამიანის სახე, არაეკითარი თანამედროვე დიდი ეპოქა არაა მოცემული (გაცხადებული, თუ გნებავთ) ამ კრებულში. სიტყვა სხვაა, საჭმე—სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი! ყოველ შემთხვევაში, *топа ругая мшина!*

არ არის მოცემული (გვავეიწუდება—გაცხადებული) ახალი იდეანიანის სახე. არ სჩანს „დიდი ეპოქა“. მიზანი არაა გამართლებული. ერთი მიზეზი არის „არიფიონში“: ავტორები, უმეტეს შემთხვევაში, ახალ თემებს ამჟღავნებენ, ახალ თემებს ეხებებიან. აქ არაა ლაპარაკი ისტორიულ, ფეოდალურ წარსულზე. საკითხები თანამედროვეობის სიბრტყეზეა დაყენებული. ეს ბევრს ნიშნავს. უსათუოდ ნახვასამელო და აღსანიშნავია ეს გარემოება. კრებულში არ ვგრძნობთ „თემატიურ კრიზისს“, მასალა ახალია, ცოცხალი. კრებულის იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იი, გაკვრით, ყველაფერი, რაც შეიძლება „არიფიონის“ სასარგებლოდ ითქვას—სრულეებით მიუღდგომლათ და ობიექტიურად გაეყენოთ „არიფიონს“.

მიხ. ჯავახიშვილი „არიფიონში“ მოცემულია, როგორც იტყვიან, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მისი მოთბრობა „დაშპატიეჟე“ ავტორის კალმის უბრალო თამაში როდია, ან და შემოქმედების შემთხვევითი ნაყოფი.

„დამპატივე“ ჯავახიშვილის მთელი ფილოსოფიაა, მისი α და ω . ჩვენ გვინდა დაეჯეროთ, „დამპატივე“ ავტორის მიატერულ იდეოლოგიის დასასრულია და შემდეგში, ალბათ, დაიწყება სხვა, ახალი „დიდი ეპოქის“ გამომწვევი ლიტერატურული შემოქმედება.

ჯავახიშვილს აღებული აქვს თანამედროვეობის ხორცმეტის, პატარა კალიბრის „კეპის“ ტიპი — „ვილაც ოკროპირი, მეტსახელად „დამპატივე“. მოთხრობის მთელი სიუჟეტი აგებულია გაიძვერა დამპატივეს „კეპკობიანზე“. მოთხრობის შინაარსი სრულებით მარტივია და გასაგები.

„სადღაც რაღაც მოხდა“*) მებაღე თევდორეს ხელში შერჩა რევოლუციის მიერ გაანდევნილ მებატონის კარ-მიდამო. შრომის მოყვარე მოხუცი თევდორე გაბარებულია ამ ამბით. ის გაორკეცებული ძაღლივით და სიხარულით შეუდგა ყოფილ ბატონის დამუშავებას, ახლა უკვე თავის სასარგებლოდ. ნესტიან ოთახსაც დაახწია თავი თევდორემ და სახლის ზემო სართულში მოეწყო. ერთი სიტყვით, თევდორესა და მის ოჯახის ბედს ძალი არ დაეყუდა. მაგრამ „ისევ სადღაც რაღაც მოხდა“. თევდორეს ოჯახი სულ სამი სულისაგან შესდგებოდა და ამდენი ბალ-ვენახი მას არ ერგებოდა. და აი დაიწყო თევდორეს განკითხვის დღეები: სადღაც ვილაცამ დამპატივეს რაღაც ვალადი მისცა ხელში და დამპატივე თევდორეს შენახვერედ გაბადა. „ვილაც მზამზარეულს მიუჯდა და თევდორეს წლის სარჩო გაუნახვერა“.

— სანართალი სად არის? გაკეპის გამწარებული თევდორე და პასუხს ვერსად პოულობს.

ლოთია, მექთამეკელი, ზარმაცი და ნამდვილი პარიზიტი დამპატივე.

— ჯერ ფოხი არ მჭერია ხელში, არც დანა და არც ნიჩაბი — იკვების ოკროპირი და მისი ნაკეთები ხუთჯერ ნაკლებია ვანიფუქებზე — მოგვითხრობს, ავტორი.

დამპატივე დღე დღემკეტლუც დაპტრის, შინ არ არის, დამპატივე. რისი ეშინია მას! „მისი ბიძაშვილი იქაზის“, ხელსაც ვერკინ ახლებს“. ეს „ბიძაშვილი“ საბჭოთა მოხელე (სჩანს კომუნისტი), რომელიც მფარველობს დამპატივეს. დამპატივეც არხეინად ცხოვრობს, საწყალ მებაღის ოფლით იკვებება, სხვის სისხლსა სწოვს. ამას ისიც მოუმატე, დამპატივეს თვალი თევდორეს ერთადერთ გოგონზე უჭირავს...

ბევრჯერ იჩივლა მებაღე თევდორემ. ბევრი იარა, თუმცა სისიარულიდ აღარ ეცალა. მაგრამ სამართალი მაინც ვერსად პოვა. როგორც იყო, ერთხელ მიიგნო „სამართალს“:

— რაშა საქმე, ამბანაგო? — ციად კეხება ის კაცი.

— საქმე ის არის, რომ... — და კვლავური გადმოუღაგა ბოლოს.

გამოირკვა, რომ თვრზე თვითონ მებაღეა ედებოდა ბრალი: თევდორემ დამპატივე დაპტრა: ამეშვა, წელა მასწვევითა და მოატყუა, ანგარიში სწორედ ვერ გაესწორა...

მართალია, ავტორი შემდეგ მოგვითხრობს, „ის კაცი“, დამპატივეს მფარველი, მოყვა მახეში და დაატუსაღესო. მაგრამ ეს სრულებით ვერ ფარავს მოთხრობის დიდ ნაკლს და სიყალბეს. რატომ? — იმიტომ, რომ დამპატივე საბოლოოდ გამიარჯვებული გამოდის. ის ეპატრონება თევდორეს ნაშრომ-ნაამაგარს, ირთავს მის ქალიშვილსაც, ზედსიძედ ხდება. შრომელი თევდორე სავსებით დამარცხდა მექთამეკელსა დამპატივესთან ბრძოლაში. საწყალი თევდორე! რევოლუციამდე ბატონი ამრობდა მის ტყეფს, რევოლუციის შემდეგ კი — დამპატივე. თევდორესთვის არ გათენებულა. მამრალა დარჩენია საწყალ თევდორეს, მძიმე შრომით წელზე მოტეხილ და ხერხემალ შეილდივით მოღუნულ მოხუცს, თუ არა მწარეთ მოთქმა და გოდება?!

— ნაშრად ბეტბეტებს თევდორე და ელოდება: როდის მოამოტეხენ კისრიდან ამ ბაღლიჯოს? როდის გააჩერებენ დამ-

* ე. ვ. ი. რევოლუცია, ასეთია „რევოლუციის ფორმულა“ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ე. მ.



პატრიუს?.. ელოდება და თანაც ფიქრობს: „მთხედვის ტკიპი შეუჩნდება, ფუტკარს წინაწილი ჩაუჯდება, ხეც ზავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასესტროვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“—ფიქრობს თეფდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრიბ.

ასეთია „დამპატივეს“-ს უკანასკნელი სტრიქონები. ნუ ვითქვით, მოთხრობის ავტორი აქ ნეიტრალურია. ვითვორებთ, ეს მთელი ფილოსოფიაა ჯავახიშვილის. რელიგიურად, სხარტად და მარტივად ასეთი ოვლად მიუღებელი აზრი ჯავახიშვილს არსად, არც ერთ ნაწარმოებში არ გამოუთქვამს, არ მოუცია. ნურვინ მიიღებს გადაჭარბებათ: „დამპატივე“ არამც თუ თანამგზავრული ნაწარმოებია, პირიქით, ას პროცენტური სიყალბეა და რეაქციონური მოთხრობა.

განა არ იფიქრონის მიზანია დამპატივეების „სახე გააცხადოს ლიტერატურაში“? ეს არის თანამედრ. ახალი ადამიანი? ვინ იტყვის, საბჭოთა სინამდვილეში დამპატივეს ტიპები არ არიან. ამის თქმა არ შეუძლია არავის. მაგრამ განა დამპატივეების ბატონობაა საბჭოთა წყობილება? განა დამპატივეები იმარჯვებენ მებაღე თეფდორეებს? საჭარბველოში—და სხვაგანაც—ჩვენ არ გვეგულება არც ერთი ცოტად თუ ბევრად პროფრესიული მწერალი, რომელიც გაიზიარებს ჯავახიშვილს ამ ამჟამით ყალბ შეხედულებას. ტყვილა გეგონია, ჯავახიშვილი რეალისტია. ჯავახიშვილი ხშირათ არაა რეალისტი („დამპატივენი“ მაინც, ეს ხომ უდაოა). ყოველ შემთხვევაში, ეს შეჯად საეკვო ლიოსების რეალიზმია: დაკვიპატა ტიპები, რომლებიც სინამდვილეში არ მოიპოვებინან. გამარჯვებული დამპატივე და დამარჯვებული მებაღე თეფდორე ჩენი დროის ტიპები არ არიან. აქ მწერლის უნიდაგო მოჩვენებაა, ვიტყვით გადაჭრით — ავტორის ავადმყოფური შემოქმედების ფანტაზიაა. ჯავახიშვილის „დამპატივე“ პაროდიაა

სალი რეალიზმის და მეტი არაფერი. გ. პლენანოვი კარგაა შეხატული როცა ამბობს: ნაწარმოებში, რომელიც შეიცავს ტემპარტებსა და სიყალბეზა აგებული, კარგავს ესთეტიურ ღირსებას. „დამპატივეც“ მკითხველის, თანამედროვე ახალი ადამიანის“ თვალში ამავე დროს კარგავს ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას.

უკანასკნელ სამიოდე წლის განმავლობაში მის. ჯავახიშვილი ძლიერ გაიზარდა როგორც მწერალი — ბელეტრისტი. მის უკვე საკმაოთ ძლიერი აუდიტორია ყავს საჭარბველოში, ჯავახიშვილი კულტურული მწერალია. ყველაფერი ეს ჩვენ გვიკარნახებს უფრო კრიტიკულად შეხედვით ჯავახიშვილის ნაწარმოებს, მის შემოქმედებას. კალმით თამაშობა ხშირათ ანადგურებს მწერალს. რაც უმნიშვნელო იყო გუმინ, მნიშვნელოვანია დღეს. გაიზარდა მკითხველთა კრიტიკული აზროვნება. ეს ფაქტია. მწერალი, რომელიც ამ ფაქტს ანგარიშს არ გაუწევს, იზარალებს, დამარცხდება, შეიძლება — სასტიკად და საბოლოოდ...

ამ რიგათ, მის. ჯავახიშვილის „დამპატივე“-თი არ იფიქრონმა იმდენი წავაგო, რამდენიც შეიძლება მან ვერც მოიგოს დიდი ხნის განმავლობაში.

ლევ. მეტრეველის „ბოლშევიკი“ უმათერესად საკითხის დაყენების, თემატიური სიახლის თვალსაზრისითაა საინტერესო. ბოლშევიკის ტიპის მოკემს ვერც ერთ მწერალს ვერ მოუხერხებია დღემდე. ეს მეტად სერიოზული და რთული პრობლემაა თანამედროვე ლიტერატურაში. არა ბოლშევიკ მწერლისათვის მეტად ძნელია (თუმცა არა შეუძლებელი) ბოლშევიკის ტიპის მოკემა. მწერალმა ბოლშევიკი უნდა განიცადოს მთელი სიღრმით. ჩვენ ვფიქრობთ, ბოლშევიკის ფსიქოლოგიის გამოსახატავად საჭიროა ბოლშევიკური ფსიქოლოგიით გაელენთვა, გამსჭვალვა. აქ თემისადმი მიდგომა უაღრესად დინამიურია, ორგანიული და არა ფორმალური, ზეზეური, გარეგნული, „ინტიმიური, პიროვნული“. ამიტომაც არის, საბჭოთა რუსეთშიაც

ტი ხშირად გაურბიან მწერლები ბოლშევიკის ნამდვილი ტიპის მოცემას.

ლევ. მეტრეველმა ხელი ჩასჭიდა ამ დიდ პრობლემას. ამით მიიპყრო მან ჩვენი ყურადღება, თუმცა გამოცდილი მკითხველი წინდაწინ მიხედვება, რომ ავტორის ბედი აქ უსათუოდ განწირულია და აუცილებელი ფიასკო მომზადებული.

სამწუხაროთ, ჩვენი მწერლები ნაკლებათ ეტანებიან პოლიტიკას, პოლიტიკურ ლიტერატურას. ამხ. სტალინის მიერ დაშასიათება ბოლშევიკებისა ხომ კლასიკურია. სამოქალაქო ომის ცეცხლში ბოლშევიკთან თანამებრძოლობა თუ არ გამოუცდია მწერალს, ლიტერატურას ბოლშევიკზე მაინც უნდა კითხულობდეს ის. თვით ბოლშევიკების ყოფა-ცხოვრების შესწავლის საშუალებით შეიძლება რამე გამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს თემა ძნელია და მისი დაძლევა დიდი ეროდიციით, მხატვრული ნიჭით და განვითარებული ინტუიციით არის შესაძლებელი. ლევ. მეტრეველი პირისპირ წარსდგა ამ თემის წინაშე და... დამარცხდა კიდევ.

ძველი მწერლები, „დემოკრატიულ“ საქართველოში მინისტრის მოადგილე, ჩაჩანო ემიგრაციიდან არაღვგალურადაა დაბრუნებული სპეციალური დავალებით საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ. ჩაჩანო გამოცდილი არაღვგალური მღშკია. მას დიდი გამოცდილება აქვს ამ დარგში. ახლა ის მენახშირის როლშია, ნახშირს ყიდის ქუჭა-ქუჭა. ამით საიდუმლო მუშაობის ქსელს აძლიერებს, კავშირს იკურს ამხანაგებთან, მუშაობს გაჩაღებით.

ბოლშევიკი სვიმონი, ჩაჩანოს ძველი „სიყრმის მეგობარი“, რევოლუციონარულ მუშაობაში მასთან შეზრდილი, ნახშირის ყიდვის ნიადაგზე ხედება ჩაჩანოს, იცნობს მას, შეეფას თავის ოთახში. აი აქ იწყება მთელი ტრაგედია. აქ იშლება მოთხრობის საინტერესო ადგილები.

ბოლშევიკი სვიმონი „იკარგება“. ეს შემთხვევა მისთვის უმრცხუნესი იყო. არ იცის რა ქნას (გაუაზრებელი იყო). ვაუშვას ჩაჩანო. ჩაჩანო კი დარწმუნებულია, სვიმონი მას „გასცემს“, დაიქვრს, ჩეკას გადასცემს. ბოლშევიკი სვიმონი განსაცდელში ვარდება, ორ ცეცხლს შუა ტრიალებს. ჩაჩანო კი გაბედულად მისწერებია სვიმონს და „უნდა გამოიცნოს: ძველი მეგობარი უფრო ძლიერია მასში თუ კომუნისტი“. სვიმონის გაორებული არსებაში განმავლება იბრძვის სწორედ ეს ორი „დევეგმიზი“: მეგობრობა და კომუნისტიზმი.

— გასცემ ჩაჩანო? განა შეიფერვს მას სინდისი, ადამიანობა?
ავტორი სრულიად სერიოზულად აყენებს კითხვას:

რევოლუციონარული მეგობრობა ან სინდისია ქვენა თუ რევოლუციონარული მოვალეობა? ეს რა დევეგმიზი შეეჯახენ ერთმანეთს სვიმონის არსებაში.

სვიმონი არ უღალატებს რევოლუციონარს, მაგრამ განა მეგობრობას უღალატებს ის? სვიმონმაც „იკარგა ბოლშევიკური სინტაქსის შეწყვეტა“. მას სხვა გზა არ აქვს, ავტოციას მიჰყო ხელი. არწმუნებს ჩაჩანოს, რომ მისი გზა არაა სწორი, აჯანყება ქვეყნის გამანადგურებელია, მწვევიკური პარტია განწირულია და ურჩევს ჩაჩანოს შეხედულებების შეცვლას. ჩაჩანო იმაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

— ისევ გაუტყვევი ხარ ძველებრად?
— ატრე ვ მომიღვარ, ატრე მოვკვდები.

ბოლშევიკ სვიმონის წინაშე კვლავ სდგას წყველი საკითხი: რევოლუციონარული იბტერესი თუ მეგობრობა? უკანასკნელი იმარჯვებს პირველზე და სვიმონს ხელიდან ეცლება ჩაჩანო. აქ თავდება მოთხრობის პირველი, საინტერესო ნაწილი.

მკითხველისათვის აშკარაა, ავტორის მთელი უსუსურება. მეგობრობა თუ რევოლუციონარული? რასაკვირველია, რევოლუციონარს განა შეიძლება აქ ყოყმანი და ორქოფობა? ბოლშევიკისათვის ეს საკითხი არ სდგას, ბოლშევიკსა საკითხის



ასე დაყენება არ იცის. მეტრეველი ამ თემას ანვითარებს, აგრძელებს, აჭიანუ-რებს. კითხულობ სვიმონის სანტიმენტალურ, არაბოლშევიკურ მონალოგებს და ბრაზით მოგდის, რა საჭიროა ამდენი „უაზრო ხეტიალი?“ მეგობრობის გრძნობა არყვეს ბოლშევიკურ სიმტკიცეს. მეგობრობის გრძნობა ადგილს უთმობს პროლეტარულ რევოლუციის ინტერესს! ბოლშევიკი სვიმონი ჰკარგავს ბოლშევიკურ გამბედიობას. „სიყრმის ნეკროზი“ მის უშაბდებს აჯანყებებს. სვიმონმა ყველაფერი იცის ეს, მაგრამ... ბოლშევიკი იკლავება ლედივით, მას არ გააჩნია ბოლშევიკური ხერხე-მალი, არ აღმოაჩნდება აზრის სიმტკიცე, გაბედული მოქმედება. მეგობრობის შემ-ჩანური გრძნობა სამარცხვინოთ იმარ-ჯვენს რევოლუციონურ გრძნობაზე! ჩვენც ვამბობთ პირდაპირ: სვიმონი ბოლშევიკის ტიპი არ არის. სვიმონი თვითონ მეტრეველია და მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლ-შევიკთან.

კიდევ მეტი. ავტორი აქ დათვურ სამსახურს უწევს თემას. მენშევიკი ჩაჩანო უფრო ბოლშევიკურადაა გამოყვანილი, ვინემ ბოლშევიკი სვიმონი. მტკიცეა და ურყევი ჩაჩანო. მან არ იცის რყევა. აკი მას ბოლშევიკურ სტილზე ალაპარაკებს მეტრეველი: აგრე ვშობილვარ, აგრე მოვკვდებო! ცხადია, ჩაჩანო მენშევიკის ტიპი არ არის. ავტორი აქ სიყალბეს სწადის.

სიმტკიცე და პრინციპიალობა ჩაჩანოს ბოლომდე გაჰყვება. ნართალია, „ბოლ-შევიკი“ (მეტი ვნა არ არის, ფრჩხილები უნდა ეიხმართო) სვიმონი ვერ სწყვეტს ჩაჩანოს დაჭერის საკითხს, მაგრამ საგან-გებო კომისიას არ სძინავს და ჩაჩანო ვერც კი მოასწრებს ეზოდან გასვლას, რომ მას იჭერენ მოულოდნელად. ჩაჩანოს ამაში დამნაშავე „უდინამაულო“ სვიმონი ჰგონია. ალბათ სვიმონმა დაუძაბა „ჩე-კას“ მეორე ოთახიდან! ჩაჩანო შურს იძიებს: ამხანაგებს აეალებს სვიმონის დიპლას. სვიმონსაც ფარულად იჭერენ მენშევიკები, შეყავთ ის ჯურღმულში და

სიცოცხლის განოსაღმებით ექუჭობიან. აქ სვიმონი მართლაც ბოლშევიკია, ნამდვილი ბოლშევიკი! მართლაც მენშევიკებს არც ერთ საიდუმლოებას. მისი უჯანასკნელი სიტყვებია: „ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ, სიკვდილისაკი არ ეშინიათ“. სვიმონი ეგერება შეიარაღებულ შაერაზმელებს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში იღუპება ის.

მოთხრობის მეორე ნახევარში, როგორც ვხედავთ, ავტორი სცდილობს შეცდომის (ჩვენის აზრით და არა მისი) გამოსწორებას. სიყალბეს აქაც ადგილი: „დიდი“ ბოლშევიკის მენშევიკების მიერ გატაცება და მოკვლა როდის მოხდა, სად? ეს ხომ სიყალბეა და მეტი არაფერი. ასეთი ლიბასუსი ენა-ტიება ავტორს. მთავარია ძირითადი საკითხი: მოკემული თუ არა, „გაცეხადე-ბულია“ თუ არა ლიტერატურაში ბოლშევიკის სახე?—არა, არ არის მოკემული აქ ბოლშევიკი. სვიმონი ნამდვილი ბოლშევიკის ტიპი არ არის. მეტსაც ვიტყვი: მოთხრობა „ბოლშევიკი“ უფრო მენშევიკის იდეალიზაციაა თვიდან ბოლომდე. შეიძლება ამას ავტორი ვერ იმჩინეს, ვერ გრძობს. პიროვნული, მიუდგომელი კრიტიკა კი შეუძლებელია მეტრეველის „ბოლშევიკს“ ლოიალურად შეხედეს, მით უმეტეს—კრიტიკი კომუ-ნისტური.

„ბოლშევიკი“ ფელეტონის სტილზეა დაწერილი. სახეებისა და მხატვრულ ვანცლებების სიღარიბე უსათუოდ თვალსაჩინოა. საერთოდ, მეტრეველს ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება პროზაზე. ავტორმა ყუაადლება მხატვრულ სახეების სიმდიდრეს უნდა მიაქციოს უმთავ-როვსად. არც ნამეტანი მონოტონური სტილია საინტერესო.

ბასილ მელიქიშვილი „სალი-ტერატურო განცხადებას“ არ აწერს ხელს. ის ჯერ კიდევ არ ითვლება „რჩეული“ რიგებში. „არიფინის“ პირ-ველივე კრებულში ის მაინც საკმაოთაა წარმოდგენილი. მისი მოთხრობა „მკერდ-შეპოილილი შერცხალი“ „საყურადღებოა“ იმით, რომ ის უკვე ძველ თემას

ეხება—ქართულ, უკეთ რომ ესთქვათ—
მთიურ ნაციონალიზმს. უწინარეს ყოვე-
ლისა, ენის შესახებ. ავტორი სცდილობს
„პროვინციალური“ სტილი შეინარჩუნ-
ოს. ამას ის ახერხებს კიდევ, თუმცა
არა მთლიანად. მოთხრობაც ძალიან
მძიმე იკითხება. ვფიქრობთ, სამიოდე
„თავზე ხელ-აღებული მკითხველი“ თუ
წაიკითხავს ბოლომდე ამ მოთხრობას.
ავტორის ენა და სტილი თანამედრო-
ვეობის ენა და სტილი, არ არის. ის
ჩვენ არ გამოგვიდგება. ავტორის ვარ-
ჯიშობა ვარჯიშობად დარჩება და კარგ
მწერლის სახელს ამ გზით ვერ დიმი-
სახერხებს. ეტყობა, შრომა დიდი გა-
წეული „ფორმალურ მიღწევებზე“. მაგ-
რამ შრომატყა და შრომატყა ვინ სთქვა
სიხიფის შრომა შრომა არ არისო!
ვიმეორებთ, „მკერდშეშობილი მერ-
ცხალი“ გამსჭვალულია ნაციონალი-
ზმით.

— შევავსო სთვლის ბოლოს მოხრილი
ლექსი რომ მიიკაცება? რა იცი, რომ
იმასაც ქართული სისხლი არ უფულს...
ველა ლექსი ქართული ჯანი არ აქვს
ვებ თვით ახდული ქართული თვალ-
ხით უშერს ქვეყანას! და სხ.

შთელი მოთხრობის დედა-მარია „ქარ-
თული სახის შერჩენაზე“ ამწებულნი.
ბავშვი თორელი ლექების მიერაა მო-
ტაცებული. ქართული სახე არ უნდა
დაკარგოს თორელი. თორელი ამოიხრ-
დება, დაეგუცდება და სამშობლოში
დაბრუნებას ნახე ახერხებს.

— მერცხალმა თვით მოიკლა
თავი და სახე შერჩა! ამ „მკერდ-
შეშობილი მერცხალის“ დედა-მარია.
ჩვენს დროში ამ თემაზე წერა შეუძლე-
ბელია. „ქართული სისხლი“, „ქართული
სახე“ და სხ. ეს არ არის „დიდი ეპო-
ქის“ „გაცხადება ლიტერატურაში“. მკ-
ელიქიშვილი ახალგაზრდა მწერალია,
ეტყობა—ნიკორიცი. საჭიროა მხოლოდ
ახალგაზრდობისა და ნიჭის სწორ ნია-
დაგზე დაყენება და გაზლა-განვითარება.
ნაციონალიზმმა მოსჭამა თავისი დრო.

საქმათ მოძველდა ის ლიტერატურა-
შიაც. არა გვერისა! ნამდვილი მისი
მხატვრულ ლიტერატურაში სკანდალ-
ლებით რომელიმე მწერალმა მოიგოს.
ქალმის დაწვლადებისა და დაქანვის კი
სრული ვარაუბრია...

ლეო ქიაჩელი მის მოთხრობა „თა-
ვადის ქალი მია“ გამართლებულია
საქმებით. ავტორს აღებული აქვს ვასამ-
კოების პირველი თვეები. თავადის ქალი
მია, რევოლუციის მიერ განადგურებუ-
ლი, ზღვს პირად მიდის საავიარაყოფ,
წინათ ხომ არ იკადრებდა ასეთ ავარაქს!
მართალია, მისი მოჯამავირე „ნობოლ-
შევიკია“, რომელიც „ფეხშიწველა და
მუხლებამდის აკაპიწებული“ მიუძღვის
ხოლმე წინ თავადის ქალის ურემს. თა-
ვადის ქალის ცილოც არაა ჯერ შეცუ-
ლილი. ბრძანებლობა, დაციხვა და ამა-
ყური გამოხედვა შერჩენია მას. გვერია,
ქიაჩელი ასცდა სწორ გზას. მაგრამ არა,
ქიაჩელი არ სცდება და მკითხველს
შეუძლია თვალდახუჭულად მიენდოს მას.
მოთხრობა იდეოლოგიურადაც სწორია.
შინაარსი საინტერესია. მოთხრობა არც
მხატვრული თვალსაზრისითაა ღირებუ-
ლებას მოკლებული

მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ
ლეო ქიაჩელს. საერთოდ, მეგრულ ბელე-
ტრიკისტებს მეტად დამახასიათებელი სენი
სჭირთ. ეს არის „უთხური პატრიოტიზ-
მი“. ლეო ქიაჩელის გმირები სულ მეგრე-
ლები არიან უმთავრესად, ან და მოქმე-
დების ასპარეზით სამეგრელოა მოცე-
მული. უფრო მეტს სხადის კ. გამსახურდია,
მარსზე რომ მოხდეს გამსახურდია, მეგ-
რელს მაინც უსათუოდ აღმოაჩენს. ლეო
ქიაჩელს არ ფერხვეთ ამ გზით სიარულს,
თუმცა, უნდა ითქვას, „სისხლი“ ამ გზის
უარყოფის საქმათ იმედს იმღევა...

ლამაზათაა დაწერილი ი. ტატი-
შვილის ზღაპარი „უსათურო“,
„მართლაც მოგონილი, მაგრამ სისხლი-
ნია“ ეს ზღაპარი. ორიგინალურიცაა
კიდევ. „უსათუროს“ პრობლემა სიყვა-
რულია:

— მწვერს შეეძლო გაცეა ქალი და მეფე გაეშაფაროყო, მაგრამ მან სიღაღრული ამჯობინა მეფობას...

ერთი ნაკლი შინეც აქვს ტატოშვილის „უსათაუროს“. როგორც ავტორი მოგვითხრობს, ეს ზღაპარი „არიფების დავალებით“ დაუწერია. ავტორს თემა ვერ მოუბახავს. ნუ იტყვი, მის „არიფებს“ ყველაფერი ამოუწერავთ. ავტორი ჩამოსთელის „არიფებს“:

ჩენი დღესჭირობა ვიამბოთ? ესეც დამაწროა მიხეილმა. დამატიდე—ჩენი ცხოვრების დღესჭირობა... იღაც შენ ლექსი გეცნობ? ვახოსავეთ პეიზაჟები ათ მუხურბაზე... არც მფლექსე ვარ და არც ფილოსოფოსი, თქვენსავით, კონსტანტინებსო!... და სხ.

ამის კითხვით გული გვირევა კაცს. რა საჭირო იყო ხალხურული შესავალი? ეს ხომ მიხატვია „არიფ“ ჯავახიშვილის (გვიე შადური)? მიხატვია სანერათოდ, უარყოფილი არაა. მაგრამ ერთი პირობით: კარგს უნდა მივბაძოთ და არა ცუდს. ი. ტატოშვილზე, სჩანს, დაჯგუფებას ცუდი გავლენა მოუხდენია. სერიოზულ მოთხრობებში ასეთ ბავშვურ „თამაშობას“ არ უნდა ეწეოს ადგილი.

მეორე, კიდევ ახალგაზრდა მწერალი — მიხეილ მრველი შვილია დაბეჭდილი „არიფიონში“. მისი მოთხრობა „სენიდა“ თემატიურად ძველია. მისში მოცემულია აღმოსავლეთის ქალის ტიპური მდგომარეობა. ამ თემაზე ავრეთე ი. ტატოშვილი მუშაობს ჩვენში. მის მრველიშვილს ალბათ იცნობენ ავრეთე „მნათობის“ მკითხველებიც (მოთხრობა „ინონ“). ამ ახალგაზრდა მწერალს მართლაც აქვს მომავალი...

ორიოდე სიტყვა დავით სულიაშვილის შესახებ. ეს მწერალი უკანასკნელ ხანებში შესაძინებლად იზრდება. სამწუხაროთ, ეს ზრდა უფრო „რიცხობრივია“, ვინემ თვისობრივი. ცოტა, მაგრამ უკეთესი — ლენინის ამ სიტყვების გაგება ყველაზე უფრო დ. სულიაშვილს შეუძლია. გატაცება „რომანების გამრავლებით“ არ ვარგია. მ. ჯავახიშვილმა დაგვიმტკიცა, რომ ეს მართლაც ცუდია. — რას გვაძლევს დ. სულიაშვილი მოთხრობაში „კედელი“?.

ქმის არაფერს. შეიძლება ითქვას, სრულებით არაფერს. დამატებულია კი უსათუოდ მეტი მოეხატვრეს. მსგავსელებით მეტი, ვინემ ის „კედელი“ იძლევა. მოთხრობა „სუსტია მხატვრული თვალსაზრისით, სუსტია შინაარსით. თემა ვარგია, მაგრამ სათანადოთ არაა დამუშავებული. ასეთ თემაზე ხანგრძლივი, სისტემატიური და გულმოდგინე მუშაობაა საჭირო. სამწუხაროთ, ეს თვისება ჩვენ რატომღაც არ გავგანჩია. გვეგონია, კალმის უზრალო მოსპითაა შესაძლებელი რომანის გამოცეხობა. თანამედროვე მწერლებს არ ეხერხებათ თვითკრიტიკა. ნამდვილად კი თვითკრიტიკის ვარეშე „ლიტერატურული პასუხისმგებლობა“ ყოველად შეუძლებელია.

დ. სულიაშვილის „ნაღერდალი“ უფრო დამუშავებულია, ვინემ პატარა მოთხრობა „კედელი“. პატარა მოთხრობის წერა ხომ უფრო ძნელი საქმეა. ნუ გავიკვირებთ, ის მეტ დროს მოითხოვს, მეტ ენერგიას, გონების ძარღვების მეტად დაქიმვას. „კედელი“ გაკვრითაა დაწერილი, სახელდახელოდ. ამის ბეჭედი ამის თითოეულ სტრიქონს. მოთხრობაც განსაკუთრებით სუსტია ფორმალურ თვალსაზრისით. მოთხრობა არაა დაბეჭდილი. ბლომათაა შედმეტი ადგილები, უადგილო გამოთქმები. მოთხრობაც ცუდათ დაწერილ პუბლიცისტურ წერილის შთაბეჭდილებას სტოვებს და არა მხატვრულ ნაწარმოების. აი მავალითებიც:

